პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს ეკონომისტი

ყოველთვიური ეკონომიური ჟურნალი.

საქართველოს, ს. ს. რესპუბლიკის
ეკონომიურ სტატისტიკის ორგანო.

ტფილისი
1927 წ. ოქტომბერი

№ 10

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს ეკონომისტი

ყოველთვიური ეკონომიური ჟურნალი.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის
ეკონომიურ საბჭოს ორგანო.

P-135792

№ 10

ტფილისი
1927 წ. ოქტომბერი

ტფილისი, ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ბლეხან. პრ. № 91.

17/X—27. შეკ. № 45. მთავარლიტი № 1789. დაიბეჭდა 1000.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

	83.
ვ. ავაქოვი—საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები	5
ალ. გეგეჭკორი—საქ. სასოფლო მეურნეობა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე	17
ინჟ. ბ. ჭიპინაძე—ელექტროფიკაციის საქმე საქართველოში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე	31
დ. თოფურიძე—საქართველოს ბიუჯეტი 1918—1927 წლამდე	48
ა. სიგუა—საბანკო კრედიტი ჩვენში	62
ვლ. ცაგარელი—საქართველოს კოოპერაცია ოქტომბრის ათი წლის თავზე	71
ლ. კარბელაშვილი—საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი მაჩვენებლები	91
ს. გოდაბრელიძე—მუშათა საკითხი და ოქტომბრის რევოლიუცია	113
ლ. ასათიანი—სამელიორაციო მშენებლობა საქართველოში	117
ვ. ხახანაშვილი—მასიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წესი წინათ და ეხლა	122
ს. ამაღლობელი—კინო ინდუსტრიალიზაციის პერსპექტივები ჩვენში	128
გრ. კუჭაიძე—სახალხო ჯანმრთელობა გასაბჭოების 10 წლის თავზე	136

პროფ. ს. კუკელ-კრაევსკი—ელექტროფიკაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები საბჭოთა კავშირში	139
ჯ. კალაძე—საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ხასიათი და მისი მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლ. თავზე	147

Თ. ᲐᲕᲐᲫᲝᲕᲘ.

საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები.

დიდი ოქტომბრის ათი წლის მიჯნაზე არამც თუ ჩვენ, ახალი ცხოვრების უშუალო მშენებლებმა, არამედ ყველა ქვეყნის პროლეტარებმაც უნდა იცოდენ, თუ რამდენათ წარმატებით, გაგებულათ აგებს თავის მეურნეობას ძალა-უფლების სათავეში მყოფი მუშათა კლასი. ჩვენ თავის დროზე უნდა გაუკეთოთ ჯამი ჩატარებულ მუშაობას, დავსახოთ, დავამუშაოთ და ცხოვრებაში გავატაროთ ისეთი ღონისძიებანი, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მაქსიმალურ განვითარებას, სოციალისტურ სექტორის ხვედრითი წონის აუცილებელ ზრდასთან ერთად.

მხოლოდ ციფრებმა და ფაქტებმა ნათლად უნდა გვიჩვენონ თუ ამ ხნის განმავლობაში რა გავაკეთეთ, რამდენათ წავიწიეთ წინ, როგორი პროცესები მოხდა ჩვენს ქვეყანაში.

თქმა არ უნდა, უძნელეს აღმშენებლობითი პერიოდის განმავლობაში და რეკონსტრუქციაზე გადასვლის დროს დაუშვით შეცდომები, მაგრამ ისიც უდაოა, რომ ჩვენი მიღწევებიც თვალსაჩინოა, მეურნეობა დიდის ნახტომებით მიიწევს წინ და ამ ძლიერ ტემპთან ერთად იზრდება სოციალისტური, სახალხო მეურნეობის განზოგადოებული სექტორი, და ეს ხდება კაპიტალისტური სექტორის ხარჯზე.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ აღმშენებლობის ძირითად ლოზუნგს შეადგენს მისი ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის განვითარება, რაც გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგზე და მიმართავს მას მშრომელი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

ამგვარათ, მრეწველობა უნდა გახდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობის ჰეგემონი.

საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა ისეთ ქვეყანას, სადაც სახალხო მეურნეობის სისტემაში სასოფლო მეურნეობა გადამჭრელ როლს თამაშობდა.

ახალი სოციალისტური საქართველო კი, რომელიც დიადი საბჭოთა კავშირის წევრი შეიქნა, თვითმოქმედებისა და ფართო ინიციატივის სულით აღსდგა, დადგა ახალ გზაზე — ინდუსტრიალიზაციის გზაზე. თუმცა მთელს სახალხო მეურნეობაში სასოფლო მეურნეობას ახლაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ციფრები მრეწველობის ხვედრითი წონის შეუჩერებლად ზრდას გვიჩვენებენ.

მთელი სახალხო მეურნეობის 1926-27 წ. საერთო პროდუქციიდან, რაც 355,6 მილ. მან. უდრის, მრეწველობაზე მოდის 24,5 პროც. წინააღმდეგ 23,5 პროც. 1925-26 წ., 22 პროც. 1924-25 წ. და 16 პროც. 1923-24 წ.

სასოფლო მეურნეობა კი, აბსოლუტურ ზრდასთან ერთათ, სახალხო მეურნეობაში ამის დამიხედვით კარგავს თავის ხვედრით წონას 83,9 პროც. 23-24 წ., 75,5 პროცენტამდე 26-27 წ.

შედარებისთვის საინტერესოა მოვიყვანოთ ანალოგიურ ციფრების შეფარდება პროცენტებში მთელი ს. ს. რ. კ. მიხედვით.

	24—25 წ.	25—26 წ.	26—27 წ.
მრეწველობა	37,5	40,5	43,2
სასოფლო მეურნეობა	62,5	59,5	56,8

აქედან სჩანს, რომ **სსრკ**-ში მრეწველობის ხვედრითი წონა უფრო მეტია, ვიდრე ჩვენში, საქართველოში; მაგრამ თუ **სსრკ**-ში 24-25 წლიდან მრეწველობის ხვედრითი წონა 37,5 პროცენტიდან 43,2 პროცენტამდე გაიზარდა (ე. ი. 5,7 პროცენტით), საქართველოში კი იგივე ზრდა იმავე წლებში 8,4 პროც. გამოიხატება. მრეწველობის მსგავსი აბსოლუტური და შედარებითი ზრდა საქართველოში აიხსნება არა მარტო არსებულ საწარმოთა აღდგენით, მათი გადაკეთებით და გაფართოებით, არამედ ახალ საწარმოო ერთეულთა აგებით, რომელთა შორის ჯერ მხოლოდ რამდენიმეა მოთავებული. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ე. წ. აღდგენითი პროცესი ჩვენში განისაზღვრა მემკვიდრეობით მიღებულ საწარმოთა მხოლოდ მათ უწინდელ სიძლიერემდე აღდგენით, როგორც მოწყობილობის, ისე პროდუქციის მხრივ. სამწუხაროთ, ჩვენი მრეწველობის მრავალ დარგიდან ომამდე არსებულ პროდუქციის ნამდვილი ციფრების უქონლობა არ გვაძლევს საშუალებას სისწორით აღვნიშნოთ პროცენტული შეფარდება ეხლანდელ და ომამდი არსებულ დონეთა შორის, მაგრამ ბევრ სხვა ცნობისა და საბუთის მიხედვით, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ მრეწველობამ საერთოდ უკვე მიაღწია ომამდე არსებულ დონეს. ზოგიერთ დარგებში კი (რომლის შესახებაც მოიპოვება ცნობები) კიდეც გადავამეტეთ. ასე, გასასყიდათ გამოტანილ პაპიროსების რაოდენობის მიხედვით, თამბაქოს ტრესტმა 77,8 პროც. გაადიდა პროდუქცია ომამდი არსებულ პერიოდთან შედარებით. ქვა-ნახშირის ამოღება 1926-27 წელში ომამდი არსებულ დონეს 26 პროც. აღემატება. მენშევიკების დროს კი (1919-20 წელში) მრეწველობის ეს დარგები გაერანებული იყო: თამბაქოს მრეწველობა 1913 წელთან შედარებით 50 პროც. დაქვეითდა, ქვა-ნახშირის მრეწველობა კი — 52 პროცენტით. ასე დაქვეითებული იყო მრეწველობის სხვა დარგებიც. მაგრამ ეს ძნელი პერიოდი კარგა მოშორებით ჩვენს უკან დარჩა. ჩვენ არამც თუ აღვადგინეთ დანგრეული და შეუდექით მრეწველობის გაცვეთილ მოწყობილობათა განახლებას, არამედ ფართო სამრეწველო აღმშენებლობის პრაქტიკული განხორციელებაც დავიწყეთ.

გასულ წელს ვლაპარაკობდით, რომ მრეწველობამ სავსებით გამოიყენა თავისი ძირითადი კაპიტალი, და თუ შარშანდლამდე ჩვენ ყოველდღიურთ საგრძნობლად ვადიდებდით პროდუქციის დამზადებას, 1926-27 წ. კი ისეთ საზღვრამდე უნდა მოვსულიყავით, როცა შეუძლებელი იქნებოდა პროდუქციის შემდგომი გადიდება წინანდელი გაძლიერებული ტემპით წასულიყო, და ეს ტემპი აუცილებლივ უნდა შენელებულიყო. მრეწველობის პროდუქციის განახლებული და ამავ დროს სწრაფი ზრდა უნდა დაისახოს მომავალ მახლობელ წლებში, როცა მშენებარი საწარმონი დამთავრდება და ბაზარზე დიდის რაოდენობით გამოვა ახალ-ახალი საქონელი. და მართლაც, თუ სახელმწიფოს ცენზიან მრეწველობის პროდუქცია 24-25 წ. 29,3 მილ. მან-დან 43,8 მილ. მან.-მდე გაიზარდა 25-26 წ. (ე. ი. 49,3 პროც.), 26-27 წ. კი გვაქვს მხოლოდ 44,7 მილ. მან., რაც გასულ 25-26 წ. მარტო 2,2 პროც. აღემატება. თუ გამოვყოფთ სატრესტო მრეწველობას, 26-27 წ. პროდუქციას 25-26 წ. შედარებით, იგი 7,5 პროც. ადიდებს, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ ტრესტები, რომელნიც საქართველოში უფრო მსხვილ საწარმოთ აერთიანებენ, სხვა ორგანიზაციებზე ცოტა ადრე შეუდგენ საკუთარ წამოწყებათა როგორც აღდგენას, ისე, უმთავრესათ, მოწყობას. გვაქვს რა მხედველობაში ახალი საწარმონი, რომელნიც მახლობელ წლებში მოთავდებიან და გადავლენ ექსპლოატაციაზე, 27-28 წ. სატრესტო მრეწველობის პროდუქცია 26-27 წ. შედარებით 34 პროც. გადიდდება, ხუთწლედის ბოლოს კი, 30-31 წ., — უკვე 150 პროც.

ცენზიან მრეწველობაში დაბანდებულ მუშების რიცხვი აქამდე შედარებით ნელა იზრდებოდა — 24-25 წ. 11,923-დან 26-27 წ. 14,237-მდე გადიდდა, ე. ი. 19,4 პროც. სატრესტო მრეწველობა კი 1927-28 წ. მოითხოვს მუშების ახალ რაოდენობას 19,5 პროც. მეტით, ვიდრე 26-27 წ. იყო, 1930-31 წ. კი, დაწყებულ და პროექტში მყოფ წამოწყებათა დამთავრებისას, სმუს საწარმოებში მუშების რიცხვი 113,9 პროც. მეტი იქნება, ვიდრე 1926-27 წ. იყო.

მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ სახალხო მეურნეობის, კერძოთ კი მრეწველობის, ზრდაზე, საჭიროა ვიცოდეთ — საით მიდის ეს ზრდა? სოციალისტური სექტორის თუ კაპიტალისტური კლემენტების ნსრივ მიდის იგი?

როგორია კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში?

თუ ჩვენ გვაქვს სახელმწიფო მრეწველობის შეუჩერებელი ზრდა, ამავ დროს — 1926-27 წ. — დაეცა კოოპერატიული მრეწველობა 1 ნახევარ პროც., კერძო კი — 31,3 პროც. კერძო მრეწველობის ასეთი მნიშვნელოვანი დაცემა აიხსნება საკონცესიოთ გაცემულ ჭიათურის შავი ქვის ამოღების დროებითი შემცირებით, მაგრამ, ამის დამოუკიდებლივაც, ჩვენ ვამჩნევთ კერძო მრეწველობის აბსოლუტურ და შედარებით შემცირებას. მრეწველობის ცალკე კატეგორიების მიხედვით ხვედრითი წონის ცვალებადობა ასე გამოიხატება: (ცხ. იხ. მე-8 გვ.).

ამგვარათ, ეს ციფრები ავიჩვენებენ განზოგადოებულ მრეწველობის როლისა და მნიშვნელობის თანდათანობით გადიდებას და სოციალისტურ სექტორის გაძლიერებას.

	24—25 წ.	25—26 წ.	26—27 წ.
სახელმწიფო	77,3	80,1	83,9
კოოპერატიული	8,6	6,8	6,9
კერძო (შავი ქვით)	14,1	13,1	9,2
(შავი ქვის ჩაუთვლელად)	1,4	3,3	2,3

როგორც ვსთქვით, ჩვენი მრეწველობის აღდგენითი პროცესი დამთავრდა და ეგი რეკონსტრუქტიულ პერიოდისა და კაპიტალურ აღმშენებლობის სტადიაში იმყოფება. საქართველოს ახალი სამრეწველო მშენებლობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენი შემდგომი განვითარებისათვის, უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ სხვადასხვა ნედლ მასალის დიდ მარაგს, რითაც აღნიშნული ქვეყანა მდიდარია, არამედ ორ ძირითად მომენტსაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

1) ჩასახვა და განვითარება მრეწველობის ისეთი დარგებისა, **რომელნიც** პირველ რიგში სამსახურს გაუწევენ მომხმარებლების ძირითად მასას — გლეხებსა და მუშებს — ფართო მოხმარების საგნებით.

2) ისეთი კურსის აღება, რომელიც ჩვენს კავშირს თანდათანობით გაათავისუფლებს კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან და განავითარებს სამთო-მადნო და სამეტალურგიო მრეწველობას, ვინაიდან სსკპ (ბ) მეთხუთმეტე პარტკონფერენციამ აღნიშნა: „სოციალისტური მშენებლობის წარმოების ძირითადი წინააღმდეგობა არის მსხვილი სოციალისტური მრეწველობის სამეურნეო ჰეგემონიის გამტკიცება ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე და, პირველ რიგში, მისი სოციალისტურად გარდამქმნელი როლი საგლეხო მეურნეობის მიმართ“.

დიდი თანხები ,რომელიც დაბანდულია მრეწველობაში, უეჭველად, **გვიჩვენებენ** იმ ჩქარ ტემპს, რასაც მივმართეთ ახალ აღმშენებლობის დარგში. 1924-25 წ. მრეწველობაში დაბანდული იყო 1.392,4 ათ. მან., 1925-6 წ. — 4.185,6 ათ. მან., 1926-27 წ. — 8.402,4 ათ. მან., 1927-28 წ. კი დამტკიცებულია 9.598,5 ათ. მან. გადადება, სულ 4 წლის განმავლობაში 23,5 მილ. მან. მეტი. ასეთი დიდი თანხის დაბანდვამ სამრეწველო აღმშენებლობაში ისეთი ეფექტი უნდა გამოიწვიოს, რომ 1930-31 წლისათვის სატრესტო მრეწველობა 1926-27 წ. შედარებით 150 პროც. გადიდებულ პროდუქციას მოგვცემს, სხვანაირად, ხუთწლედიდან დარჩენილ სამი წლის განმავლობაში (1927-28 წლიდან 1930-31 წლამდი) პროდუქციის საშუალო შენამატი 50 პროც. შეადგენს. **სსრკ** სახ. საგეგმო კომისიის „მასალების“ მიხედვით (რომელსაც აკლია კაპიტალური ხარჯების ეფექტიურობა), წლის საშუალო შენამატის ეს ციფრი ხუთწლედისათვის მთელ **სსრკ** განსაზღვრულია 15,9 პორც.

აქ შესაძლებელია სრული კატეგორიულობით უარყოთ ოპოზიციის სავსებით უსაბუთო მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ჩვენი სამრეწველო განვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, ნელის ტემპით მიმდინარეობდეს.

მაგალითად, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური შენამატი 1850-1900 წლამდე ეცემა 8,7 პროც-დან 4,3 პროცენტამდე, მეფის დროის რუსეთისათვის კი 8,2 პროცენტიდან 1895 წ. 3,6 პროცენტამდე 1910 წ.

მაშასადამე, სსრკ-ის, კერძოთ კი საქართველოს, სამრეწველო პროდუქციის შენამატი მნიშვნელოვნათ აღემატება კაპიტალიზმის უფრო სწრაფ და ინტენსიურათ განვითარების ქვეყნების, როგორსაც წარმოადგენენ ამერიკა და მეფის დროის რუსეთი, სამრეწველო პროდუქციის შენამატს.

როგორი მდგომარეობაა ჩვენში ახალი მშენებლობის მხრივ? შევეხოთ სატყეო მრეწველობას. 3 მილ. დეს. ტყისა და 150 სხვადასხვა სატყეო მრეწველობის მნიშვნელობის ჯიშის მიხედვით. საქართველოს ხის დამუშავების მრეწველობას მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს. ეს გარემოება ჩვენ გავითვალისწინეთ. ანგარიში გაუწიეთ ბაზრის მოთხოვნილებას და დავისახეთ, და ვანხორციელებთ შემდეგ პროგრამას: წიფლის ტყეების დიდ ფართობებმა საშუალება მოგვცა მარელისში აგვეგო გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა, რომელიც წლიურათ 120.000 სკამს ამზადებს. ფაბრიკა უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოთ და იქ 326 კაცი მუშაობს. ამასთან ერთათ შეუდექით საკასრე ქარხნის აშენებას ბორჯომში. ამ ქარხნის დანიშნულებაა უზრუნველყოს წიფლის კასრებით ჩვენი ერბო-ქარხნის საექსპორტო ორგანიზაციები, რის გამო სსრკ გათავისუფლებულია აუცილებლობისაგან რძის ნაწარმოების ექსპორტისათვის საზღვარ-გარეთიდან შემოიტანოს საკასრე ტარა, რაც აქამდე ხდებოდა. ქარხანა მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ერთცვლიან მუშაობის დროს წლიურათ 600.000 საკასრე კომპლექტს დაამზადებს. ქარხანაში მუშაობს 250 კაცზე მეტი. დამზადებული კასრები კარგი ხარისხისაა და არაფრით არ ჩამოუვარდება საზღვარ-გარეთისას.

დამთავრებული და ამუშავებული შამგონის სამჩარჩოიანი ხე-ტყის ქარხანა მდ. ინგურზე, 1.500 კუბ. ფუტ. წარმოებით, დანიშნულია ზემო სვანეთის ტყეების საექსპლოატაციოთ. ზაჰესის ჯებირებით მდ. მტკვრის გადაღობამ და ტივების ჩამოტანის შეფერხებამ გამოიწვიეს ხე-ტყის ქარხნის აგების აუცილებლობა მცხეთაში — ზაჰესის ზევით. ქარხანა უკვე დამთავრებულია და მახლობელ თვეებში დაიწყებს მუშაობას.

მდ. ბზიბზე ხე-ტყის ქარხნის აგების დაწყებით საძირკველი ჩაეყარა აფხაზეთის მდიდარი ტყეების ექსპლოატაციას; ეს ქარხანა წარმოადგენს მოძავალ ძლიერ სატყეო კომბინატის პირველ უჯრედს. განზრახულია ქარხანას განსაკუთრებით საექსპორტო ხასიათი მიეცეს. ხე-ტყის დახერხის გარდა, ქარხანა დაამზადებს საყუთე მასალას, პარკეტს, ბურბუშელას და სხვ.

იმ საწარმოთა რიცხვს, რომლებიც ამუშავებენ ჩვენს ტყეებს, ეკუთვნის მდ. ინგურზე, შამგონში, ასაგებათ განზრახული ქაღალდის ფაბრიკა. მართალია, ეს საკითხი ერთობ გაჭიანურდა, მაგრამ შეფერხება გამოწვეული იყო აუცილებლობით საფუძვლიანათ შეგვესწავლა ყველა დეტალები და პირობები, რაც წამოწყების უეჭველ მომგებიანობის გარანტიას მოგვცემდა. მახლობელ თვეებში პროექტი საბოლოოთ დამთავრდება და მაშინ მუშაობის დაწყებას წინ არაფერი

გადაეღობება. ფაბრიკამ წლიურათ უნდა დაამზადოს სხვადასხვა ხარისხის ქაღალდი 1 მილ. ფუთის რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს არამც თუ საქართველოსა და ამიერ-კავკასიას, არამედ შესაძლებელი იქნება ნაწილის გატანაც. საწარმოს ღირებულება განსაზღვრულია 13 მილ. მან., მუშების რაოდენობა კი თვით წამოწყებაში (ტყის დამზადება არაა მხედველობაში მიღებული)—1.000 კაცით. სატყეო მრეწველობაში, ნარჩენების დიდი რაოდენობის გამო წამოიჭრა საკითხი მათი მიზანშეწონილათ გამოყენების შესახებ. ამ ნარჩენებიდან შეიძლება მივიღოთ ერთობ ძვირი და საჭირო პროდუქტები, როგორიცაა ხის ძმარი. ფისი, მეტილის სპირტი და სხვ. ამ მიზნით, წელს ბორჯომში დაიწყება ქიმიურ ქარხნის აგება ხის მშრალათ გამოსახდელათ. საჭირო მოწყობილობა უკვე შეკვეთილია გერმანიაში.

დიდ პრაქტიკულ პროგრამას ვანხორციელებთ აბრეშუმის მრეწველობაში. მეაბრეშუმეობა საქართველოში ძველი დროიდანაა განვითარებული. მაგრამ ამ დარგში მუშაობა განისაზღვრებოდა პარკის გატანით საზღვარ-გარეთ ან რუსეთში. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი აბრეშუმის სართავ და სახვევ ქარხნების აგება მეაბრეშუმეობის განვითარების ძლიერ სტიმულს წარმოადგენს და ამავ დროს საშუალებას მოგვცემს პარკის მოსავალი ადგილობრივ გადავამუშაოთ. მიმდინარე პერიოდში ამუშავებულია აბრეშუმის სართავი ქარხნები: თელავში 52 ტაშტიანი, ოზურგეთში 72 ტაშტიანი. ხონში 48 ტაშტიანი. ამას გარდა, ოზურგეთში აგებულია 2.400 თითისტარიანი აბრეშუმის სახვევი ქარხანა. ამჟამათ შენდება აბრეშუმის სართავი ქარხნები: ქუთაისში—144 ტაშტიანი, ხონში—96 ტაშტიანი (არსებულთან გაერთიანებით) და ოზურგეთში—72 ტაშტიანი.

საabreშუმო მრეწველობაში, რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ აბრეშუმის სართავ ქარხნების მხოლოდ აგებით, ვინაიდან ისინი ამზადებენ მხოლოდ ნახევრადფაბრიკატებს. გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია აბრეშუმის საქსოვი ქარხნის აგება აბრეშუმისნაირ ქსოვილების დასამზადებლათ: ტფილისში არსებული ერთი აბრეშუმის საქსოვი ქარხანა ნედლეულის სულ უმნიშვნელო რაოდენობას ამუშავებს.

ასეთსავე გზას დავადექით ჩვენ საქართველოს მატყლის დამუშავების დარგში, რომელიც აქამდე გააქვთ განსაკუთრებით რუსეთის ბაზარზე.

ქუთაისის მაუდის ქარხანა ამზადებს წლიურად 120.000 მეტრ ქსოვილს, რაც, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას და ვერც მთელი ჩვენი მატყლის პროდუქციას გადაამუშავებს.

ტფილისის მაუდის ქარხანა, რომელსაც ამჟამად ვაშენებთ, გერმანული და ინგლისური დაზგებით, დაამზადებს მილიონ მეტრზე მეტს ქსოვილს და 80.000 კლგ. ნოხის ნართს. ქარხნის აგება დასრულდება 1928 წ. და მასში იმუშავებს 900 მუშაზე მეტი.

საამშენებლო მასალის დიდმა სიმცირემ აუცილებელი გახადა ცემენტის ქარხნის აგება, რისთვისაც საუკეთესო ხარისხის ნედლეულის დიდძალი მარაგი მოგვეპოვება. ქარხანას ვაგებთ სადგ. კასპთან (გორის მაზრაში), წარმადობა ნაკარაუდევია 700.000 კასრის რაოდენობით. ქარხანა ჯდება 4 ნახევარი მილ. მან. და იმუშავებს 600 მუშა.

სამთო საქმის დარგში, რომელსაც საქართველოში დიდი პერსპექტივები აქვს, თანდათან ვაფართოვებთ მუშაობას. ქუთაისში ვაგებთ ბარიტის ქარხანას წლიურად 400.000 ფ. გაწმენდილ და დაფქვილ ბარიტის გადასამუშავებლად. ქარხანა ბარიტს მიაწოდებს ს. ს. რ. კავშირის ლაქისა და საღებავების მრეწველობას. ქარხნისათვის გერმანული მოწყობილობა უკვე მიღებულია და ქარხნის აგებაც დასრულდება 1928 წ.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს სამთო მრეწველობის დარგში ჩატარებული სხვა სამუშაოებიც. დაწყებულია ინფუზორიტის ამოღება. კარგი შედეგები მოგვცა ლიტოგრაფიის ქვის დამუშავებამ (ს. ს. რ. კავშირში შესწყდა უცხოეთიდან მისი შემოზიდვა).

განზრახულია ნატანების ბიტუმიან სილის დამუშავება, საუკეთესო შედეგები მოგვცა ქართულმა ფლორიდინმა, რომელიც ნავთის მრეწველობაში იხმარება და რაც ამდენხანს უცხოეთიდან შემოგვქონდა. ვაწარმოებთ გურიის ნავთის დაზვერვას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტყვარჩელის ნახშირს, რომელსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვს. ამჟამად ჩვენ ვარკვევთ ტყვარჩელის ნახშირიდან მეტალურგიულ კოქსის მიღების შესაძლებლობას. დადებითი შედეგები (რაშიაც ეჭვი არ გვეპარება) უკვე შესაძლებლად გახდის საქართველოში და საერთოდ ა-კავკასიაში, მეტალურგიული მრეწველობის შექმნის საკითხის პრაქტიკულად დაყენებას.

განზრახულ დიდი მასშტაბის საწარმოებს შორის უნდა აღვნიშნოთ მინის ქარხანა ლაშეში (ხარაგოულში), შაქრის ქარხანა (გორის მაზრაში) და მექანიური ქარხანა ტფილისში.

შაქრის ჭარხლის დათესვის ცდამ გორის მაზრაში ბრწყინვალე შედეგები მოგვცა, მოსავლიანობისა და ხარისხის მხრივ ეს ცდები მომავალ წელშიაც გაგრძელდება და ერთი წლის შემდეგ შევუდგებით შაქრის ქარხნის პროექტის განხორციელებას.

ტფილისში მექანიურ ქარხნის აგების საკითხი უკვე პრაქტიკულად არის გადაჭრილი როგორც აქ, ისე საკავშირო ორგანოებში და საჭირო თანხებიცაა გადადებული. საწარმოების დაქუცმაცების და მოწყობილობათა გაცვეთის გამო აუცილებელია ახალი ქარხნის აგება. გეგმა მოსკოვში მუშავდება, ქარხნის ღირებულება წინასწარ ნაანგარიშევია 3 მილ. მან., ხოლო მუშახელი — 1.200 კაცის რაოდენობით.

დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივ მრეწველობის განვითარებას. აქ ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამუშავება, რაც ზრდის ამ პროდუქციის ღირებულებას, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივ მრეწველობამ უნდა მიაწოდოს ჩვენს სოფელს საჭირო საამშენებლო მასალები. ამ დარგში დასახულია ჯერჯერობით შემდეგი პროგრამა. შენდება გორის მაზრაში ორი ხილის სახმობი ქარხანა და ერთიც ახალციხის მაზრაში. გორში შენდება საკონსერვო ქარხანა, შენების პროცესში იმყოფება ახალქალაქისა და დუშეთის მაზრაში ერბო-კარაქის ორი ქარხანა, აგებულია ოზურგეთში კაკლის საწმენდი ქარხანა, ერთიც შენდება ზუგდიდში. უახლოეს დროში შევუდგებით აგურ-კრამიტის ქარხნების

აგებს ახალსენაკში, შოროპანსა და კახეთში (მეორე რიგში). ამის გარდა ქუთაისში შენდება კირის ქარხანა.

ასაგებ და განზრახულ საწარმოების მოკლე დასახელება საკმაოა იმის ნათელსაყოფად, რომ დიდი სამრეწველო აღმშენებლობის ხანაში ვიმყოფებით. მაგრამ ამ დარგში ჩვენ ხშირად ხელს გვიშლის ერთგვარი დისპროპორცია, — ესაა ინჟენერ-ტეხნიკური ძალების სიმცირე. ამიტომაც მუშაობის დროს გვაქვს შეცდომები და ნაკლულოვანებანი. მუშაობა ხშირად ჭიანურდება, ბევრს ვხარჯავთ და ხშირად ნამუშევარიც არაა დამაკმაყოფილებელი. აუცილებელია ენერგიულ ღონისძიებათა მიღება მუშაობის ახალ მეთოდების დასამკვიდრებლად, აღმშენებლობაში ტეხნიკის მიღწევათა გამოსაყენებლათ. პარტიის დირექტივა აღმშენებლობის, რასაკვირველია სააღმშენებლო მასალების, ღირებულების 15 პროც. შემცირების შესახებ მტკიცედ უნდა გატარდეს ცხოვრებაში, რასაც უდიდესი საერთო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების 15 პროც. დაკლების კამპანიამ უმნიშვნელო შედეგები მოგვცა (არა უმეტეს 2,5—3 პროც.). ეს სრულებით არაა საკმაო. ეს კამპანია გაორკეცებული ენერგიით უნდა გაგრძელდეს. უახლოეს წელში სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლება არ უნდა იქნეს 5 პროცენტზე ნაკლები 1926-27 წ. მიღწეულ დონესთან შედარებით. ამას უნდა მივაღწიოთ წარმოების სოციალისტური რაციონალიზაციით, ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების გამოყენებით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მუშახელის კვალიფიკაციის აწევით, სამუშაო დღის სრული დატვირთვით და სხ.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებლად გახდის ხელფასის მომატებას, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და საერთოდ გაზრდის შრომის ნაყოფიერებას.

ზოგიერთ ჩვენს საწარმოში ამ მხრივ მართლაც გვაქვს მიღწევები, მაგრამ ეს მიღწევები ვერ დაგვაკმაყოფილებს. მაგ., თამბაქოს მრეწველობაში კონვეირის სისტემის შემოღების შემდეგ ერთი მუშა დღეში ახარისხებს 32 კლგ. მაგიერ 72 კლგ., ასევე მიღწევები გვაქვს მრეწველობის სხვა დარგებშიც. საერთოდ ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იზრდება მექანიზაციისა და რაციონალიზაციის შემდეგ შრომის ნაყოფიერება და მატულობს ხელფასიც.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლებამ არ უნდა გააუარესოს საქონლის ხარისხი, პირიქით, მიზნად უნდა დავისახოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

როგორც ს. ს. რ. კავშირის, ისე ჩვენი სახალხო მეურნეობისთვის ერთ უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს უმუშევრობის ზრდა ქალაქებში, რასაც განსაკუთრებული მწვავე ხასიათი ეძლევა ჩვენში არსებული მიწის სიმცირის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთმოყვანილი ციფრები ცხადყოფს ჩვენი სამრეწველო აშენებლობის ჩქარ ტემპს, მრეწველობა მაინც ვერ იკრებს მთელ თავისუფალ მუშახელს და ამიტომაც უმუშევრობასაც ჩვენში აქვს ადგილი.

უმუშევართა რიცხვი საქართველოში უდრიდა 1924 წ. ოქტ. 12.300 კაცს, ხოლო 1927 წ. 1 ივლ. აღრიცხულია 23.000 უმუშევარი, უმუშევრების 75%-ს შეადგენს საკანტორო-საკანცელარიო პერსონალი და ყოველგვარ კვალიფიკაციას მოკლებული მუშები. შესამჩნევია ისეთ უმუშევართა რიცხვიც, რომელიც ან სრულებით არ გაჩნიათ ან და უმნიშვნელო სტაჟი აქვსთ.

უმუშევრობის სოციალური შემადგენლობის შესწავლამ გამოარკვია, რომ უმუშევრობას ადიდებს სოფელი, რომლის ზედმეტი მოსახლეობა სამუშაოს ქალაქში ეძებს.

უმუშევრებს ეძლევათ ფულადი დახმარება, მათთვის ეწყობა საზოგადოებრივი სამუშაოები და ხდება მათი სოციალური დაზღვევა. მიმდინარე წელს უმუშევრობასთან საბრძოლველად გადადებულია 200 ათ. მან. საზოგადოებრივ სამუშაოებისთვის გადადებული იყო 43 ათ. მან. ამის გარდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოეწყო უმუშევართა კოლექტივები, რომლებშიაც ჩაბმული იყო 3 ათ. უმუშევარი. ყველა ეს ღონისძიებანი, რასაკვირველია, უმუშევრობას მხოლოდ ანელებს, მისი დაძლეკა ამ ზომებით, რასაკვირველია, არ მოხერხდება.

არ შევეხებით ზოგიერთ „ეკონომისტებს", რომლებიც გვირჩევენ სამრეწველო განვითარების ისეთ დაჩქარებას, რომ შესაძლებელი შეიქნეს მრეწველობაში ყველა უმუშევართა ჩაბმა: განვითარების ასეთი ტემპი მოითხოვს მოკლე დროში კოლოსალურ საშუალებათა დახარჯვას, რაზედაც ფიქრიც ზედმეტია.

უმუშევრობასთან ბრძოლა სწორედ სოფლიდან უნდა დავიწყოთ. უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები იმ მიზეზების წინააღმდეგ, რომელიც იწვევს უმუშევრობას. უმთავრეს ღონისძიებას უმუშევრობის წინააღმდეგ წარმოადგენს თვით სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამმუშავებელ მრეწველობის განვითარება. უნდა მოვაწყოთ ჭაობების ამოშრობა, მორწყვა და სხ.

ამის გარდა საჭიროა, რათა უმუშევართა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, რიგებიდან მოვამზადოთ ჩვენი ახალ საწარმოებისთვის კვალიფიციური მუშახელი და ამით უზრუნველყოთ ჩვენი მრეწველობა საჭირო კვალიფიკაციის მუშახელით.

მრეწველობის და საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის აღორძინებასთან დაკავშირებით უმჯობესდებოდა მუშების მატერიალური მდგომარეობაც. ერთდროულად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერებაც, რაც გამოიწვია, ერთის მხრივ, მუშის შრომის ინტენსივობის ზრდამ და, მეორეს მხრივ, შრომის პირობების გაუმჯობესებამ და წარმოების მექანიზაციამ და რაციონალიზაციამ.

საქართველოს მთელ ცენტრიან მრეწველობაში საშუალო თვიური ხელფასი 1926-27 წ. 4,7%-ით მეტია 1925-6 წ. შედარებით და 24,9% მეტი, ვიდრე 24-25 წ.

მრეწველობის შვიდ მთავარ დარგში, რომელთა შესახებ გვაქვს ცნობები ომის წინადროსთან დაპირდაპირებისთვის, საშუალო თვიური ხელფასი 1926-27 წ. შეადგენდა 1913 წ. მიმართ 94,5%; სამთო მრეწველობაში საშუალო თვიური ხელფასი ომის წ. დროსთან შედარებით გაზრდილა 9%-ით, ხის დამუშავების მრეწველობაში — 11,9%, კვების მრეწველობაში — 15,2%, პოლიგრაფიულ

მრეწველობაში — 29,3%-ით. არ არის მიღწეული ომამდე არსებული დონე ლითონის მრეწველობაში (84%) და ტყავის მრეწველობაში (91,7%).

თუ შევადარებთ დღიურ ხელფასს ს. ს. რ. კავშირში და საქართველოში მრეწველობის სხვადასხვა დარგების მიხედვით, ვნახავთ, რომ ჩვენში ხელფასი უფრო დიდია, ვიდრე ს. ს. რ. კავშირში [1]).

		ლითონის მრეწველობა	ტყავის მრეწველობა	პოლიგრაფ. მრეწველობა	ხის დამამზ. მრეწველობა
ოქტომბ. 1926 წ.	ს. ს. რ. კ.	2.76	2.95	2.96	2.10
	საქართველ.	3.39	3.14	3.01	2.14
იანვარი 1927წ.	ს. ს. რ. კ.	2.84	3.04	3.04	1.96
	საქართველ.	3.51	3.31	3.80	2.55
აპრილი 1927 წ.	ს. ს. რ. კ.	2.98	3.20	3.24	2.05
	საქართველ.	3.92	3.12	3.56	2.31

ამგვარადვე იზრდება შრომის ნაყოფიერება. თუ 1925-26 წ. მრეწველობის ზოგ დარგში ხელფასის ზრდა ჩამორჩებოდა შრომის ნაყოფიერების ზრდას, 1926-27 წ.-კი საწინააღმდეგო მდგომარეობა გვაქვს. მაგ., ტრესტებში გაერთიანებულ საქართველოს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 1926-27 წ. 1925-26 წელთან შედარებით უდრის 102,1%-ს, ხოლო წმინდა დღიური ხელფასის ზრდა კი — 107,4%-ს. მართალია სათანადო ციფრები ტყავტრესტში უდრის 130,3 და 105,9, თამბაქოს ტრესტში — 120,3 და 115,0, მაგრამ საერთოდ შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩამორჩენილია. ამ მოვლენას უსათუოდ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორც ვიცით, 1927-28 წ. საკონტროლო ციფრების შედგენის დროს მოცემული იყო დირექტივა ნომინალური ხელფასის 1926-27 წ. შედარებით 6,5%-ით გადიდების შესახებ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთდროულად ადგილი ექნება საბიუჯეტო ინდექსის დაკლებისთვის ბრძოლას, მაშინ საშუალო წლიური ხელფასი ნამდვილად მოიმატებს 12-13%-ით. ამ პირობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხს მთელი სახალხო მეურნეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, ნამეტურ 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ საკავშირო ცაკის მანიფესტთან დაკავშირებით.

საბინაო კრიზისი კიდევ წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას ჩვენი მრეწველობის განვითარებისა და მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის

*) ეს ციფრები ამოღებულია ს. პ. კ. ს. არს. შრომის სტ. ბიუროს მასალებიდან, ს. ს. რ. კავშირისათვის ს. ს. რ. კ. ს. მ. უ. ს. სტატ. გან. „ბიულეტენებიდან“.

გაუმჯობესებისათვის. 1927 წლიდან დღემდე სხვადასხვა ორგანიზაციებმა საბინაო ამშენებლობაზე 7,3 მილ. მან. დახარჯეს, რაც არაა საკმაო. არ შევეხებით ამ საკითხს დაწვრილებით, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელია, რათა ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგების დროს სავალდებულო იქნეს მუშების ბინების საკმაო რაოდენობით აგება. ყოვლად დაუშვებელია, რომ ქარხანა აშენდეს, ხოლო მუშებს საცხოვრებელი ბინა არ ექნეს.

სამრეწველო ამშენებლობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ელექტრიფიკაციას, რადგან ენერგიით მომარაგების საკითხი ჩვენი მრეწველობის განვითარებისთვის სერიოზულ მომენტს წარმოადგენს. მთის მდინარეების სიუხვე და წყლის ენერგიის გამოყენების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები გვიკარნახებს ჰიდრო-ელექტრონულ ამშენებლობის განვითარების შესაძლებლობას და აუცილებლობას; ამ დარგში სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით მეტი მიღწევები გვაქვს.

1922-23 წ. საქართველოში იყო 22 თბოსადგური და 7 მცირე ჰიდროსადგური. ყველა ამ სადგურების საერთო ძალოვნობა არ აღემატებოდა 12.000 ცხ. ძ.; მთელი ძალოვნობის 87%-ს იძლეოდა თბოსადგურები, დანარჩენ 13%-ს კი ჰიდროსადგურები. ამგვარად მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 8 კლვს.

თუ ვიანგარიშებთ უკვე აგებულ სადგურებს და აგრეთვე ანგარიშში მივიღებთ იმ სადგურებს, რომელნიც აშენდება 1930-31 წლამდე, მაშინ ყველა სადგურების მთელი ძალოვნობა იქნება 63.000 ცხ. ძ. (ჰიდროსადგურები მოგვცემენ მთელი ენერგიის 97%-ს, ხოლო თბოსადგურები — 3%-ს). ამ შემთხვევაში ელექტროენერგიის სულობრივი მოთხოვნილება იქნება 8,4 კლვს.

არ იქნება ინტერესს მოკლებული, თუ გინდ, მოკლეთ აღვნიშნოთ როგორ სადგურებს ვაგებთ და როგორი სადგურების აგება გვაქვს გათვალისწინებული მახლობელ ხუთწლედში. როგორც ვიცით, ზაჰესი ბრწყინვალეთ დამთავრდა. სხვა ჰიდროსადგურებს შორის უნდა აღინიშნოს უკვე დაწყებული რიონის ჰიდროსადგური, რომელიც 60.000 ცხ. ძალ. არის ნავარაუდევი, პირველათ მისი ძალოვნობა 30.000 ცხ. ძალ. იქნება განსაზღვრული. შემდეგ შევეხებით აჭარის წყლის მშენებარ ჰიდროელსადგურს (ბათომიდან 30 ვერსტის მოშორებით). პირველათ მისი ძალოვანობა 7.500 ცხ. ძალას შეადგენს, მაგრამ შეიძლება აყვანილ იქნეს 12.000 ცხ. ძალამდე. გათვალისწინებულია ამ სადგურის დამთავრება 1928-29 წ. მოვიხსენიებთ აგრეთვე აბაშის ჰიდროსადგურს, რომლის ძალოვნობა პირველათ შეადგენს დაახლოებით 2.500 ცხ. ძალ., მაგრამ შესაძლებელია ავიყვანოთ 3.200 ცხ. ძალამდე. სხვა ნაკლებ ძალოვან სადგურებს შორის, რომლებიც უკვე აშენებულია ან შენდება, უნდა აღინიშნოს ახალციხის, აბასთუმნის ჰიდროელსადგურები, შემდეგ ხონის, შოვის, ცხინვალის და ახალქალაქის. ამ სადგურებს გარდა, განზრახვაა მახლობელ ხუთწლედში აიგოს შემდეგი ადგილობრივი ხასიათის სადგურები: აფხაზეთის ჰიდროელსადგური 1.500 ცხ. ძალ., ოზურგეთის და ბორჯომის 550 ცხ. ძალამდე. შემდეგ სვანეთში, სოფ. მესტიას მახლობლათ, პირველათ 100 ცხ. ძალ., ცაგერის 1.200 ცხ. ძალ., ბოლოს ლაგოდეხში 100 ცხ. ძალ. გათვალისწინებულია აგრეთვე ელდენის გადამცემ სასოფლო ქსელების მოწყობა ზემო-ავჭალის სადგურის მახლობელ რაიონების საელექტროფიკაციოთ.

ესენი შემდეგია: 1) ზაჰესი-მარტყოფი-საგარეჯო — 60 კილომეტრის სიგრძით, 2) ზაჰესი-ყოჯორი-მანგლისი და ყოჯორი-თეთრი წყარო — დაახლოებით 90 კილომეტრის სიგრძით, 3) გორის ქვესადგური-ცხინვალი — 30 კილომეტრის სიგრძით, 4) ზაჰესი-ერწო-თიანეთის რაიონი — 50 კილ. სიგრძით.

ეს არის დღევანდელ დღის და მახლობელ მომავლის პროგრამა, და თუ ცოტათი ზორს გავიხედავთ, წესრიგში იქნება ისეთი გიგანტი, როგორიც თოფორავანის ჰიდროსადგური არის, რომლის ძალოვნობა 100.000 ცხ. ძალ. არის განსაზღვრული. ამჟამათ ჩვენ უკვე ვეწევით მოსამზადებელ მუშაობას ჰიდროელსადგურის პირობების შესასწავლათ.

ალ. გეგეჭკორი

საქართველოს სასოფლო მეურნეობა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე.

საქართველოს საერთო მოსახლეობის რიცხვიდან სასოფლო მეურნეობაში ჩაბმულია მოსახლეობის 77,7% ე. ი., დაახლოვებით იმდენი, რამდენიც გვაქვს საკავშირო მასშტაბით.

სახალხო შემოსავალში სოფლის მეურნეობის წონა უდრის 69,8%, ხოლო ა/კ ფედერაციისათვის—63,3% და კავშირისათვის—37,7%. საექსპორტო ვაჭრობაში სოფლის პროდუქციის წონა შეადგენს საერთო ღირებულების 49,9%, ხოლო საკავშირო მასშტაბით კი 40,5%.

შესაძლოა აქ მოგვეყვანა სხვა მაჩვენებლებიც, მაგრამ ნათქვამითაც საკმარისათ ნათელია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ჩვენს სახალხო მეურნეობაში სოფლის მეურნეობას და მის ცალკე დარგებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები მეტად ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ნამეტურ ტეხნიკურ კულტურებისა და სამრეწველო მესაქონლეობისათვის, რაც მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მიუხედავათ ამისა, ძველი რეჟიმის დროს სოფლის მეურნეობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, იგი სახელმწიფოებრივ ზეგავლენის გარეშე იდგა და ვითარდებოდა სრულიად სტიქიურად.

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის ხანაში (1914—1921 წ.) საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება, ისე როგორც საეროოდ ყველა საწარმოო ძალთა განვითარება, რასაც ქვევით დავინახავთ დაქვეითების, ხოლო ზოგიერთი დარგი სრულიად მოსპობის გზას ადგება და ომამდე ჩასახული მცირეოდენი საბაზრო და სამრეწველო კულტურების შექმნის ტენდენცია სრულიად ისპობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან (1921 წ.) ზოგად პოლიტიკურ ამოცანებთან ერთად ისმის ომამდე არსებულ დონემდე გაპარტახებულ მეურნეობის აღდგენის გრანდიოზული ამოცანა და სოფლის მეურნეობის განვითარება ექცევა საერთო მთლიან სახელმწიფო გეგმაში სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით. ეს გრანდიოზული ამოცანა, რომელიც ითხოვდა არაჩვეულებრივ ძალთა დაჭიმვას და უდიდეს ენერგიის დახარჯვას საბჭოთა ხელისუფლების მიერ 7 წლის განვლილ პერიოდში სავსებით შესრულებულია და ზოგიერთ დარგში ეს დონეც გადალახულია.

აქ შეჯამებით შევეხებით ამ განვლილ მუშაობას და ზოგადათ ვუჩვენებთ იმ მიღწევებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას აქვს სოფლის მეურნეობის დარგში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისთვის.

ამისათვის ავიღებთ უკანასკნელ 14 წლის პერიოდს, რომელიც შეიცავს ომის წინა დროს, ომიანობას რევოლიუციასთან ერთად და უკანასკნელ წლების აღდგენითი პერიოდს. ეს საერთოდ მაჩვენებელია, ერთის მხრივ, იმ ღრმა ცვლილებებისა, რომელიც გაიარა სოფლის მეურნეობამ უახლოეს წარსულში და მეორეს მხრივ, ნათელს ჰყოფს უკანასკნელ წლების მიღწევებს ამ დარგში.

შევეხოთ თითოეულ დარგს ცალ-ცალკე.

მემინდვრეობა. პურეულის ნათესების არე და მოსავალი ამ ხნის განმავლობაში შემდეგი არის.

წ ლ ე ბ ი.	1909-13 წ.	1921 წ.	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
არე ათას ჰექტ.	698,2	523,6	710,2	723,9	731,2	718,1
მოსავალი ათას ტონ. .	657,6	360,0	614,7	721,9	742,2	609,0

ამრიგათ, მემინდვრეობა აღდგენილ იქნა 1925 წელს. 1927 წელს ნათესობის არემ კი გადააჭარბა მშვიდობიან დროის დონეს 2,7%-ით.

მ ე ბ ა მ ბ ე ო ბ ა.

წ ლ ე ბ ი.	1909-13 წ.	1917 წ.	1923 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
არე ათას ჰექტ.	6,1	1,3	1,0	7,5	9,4	4,9
მოსავალი ათას ტონ. .	1,2	0,3	0,2	0,8	0,6	0,8

ამრიგათ, მებამბეობის ნათესების არე თითქმის გაუთანასწორდა მშვიდობიან დროის არეს (80,3%).

როგორც სჩანს უკანასკნელ წლებში ბამბის ნათესებმა საგრძნობლად იმატა, ხოლო 1927 წელს ბამბის ნათესობა შემცირდა 52,1%-ით 1926 წელთან შედარებით, რაც აიხსნება: დროებითი და გარდამავალი ხასიათის დაბრკოლებებით.

მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ო ბ ა.

წ ლ ე ბ ი.	1909-13 წ.	1918-20 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
არე ათას ჰექტ.	10,1	2,5	9,2	14,1	13,1
მოსავალი ათას ტონ.	9,3	2,3	8,0	12,0	10,0

ამრიგათ ამ დარგში გვაქვს გადამეტება მშვიდობიან დროის დონესთან შედარებით; ფართობის 29,7%-ით, მოსავალის—7,5%-ით. შარშანდელ წელთან შედარებით ფართობმა დაიკლო 7,1%. მოსავალმა წინასწარ გამოანგარიშებით დაიკლო 6,7%. საერთოდ საქართველოში ტეხნიკური კულტურების არე 1927 წელში 1909—1913 წელთან შედარებით გაიზარდა 16,8%-ით.

მევენახეობა და მებაღეობა. ამ ორი დარგის პროდუქცია 1913 წელს შეადგენდა 16,7% მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციისას. ასეთი მნიშვნელობა მათ არ დაუკარგავს და ამჟამად თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ. ამ დარგების ევოლიუცია შემდეგნაირათ ხასიათდება.

ვ ე ნ ა ხ ი.			ბ ა ღ ი.	
წ ლ ე ბ ი	არე ათას ჰექტ.	მოსავალი ათას ტონ.	წ ლ ე ბ ი	ა რ ე ათას ჰექტ.
1909—13	49,4	154,2	1913	7,4
1917	41,0	96,4	1923	9,2
1924	39,0	160,9	1924	11,4
1925	37,4	134,9	1925	10,7
1926	37,5	155,8	1926	10,8
1927	37,7		1927	15,8

ამრიგათ ვენახების ფართობი 1927 წელში იყო შედარებით 1913 წელთან ნაკლები 23,7%.

ვენახების ფართობის კატასტროფიული დეპრესია 45,2 ათას დესეტინიდან 1913 წელში 34,5 ათას დეს-მდე 1927 წელში (23,7%) აიხსნება ფილოქსერის გაჩენით, რომელიც დღესაც დიდ საშიშროებას უქადის ჩვენს მევენახეობას. აღნიშნული პროცესი, როგორც ეს სჩანს უკანასკნელ წლების ცნობებიდან, მთელი 100%-ით შეჩერებულია და ეხლა უკვე იწყობა ამ ფართობის გადიდება.

მებაღეობაში ნავარაუდევი არ არის აქა იქ გაფანტული ხილის ნარგავები, რომლის რაოდენობა 1923 წლის აღწერით აღემატებოდა 4 მილ. ძირს, რაც ფართობზე გადაყვანით უდრის 13,3 ათას დესეტინას.

მებოსტნეობა. მებოსტნეობის ფართობი და პროდუქცია ხასიათდება შემდეგი ცნობებით:

	1913 წ.	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
არე ათას ჰექტ.	7,1	3,8	3,9	6,0	6,0
პროდ. ათას ტონ.	—	688,1	802,6	737,6	557,0

სუბტროპიკული კულტურებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის კულტურას, ეს კულტურა ხასიათდება შემდეგნაირათ.

	1909—13 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
არე ჰექტარ. . .	—	1267	1338	1904
მოსავ. ათას კილოგ.	—	799,4	848,2	—

ამრიგად ჩაის კულტურას არე 1927 წელში გაიზარდა 1913 წელთან შედარებით 152,6%-ით.

დანარჩენ სუბტროპიკებიდან გავრცელებულია მანდარინის პლანტაციები, რომლის ფართობი უდრის 700 დესეტინას. 1926 წლის მოსავალი უდრიდა 17,5 მილიონ ცალს, რომლის ღირებულება იყო 875 ათასი მანეთი.

მესაქონლეობის მდგომარეობის დასახასიათებლათ მოვიყვანთ შემდეგ ცხრილს.

ათას სულებში.

	1913 წ.	1917 წ.	1923 წ.	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
ცხენები	120,5	88,3	74,3	81,4	92,9	93,6	94,9
მსხვილფეხა საქონ.	1301,7	1180,5	1145,0	1273,7	1320,2	1400,2	1441,9
ცხვრები	1663,5	1414,4	873,4	1630,2	1711,9	1808,8	1900,0
თხები	190,9	196,8	142,0	154,2	163,4	180,4	191,2
ღორები	284,2	356,7	303,5	410,0	447,5	537,0	585,4
დანარჩენები	32,5	18,0	14,9	15,9	17,0	18,1	19,2
სულ	3593,3	3260,7	2643,7	3565,4	3742,9	4038,1	4233,6

აქედან სჩანს, რომ საქონლის საერთო რიცხვი გასცდა მშვიდობიან დროის დონეს 17,8%-ით და თვითეული ნაწილი მესაქონლეობისა აღდგენის გზაზეა დამდგარი: თვითეულ ცალკე სახის საქონლის ანალიზი გვიჩვენებს კი, რომ ამ დროსთან (1913 წ.) შედარებით 1927 წელში ჩვენ გვაქვს მეცხენეობაში 21,3%. დაკლება, მსხვილფეხა რქიან საქონელში 10,8% მომატება, მეცხვარეობაში 14,2% გადაჭარბება, მეღორეობაში 106,4% მომატება. ამრიგათ, გადიდდა მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი და ღორი. ცხენი და ჯორი კი ჯერჯერობით ჩამორჩენილია. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საკავშირო მასშტაბით მესაქონლეობა 1926 წელში აღდგენილია მხოლოდ 88,1%-ით, აქაც ჩვენი მიღწევები ნათელია.

მეაბრეშუმეობის დასახასიათებლად ჩვენ გვაქვს შემდეგი ცნობები:

წლები:	1913 წ.	1920 წ.	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
გაცოცხლებულია ათას კოლოფებ.	80	45	104	84	97	98
მოსავალი ათას ფუთ. . . .	95,0	50,0	120,0	130,0	150	120,0

ამრიგად, მეაბრეშუმეობა საერთოდ დიდ მიღწევებს გვიჩვენებს, თუმცა 1927 წელს 1926 წელთან შედარებით მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით პარკის მოსავალმა რამოდენიმეთ დაიკლო.

საინტერესოა საქართველოში დამზადებული და უცხოეთიდან შემოტანილ თესლის ცვალებადობა ათას კოლოფებში და %%-ით.

შემოვიდა უცხოეთიდან 1920 წ. 41(91,12%) 1921 წ. 50(90,9%), 1922 წ. 30(83,3%) 1923 წ. 55(87.2%), 1924 წ. 87(83,7%), 1925 წ. 49(58,3%), 1926 წ. 25(25.8%). 1927 წ. 6,0.

დამზადდა საქართველოში: 1920 წ. 4(8,9%) 1921 წ. 5.(9,12%), 1922 წ. 6(16,7%), 1923 წ. 8(12,7%), 1924 წ. 17(16,3%), 1925 წ. 35(41,7%), 1926 წ. 72,(74,2%) 1927 წ. 98,0.

აქედან ცხადია, რომ ჩვენ ვნთავისუფლდებით უცხოეთიდან შემოტანილ თესლისაგან და ფეხს იკიდებს ადგილობრივი დამზადება. უახლოეს ხანში საზღვარ გარეთიდან შემოტანილი იქნება მარტო საჯიშე თესლი. დანარჩენი საჭირო თესლი მთელი 100%-ით დამზადდება საქართველოში.

მეფრინველეობა და მეფუტკრეობა.

ამ ორ დამხმარე დარგში ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი:

მეფრინველეობაში.

წლები.	1923 წ.	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
ფრინველი მილ. . .	3,4	3,7	3,8	4,1	4,5
კვერცხი მილ. . . .	—	173,1	176,8	188,6	203,4

მეფუტკრეობაში.

წლები:	1923	1925	2926	1927
ძირი ფუთკარი ათას.	68,2	82,6	90,3	96,7
პროდუქცია (თაფლი, ფიჭა) ათას ფუთ.	20,7	32,6	40,6	43,5

ამრიგად, ამ ორივე დარგსაც ეტყობა დიდი წინსვლა და განვითარება.

საბოლოდ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია ნაჩვენებ პერიოდის განმავლობაში 1913 წლის ფასებით მილ. მანეთებში შემდეგ სურათს იძლევა.

პროდუქცია	1913 წ.	1923 წ.	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.
მცენარეულობა	73,7	54,4	61,5	66,3	70,7
მესაქონლეობა	35,1	31,8	35,5	37,3	38,3
ს უ ლ .	108,8	86,2	97,0	103,6	109,0

ამრიგად, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია წლით - წლობით იზრდება და 1926 წელს გვაქვს 0,28 მატება 1913 წელთან შედარებით. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მესაქონლეობა უფრო სწრაფათ ვითარდება, ვიდრე მცენარეულობა და 1926 წელში სოფლის მეურნეობის ამ დარგის პროდუქციამ 9%

გადააჭარბა მშვიდობიან დროის დონეს. ამასთან დაკავშირებით მცენარეულობის პროდუქციის მონაწილეობა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში 67,7%-დან 1913 წელში დაეცა 64-დის, ხოლო მესაქონლეობისა კი 32,3%-დან გაიზარდა 36%-დე.

1926 წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1913 წელთან შედარებით უდრიდა: საქართველოში—95,1%, სომხეთში 78% და აზერბეიჯანში—82%. თითქმის ასეთივე სურათს გვაძლევს ჩვენი სოფლის მეურნეობის შედარება უკრაინასა და ბელორუსიასთან და მარტო ჩამორჩება რ. ს. ფ. ს. რ., რადგან აქ სოფლის მეურნეობის აღდგენა სწრაფი ტემპით მიდის წინ დაკავშირებით წინა წლების მოუსავლიანობასთან.

ამრიგათ, სოფლის მეურნეობა აღდგენილია, რაც შედეგია საბჭოთა ხელისუფლების მიერ გავლილ პერიოდში მთელ რიგ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა გატარებისა სასოფლო მეურნეობის დარგში.

გადავდიეართ რა ამ ღონისძიებების დახასიათებაზე, ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ მოკლე წერილში იძულებული ვართ აღვნიშნოთ მხოლოდ მთავარი მომენტები და თავი შევიკავოთ იმ უდიდეს და რთულ ღონისძიებათა სისტემის ამომწურავ აღნუსხვისაგან, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება სისტემატიურად ატარებდა ნაჩვენებ პერიოდის განმავლობაში.

პირველი უდიდესი საკითხი, რომელიც დასვა რევოლიუციამ, იყო მიწის საკითხი. თავის თავად ცხადია, რომ ვერც ერთი პოლიტიკური პარტია, ან და სახელმწიფოებრივი ძალა ვერ შესძლებდა ეს საკითხი ისე რადიკალურათ გადაეჭრა, როგორც საბჭოთა ხელისუფლებამ—მხოლოდ უკანასკნელს შეეძლო მიწა გამოეცხადებინა მშრომელ მასის კუთვნილებათ და გადაეცა იგი მის სრულ სარგებლობაში (დეკრეტი № 17, 1921 წ. 6 IV).

ამ უდიდეს რეფორმის მნიშვნელობისა და შედეგების ნათელსაყოფათ მოვიყვანთ ცხრილს, საიდანაც სჩანს მიწის დანაწილება წოდებათა და უწყებათა შორის რევოლიუციამდე, მენშევიკების ხანაში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ხანა	მიწის რაოდენობა ათას ჰექტარით.								
	ხაზინა.	თავადაზნაურობა.	გლეხობა.	სასულიერო წოდება და ეკლესია.	ეკლესია მონასტერი.	საფეოდალ-წულო.	სხვადასხვა.	უვარგისი მიწები.	ჯამი
1917 წლამდე.	3628	1.994	343	178	20	140	18	1.016	7.343
1917-1921 წ.	4.613	3.02	1.245	7	1	—	22	1.153	7.343
1921-1927 წ.	3.544	54	2.015	—	—	—	34	1.305	6.952

ამ ცხრილის ზოგიერთ ადგილის ახსნისათვის უნდა ითქვას შემდეგი:

1917 წლამდე ხაზინის მფლობელობაში ითვლება ტყეები, საძოვრები და სახაზინო გლეხების სანადელო მიწები; მენშევიკების ხანაში, სახაზინო მიწას მიემატა ერთი მილიონი ჰექტარი (ჩამორთმეული ტყეები და საძოვრები). საბჭოთა ხელისუფლების დროს ხაზინის განკარგულებაში დარჩა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები, საძოვრები და სათიბები, დანარჩენი ადგილობრივი მნიშვნელობის ნაკვეთები კი გადაეცა მშრომელ მასებს.

ცხრილის მეორე სვეტი გვიჩვენებს, თუ რა გრიგალისებური სიმძაფრით გაანადგურა რევოლიუციამ თავადაზნაურობისა და ვაჭარ-ხუცების მიწათმფლობელობა, რევოლიუციის პირველმა ტალღამ მათი მიწების რაოდენობა დაიყვანა 15 პროცენტამდე, ხოლო მეორემ 2.7%-მდე, ე. ი. შეუნარჩუნა მათ მხოლოდ საარსებო მინიმუმი იმ აუცილებელი პირობით, რომ მიწა თავისი შრომით დაამუშაონ; სრულიად მოსპობილია სასულიერო წოდებათა, ეკლესიების საუფლისწულო მიწათმფლობელობა.

რაც შეეხება გლეხობის მიწათმფლობელობას, აქ ჩვენს წინ იშლება სულ წინააღმდეგი სურათი: 343 ათასი ჰექტარი საკუთარი მიწებიდან გლეხობა ერთი დაკვრით შეიქნა მფლობელი 2.015 ათასი ჰექტარისა, ე. ი. ოთხჯერ მეტი მიწის რაოდენობისა; ამ რიგათ საბოლოოთ მოისპო ფეოდალიზმის ნაშთები, ისტორიის არქივს ჩაბარდა წოდებრივი ჩაგვრა და უსამართლობა, გლეხობას მოშორდა ისტორიული ბატონი.

არ ვჩერდებით რა მიწათმოწყობის სამუშაოთა შინაარსზე, რომელიც ჩატარდა ნაჩვენებ დროის განმავლობაში და რომელსაც საერთოდ მიზნათ აქვს ტერიტორიის მოწყობა რაციონალურ მეურნეობის საწარმოებლათ, ჩვენ ამ ჟამად აღვნიშნავთ მხოლოდ იმ მიღწევებს რომელნიც გვაქვს მიწათმოწყობის დარგში შედეგათ შვიდი წლის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობისა. შიდა საქართველოს 3473 სოფლიდან კომლეურად მიწათმოწყობილია 337 სოფელი, რაც უდრის 9.8%, 355.500 სოფლის მეურნე კომლიდან მიწათმოწყობილია 67.543 კომლი, ე. ი. 19.%, ხოლო 1.988.900 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწიდან მოწყობილია 347.483 ჰექტარი, რაც შეადგენს 17.4% თუ ჩვენ სავსებით გავითვალისწინებთ მიწათმოწყობის საქმის სიძნელეს და სირთულეს, მაშინ ჩვენთვის ნათელი იქნება თუ რა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ამ დარგში მიუხედავად იმისა, რომ დიდი ნაწილი მუშაობისა ჯერ კიდევ განსახორციელებელია.

საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდება კიდევ ხანგრძლივი მუშაობა და დიდი ენერგიის გაღება, რომ ეს მნიშვნელოვანი მხარე ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისა საბოლოოთ იყვეს შესრულებული.

დასასრულს უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა მიწათმოწყობის მუშაობის პროცესში და რომელსაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფ. მეურნეობის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაში. ეს არის საქართველოს სოფლის მოსახლეობის სიჭარბე არსებულ მიწის ფონდთან შედარებით და აქედან გამომდინარე მცირე მიწიანობა.

საქართველოს ტერიტორია უდრის 6-952.300 ჰექტარს. აქედან ათას ჰექტარში სამოსახლოებს უჭირავს 72.4 ჰექტარი, ბაღებს—17.2, ვენახებს—37.5,

სარწყავ სახნავებს—115.3, ურწყავ სახნავებს—1.080.4, სათიბებს—102.8, სასოფლო საბალახოებს—781.4, საზაფხულო საძოვრებს—717.1, საზამთროს—249.5, ტყეს—2.473.9 და სახნავ-სათესათ გამოსადეგარ მიწას—1.304.8 ჰექტარი. ამნაირად, სასოფლო-სამეურნეო მიწა. უდრის სულ 1.425.600 ჰექტარს, ე. ი. მთელი ტერიტორიის 20. 1/2%.

ამ სასოფლო სამეურნეო მიწიდან საშუალოთ სულზე მოდის: აღმოსავლეთ საქართველოში ერთი ჰექტარი, დასავლეთში და აფხაზეთში ნახევარი, სამხრეთ ოსეთში ჰექტარის ოთხი მეათედი და აჭარისტანში სამი მეათედი ჰექტარი, რომ მხედველობაში არ მივიღოთ ხარვეზობა, მრავალნაკვეთიანობა, შორს მიწიანობა, და სხვა ეს თავისთავად ისეთ მცირე მიწიანობას წარმოადგენს, რომ შეუძლებელს ხდის რაიმე რაციონალურ მეურნეობის წარმოებას. მაგრამ მარტო ესეც არა კმარა. თუ მივიღებთ მხედველობაში საშუალო კანონიერი მიწის ნორმას სულზე (აღმოსავლეთ საქართველოში 1.4 ჰექტარი, დასავლეთ საქართველოში და აჭარისტანში 0.9 ჰექტარი, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში 1.3 ჰექტარი. დავინახავთ, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობის კანონიერ ნორმამდე მიწით დასაკმაყოფილებლათ საჭიროა კიდევ 940.800 ჰექტარი. ამ რიგად ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითად დამახასიათებელ მომენტად უნდა ჩაითვალოს მცირე მიწიანობა და მეორეს სოფლის მხრივ მოსახლეობის სიჭარბე, სოფლ. მოსახლეობის ზედმეტი რაოდენობა უკანასკნელ გამოანგარიშებით უდრის 474 ათას სულს და ჰქმნის ფარულ უმუშევრობას, რომელიც განსაკურებულ სიმძაფრით აშკარავდება დასავლეთ საქართველოში.

ეს გარემოება გვიკარნახებს ჩვენ გარკვეულ გეზს სოფლის მეურნეობის მომავალ განვითარებისა. მცირე მიწიანობის მძიმე შედეგების გადალახვა შეგვეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილ იქნება საქართვ. სას.—მეურნ. რეკონსტრუქცია შრომის ტევადიან კულტურების განვითარების და კოლექტიურ მუშაობის მეთოდების გავრცელების საფუძველზე.

საბჭოთა ხელისუფლების აგრო-კულტურულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია აგრო-დახმარება და საცდელი საქმე.

მექანიზაცია ვითარდება სწრაფი ტემპით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უშუალო ხელმძღვანელობით.

ომამდე საქართველოში არსებობდა ცხრა საცდელი სამეცნიერო დაწესებულება, რომელთაც შესამჩნევი ცვლილება სოფლის მეურნეობის სისტემაში არ შეუტანიათ, რადგან მათი გამოკვლევანი და მიღწევანი არ იყვენ დაკავშირებულ-ჩვენი სოფლ. მეურნ. პრაქტ. მოთხოვნილებებთან.

იმპერიალისტურმა ომმა და რევოლიუციამ მეტის მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საცდელი დაწესებულებანი, ზოგიერთ მათგანს საცდელ დაწესებულების ხასიათი დაეკარგა და ზოგიც გადაყვანილი იქმნა სამეურნეო ხარჯზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან პირველი სამი წლის განმავლობაში იწყება საცდელ საქმის აღდგენა, ერთი მთლიანი გეგმის შედგენა და თავის მოყრა ერთ ორგანოს—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში საცდელ დაწესებულებათა ქსელს მიემატა ახალი დაწესებულებანი, რომელთა საჭიროება დიდი ხანია დასმული იყო

ჩვენი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებით. ასეთი დაწესებულებანი არიან: კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური (1923 წლ.), მანქანა-იარაღების გამომცდელი სადგური (1925 წლ.) (ზოოტეხნიკური სადგური 1927 წლ.).

მიუხედავათ იმისა, რომ საცდელი დაწესებულებანი იმყოფებიან ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში სახსრების და მომზადებულ პერსონალის სიმცირის გამო, მუშაობა მაინც ნორმალურად მიდის და თანდათან განვითარების გზაზე დგება.

ამასთანავე მათი სამუშაო პროგრამა გამომდინარეობს ჩვენი სოფლის მეურნეობის საჭიროებიდან და მტკიცე კავშირს მქნიან მეცნიერებას და პრაქტიკას შორის.

1913 წლამდე ჩვენში აგრო-დახმარება არც კი არსებობდა. ამ დროს დაარსდა ყოფილ მეფის მოადგილის კანცელარიასთან აგრონომიული ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდა 14 აგრონომი და 8 სპეციალისტი. ომისა და რევოლიუციის ხანაში ეს ორგანიზაცია სულ მთლად დაიშალა. ამის ნანგრევებზე აღმოცენებული აგრონომიული ორგანიზაცია ვერც თავისი რაოდენობით და ვერც თავისი რეალური შესაძლებლობით ვერ გასწვდებოდა მეტისმეტად რთულ და მრავალფეროვან აგრო-დახმარების საქმეს და მისი მუშაობა იყო მხოლოდ წინასწარი სამზადისი უფრო მძლავრ და ღრმა ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლათ, რომელიც შედეგად მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში.

ქვემოდ მოყვანილ ცხრილში შეჯამებით აღნიშნულია აგრო-დახმარების დინამიური პროცესი უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში (ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრის და კოოპერატიულ აგრო-დახმარების გამოკვლევით).

წლები	აგრონომიული პერსონალი.	აგრობუნტები.	აგროკაბინეტები.	მანქანა იარაღების პუნქტები.	თესლის საწმენდი პუნქტები.	გაირკვა საიესი მასალა ათას ფუთ.	ცხენების საკვები პუნქტები.	დაესწრო საუბრებს და ლექციებს	გადაიდო ათას მანეთებ.
23/24	33	25	10	40	15	15,0	12	9,7	19,5
24/25	62	38	19	48	25	48,0	19	74,6	232,7
25/26	67	51	25	61	26	68,0	20	91,4	305,3
26/27	91	66	33	56	37	148,0	13	112,8	542,6

აქედან აშკარაა, თუ როგორ ვითარდება ჩვენში აგროდახმარება და რა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.

არ ვჩერდებით რა უფრო დაწვრილებით აგროდახმარების მიერ ჩატარებულ გრანდიოზულ მუშაობაზე, რომელიც მისწვდა სოფლის მეურნეობის ყოველ დარგს და შესაფერისათვე აამუშავა სოფლის მეურნეთა აგრონომიული აზროვნება, რამაც გამოიწვია მისი უაღრესი მისწრაფება აგრონომიულ ცოდნისაკენ, ჩვენ ამ ჟამათ გადავალთ იმ მუშაობის მოკლე დახასიათებებზე, რომელიც, საბჭ. ხელისუფლებამ აწარმოვა ს—მეურნ. მექანიზაციის და კოლექტივების დაარსების საქმეში.

მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, თითქმის დაღუპვის გზაზე იყო დამდგარი და თხოულობდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან სასწრა-

ფო ზომების მიღებას, იყო მევენახეობა. საქართველოში გამძვინვარებულმა ფილოქსერამ ჯერ კიდევ ომამდე საშინელ დეპრესიამდე მიიყვანა მევენახეობა და 80 ათას ჰექტარიდან ჩამოვიდა 49,4 დესეტინამდე 1913 წელში. საუკეთესო მევენახეობის რაიონი—კახეთი დღესაც განსაცდელშია ჩავარდნილი. საბჭოთა ხელისუფლებას ხელში დარჩა განადგურების გზაზე დამდგარი მარტო 41,0 ჰექტარი ვენახი და რაღაც 14 ჰექტარამდე ამერიკული ვაზის სანერგე. 1924/25 წელი უნდა ჩაითვალოს გარდატეხის მომენტად. ყველა ორგანიზაციების მწყობრმა და ენერგიულმა მუშაობამ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეთაურობით ვენახები, დაღუპვისაგან იხსნა. ვენახები არეს შემცირებას არა თუ საზღვარი დაედო, პირიქით, უკანასკნელ წლების განმავლობაში აღდგენის პროცესიც დაიწყო ამ დარგში.

მოვიყვანთ, მაგალითად, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ინიციატივით და თაოსნობით ჩატარებულ მუშაობას ამ დარგში.

სახალხო მამულების ტრესტის საშუალებით მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გააშენა სანერგეები: სულ 188 ჰექტარი, ხოლო სხვადასხვა ორგანიზაციებმა 279 ჰექტარი, ე. ი. მევენახეობის აღსადგენად საჭიროა სანერგეების დაახლოებით 60%.

ამავე ხანში გაკეთდა 11 სათბური, რომელთა ყოველ წლიური დატვირთვა გამოიხატება 3 მილ. ცალ ნამყენის დამზადებაში. გასაბჭოებამდე კი იყო მარტო ერთი სათბური, რომელიც უკანასკნელ ხანში არც კი მოქმედებდა.

ამის გამო ნამყენის დამზადებაც შესამჩნევად გაფართოვდა.

1923 წ. გაკეთდა სულ 300.000 ცალი და 1927 წ. ეს რიცხვი ავიდა 6 მილიონ ცალამდე. მიღებულ ღონისძიების შედეგად აღდგენილი ვენახების არე უდრის 2.186 ჰექტარს.

მევენახეობა-მეღვინეობაში რაციონალური მეთოდების შემოღების მიზნით და მუშაობის მეცნიერულ ნიადაგზე დასამყარებლად ყოფილი საქარის ამერიკული ვაზის სანერგე გადაკეთდა მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურად დასავლეთ საქართველოსათვის და ამავე მიზნით აღმოსავლეთ საქართველოსათვის დაარსებულია 1923 წლ. კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური.

გლეხური მევენახეობის აღდგენისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 1925—1927 წლებში გასცა გრძელ ვადიანი სესხი 473.800 მანეთი და მოკლე ვადიანი 849.000 მანეთი, სულ 1.322.800 მანეთი, რაც არასდროს საქართველოში არ ყოფილა.

ომიანობამდის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო იარაღები უმთავრესად გერმანიიდან შემოდიოდა. ომიანობის ხანიდან ინვენტარის შემოზიდვა შესწყდა, ხოლო არსებული მთლად უვარგისი გახდა. მანქანა იარაღების სიმცირე ამჟამადაც იმდენად დიდია, რომ მეურნეთა 78%-ს არა აქვს გუთანი, 92%-ს ფარცხი, 98%-ს—სათესი, 72%-ს სათიბი, 94%-ს—სამკალი, 91%-ს—სალეწი, 90%-ს—ტრიერი და 85%-ს—კულტივატორი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მიღებულ იქმნა ზომები მეურნეთა მანქანა-იარაღების უზრუნველსაყოფათ. 1922 წლიდან ინვენტარის შემოზიდვას ეძლევა სისტემატიური და გეგმიანი ხასიათი. მოსახლეობა ნორმალურ ფასებში

იძენს საჭირო ინვენტარს. 1925 წლიდან იწყება სოფლის მეურნეობის ტრაქტორიზაცია. გლეხობისათვის ეწყობა სატრაქტორო კურსები. 1926 წელში ეწყობა ტეხნოდახმარების განყოფილება და არსდება მანქა-იარაღების გამომცდელი სადგური.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კომუნების და ამხანაგობების დაარსება დაიწყო 1922 წლიდან და დღეს-დღეობით საქართველოში არის სულ 7 კომუნა, 44 საერთო ძალღონით მიწის დამამუშავებელი ამხანაგობა და 23 სასოფლო-სამეურნეო მანქანების ამხანაგობა.

ზემოდ ნაჩვენები 7 კომუნაში შედის 106 ოჯახი, 351 სული მცხოვრები.

გადავდივართ საბჭოთა მეურნეობათა მოკლე დახასიათებაზე და მათ მიღწევებზე.

საბჭოთა მეურნეობანი წარმოსდგენ, უმთავრესად ყოფილ საუფლისწულო სამონასტრო და თავადების მამულებიდან. აღნიშნულ მამულების მიერ დაკავებულ მიწის ფართობი ამ ჟამად უდრის 15 – ათას ჰექტარს. საბჭოთა მამულები იყოფიან ოთხ უმთავრეს ჯგუფად და მდებარეობენ შესაფერ ტიპიურ რაიონებში, ეს ჯგუფები არიან:

ა) მევენახეობა-მეღვინეობა, ბ) მეხილეობა, გ) მემინდვრეობა და დ) მესაქონლეობა.

ჩვენი მიზანია „სოციალისტურ მეურნეობაზე, კოლექტიურ მიწადმოქმედებაზე, საზოგადოებრივ მიწის დამუშავებაზე გადასვლა“... (ვ. ი. ლენინი). აღნიშნულ მიზანს დაჟინებით ვატარებთ ტარდება ცხოვრებაში.

მევენახეობის ჯგუფის მამულების მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების ხანაში ხასიათდება შემდეგი ცხრილით:

წ ლ ე ბ ი.	გაწენებულია მამულებში ახალი ვენახი.	გაშენებულია სანერგეები.	მიღებულია საფრანგეთიდან ლეკრწი 1000 მეტრ.	აშენებულია სათბურები.	გამოშვებულია საოთბურებიდან ნამყენები 1000. ცალად	გამოშვებულია ჩვეულებრივი ნამყენი.
1923	4.65	32.79	—	—	100	200
1924	24.0	28.42	—	1	230	70
1925	38.26	88.53	1.200	1	858	540
1926	45.91	22.95	4.044	4	2.823	506
1927	53.0	10.93	4.332	3	4.355	100
ს უ ლ	150.75	183.62	9.576	9	8.367	1.416

საბჭოთა მამულების მიერ გლეხებისაგან შეძენილი და გადამუშავებულია ღვინის შემდეგი რაოდენობა:

1923/24 წელს . . . . . 18.000 ვ.
1924/25 „ . . . . . 78.000 „

1925/26 „ . . . . . 212.000 „
1926/27 „ . . . . . 240.000 „

მესაქონლეობის ჯგუფში მოწყობილია ხევსურულ ჯიშის ძროხების ფერმა, ხოლო მათ გასაუმჯობესებლად საზღვარ გარეთიდან გამოწერილია ჯერზეის საქონელი. ეწყობა თარაქამის და ყაზახის ჯიშის საქონლის ფერმა. ეწყობა შვიცების სამომშენებლო და მოწყობილია მეცხვარეობის საჯიშე 10.000-ი დედა ცხვრით და 400 მამალ მერინოთი.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი დარგი ჩვენი მეურნეობისა არის სავეტერინარო საქმე.

სავეტერინარო ორგანიზაცია, რომელიც 1921 წლიდან მემკვიდრეობით გადმოვიდა საბჭოთა ხელისუფლების ხელში, წარმოადგენდა დარღვეულ აპარატს.

სამოცამდე ექიმი-ვეტერინარი და ამდენივე ვეტ-ფერშალი გაფანტული იყვნენ მაზრებში უგეგმოთ და მიზანშეუწონლათ; საქონლის ჭირი და სხვა ეპიზოოტიები უკიდურესად იყო გავრცელებული, ასაცრელი მასალა არ მოიპოვებოდა, ტაბახმელის საშრატე სადგური უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა და სულს ღაფავდა, გაწამებული ხალხი შველას თხოულობდა, მაგრამ მას პატრონი არ უჩნდა—აი მოკლეთ სურათი სავეტერინარო დარგის მდგომარეობისა გასაბჭოების წინა წლებში.

საბჭოთახელისუფლებამ მძლავრად მოჰკიდა ხელი სავეტერინარო საქმის აღდგენას და სულ მოკლე ხანში მეტათ საგრძნობ შედეგებსაც მიაღწია.

აღდგენილ და შეკრებილ იქმნა ვეტპერსონალი და 1926/27 წელში მათი რაოდენობა თითქმის გაუთანასწორდა ომის წინა დროის რიცხვს (173 კაცი)-

აღდგენილ იქნა ტაბახმელის საშრატე სადგური, ამუშავდა. სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, დაარსდა ახალი სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიური სადგური ოსიაურში, გადიდდა ასაცრელ მასალების პროდუქცია და დაიწყო ბრძოლა არა მარტო საქონლის ჭირთან, არამედ სხვა ეპიზოოტიებთანაც.

თუ ომის წინა წლებში საქართველოში წლიურად აცრილ საქონლის რაოდენობა საშუალოთ 50—80 ათას სულს უდრიდა, მენშევიკების დროს 15—20 ათას, გასაბჭოების შემდეგ ეს რაოდენობა ავიდა წელიწადში საშუალოთ 140 ათას სულამდე.

გაფართოვდა აგრეთვე საქონლის მკურნალობის საქმე და თუ რევოლიუციის წინა დროს საქონლის მკურნალობას შემთხვევითი ხასიათი ქონდა და ცხოველთა რიცხვი, რომელსაც ეძლეოდა დახმარება, არ აღემატებოდა წლიურად 5000 სულს, ამ ჟამად მკურნალობა ეძლევა ყოველწლიურად 50.000 სულზე მეტ საქონელს.

ტაბახმელის საშრატე სადგურმა გასაბჭოების მეექვსე წელს დაამზადა შრატი 83-ჯერ მეტი (136.000 ლიტრი) იმ რაოდენობაზე, რაც დამზადდა გასაბჭოების პირველ წელს (432 ლიტრი), მაგრამ საყურადღებო უფრო ის გარემო-

ება არის, რომ ჩვენმა სადგურმა შრატის პროდუქციით გადააჭარბა ომის წინადროს ხურნაბადის საშრატე სადგურს, რომელიც ამზადებდა შრატს ამიერ-კავკასიისათვის და რომელსაც წელიწადში 38.000 ლიტრზე მეტი შრატი არასდროს არ დაუმზადებია. მეორე უაღრესი ყურადღების ღირსი გარემოება არის ის, რომ ტაბახმელის სადგურმა შესცვალა მეთოდი საქონლის მუნიზაციისადა შემოიღო წესი, რომელიც იძლევა უდიდეს ეკონომიას და მეტად აადვილებს შრატის დამზადების საქმეს. მაგ., თუ წინათ ასი სული საქონლის საიმუნიზაციოთ საჭირო იყო 50—60 სასისხლე საქონელი, ახალი მეთოდით საკმარისია მხოლოდ 2—3 სული საქონელი. ამ ჟამად ყველა სხვა საშრატე სადგურებზე ჩვენგან მიღებულ ახალი მეთოდით სწარმოებს საქონლის იმუნიზაცია.

1924/25 წლიდან აღდგენილია ოსმალეთის საზღვარზე სავეტერინარო ხაზი, რომელიც გაუქმებული იყო მსოფლიო ომის დროს. დადებულია ამასთანავე სავეტერინარო კონვენცია ოსმალეთის მთავრობასთან მიმდინარე წელში დაყველა ამით უზრუნველყოფილია ჩვენი რესპუბლიკა ეპიზოოტიების შემოტანისაგან მეზობელ რესპუბლიკებიდან.

მოწყობილია სავეტერინარო ზედამხედველობა ოკინის და შარა გზებზე, მომთაბარო საქონელზე და სხ. გაფართოვებულია ვეტერინარული ზედამხედველობა სასაკლაოებზე, მოწყობილია სავეტერინარო-საგანმანათლებლო მუშაობა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს არა ნაკლებ მწვავე საკითხათ იდგა **ტყის მეურნეობა.**

საქართველოს ტყის არე უდრის 2.713, ათას ჰექტარს, რომლიდანაც წიწვიანი შეადგენს 408,4 ათას ჰექტარს, ფოთლოვანი 942,0 ათას ჰექტარს და დანარჩენი 114.7 ათას ჰექტარს.

ბლომად მოიპოვება ჩვენს ტყეში ძვირფასი საექსპლოატაციო ჯიშები (ბზა, ძელქვა, წაბლი და სხვა). მომეტებულ ნაწილს ამ ტყეებისას აქვს საკუროორტო და ნიადაგის დამცველი ხასიათი.

რევოლიუციამდე ტყის არე დაქუცმაცებული იყო სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო მფლობელთა შორის. ტყე ეკუთვნოდა სახელმწიფოს (47%), მინისტრებს, კერძო პირებს და სხ. (53%). ამ დროისათვის არ იყო არავითარი მთლიანი გეგმა ტყის მეურნეობის რაციონალურად წარმოებისათვის, არ იყო შესწავლილი ტყეების ბუნება და მთელი ტყის მეურნეობა გამოიხატებოდა ნამდვილ ყაჩაღურ ექსპლოატაციაში, რომელსაც რაციონალურ მეურნეობასთან არავითარი საერთო არა ჰქონდა. ამის შედეგი იყო ის, რომ განადგურებულ იქმნა 400.000 ჰექტარამდე საუკეთესო ტყე, ბევრი ძვირფასი ჯიში ამოვარდნის გზას დაადგა (ელდარის ფიჭვი) და ტყის მტაცებლურმა ექსპლოატაციამ საფრთხეში ჩააგდო თვით სოფლის მეურნეობის სვებედი.

მართალია, მენშევიკების დროს ტყე სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადდა, მაგრამ ტყის ექსპლოატაცია ისევ მტაცებლური დარჩა და საქმე ოდნავათაც წინ არ წაწეულა.

საქართველოს გასაბჭოებისთანავე, სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესში, ტყის მეურნეობამ, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ ერთმა ფრიად

მნიშვნელოვანმა დარგმა განიცადა მთლიანი გარდატეხა-გარდაქმნა, რომლის ძირითად დამახასიათებელ მომენტად უნდა ჩაითვალოს ყველა ტყის მასივების ნაციონალიზაცია და მათი ერთ მთლიან სახელმწიფო სატყეო ფონდში გადასვლა, რითაც ტყის მეურნეობას მიეცა გარკვეული მიმართულება და დაისახა ერთი მთლიანი სატყეო პოლიტიკა, რომელიც ურყევათ ტარდება ცხოვრებაში.

არ ვჩერდებით რა იმ სამუშაოთა აღნუსხვაბზე, რომელთაც ბიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი სისტემატიურად ატარებდა ამ ხნის განმავლობაში მთლიან სატყეო გეგმის განსახორციელებლათ, ჩვენ აქ შეჯამებით აღვნიშნავთ ზხოლოდ მთავარ ღონისძიებებს ტყის მეურნეობის რაციონალურ მოსა წყობათ.

გასაბჭოებამდის მოწყობილ და შესრულებულ იყო მხოლოდ 10,4%, დანარჩენი 89, 62 სრულიად შეუსწავლელი და მოუწყობელი იყო. დღეს დღეობით უკვე მოწყობილი და შესრულებული არის საქართველოს ტყეების 45%, რაც უეჭველად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ხოლო თვით მუშაობის ტემპი პირდაპირ რეკორდიულია. ასეთი მიღწევა შესაძლებელს ხდის ტყის მეურნეობის და მის სარგებლობის მტკიცე რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას და მიზანშეწონილად გამოყენებას.

ტყის გაცემა ხდება წინასწარ გამომუშავებულ გეგმით, რომელიც სავსებით ითვალისწინებს ერთი მხრით ტყის მეურნეობის მდგომარეობას და მეორეს მხრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. საჭიროების მიხედვით გაცემულ იქმნა სატყეო მასალა: 1923 წ.—125,4, 1924 წ.—140,8, 1925 წ.—137,3 ათასი კუბ. საჟენი, რის გამო ტყის შემოსავალმა იმატა და ამ ჟამად იგი უდრის ყოველ. წლიურად მილიონ მანეთზე მეტს.

პარალელურად ტყის ექსპლოატაციისა უკანასკნელ წლების განმავლობაში მიმდინარეობს მეტად მნიშვნელოვანთ ტყის კულტურის განახლების სატყეო მელიორატიული მუშაობანი და საცდელი საქმე, რომელთაც წარსულში არავითარი ყურადღება არ ექცევოდა.

ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებანიც არ იქნა გვერდზე მიტოვებული და მათ განკარგულებაში გამოიყო 200 ათასი ჰექტარი ადგილობრივ მნიშვნელობის ტყე, რომელიც გადაეცა მათ უფასო და უვადო სარგებლობაში.

ასეთია მოკლეთ მიღწევანი სატყეო დარგში.

ამით ვათავებთ მოკლე დახასიათებას იმ გრანდიოზულ აღმშენებლობითი მუშაობისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ აწარმოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის აღსადგენად; ეს ეტაპი ჩვენი მშენებლობისა დიდი ოქტომბრის ათი წლის თავზე დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს სოფლის მეურნეობა არა თუ აღდგენილია ომის წინა დროინდელ დონემდე, არამედ ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგში ეს დონე გადალახულიც არის. ამ ჟამად საბჭ. ხელისუფლების წინაშე სდგას კიდევ უფრო დიდი და ძნელი ამოცანა საქართვ. სოფლის მომავალი განვითარების უზრუნველყოფისა. მისი რეკონსტრუქციისა. ის გამარჯვებანი, რომელიც ახასიათებს განვლილ პერიოდს, გვაძლევს ჩვენ უფლებას ვიქონიოთ მტკიცე რწმენა იმისა, რომ საბჭ. ხელისუფ. შესძლებს სავსებით განახორციელოს დასახული ამოცანები და სწრაფად წასწიოს წინ ჩვენი სოფლის მეურნეობა სოციალიზმისაკენ მიმართული გზით.

ინჟ. ბ. ჯიჯინაძე

ელექტროფიკაციის საქმე საქართველოში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე.

ომის წინა პერიოდის რუსეთში მხოლოდ იწყებოდა პირველი და წინასწარი ნაბიჯები ელექტროფიკაციის დარგში. იმ დროს ეს ნაბიჯები არ გასცილებია აკადემიურ შესწავლისა და საერთო გამოკვლევათა სფეროს, რომელთა შედეგად ზოგიერთ შემთხვევაში დარჩა ბევრად თუ ნაკლებ დამუშავებული საინჟენერო-ტეხნიკური მასალა და სამრეწველო-ეკონომიური მოსაზრებანი. ადგილი ქონდა აგრეთვე სხვადასხვა საკონცესიო წინადადებებს უცხოელ კაპიტალისტთა მხრივ, მაგრამ გარკვეული ხაზის უქონლობა იმ დროს მრეწველობის ამ დარგში და, აგრეთვე, მეტად ჩამორჩენილი და უხერხული კანონმდებლობა წყლის ენერგიის გამოყენების შესახებ უარყოფით გავლენას ახდენდა კონცესიონერთა მუშაობაზე, ისე რომ ბოლოს და ბოლოს არც ერთი მათგანი არ შესდგომია ძველი რეჟიმის დროს კონცესიის ძირითად სამუშაოების ასრულებას. გავიხსენოთ, მაგალითად, ბრიტანელი ქვეშევრდომის ინჟ. **ჩ. სტიუარტის** კონცესია ფერგსა და გელაქუნზე (გოგჩაზე), ან და **ჩაადაევის, პალაშკოვსკის** და სხვ. წინასწარი გამოკვლევანი დასავლეთ საქართველოს მძლავრ მდინარეებზე (რიონი, ენგური, ცხენის წყალი).

საქართველოში იმ დროს ყველაზე უფრო რეალურ ნაბიჯს წარმოადგენდა გზათა ყოფ. სამინისტროს გამოკვლევა და პროექტი დაკავშირებული ამ.-კავკასიის რკინის გზის სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხთან. 12.000 ცხ. ძ. სიმძლავრის ჰიდროელსადგური განზრახული იყო მდ. რიონზე ქ. ქუთაისის ქვემოდ (რკ. გზის რიონის სადგურთან) პროფესორ **ბახმეტიევის** პროექტით; აქედან ენერგია გადიცემოდა სურამის უღელტეხილზე სამფაზიან მაღალ ჰინვის დენით.

ომის, რევოლიუციის, სამოქალაქო ბრძოლის და ინტერვენციების პერიოდში სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის პროექტი დავიწყებას მიეცა, და ეხლა, როდესაც ეს საკითხი ხელახლა და საბოლოოდ დადგა რეალურ გზაზე, ომის წინა პერიოდის პროექტი უკვე მოძველებულად უნდა ჩაითვალოს. რადგან მას შემდეგ ჰიდროტეხნიკის და განსაკუთრებით რკინის გზების ელექტროფიკაციის საერთაშორისო ცოდნამ დიდი ნაბიჯები გადასდგა წინ. — ამჟამად რიონის ჰიდროელსადგურისა და უღელტეხილის ელექტროფიკაციის 1913-14 წ.წ. პროექტი, პროფ. **ბახმეტიევის** დიდი სამეცნიერო ავტორიტეტის მიუხედავად, მხოლოდ დამხმარე და საცნობო მასალად გამოდგება.

ამ პროექტის გარდა საქართველოს ზოგიერთ მდინარის გამოსაყენებლად შედგენილი იყო კიდევ რამდენიმე ესკიზური და სქემატიური პროექტები, რომლებსაც უფრო თეორიულ-აკადემიური ხასიათი ქონდა, ვინემ პრაქტიკული დანიშნულება. ასეთები იყო, მაგალითად, ინჟენერების **ნ. ანდრეევის** და **ნ. ზვორიკინის** პროექტი ელსადგურისა მდ. არაგვზე წიწამურთან, ინჟ. **ს. თ. ზავალიშინის, ნ. ანდრეევის** და **ვ. კოჟევნიკოვის** პროექტი ჰიდროელსადგურისა მდ. ხრამზე არუხლოსთან და რამდენიმე სხვ. — უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ინჟ. **ა. კუჩინსკის** საუღელტეხილო რკინის გზის (ქვენამთის ვარიანტი) პროექტში შემავალი ჰიდროელსადგურების სქემატიური პროექტები არაგვსა და თერგზე. — ერთ დროს ყურადღებას იქცევდენ 1905 წ.-ში ინჟ. **მეცის** და 1910 წ.-ში პროფ. **არტემიევის** მიერ შედგენილი ესკიზური პროექტები ჰიდროელსადგურებისა მდ. მტკვარზე ტფილისში, მადათოვის კუნძულთან, რომლებიც უნდა აგებულიყო ეხლანდელი ტრამვაის და დიზელიან საბჭოთა № 1 სადგურის მაგივრად. მაგრამ იმ დროის „ქალაქის მამებმა" ალღო ვერ აუღეს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს და საქმე მეტად არარაციონალურად გადაწყდა ცალ-ცალკე მდებარე მცირე სიმძლავრის თბოსადგურების აშენებით.

ამრიგად ჰიდროელსადგურების ომის წინა პერიოდის პროექტებიდან და მოსაზრებებიდან ვერც ერთი ვერ ეღირსა განხორციელებას რევოლიუციამდე.

საქართველოს ომის წინა პერიოდში ჩამორჩენას ელექტროფიკაციის დარგში შემდეგი ციფრები ცხადყოფს:

ყველა ელსადგურების (მათ შორის საქარხნო ელსადგურებიც) საერთო დადგმული სიმძლავრე უდრიდა **12.000 ცხ. ძ. ანუ დაახლოვებით 9.000 კილოვატს;** აქედან უმეტეს ნაწილს **თბოსადგურები** შეადგენდენ:

ტფილისში — რამოდენიმე ათეული ელსადგური 6.500 ცხ. ძ. საერთო სიმძლავრისა, ბათომში — 950 ცხ. ძ., ქუთაისში — 650 ცხ. ძ., ფოთში — 550 ცხ. ძ., ჭიათურაში — 500 ცხ. ძ. და ტყიბულში — 180 ცხ. ძ.

ჰიდროელსადგურები არსებობდენ: სოხუმში — 600 ცხ. ძ., გაგრაში — 400 ცხ. ძ., ბორჯომში — 450 ცხ. ძ., გორში — 100 ცხ. ძ., ახალ ათონში — 90 ცხ. ძ.; ახალქალაქში — 75 ცხ. ძ.

მაშასადამე, საქართველოს ომის წინა პერიოდის მთელი „ენერგეტიული ბაზა" არ აღემატებოდა 12.000 ცხ. ძ.; აქედან ჰიდრავლიურ სადგურებისა — 1.715 ცხენის. ძ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი ქვეყნის ჰიდრავლიურ ძალების პრაქტიკულად გამოსაყენები მარაგი აღირიცხება მინიმალურად (**მუდმივი** ენერგია) 2.000.000 ცხ. ძალამდე, ხოლო ე. წ. **„ექვსი თვის"** სიმძლავრე აღემატება 4.000.000 ცხ. ძალას, დავინახავთ, რომ **ჰიდრავლიურ ენერგიის გამოყენების** პროცენტი საქართველოში ძველი რეჟიმის ბოლო წლებში არ გასცილებია — **0,05%**-ს.

მდგომარეობა არ გამოსწორებულა არც 1917-1921 წლებში. თებერვლის გადატრიალება, ა. -კ.-სიის რუსეთიდან ჩამოშორება და დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დანაწილება, მაშინდელი საქართველოს მმართველ ორგანოების მერყევი და გაურკვეველი საგარეო და სამრეწველო ეკონომიური პოლიტიკა —

ყოველივე ეს ვერ იძლევოდა ელექტროფიკაციის განვითარებისათვის შესაფერის პირობებს.

1918-1921 წ.წ. განმავლობაში ვერ აღვნიშნავთ ამ დარგში რეალურ ნაბიჯებს, ვინაიდან სახელმწიფოს არ ქონდა საკუთარი ნივთიერი საშუალება საქმის წინ წასაწევად, კერძო ინიციატივა კი (განსაკუთრებით უცხოელი) მეტად ფრთხილად ეკიდებოდა ასეთ საკითხებს საქართველოში. — იმ დროს გაცემული კონცესიები ჰიდრავლიურ ძალების გამოყენებაზე, მაგალითად **ალპანის კონცესია** მდ. რიონზე (ა. ხოშტარია), **ტყიბულის კონცესია** ე. წ. „წყალდასავალთან" (ფრანგ ინჟენერ **გიზის), ბზიბის რაიონის სატყეო კონცესია,** არ გასცილებიან წინასწარ გამოკვლევების სტადიას. აშკარა იყო, რომ კონცესიონერები განგებ აგრძელებდენ წინასწარ სამუშაოების დროს და უცდიდენ „მდგომარეობის გამორკვევას", რომ არ ჩაედვათ საეჭვო საქმეში მნიშვნელოვანი თანხები.

ძირითადი გარდატეხა ელექტროფიკაციის საქმეში იწყება მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების, 1921-1922 წლებიდან.

საბჭოთა რუსეთში **ოქტომბრის რევოლიუციის** შემდეგ პირველივე წლებიდანვე ელექტროფიკაციის იდეა ღრმად იჭრება მთელ სახელმწიფოებრივ მუშაობაში. — **ვ. ი. ლენინის** ცნობილ ლოზუნგის მიხედვით ეს იდეა მალე იწყებს სინამდვილედ ქცევას საბჭოთა სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეებში მძლავრ ცენტრალურ სადგურების დაარსების სახით; იწყება სამუშაო **ვოლხოვის ჰიდრავლიურ სადგურის** ასაგებად ლენინგრადიდან 120 კილ. მანძილზე; შეუდგებიან ტორფის (წანახშის) ბუდობების გამოყენებას მოსკოვის და ლენინგრადის რაიონში (თბოელსადგურები **მატურა, კაშირა, წითელი ოქტომბერი),** ხელს კიდებენ მდარე ხარისხების ქვანახშირების ადგილობრივ დიდ ელექტროცენტრალების ორთქლის ქვაბებში დაწვას გაუმჯობესებული საცეცხლურების შემწეობით („ფქვილ-ნახშირი", — „пылевидный уголь", — „le charbon pulvérisé") სამხრეთ რაიონში და სხვა. — სდგება სახელმწიფო ელექტროფიკაციის საერთო გეგმა და არსდება ელექტროფიკაციის **სპეციალური** ფონდი, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება *).

ყოველივე ამას არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა საქართველოს ჰიდრავლიურ ძალების გამოყენების საქმეზე მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა ს. ს. რ. კავშირს. ახალ სამრეწველო აღმშენებლობის დაწყებისთანავე ჩვენში ყველა სამრეწველო-ეკონომიურ დარგში მომუშავე ხელმძღვანელ პირთათვის და განსაკუთრებით საინჟენერო-ტეხნიკურ ძალებისათვის აშკარა იყო შემდეგი მთავარი დებულებანი:

პირველი — ენერგეტიული ბაზის **წინასწარ** შექმნის გარეშე სამრეწველო აღმშენებლობის წარმოების შეუძლებლობა.

მეორე — ნავთზე მომუშავე თბოსადგურების აშენების დაუშვებლობა, ვინაიდან **ენერგიის სიძვირე ხელოვნურად შეზღუდავდა მრეწველობის განვითარებას.**

---

*) მაგ. 1927-28 წლისათვის ხარჯი (წლიური) ელექტროფიკაციის ფონდიდან უდრის 140 მილ. მანეთს და 15%-ით აღემატება წარსულ წლის ხარჯს.

მესამე — ჰიდრავლიურ ძალების ფართო გამოყენების აუცილებლობა, **მძლავრ ენერგეტიულ ბაზის თანდათან შესაქმნელად**, რაც თავისთავად გაადვილებს მრეწველობის მრავალ დარგების აღმოცენებას ჩვენში.

პრაქტიკული მუშაობა ელექტროფიკაციის დარგში ჩვენში ერთბაშად სამი მთავარი მიმართულებით დაიწყო და სწარმოებს 1922 წლიდან: ა) **სარაიონო მნიშვნელობის** დიდ ელსადგურების აშენება მრეწველობის, ტრანსპორტის, მუნიციპალურ და სოფლის მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ბ) **სამაზრო მნიშვნელობის** საშუალო სიმძლავრის ელსადგურების აგება და გ) მცირე სიმძლავრის **ადგილობრივ მნიშვნელობის** ელსადგურების გამართვა დაბა-ქალაქებში და სოფლად.

პირველი ჯგუფის — სარაიონო მნიშვნელობის ელსადგურის აღმშენებლობა — დაიწყო ფაქტიურად 1923 წ. გაზაფხულზე **ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურის — ზაჰეს**-ის სამუშაოების გახსნით, რაც ტფილისის აღმასკომის ინიციატივით მოხდა. 1922 წლის შემოდგომაზე ტფილისის აღმასკომი საბოლოოდ არკვევდა ცენტრალურ ელსადგურის აგების საკითხს, რადგან არსებული დაქსაქსული და საბოლოოდ გაცვეთილი ქალაქის ელექტრიული მეურნეობა გადა ჭრით მოითხოვდა განახლებას.

ჯერ განზრახული იყო 10.000 ცხ. ძ. სიმძლავრის ნავთით მომუშავე თბოსადგურის აშენება, მაგრამ საკითხის საბოლოო შესწავლის შემდეგ უპირატესობა მიეცა ჰიდრავლიურ სადგურს მდ. მტკვარზე მცხეთის და სოფ. ზემო-ავჭალის შუა ინჟ. ო. **მელიქ-ფაშაევის** მიერ წამოყენებულ წინასწარ პროექტის მიხედვით, რომელიც ამ ადგილას 10.000 ცხ. ძალის სიმძლავრის დანადგარის გამართვას გულისხმობდა. პარალელურად აღმასკომის მიერ მიღებული იყო ზომები ამ საკითხის გერმანელ სპეციალისტების დასკვნისათვის გადასაცემად არსებულ წინასწარ პროექტის საზღვარ გარეთ გაგზავნით. ცნობილ გერმანელ სპეციალისტებმა (მათ შორის პროფ. **რეიჰელი**, პროფ. **ვაგენბახი**, პროფ. **რეიჰარდი** და სხვები), საკუთარი მიზანშეწონილად სცვნეს მდ. მტკვრის ზემო ნახსენებ უბნის არჩევა. ხოლო შეიტანეს თვით პროექტში მნიშვნელოვანი შესწორება სადგურის სიმძლავრის 40.000 ცხ. ძალამდე აწევით. — საკითხი საბოლოოდ ტეხნიკურად შესწავლილი იქნა აღმასკომის მიერ მოწვეულ სპეციალისტთა კომისიაში, რომელმაც არსებულ პროექტების შედარების და აწონ-დაწონის შემდეგ შეიმუშავა **ზაჰეს**-ის ძირითადი ჰიდრავლიური და ჰიდროტეხნიკური სქემა, რაც ამჟამად ცხოვრებაშია გატარებული. ეს სქემა დიდ ნაწილში ეყრდნობოდა გერმანელ სპეციალისტების ესკიზურ პროექტებს, სათანადო შესწორებებით ადგილობრივ პირობების მიხედვით *); სადგურის მუდმივი სიმძლავრე გამოდიოდა 18.000 ცხ. ძალა, ხოლო „**ექვსი თვის**" — 36.000 ცხ. ძ.

პროექტის საბოლოო, დეტალურ დამუშავების პროცესში 1924-25 წ.-ში **ზაჰეს**-ის სამუშაოთა სამმართველოში, ზუსტ ჰიდრომეტრიულ და ჰიდროლოგიურ

*) ეს, ასევსთქვათ, ისტორიული კომისია მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: ინჟენერები — ნ. ანდრეევი, დამანტოვიჩი. ლ. დიასამიძე, პროფ. ა. დიდებულიძე, ა. ვასილიევი, ნ. ზვორიკინი, ვ. კოჟევნიკოვი, ლ. კონიუშევსკი. კოსტინი, ო. მელიქ-ფაშაევი, ს. ფირალიშვილი და ბ. ჭიჭინაძე. კომისიის მუშაობას მეთაურობდა ამხ. ნ. რ. კიკნაძე.

აღრიცხვათა მიხედვით გამოირკვა, რომ ელსადგურის **მუდმივი** სიმძლავრე იქნება 20.000 ცხ. ძალა (15.000 კილ.), ხოლო **პერიოდიული,** რომელსაც ადგილი ექნება (6-9) თვის განმავლობაში წლიურად, გამოვიდა 54.000 ცხ. ძ. (40.000 კილოვ.).

აი, ასეთ დიდ ამოცანის გადაჭრას შეუდგა ტფილისის აღმასკომი და საქართველოს მმართველი ორგანოები 1923 წლის გაზაფხულზე. — გაბედული ინიციატივა, მძიმე ნივთიერი მსხვერპლი ქალაქის ბიუჯეტიდან და საქ. სახ. კომ. საბჭოს თანხებიდან, ცენტრის, თანაგრძნობიანი და ენერგიული ფინანსიური ღახმარება, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ორგანოების და მუშათა მასების გაუწყვეტლივი ინტერესი და თანაგრძნობა ამ დიდ სამუშაოსადმი — ყოველივე ეს საშუალებას იძლეოდა, რომ აღმშენებლობა დაუბრკოლებლივ დაბოლოვებულიყო სადგურის საზეიმო გახსნით ა. წ. 26 ივნისს.

ზაჰეს-ის აშენება, პირველ რიგში ტურბოგენერატორების 20.000 ცხ. ძ. დადგმით, დაჯდა 16 მილიონი მანეთი; ამ ჯამში შედის ჰიდროტეხნიკურ ნაშენთა სრული ღირებულება ელსადგურის მთელი სიმძლავრისათვის, ისე რომ სადგურის 54.000 ცხ. ძალამდე გასაფართოებლად საჭირო იქნება მხოლოდ საგენერატორო შენობის დარბაზის გაგრძელება, დამატებით ტურბოგენერატორების და საწნეო მილების დადგმა სათანადო ელექტრო-მექანიურ მოწყობილობით; ზემოაღნიშნულ ღირებულებაში შედის აგრეთვე ორფა ელგადაცემის ხაზი ტფილისამდე, ქალაქის 4 ქვესადგური 12.000 კილოვ. საერთო სიმძლავრის, 30 კილომეტრის სიგრძის მიწის ქვეშა კაბელის ქალაქის ქსელი და 50 სატრანსფორმატორო კიოსკი ქალაქის სხვადასხვა რაიონებში. **ზაჰეს**-ის შემდეგში სრულ სიმძლავრემდე, 54.000 ცხ. ძალამდე (ანუ 40.000 კილოვ.) გაფართოვება დაჯდება **დამატებით არა უმეტეს 4 მილ. მანეთისა,** ე. ი. სულ 20 მილიონი მანეთი, რაც დადგმულ თითო კილოვატზე შეადგენს 500 მანეთს.

ჩვენი წერილის საგანს არ შეადგენს **ზაჰესი**-ის ტეხნიკურ ან ეკონომიურ მხარეს აღწერა — ეს ამჟამად ბევრად თუ ნაკლებად ცნობილია *); შეეჩერდებით მხოლოდ სადგურის დატვირთვის და მრეწველობაზე მისი გავლენის საკითხებზე.

ზაჰეს-ის დატვირთვის საქმე ამჟამად პირველ საწყისს სტადიაში იმყოფება, ვინაიდან მის ქსელთან ჯერ-ჯერობით მხოლოდ განათების აბონენტებია შეერთებული. ფაბრიკა-ქარხნების, რკინის გზის კვანძის, წყალსადენის და ტრამვაის შეერთება მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლოში იქნება დამთავრებული სათანადო მოწყობილობის დამზადების, დაგვიანების გამო. აღნიშნულ მომხმარებელთა ჰიდროელსადგურის ენერგიაზე გადასვლა ამჟამად არსებულ მაქსიმალურ დატვირთვას, 2.500-2.800 კილოვატს, ასწევს 6.500 კილოვატამდე და პირველ საექსპლოატაციო წლის ბოლოში ელდენის წლიური მიწოდება, სადგურის მაღალ ჭინვის სალტეებზე (შინებზე) აღრიცხული, იქნება 29 მილ. კილოვ. საათი.

თუ რამდენად დიდ ნაბიჯს წარმოადგენს **ზაჰესის,** თუნდაც ეს პირველი საექსპლოატაციო წელიწადი იქედან სჩანს, რომ **1913 წელში საქართველოს ტე-**

*) იხ. წიგნი „**ზაჰესი**", ეურნ. „საქართველოს ეკონომისტის" გამოცემა ვ. ი. ავაქოვის რედაქტორობით. ტფილისი. 1927 წ.

რიტორიაზე არსებულ ყველა ელსადგურების (თბო და ჰიდროსადგურების) სრული წლიური ენერგიის მიწოდება არ გასცილებია 20 მილ. კილოვატ საათს.

მაგრამ პირველი საექსპლოატაციო წელიწადი მხოლოდ პირველი ნაბიჯია, ის არ ახასიათებს ელსადგურის ნამდვილ შესაძლებლობას. სამი წლის განმავლობაში 1930-31 წ.-მდი **ზაჰეს**-ის დატვირთვის მაქსიმუმი აიწევა სრულ მის. პირველ რიგის სიმძლავრემდე სურამის უღელტეხილის და ზოგიერთ ახალ წარმოების შემოერთების გამო და წლიური მიწოდება ენერგიისა მიაღწევს 40 მილ. კილოვ. საათს; ეს **წლიური მიწოდება ენერგიისა 1935 წლისათვის უკვე 82.500.000 კილოვატსაათამდე აიწევა**, მხოლოდ არსებულ. შენებაში მყოფ ან ასაშენებლად საბოლოოდ დამტკიცებულ ახალ წარმოებების დატვირთვათა გათვალისწინებით.

ახალ სამრეწველო დარგების და წარმოებების აღმოცენებაზე **ზაჰეს**-ს ექნება მძლავრი გავლენა, რომელმაც უკვე იჩინა თავი ელსადგურის ამუშავებამდისაც კი.

ტფილისის მაუდის ქარხანა, დაწყებული 1926 წელში, რომელიც 1.500 ცხ. ძ. სამოძრაო ენერგიას მოითხოვს, **კასპის ცემენტის ქარხანა, დაწყებული** 1927 წლის ზაფხულში 2.000 ცხ. ძ. სიმძლავრის საჭიროებით, **ტფილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის** საწარმოთა აშენების დაწყება, ამ რამდენიმე ხნის წინად დამთავრებული **სასოფლო ელექტროფიკაციის ქსელი მცხეთა-ავჭალა-გლდანი, საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს** მიერ წლეულს დაწყებული. ფრიად საყურადღებო საქმე — **დიღმის ველის მორწყვისა** 600 კილოვ. საერთო სიმძლავრის ელექტრო-ტუმბოების შემწეობით — ყოველივე ეს პირველი შედეგებია საქართველოს პირველი სარაიონო ჰიდროელსადგურის დაარსებისა.

ცნობილია ის უშუალო გავლენა, რომელიც მოახდინა **ზაჰეს**-ის აშენებამ ა.კ. რკინის გზის ელექტროფიკაციის საქმის დაჩქარებაზე. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ **ზაჰეს**-ის არსებობამ და სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოების დაწყებამ გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს ახალ სარაიონო ცენტრალის, **რიონჰეს**-ის დაწყების საკითხში. ამრიგად, უწყვეტ ლოდიკურ ჯაჭვად იშლება ჩვენ წინაშე ქვეყნის სამრეწველო განვითარება, რომლის პროცესში **თვითეული საწარმოო ობიექტი ნაძალადევი, ნაკარნახევი მოვლენა კი არ არის, არამედ წინად გადადგმულ ნაბიჯიდან გამომდინარე სრული ეკონომიური აუცილებლობა.**

მეორე საყურადღებო ნაბიჯი სარაიონო ჰიდროელსადგურების აშენების საქმეში ოფიციალურად გადაიდგა მიმდინარე წლის 28 ივნისს (**ზაჰესის** გახსნის მესამე დღეს) ქუთაისში **რიონის ჰიდროელსადგურის** სამუშაოების საზეიმო დაწყებით.

ჯერ კიდევ 1924-25 წ. წ. საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით დაარსებული ე. წ. **ფერო-მარგანეცის კომისია** ცნობილ გერმანელ მეცნიერ ჰიდროტეხნიკოსის პროფ. ა. **ლიუდინის** ხელმძღვანელობით შეუდგა რიონის და ცხენის წყლის მდინარეების მთლიან ჰიდროლოგიურ და ენერგეტიულ შესწავლას და დაამუშავა საყურადღებო ტეხნიკო-ეკონომიური მასალა: შედგენილი იქნა ნახსენებ მდინარეების ენერგეტიული რუკა „გამოსაყენებ საფეხურებად" და ნაწილებით და ამ „საფეხურებზე" ჰიდროსადგურების წინასწარ და ესკიზურ

პროექტების შედგენით. ჭიათურის მრეწველობისათვის , და ფერო-მარგანეცის ქარხნისათვის ენერგიის მისაწოდებლად პროფ. ა. ლიუდინი და ფერო მარგანეცის კომისიაშეჩერდენ პირველ რიგში მდ. რიონის „ქუთაისის საფეხურის“ გამოყენებაზე, რაც 1925 წელში დადასტურდა საქართველოს და ა.-კ.-იის უმაღლეს ორგანოების მხრივ და დამტკიცდა ცენტრის ინსტანციებში. საქმის პრაქტიკული განხორციელება შეჩერდა ჭიათურის შავი ქვის მაღაროების საკონსეციოდ ამერიკელებზე გადაცემის გამო და ჰიდროელსადგურის აშენება გადაიდვა.

პროფ. **ა. ლიუდინის** პროექტი გულისხმობდა მდ. რიონზე ქ. ქუთაისის ზემოდ, სოფ. ჭომასთან საგუბრის აშენებას წყლის დონის 20 მეტრით ასაწევად, რის შემდეგ ის გაიყვანებოდა საწნეო გვირაბით მდ. წყალ-წითელის ხეობაში და იქ, ყოფ. სამხედრო-იმერეთის გზატკეცილის ხიდთან დაეშვებოდა საწნეო მილსადენით საგენერატორო შენობისაკენ; ნამუშევარი წყალი მდ. წყალ-წითელის კალაპოტით გაივლიდა დაახლოვებით 9 კილომეტრს სანამ მდ. ყვირილას შეურთდებოდა ა.-კ. რკინის გზის სადგურ რიონის ქვემოდ.

სრული გამოსაყენები ვარდნა გამოდიოდა 42 მეტრი, მუდმივი სიმძლავრე სადგურისა — 20.000 ცხ. ძ., პერიოდული 6-9 თვის განმავლობაში 40.000 ცხ. ძ. და ენერგიის წლიური სრული მიწოდება 160 მილ. კილოვ.-ს.

სამუშაოების ღირებულება ამ პროექტით საბოლოოდ 1927 წ.-ში დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის თანახმად უდრის 13 მილ. მანეთს.

1926 წ. ბოლო თვეებში საჭირო ხდება რიონის ჰიდროელსადგურის აშენების საკითხის ხელახლად წამოყენება, ვინაიდან ამ დროისთვის საბოლოოდ ირკვევა **ზაჰეს-ის** უახლოეს წლების დატვირთვის რაოდენობა, მთავრდება სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის პროექტის შედგენა და ირკვევა **ზაჰესის დამატებად დასავლეთ საქართველოში სარაიონო ჰიდროელსადგურის აშენების აუცილებლობა** 1930-31 წლისათვის უღელტეხილზე ენერგიის ერთბამად აღმოსავლეთ-დასავლეთიდან მისაწოდებლად.

ზემოაღნიშნულის გამო საქ. სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო შეუდგა რიონის ჰიდროელსადგურის საკითხის დაწვრილებით და ხელახალ შესწავლას ფერომარგანეცის კომისიის მასალების მიხედვით და გარდა ამისა სპეციალურად და ზედმიწევნით დაამუშავეს ახალ პირობათა მიხედვით საყურადღებო ნაწილი ამ საკითხისა — დატვირთვების რაოდენობა და ენერგიის საჭიროება 1930-31 და 1934-35 წლებისათვის **ზაჰეს-რიონჰეს**-ის სისტემის ერთობლივ, პარალელურ მუშაობის დროს.

სპეციალურ კომისიის *) ზედმიწევნით ფრთხილად გატარებულ აღრიცხვის მიხედვით გამოირკვა, რომ **ზაჰეს-რიონჰეს**-ის სისტემის საერთო დატვირთვა იქნება: 1930-31 წელში 78.150.000 კილოვ. საათი, ხოლო 1934-35 წელში — 190.415.000 კილოვ. საათი.

---

*) კომისიაში, რომელიც ჩვენი ხელმძღვანელობით მუშაობდა, შედიოდნენ ინჟენერები: ა. ვასილიევი, ი. ვაწაძე, ა. მუსხელიშვილი, ი. ხალათიანი, გ. შახბუდაგოვი და ს. ყირჩესალიშვილი.

ამ დატვირთვიდან **დასავლეთ რაიონზე** (ქუთაისის და ჭიათურის რაიონების მრეწველობა და ქალაქები, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია) მოდის:

1930-31 წ.-ში 40.000.000 კვ. საათი.

1934-35 წ.-ში 85.000.000 „ „

დატვირთვა იანგარიშება, რასაკვირველია, მხოლოდ რეალურ ობიექტების საჭიროებათა მიხედვით, ე. ი. იგულისხმება მხოლოდ არსებული, მშენებარი ან. ასაშენებლად საბოლოოდ დამტკიცებული წარმოებანი.

ჟურნალის წერილის ფარგლების მიხედვით არ შევუდგებით **რიონჰეს**-ის სამრეწველო-ეკონომიურ დასაბუთებას და განმარტებას *).

რიონჰეს-ის აშენების საკითხი საბოლოოდ იქნა განხილული ცენტრში მიმდინარე წლის თებერვალ-აპრილში ყველა უმაღლეს ტეხნიკურ და საგეგმო ინსტანციებში და **6 მაისს შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით დამტკიცდა ქ. ქუთაისიდან მდ. რიონზე 20.000 კილ. (30.000 ცხ. ძ.) პირველი რიგის სიმძლავრის ჰიდროელსადგურის აგება** საკ. ელექტროფიკაციის ფონდიდან 1927-31 წ. განმავლობაში 9.700.000 მანეთის გადადებით. დანარჩენი თანხა, 3.300.000 მანეთი უნდა გადაიდვას ამავე დროის განმავლობაში ადგილობრივ წყაროებიდან იმ პირობით, რომ ამ ჯამში შედის **ზაჰეს**-ის აშენების შემდეგ დარჩენილი მოწყობილობა და მასალა 500.000 მან. საერთო ღირებულებით.

საკავშირო უმაღლეს ორგანოების ამ დადგენილებას საფუძვლად დაედო ფერო- მარგანეცის კომისიის (პროფ. ა. ლიუდინის) პროექტი, რომლისათვის მხოლოდ ხარჯთაღრიცხვა იყო ხელახლად შედგენილი, ვინაიდან 1925 წელში ფ.-მ. კომისიის ხარჯთაღრიცხვა აშკარად არა საკმარისი იყო. ამავე დროს, საკავშირო ცენტრალურ ელექტროტეხნიკურ საბჭოში ჩვენ მიერ შეტანილი განცხადების თანახმად, რომელსაც ავტორიტეტულად მხარი დაუჭირეს პროფესორებმა **ბ. ე. ვედენეევმა** (პროექტის მომხსენებელი), **მ. კ. პოლივანოვმა, ს. ა. კუკელ-კრაევსკიმ, ვ. ა. ვასილიევმა და ა. ა. ვორონოვმა,** უფლება მოგვეცა საბოლოო, დეტალურ პროექტის წარდგენის დროს მხედველობაში მიგვეღო **ინჟენერ ო. ნ. მელიქ-ფაშაევის** მიერ 1926 წელში წარმოდგენილი ენერგეტიულ და ეკონომიურ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებო ვარიანტი ძირითად პროექტისა.

ეს ვარიანტი ამჟამად ცნობილია და ამიტომ არ შევჩერდებით მის აღწერაზე; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ვარდნა გადიდებულია ამ ვარიანტით 63 მეტრამდე, **მუდმივი** სიმძლავრე 30.000 ცხ. ძალამდე და პერიოდული (7-9) თვის 60.000 ცხ. ძალამდე, ხოლო წლიური მიწოდება ენერგიისა აღწევს 220.000.000 კვ. ს.

როგორც ცნობილ სპეციალისტების საექსპერტო კომისიამ *) გამოარკვია ა. წ. მაისში, სამუშაო რაიონის დათვალიერების და ტეხნიკურ მასალების შეს-

---

*) იხ. ამ საგნის შესახებ ჩვენი ხელმძღვანელობით გამოცემული მასალები „Материалы к проэкту гидростанции на р. Рион у г. Кутаиса". გამ. ს. ს. მ. უ. ს. ტფ. 1927 წ.

*) კომისია მუშაობდა **საკავშირო მთავარ ელექტროტეხნიკურ სამმართველოს (Главэлектро)** წარმომადგენელის პროფ. ს. ა. **კუკელ-კრაევსკის** მეთაურობით და მასში შედიოდნენ პროფესორები: **ვ. ა. ვასილიევი, ვ. გ. გლუშკოვი, მ. ე კნორე** და **ა. გ. რიაბინინი.** კომისიის მუშაობაში ღებულნ უახლოეს მონაწილეობას სახ. ელ.-ტრესტის წარმომადგენელი ინჟ. **ხ. თ. ზავალიშინი** და ინჟ.-გეოლოგი **ლ. კ. კონიუშევსკი.**

წავლის შემდეგ, — ინჟ. **ო. ნ. მელიქ-ფაშაევის** ვარიანტი ტეხნიკურ აღსრულებისათვის უფრო ადვილია (ძირითად პროექტთან შედარებით), მისი სიმძლავრე ბევრად მეტია, ხოლო სამუშაოთა ღირებულება არ იქნება მეტი, ვინემ **პროფ. ა. ლიუდინის პროექტით.**

ზემოაღნიშნულის მიხედვით ეს ვარიანტი მიღებულია **რიონჰეს-ის სამუშაოთა სამმართველოს** მიერ საბოლოო ტეხნიკურ პროექტის დასამუშავებლად. აღნიშნული პროექტი უკვე წარედგინა საკავშირო ცენტრალურ ელექტროტეხნიკურ საბჭოს „ცეს"-ს განსახილველად და დასამტკიცებლად, და დამტკიცებისთანავე გაიხსნება ელსადგურის ძირითადი სამუშაოები. საბოლოო ნახაზების დამტკიცებამდე კი ა. წ. ოქტომბერ-ნოემბერში გრძელდება მოსამზადებელი სამუშაოები: გზების გაყვანა, დროებითი ელსადგურის და სახელოსნოების აშენება, მექანიურ მოწყობილობათა დადგმა-აწყობა, სამუშაო ადგილების გასწორება, ტყის მოჭრა მომავალ არხის და აუზის ზოლის ფარგლებში და სხვ.

1930-31 წ.-ში სამუშაოები სავსებით უნდა დამთავრდეს და მოხდეს ელსადგურის ამუშავება, ვინაიდან ამ დროისთვის დასრულდება სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოებიც და საჭირო იქნება დენის მიწოდება მატარებლების სამოძრაოდ. ამავე დროისათვის დასჭირდება ენერგიის მიწოდება ისეთ მსხვილ მომხმარებელს როგორიცაა ენგურის ქაღალდის ქარხანა, რომლის სრულ მოთხოვნილებას მარტო აბაშის ჰიდროელსადგური ვერ დააკმაყოფილებს.

ამ ორ პირველ დიდ, სარაიონო ცენტრალების — **ზაჰეს-რიონჰეს**-ის დამთავრების შემდეგ საქართველოში, ამჟამად არსებულ ან შენების პროცესში მყოფ მცირე ელსადგურების გარდა, იარსებებს ტერიტორიალურად მეტად ხელსაყრელად მდებარე **ძირითადი საელექტროფიკაციო და სამრეწველო ბაზა,** რომლის პირველ რიგის დადგმული საერთო სიმძლავრე იქნება 35.000 კილოვატი (50.000 ცხ. ძ.) და წლიური ენერგიის მიწოდების უნარი 170.000.000 კვ. საათი, როგორც აღვნიშნეთ ზემოდ, პირველ რიგში დადგმულ **მუდმივ** სიმძლავრის გარდა შეიძლება ორივე ამ ცენტრალის გაფართოვება პერიოდულ სიმძლავრის გამოსაყენებლად (6-9) თვის განმავლობაში; ეს გაფართოვება ზომიერ ხარჯებს მოითხოვს, ვინაიდან პირველ რიგის აშენების დროს უკვე გატარებულია შემდგომ გაფართოვებისათვის საჭირო ყველა ჰიდროტეხნიკური სამუშაონი.

გაფართოვების შემდეგ სურათი შემდეგი იქნება: ორივე ცენტრალის საერთო სიმძლავრე — 82.000 კილოვ. (114.000 ცხ. ძ.) და სრული წლიური ენერგიის მიწოდების უნარი 370.000.000 კვ. საათი.

აქედან ვხედავთ, რომ ორივე ელსადგურის პერიოდული, ე. წ. **სასეზონო** ენერგია შეადგენს წლიურად 200.000.000 კვ. საათს. მართალია, მტკვარი-არაგვის და რიონის ჰიდროლოგიურ რეჟიმთა განსხვავება ამ ენერგიის ერთ ნაწილს მუდმივ ენერგიის ხასიათს მისცემს, მაგრამ მთელი პერიოდულ ენერგიის გამუდმივება შეიძლება მხოლოდ დამატებით, ხანგრძლივ რეგულიაციის ჰიდროელსადგურის მოწყობით, რაც საქართველოს ელექტროფიკაციის შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენს მრეწველობის ახალ ობიექტების მოთხოვნილებათა ზრდის მიხედვით.

ორიოდე ციფრით განვმარტოთ ამ მომავალ ნაბიჯის ეკონომიური მნიშვნელობა. თუ გავითვალისწინებთ ზემომოხსენებულ განმარტებებს, ორივე ჰიდროელსადგურის **ზაჰეს-რიონჰეს**-ის სრულ სიმძლავრემდი გაფართოვების დამატებითი ღირებულება შეიძლება მივიღოთ დაახლოვებით 7.000.000 მანეთი, რაც დამატებით 200.000.000 კვ. საათს იძლევა წლიურად.

ამ გაფართოვებისაგან მომხდარი მომატება ჰიდროელსადგურების წლიურ საექსპლოატაციო ხარჯებისა შეგვიძლია აღვრიცხოთ დაახლოვებით **მთელი** დამატებით დახარჯულ ჯამის 10%-დან (ამაში შედის კაპიტალის ანაზღაურება, %% კაპიტალზე და სხვა). მაშინ, პერიოდულ ენერგიის საშუალო **თვითღირებულება** ელსადგურთა სალტეებზე იქნება:

$$\frac{700.000 \times 100}{200.000.000} = 0{,}35 \text{ კაპ. კილოვატსაათში.}$$

აქედან ცხადია ეკონომიური მნიშვნელობა შემდეგში წლიურ რეგულიაციას შემოღებით ამ მეტად იაფ პერიოდულ ენერგიის **გამუდმივებისა.**

სანამ **პირველ ჯგუფის** ჰიდროელსადგურების განმარტებას დავამთავრებდეთ საჭიროა მოკლეთ შევეხოთ ახლო წლების პერსპექტივებს **სარაიონო ჰიდროელსადგურების** აშენების საქმეში. — შემდეგი ნაბიჯი ამ საქმეში უეჭველად მძლავრ, ხანგრძლივ რეგულიაციის მაღალდაწნევიან ჰიდროელსადგურის აშენება იქნება. ამასთანავე სასურველია ეს ჰიდროელსადგური ისე მდებარეობდეს, **რომ** ადვილად იქნეს ჩართული **ზაჰეს-რიონჰეს**-ის და მათთან სხვა დაკავშირებული ელსადგურის საერთო ქსელში.

არსებულ წინასწარ მასალების მიხედვით, ამ საქმისათვის ორი მთავარი ვარიანტი არსებობს: ა) **რიცეულის** ჰიდროელსადგური (რაჭის მაზრაში) ან და ბ) **თოფარავანის** ჰიდროელსადგური (ახალქალაქის მაზრაში). — დანარჩენი ცნობილი წინასწარი პროექტები მაღალდაწნევიან და ხანგრძლივ რეგულიაციის ელსადგურებისა (მაგალითად **ტყიბულის, შაორის)** არ იძლევიან საკმაო სიმძლავრეს და ვერ დააკმაყოფილებენ რესპუბლიკის მთელ ელექტრიულ ქსელის რეგულიაციის ამოცანას.

რასაკვირველია, შეიძლებოდა დაყრდნობა მრავალ სხვა მდინარეზე და ადგილზე (ენგური, ცხენის წყალი და სხვა), მაგრამ არსებულ მასალების გათვალისწინებით და ჩვენი ჰიდრავლიურ ძალების მეტად სუსტი შესწავლის პირობებში ზემოდნახსენები ორი ვარიანტი უფრო სათანადო და შესაფერისად მოსჩანს დასახულ ამოცანის გადასაჭრელად.

პირველი — **რიცეული** — შესწავლილია და წინასწარ დამუშავებული 1924-25 წ.წ. პროფ. ა. **ლიუდინის** ხელმძღვანელობით **ფერო-მარგ.** ყოფ. კომისიის მოქმედების დროს. ჰიდროსადგურისათვის გათვალისწინებული მდ. რიცეულის უბანი (მდ. რიონის მარჯვენა შესართავი ზემო ნაწილში) შეიცავს 432 მეტრის საერთო ვარდნას და, მის ზემოდ მდებარე ჰიდროგრაფიული აუზი 135 კვ. კილომეტრს უდრის. საშუალო წლიურ წყლის ხარჯვის და მარაგად გამოსაყენებ (350-390) მეტრის ვარდნის მიხედვით დანადგარის მუდმივი სიმძლავრე უდრის 14.250 კვ. (20.000 ცხ. ძ.), დადგმული სრული სიმძლავრე — 22.300

კვ. (32.600 ცხ. ძ.) და სრული უზრუნველყოფილი წლიური მიწოდება ენერგიისა — 125.000.000 კვ. საათს.

პროექტი გულისხმობს **გრავიტაციულ** ტიპის 81 მეტრის სიმაღლის საგუბრის აგებას, რომლის ქიმის სრული სიგრძე 209 მეტრი გამოდის; ამრიგად შექმნილი წყალსაცავის ტეობა 19.000.000 კუბ. მეტრი იქნება. წყალი გაიყვანება 2 მეტრის დიანეტრიან და 5 კილომეტრის სიგრძის **საწნეო** გვირაბით და შემდეგ საწნეო ბილებით დაეშვება ჰიდროსადგურის შენობისაკენ.

ფერო-მარგ. კომისიის წინასწარ ხარჯთაღრიცხვით ამ ჰიდრო-სადგურის სამუშაოების ღირებულება უდრის 12.930.000 მან., რაც უეჭველად მეტად შემცირებულ ციფრად უნდა ჩაითვალოს საგუბრის და საწნეო გვირაბის მეტად დიდ ზომების გამო. ჩვენ მიერ ამ სადგურის წინასწარ პროექტის მიხედვით გატარებული აღრიცხვა სამუშაოთა ღირებულებისა გვაძლევს გაცილებით უფრო დიდ ჯამს (25-30) მილ მან., ვინაიდან მარტო საგუბრის და გვირაბის და მათთან დაკავშირებულ მოწყობილობათა ღირებულება შეადგენს დაახლოვებით 18.000.000 მანეთს. მაშინ, როდესაც პროფ. **ა. ლიუდინს** მხოლოდ 7.500.000 მანეთად აქვს ნაანგარიშევი. თუ მივიღებთ უფრო მცირე ციფრს და ვიგულისხმებთ, რომ სამუშაოების ასრულების დროს მათი ნამდვილი რაოდენობა პროექტისაზე მეტი არ გამოდგება, კილოვ. საათის საშუალო თვითღირებულება ელსადგურის სალტეებზე გამოვა:

$$\frac{25.000.000 \times 100}{10 \times 125.000.000} = 2{,}0$$ კაპ. კვ. საათში.

ეს ფასი წლიური რეგულიაციის სადგურებისათვის მცირედ ვერ ჩაითვლება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზემოდ ნათქვამს ამ ელსადგურის სარეგულიაციო მნიშვნელობის შესახებ(**ზაჰეს-რიონჰეს**-ის სისტემის **პერიოდულ ენერგიის გამუდმივებას**), რიცეულის ჰიდროელსადგურის აშენება, როგორც საქართველოს ელექტროფიკაციის შემდეგი ნაბიჯი, სავსებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

მეორე ჰიდროელსადგური — **თოფარავანის** — წამოყენებულია ჩვენ მიერ 1921-22 წლიდან, როდესაც **ბ. მ. მიქელაძესთან** ერთად გავატარეთ პირველი დაახლოვებითი გამოკვლევა მისი რაიონისა და სქემატიურ პროექტისა რამოდენიმე ვარიანტად. ამ საკითხის შემდგომმა შესწავლამ *) დაგვარწმუნა, რომ **თოფარავანის მთიურ ტბათა და მდ. ახალქალაქ-ჩაის** (იგივე თოფარავანი) **რაიონი წარმოადგენს მეტად საყურადღებო ჰიდროლოგიურ და ენერგეტიულ ამოცანას.** თუ ჩვენი წინასწარი გამოკვლევის ციფრები ბევრად თუ ნაკლებად დადასტურდება დაწვრილებით გამოკვლევის დროს (რომელიც ამჟამად ს. მ. უ. ს. დავალებით სახ. ელექტრო-ტრესტი აწარმოებს) თოფარავანის ჰიდროსადგური დაიჭერს მეტად საპატიო ადგილს არა თუ საქართველოში და ა. კ.-იის, არამედ საკავშირო ელექტროფიკაციის საქმეში.

---

*) იხ. ამის შესახებ. ჩვენი წერილები 1925-27 წ.წ. „ტეხნიკა და მეცნიერება"-ში. და „Экономич. Вестник. Закавк."

არ შევუდგებით აქ სადგურის ვარიანტების აღწერას, რომლებსაც მსურველნი გაეცნობიან ზემოდნახსენებ ჩვენ წერილებიდან, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენის ანგარიშით შესაძლო წლიური სარეგულიაციო მარაგი წყლისა აღემატება 200.000.000 კუბ. მეტრს, გამოსაყენები ვარნა 525 მეტრია, მუდმივი სიმძლავრე უდრის 80-100.000 ცხ. ძალას, დადგმული სიმძლავრე 160.000 ცხ. ძ., ხოლო ენერგიის წლიური მიწოდების უნარიანობა 500.000.000 კილოვ. საათს. ელსადგურის სრულ ღირებულებას ჩვენ წინასწარი ხარჯთაღრიცხვით ვანგარიშობთ 25.000.000 მანეთად (40 მეტრის სიმაღლის საგუბრის ვარიანტით).

პროფესორებმა **ა. ა. გორევმა** და **ი. ვ. ეგიაზაროვმა**, რომელნიც ამ შემოდგომაზე გაეცნენ თოფარავანის ჰედროელსადგურის რაიონს, სავარაუდო აღრიცხვით დაასახელეს სადგურის ღირებულება (35-40) მილ. მან. კიდევაც რომ მივიღოთ ეს ჩვენი აზრით გადაჭარბებული ციფრი, სადგურის ეკონომიურად დამახასიათებელი ცნობები მეტად საყურადღებო გამოდიან:

თითო დადგმულ კილოვატის ღირებულება:

მუდმივ სიმძლავრის — 550 — 600 მან.

სრული სიმძლავრის — 350 — 400 მან.

ენერგიის თვითღირებულება ელსადგურის სალტეებზე:

$$\frac{40.000.000 \times 100}{10 \times 500.000} = 0{,}8 \text{ კაპ. კვ. საათზე.}$$

თავი შევიკავოთ უფრო დაწვრილებით დახასიათებისაგან, ვინაიდან ამჟამად წარმოებული დაწვრილებითი გამოკვლევები და წინასწარ პროექტის შედგენა, რომლებიც კიდევ 1927-28 წელში გაგრძელდებიან საკავშირო საგეგმო კომისიის დადგენილების თანახმად, მოგვცემენ უტყუარ დებულებებს თოფარავანის ჰიდროელსადგურის საკითხის თავის დროზე გადასაჭრელად. აშკარაა ეხლავე მხოლოდ ის, რომ თუ ჰიდრომეტრიული დაკვირვებანი ბევრად თუ ნაკლებ დაადასტურებენ ჩვენგან ნავარაუდევ ხარჯვას მდ. თოფარავანისას, ეს ჰიდროელსადგური მეტად საყურადღებო და სერიოზულ ამოცანად იქცევა საქართველოს და ა. კ.-იის ელექტროფიკაციის გეგმაში.

ასეთია უახლოესი პერსპექტივები საქართველოში სარაიონო ცენტრალების აშენების საქმეში. რომლებიც გვიჩვენებენ, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გადაგმულ პირველი ორ ნაბიჯით **(ზაჰეს-რიონჰეს)** გახსნილია ფართო გზა ჩვენი ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციისათვის.

მეორე ჯგუფის — სამაზრო მნიშვნელობის და საშუალო სიმძლავრის ელსადგურების აღმშენებლობაში და შესწავლაშიაც საყურადღებო ნაბიჯებია გადადგმული ბოლო წლებში. 1924 წელში დაწყებულია აშენება ორ ასეთ ელსადგურისა: ერთის **აჭარისტანში** — მდ. აჭარის-წყალზე სოფ. ნახუნცეთთან, ხოლო მეორესი — **სენაკის მაზრაში** მდ. აბაშაზე ე. წ. მარტვილის წყალვარდნილებზე.

პირველი — **აჭჰესი** — აგებული იქნება 7.500 ცხ. ძ. სიმძლავრით (მუდმივი სიმძლავრე — 5.000 ცხ. ძ.), შემდგომ 12.000 ცხ. ძალამდე გაფართოვების შესაძლებლობით. ელსადგურის სამუშაო რაიონი მდებარეობს ბათომიდან 35 კილ. მანძილზე ბათომ-ახალციხის გზატკეცილით. ამ სამუშაოების ხელმძღვანელების

ინჟენერების: **მაშევსკის, აბდულინის** და **კალაშნიკოვის** მიერ. პროფ. **ვ. ა. ვასილიევის** ხელმძღვანელობით შედგენილ პროექტით სადგური იმუშავებს 34 მეტრის დაწნევით, რომელიც შეიქმნება მდინარის კალაპოტში მოწყობილ ქვანაყარის ტიპის მაღალი სადგურის და მოკლე საწნეო გვირაბის შემწეობით. მდ. აჭარის წყლის მეტად ცვალებადი და არა რეგულიარული რეჟიმი (წყლის ხარჯვა იცვლება უზარმაზარ საზღვრებში 14-2.500 კუბ. მ. წამში) იწვევს წყლის გადასაგდებ ნაშენთა დიდ ღირებულებას; უკანასკნელი შესდგებიან ერთ ნაპირზე უბრალო წყალსაშვისაგან, ხოლო მეორეზე რთულ მოხაზულობის და დიდ განივ კვეთის მუხლისებრ გვირაბიდან. გარდა ამისა, საგუბრის ასაგებად საჭირო შეიქნა მნიშვნელოვან გამტარებლობის სადერივაციო გვირაბის აშენება, საგუბრის ქვაბინის ამოსაშრობად.

ზემოაღნიშნულის გამო სამუშაოთა სრული ღირებულება აღწევს 5.000.000 მანეთს, ანუ შეადგენს პირველ რიგის დადგმულ თითო კილოვატზე 800 მანეთს *). ელსადგურის სრული დატვირთვის შემდეგ, როდესაც ენერგიის მიწოდება 15-20.000.000 კვ. საათს მიაღწევს თითო კოლოვ. საათის ღირებულება ელსადგურის სალტეებზე იქნება დაახლოვებით (3.0-3,5) კაპ. პირველ ხანებში კი ენერგია უთუოდ დაახლოვებით (5-6) კაპ. ეღირება კვ. საათში. ელსადგურის დატვირთვა უზრუნველყოფილია ბათომში მსხვილ მომხმარებლების არსებობით: ნავთსადგური, ნავთის გამოსახდელი და ბათომის სხვა ქარხნები, კომუნალური მეურნეობა. რკინის გზის სადგური, ახლომდებარე საგარაკო ადგილები და სხვა.

მიუხედავად გავრცელებული აზრისა ამ ელსადგურის სიძვირის შესახებ, ვფიქრობთ, რომ ასეთი შეხედულება **აჭჰეს**-ზე სწორი არ არის და თუ სამუშაოები ბოლოს და ბოლოს 5 მილ. მანეთზე მეტი არ დაჯდა, ელსადგურის სრული ღირებულება და ენერგიის ფასი სავსებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს საშუალო დაწნევის ჰიდროელსადგურებისათვის.

ყოველ შემთხვევაში ენერგიის ფასი არსებულთან შედარებით დიდ უპირატესობას იძლევა და თბოსადგურის ენერგიის ღირებულება მას მეტოქეობას ვერ გაუწევს.

ამჟამად სამუშაოების 50%-ზე მეტია დამთავრებული და დამტკიცებულ გეგმის თანახმად 1928-29 წ.-ში სადგური გაშვებული უნდა იქნეს.

შეორე საშუალო სიმძლავრის ჰიდროსადგური — **აბჰეს**-ი აგრეთვე 1924 წელშია დაწყებული. სადგური გამოიყენებს ე. წ. მარტვილის წყალვარდნილებს მდ. აბაშაზე, რომელთა გამოსაყენები ვარდნა, მიღებული, 1½ კილომეტრის მანძილზე 46 მეტრს აღწევს. ორი წინასწარ სქემატიურ ვარიანტიდან: მაღალ საგუბრიანი (ინჟ. **პ. გ. მამრაძის**) და დაბალ საგუბრიანი (ინჟ. **ნ. კ. ზვორიკინის**) — ასასრულებლად მიღებული იქნა უკანასკნელი, ვინაიდან ამ რაიონის ქვა-კირის კლდეები გეოლოგიურად ძლიერ საეჭვო არიან მაღალ, საგუბრის ასაგებად (ე. წ. **კარსტის** მოვლენები — წყალდასავლები, ფუტუროები, გამოქვაბულები და სხვა). საბოლოო ინსტრუმენტალური გამოკვლევა (ინჟ. **გ. პ. ვოინიჩ-სიანოჟენსკი**) და

*) სრულ სიმძლავრეზე არ ვანგარიშობთ, ვინაიდან 12.000 ცხ. ძალამდე მის ასაწევად საჭიროა საგუბრის სიმაღლის შესაფერისი მომატება, რისი ღირებულება ხელთ არა გვაქვს.

პროექტის შედგენა (ინჟენერები: **ა. ვასილიევი, ვ. კოუევნიკოვი, ა. ჩიქოვანი, პ. კოსოვსკი**) გატარებულია ჩვენი ხელმძღვანელობით 1924 წელში.

ელსადგურის მუდმივი სიმძლავრე უდრის 2.600 ცხ .ძ, ხოლო სრული დადგმული სიმძლავრე იქნება მომავალში 3.250 ცხ. ძ. აქედან პირველ რიშგი დადგმულია 870 ცხ. ძ. აგრეგატი და 1928 წ. 1 ივლისისათვის დადგმული იქნება კიდევ ერთი ასეთივე. ელსადგურის ყველა ჰიდროტეხნიკური ნაშენი სრული სიმძლავრისათვის არის აშენებული, აგრეთვე სადგურის შენობაც.

ამჟამად ყველა სამუშაოები და მანქანების აწყობა დამთავრებულია და მთარდება ელექტროგადაცემის ხაზის მონტაჟი აბჰეს-სენაკი-ფოთი (65 კილომ. მანძილზე), ისე რომ მოკლე დროში გაშვებული იქნება საქართველოს ეს მეორე მნიშვნელოვანი ჰიდროელსადგურიც.

სადგურის სამუშაოების სრული ღირებულება 65 კილომეტრის სიგრძის მაღალ ჭინვის (22.000 ვ.) ელგადაცემის ხაზის, სოფ. ბანძის, ქ. სენაკის, და ქ. ფოთში ორ ქვესადგურის (სულ 4 ქვესადგური) შიდ ჩათვლით გამოდის 1.200.000 მანეთი.

სრულ სიმძლავრემდე გაფართოვების შემდეგ (სამი აგრეგატი — 3.250 ცხ. ძ.) ჰიდროელსადგურის ღირებულება 22.000 ვოლ. ჭინვის სალტეებამდე გამოვა 1.000.000 მანეთი, ანუ დადგმულ თითო კილოვატზე 420 მანეთი (300 მან. თითო ცხ. ძალაზე). არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჰიდროელსადგურის აშენება დაახლოვებით დაჯდებოდა 200-250000 მ. ნაკლები, რომ უსახსრობის გამო სამუშაოთა ასრულება არ გაგრძელდებულიყო 3½ წლის განმავლობაში სამუშაოების რამოდენიმეჯერ შეჩერებით და განახლებით და გარდა ამისა სისტემატიური ხასიათი რომ არ ქონოდა მოკლევადიან კრედიტით სარგებლობას.

ჰიდროელსადგურის აშენება დაწყებული იყო სენაკის მაზრის აღმასკომის (განსაკუთრებით მის თავმჯდომარის ამხ. **ს. მამულიას**) ინიციატივით, რომელსაც ბოლო ხანებში შემოუერთდა ენერგიის პირველ წლებში მთავარი მომხმარებელი — ფოთის აღმასრულებელი კომიტეტი.

სამუშაოების უფროსად საბოლოო გამოკვლევის და მუშაობის წარმოების პირველ პერიოდში იყო ინჟ. **გ. პ. ვონიჩ-სიანოჟენსკი,** ხოლო შემდეგ გზათა ტეხნიკოსი **მ. ურუშაძე**, რომლის ხელშია გატარებული ძირითადი სამუშაონი ჰიდროელსადგურისა. ელექტრომოწყობილობის პროექტი და დადგმა დაევალა **სახ. ელექტროტრესტს ლენინგრადის** სამანქანო ტრესტთან ერთად. ელგადაცემის ხაზების გაყვანას აწარმოებს საზოგადოება **„ელექტროსელსტროი“**, საწნეო მილსადენი დამზადებულია **ნიკოლაევის გემთასაშენებელ ქარხნის** მიერ.

მომხმარებლად პირველ რიგში იქნებიან ქ. ფოთი ნავთსადგურით, სოფელი ბანძა და ქ. ახალ-სენაკი. ამასთანავე იწყება ელგადაცემის გაყვანა **აბჰეს**-იდან ხონზე და ქუთაისზე, სადაც ენერგია მიეწოდება ქარხნებს (მათ შორის აბრეშუმის, ბარიტის) და აგრეთვე **რიონჰეს**-ის აღმშენებლობას მცირე თბოსადგურის დამატებად. გადაწყვეტილია აგრეთვე უახლოეს დროში ელგანათების ხაზის გაყვანა ენგურამდე (შამგონი-ზუგდიდი) ქაღალდის ქარხნისათვის და სამტრედიამდე რკინის გზის კვანძისათვის და საცივარისათვის. ამრიგად **რიონჰეს-ის** გაშვებამდე **აბჰეს**-ს დააწვება მნიშვნელოვანი დატვირთვა ფოთი-ენგური-ქუთაისი-

სამტრედიის ფართო რაიონის, რომლის ელგადაცემათა ქსელის მთელი სიგრძე უკვე მომავალ 1½-2 წელიწადში გაიზრდება 180-200 კილომეტრამდე.

აქ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ რაიონის თვისებათა გათვალისწინებით (წვრილი მომხმარებლების დიდი პროცენტი) სავსებით სწორად არჩეული ჭინვა ელგადაცემათა (22.000 ვ.) საშუალებას იძლევა შედარებით მცირე ხარჯით გადისახოს (ტრანსფორმაცია) ელდენი სოფელში გასანაწილებლად; ამიტომ სასოფლო დატვირთვისათვის ზრდა აქ სავსებით მოსალოდნელია.

ელსადგურის მაქსიმალური წლიური მიწოდება ენერგიისა შესაძლებელია 20.000.0000 კვ. საათამდე აიწიოს, ხოლო პირველ ხანებში უთუოდ ის არ იქნება 6-8 მილ. კვ. საათზე მეტი წლიურად.

ამისდა მიხედვით ენერგიის თვითღირებულება ჰიდროელსადგურის სალტეებზე აღრიცხული ექსპლოატაციის პირველ წლებში იქნება 1,2-1,5 კაპ. კილოვ. საათზე. მოხმარების ადგილებში ელგადაცემათა სირგძის და ენერგიის ხარჯვის რაოდენობის მიხედვით ეს ფასი სათანადოდ მეტი იქნება.

განსაკუთრებით უნდა ღვნიშნოთ **აბჰეს**-ის სპეციალური როლი საქართველოს ელექტროფიკაციის საქმეში, რომელიც გამოაშკარავდება **რიონჰეს**-ის გაშვების შემდეგ. **აბჰეს**-ის ელგადაცემათა ქსელი თავის ქუთაისის შტოთი შეერთებული იქნება **რიონჰეს**-თან, უკანასკნელი კი 115.000 ვოლტიან ელგადაცემით — **ზაჰეს**-თან; ამასთანავე ისე როგორც **ზაჰეს**-ზე დადგმული იქნება ერთბაშად 115.000 და 37.000 ვოლტიანი ტრანსფორმატორები. ისევე **რიონჰეს**-ზე ერთბაშად იარსებებს 115.000 და 22.000 ვოლტის ტრანსფორმატორები. ამგვარად. ტფილისის რაიონიდან დაწყებული ვიდრე ფოთამდე და ენგურამდე მომხმარებლები. გაერთიანებული იქნებიან ელგადაცემათა საერთო ქსელით და ამავე ქსელით გაერთიანდება თვით ელსადგურებიც.

აშკარაა. რომ ასეთი მდგომარეობა მეტად ხელსაყრელ და მიზანშეწონილ პირობებს ქმნის ენერგის საჭიროების დაფარვის და ელსადგურების ექსპლოატაციისათვის.

რა რიგ შორს არის ეს დღევანდელი და ხვალინდელი დღის სურათი იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა სულ ექვსი-შვიდი წლის წინად იმყოფებოდა!..

საშუალო სიმძლავრის ჰიდროელსადგურების დარგში საქმე არ შეჩერებულა მხოლოდ ზემოაღნიშნულ ორ მაგალითზე. წინასწარ გამოკვლევები და პროექტები არსებობენ საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც; მათ შორის უმთავრეს ყურადღებას იპყრობს **საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს** წინასწარი პროექტი **ალაზნის ჰიდროელსადგურისა** (ვუწოდოთ მას **ალჰეს**), რომლის აშენება განზრახულია ალაზნის საირიგაციო არხის ვარდნილზე (перепад) სოფ. ბაკურციხესთან. ირიგაციის და ელექტროფიკაციის ერთობლივი გადაჭრა, რასაც ხელსაყრელი პირობების გამო აქვს ადგილი ამ შემთხვევაში, მეტად საყურადღებო ეკონომიურ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ სადგურს. აქ შეიძლება დაიდგას ჰიდროელსადგური (7-8.000 ცხ. ძ.), რომლის აშენება მაღალ ჭინვის სალტეებამდი ჰიდროტეხნიკურ სამუშაოთა სიმცირის გამო (უკანასკნელნი არიან აგებული ირიგაციის მიზნისათვის) დაჯდება არა უმეტეს 1.200.000-1.500.000 მა-

ნეულსა, ე. ი 200-250 მანეთი თითო დადგმულ კილოვატზე (150-180 მანეთი თითო ცხენის ძალაზე). ელსადგურის გამოყენების კოეფიციენტი მარტო 0,25-იც რომ მივიღოთ მომხმარებელთა (სოფლის და შინა მრეწველური მეურნეობა და მცირე ქალაქები) — და ვიგულისხმოთ ენერგიის წლიური მიწოდება არა უმეტეს 10-12.000.000 კვ. საათისა, ენერგიის თვითღირებულება ელსადგურის სალტეებზე გამოვა არა უმეტეს 1-1½ კაპიკისა კილოვ. საათზე. შემდგომი მომატება დაბვირთვისა კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებში ჩააყენებს ამ ელსადგურის ექსპლოატაციას.

უეჭველია, რომ **ალჰეს**-ი უახლოს წლებში გახდება განხორციელების ობიექტად და კახეთის შედარებით მდიდარ და მჭიდროდ დასახლებულ რაიონში შეიქნება ადგილობრივ მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობის და მევენახეობის ინტენსიფიკაციისათვის საჭირო იაფი ენერგეტიული წყარო.

1924 წ.-ში ყოფ. „ეტცრ"-ის მიერ შემუშავებული წინასწარი პროექტი მდ. **სტორის** უტილიზაციისა (1.500-2.000 ცხ. ძ.) ელსადგურის დადგმით, ეჭვს გარეშეა, ვერ გაუწევს მეტოქეობას **ალჰეს**-ის პროექტს და უნდა ვიფიქროთ, რომ კახეთის ელექტროფიკაცია სწორედ ამ ნაბიჯით დაიწყება.

ასეთივე საშუალო სიმძლავრის (1.500 ცხ. ძ.) ჰიდრელსადგურის პროექტი შემუშავებულია უახლოეს დროში განსახორციელებლად მდ. **გუმისთაზე** ქ. სოხუმთან **აფხაზეთში**; სადგურის მთავარი დანიშნულებაა მიაწოდოს ენერგია ქ. სოხუმს და მის მიდამოს.

საქ. ს. მ. უ. ს. განკარგულებით სწარმოებს წინასწარი გამოკვლევა 10-12000 ცხ. ძ. ჰიდროელსადგურისა აფხაზეთშივე მდ. გალიზგაზე **ტყვარჩელის მაღაროების** რაიონში. ამ მნიშვნელოვან წარმოებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ეს სადგური ახლო მომავალში იქნება განხორციელებული.

არ შევუდგებით აქ სხვა ასეთი ტიპის ჰიდრელსადგურების მოსაზრებათა და პროექტების აღწერას და დასასრულ მოვიყვანთ **მცირე სიმძლავრის** ახალი ჰიდროელსადგურების ნუსხას, რომელიც ახასიათებს ამ უკანასკნელი კატეგორიის დანადგართა ზრდას საქართველოში 1921-22 წ.წ შემდეგ. (იხ. ცხრ. გვ. 47).

მოვიხსენიოთ რამოდენიმე ასეთი ელსადგური, რომელთა აგება შედის 5 წლიან გეგმაში:

ოზურგეთის — 250-500 ცხ. ძ., **მესტიის** — 100-300 ცხ. ძ., **ცაგერის** — 600-1000 ცხ. ძ. **ლაგოდეხის** — 100 ცხ. ძ.

ვათავებთ რა ამით საქართველოს ელექტროფიკაციის მდგომარეობის მიმოხილვას, დარწმუნებული ვართ, რომ სრულებით აშკარა უნდა იქნეს ჩვენ საზოგადოებრივ წრეებისათვის და ხალხის მთელი მასისათვის წინსვლის ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები და ეკონომიურ ცხოვრების ის ძირითადი გარდატეხა, რომელიც მოხდა 1921-22 წლებიდან. — უაღრესად ჩამორჩენილ სასოფლო მეურნეობისა და პრიმიტიულ მრეწველობის ჩვენი ქვეყანა გაბედულად იწყებს გამოსვლას ეკონომიურ აღორძინების და ინდუსტრიალიზაციის გზაზე. — ელექტროფიკაციის დარგში უკვე ასრულებული ნაბიჯები და დასახული პერსპექტივები იძლევიან ამის სრულ საშუალებას.

მცირე სიმძლავრის ადგილობრივ მნიშვნელობის ჰიდროელსადგურთა ნუსხა, რომლებიც 1921 წ. შემდეგ არიან აგებული.

ელსადგურის სახელწოდება.	სიმძლავრე ცხ. ძალა/	დენის სისტემა	შ ე ნ ი შ ვ ნ ა:
აბასთუმანის	60	მუდ.— 220	
ახალციხის	150	ცვ. —3.000	
შოვის	220	მუდ.— 220	
ონის	240	მუდ.— 220	შენების პროცესშია
ხონის	80	მუდ.— 220	
ცხინვალის	70	მუდ.— 220	
ახალქალაქის	100	მუდ.— 220	ძველი სადგურია გადაკეთებული
ბორჯომის	300(1500)	ცვ.— 2.200	300 ცხ. ძ. ძვილი სადგურია. ფრჩხილებში ნაჩვენებია სიმძლავრე, რომელიც ექნება ელსადგურს დაწყებულ ძირითად გადაკეთების შემდეგ

ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ისევე ენერგიულად და გონივრულად გამოიყენებს წინსვლის ამ გზას, როგორი გაბედულობით, პროგნოზით და ენერგიით გადადგა საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში პირველი ნაბიჯები ელექტროფიკაციის საქმის საძირკვლის ჩასაყრელად.

დ. თოფურიძე.

საქართველოს ბიუჯეტი 1918-1927 წ-დე.

საქართველოს წინაშე რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტების კითხვები პირველად წამოიჭრა 1918 წ., მაგრამ დემოკრატიულ რესპუბლიკის ხანაში ჩვენ ქვეყანას თითქმის არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა და მისი ფინანსიური შესაძლებლობის საფუძვლები იყო ომის დროს დაგროვილი დიდძალი მრავალნაირი ქონება და ბონების ემისია.

სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური პირობები იმ ხანაში ხელს უშლიდა საქართველოში ეკონომიურ და ფინანსიურ პირობების გაუმჯობესებას. საქართველო ეკონომიურად უკან მიდიოდა, მისი ბიუჯეტი თანდათან მცირდებოდა.

დემოკრატიულ რესპუბლიკის საქართველოს ბიუჯეტის განმარტებითი ბარათში[1]) (1920—1921 წლისათვის) ჩვენ ვკითხულობთ: „გაწეული ხარჯები იყო:"

1918—1919	663.507.169 მან.
1919—1920	3.252.813.849 „
და 1920—1921 ნავარაუდევი	8.552.414.771 „

თუ შევადარებთ 1919—1920 წლის ბიუჯეტს 1920—1921 წ. ვარაუდს, დავინახავთ, რომ 1920—21 წ. ვარაუდი 2,6 ჯერ აღემატება 1919—1920 წლის გაწეულ ხარჯებს. 1919—1920 წ. ხარჯები შედარებით 1918—1919 წ. იზრდება 4,9-ჯერ.

ფინანსთა სამინისტროს ამ ციფრებიდან გამოჰყავს დასკვნა, ვითომ „ხარჯების ზრდაში არის ერთაირი თანასწორობა".

1918—1919 წლის ნამდვილი ხარჯები იყო 663,5 მილიონი მანეთი ბონებით. 1919—1920 წლ. კი 3.252,8 მილიონი მანეთი ბონებით. **არითმეტიკულად 1919—20 წელში წინა საბიუჯეტო წელთან შედარებით ხარჯები** გაიზარდა, 4,9-ჯერ; მაგრამ ეკონომიურად და ფინანსიურად ხარჯები არამც თუ გაიზარდა პირიქით, შემცირდა კიდეც. ამის დასამტკიცებლად საკმარისია ჯერ დაუპირდაპიროთ ბონები ინგლისის გირვანქა სტერლინგებს, როგორც მტკიცე ვალიუტას. და შემდეგ მივმართოთ არითმეტიკას. 1918-19 საბიუჯეტო წელს ინგლისის გირვანქა სტერლინგის საშუალო ფასი ბონებით იყო დაახლოებით 80 მანეთი, ხოლო 1919—1920 წელს იმავე სტერლინგის საშუალო ფასი უდრიდა უკვე 640 მანეთს ბონებით, ე. ი. **ბონების ღირებულება შემცირდა** რვაჯერ. (640:80=8). ამ ფაქტიდან აშკარაა, რომ 1919-20 წელს, 1918-19 წლის ბიუჯეტთან შედა-

[1]) საბიუჯეტო წელიწადი იწყებოდა ივნისს და თავდებოდა 31 მაისს.

რებით ხარჯები შემცირებულა. 1918.19 წლ. ბიუჯეტი იყო 663,5 მილიონი მანეთი, რომელიც უდრიდა 8,3 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ხოლო 1919—20 წლის ბიუჯეტი, რომელიც გამოიხატებოდა 3.252,8 მილიონი მანეთით, უდრიდა მხოლოდ ხუთ მილიონ გირვანქა სტერლინგს, ე. ი. 1919—1920 წ. ბიუჯეტი 40%-ით ნაკლები იყო 1918—1919 წლის ბიუჯეტთან შედარებით.

(სამინისტროს ვარაუდი 1920—21 წლის ბიუჯეტის შესახებ სერიოზულ საფუძველზე არაა დამყარებული.) 1920—21 წლის ბიუჯეტის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არაა მიღებული ბონების რაოდენობის ზრდა და მათი კურსის პროგრესიული დაცემა 1918—19 და 1919—20 საბიუჯეტო წლების განმავლობაში. არითმეტიკულად ბონების რაოდენობა ნაჩვენებ ხანაში გაიზარდა 4,9-ჯერ, ხოლო იმავე ხანაში ბონების ღირებულება დაეცა 8,6-ჯერ; აქედან აშკარა ხდება, რომ რეალურად ხარჯები შემცირდება40%-ით.

სამ საბიუჯეტო წლის შესახებ (1918—1921) წლამდე არის მასალა, რომელიც გვიჩვენებს რომ ხარჯების ზრდას ჩვენ ბიუჯეტში ადგილი არ ჰქონია, მათი შემცირება კი აშკარაა.

აქა ნაკლებ თეორეტიულ ინტერესს წარმოადგენს ბონების კურსის დაცეის ტენდენციის გამორკვევა. ეს კითხვა ჯერ კიდევ მკვლევარის მოლოდინშია, მაგრამ ამ კითხვის ფაქტიური მხარის გამოკვლევა შედარებით უფრო ადვილია. ჩვენ აქ მოგვყავს ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ იცვლებოდა ოთხი წლის განმავლობაში დამოკიდებულება გირვანქა სტერლინგსა და ბონებს შორის.

	საშუალო ღირებულება გირვანქა სტერლინგისა ბონებში.	რამდენჯერ შემცირდა ბონების ღირებულება გირვანქა სტერლინგთან აბსოლიუტად.
1918—1919	80	8
1919—1920	640	8
1920 (მეორე ნახევ.) . .	5120	8
1920—1921	40960	64
1921 (მეორე ნახევ.) . . .	327680	8

ეს ცხრილი გვითვალისწინებს, რა წესით და როგორი სისწრაფით ეცემოდა ბონის ღირებულება. ერთგვარი წესი ნათლად გამოიხატება ბონების კურსის დაცემაში. დაახლოვებით ერთი გირვანქა სტერლინგი ომამდე ღირდა 10 მან. (9 მან. 47 კაპ.) ომის დაწყების შემდეგ ეს თანასწორობა შეირყა და 1918-1919 წლებში ერთი გირვანქა სტერლინგი ღირდა უკვე 80 მან.

როგორც ზევით იყო აღნიშნული ბონების კურსი თანდათან ეცემოდა, მაშინდელ ხელისუფლებას ბონების რაოდენობის ნომინალური ზრდა მიაჩნდა ბიუჯეტის რეალურ ზრდათ. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს 1920/21 წ. ბიუჯეტის

განმარტებითი ბარათი, სადაც ვკითხულობთ: „ბიუჯეტის ზრდას აქვს მრავალი მიზეზი, **„უმთავრესი და უდიდესი მიზეზი სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობაა“**.

სინამდვილეში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში **„ბიუჯეტის ზრდას“ არასოდეს ალაგი არ ქონია**. ბიუჯეტი თანდათან მცირდებოდა და ამიტომ არც „სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობა“ ვითარდებოდა ეკონომიურ-კუტურულ სფეროებში და მოსამსახურეებისა და მუშების მდგომარეობა თანდათან უარესი ხდებოდა.

„სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობა„ მოითხოვდა ბიუჯეტის გადიდებას და არა მის შემცირებას. ჩვენში კი ადგილი ქონდა ბიუჯეტის რეალურად შემცირებას.

ამ შემცირებას გაგვითვალისწინებს შემდეგი ცხრილი:

	ვარაუდი (მილიონი)	ნამდვილი (მილიონი)	რამდენ გირვ. სტერლ. უდრის
1918—1919	—	663,5	8.293
1919—1920	797,4	3252,8	5.083
1920—1921	8552,4		1.670
			214[4])

ქაღალდის ფულის გამრავლება სახიფათოა, და იწვევს კურსის დაცემას, თუ სახელმწიფოს სათანადო ოქროს ფული და საქონელი არ მოეპოება და თუ მას შესაფერი შემოსავალი არა აქვს; მაგრამ ბონების ემისიის საჭირო რაოდენობით დროზე არ გამოშვებაც აფერხებდა სახელმწიფოს მუშარბას. 1919—1920 და 1920—1921 წ. წ. რესპუბლიკის ბიუჯეტები არ იყვნენ ცხოვრებასთან შეთანხმებული. სახელმწიფოში რეალური და იუცილებელი მოთხოვნილებები თანდათან იზრდებოდენ და, მაშასადამე, თუ 1918-19 წელიწადში საქართველოს სჭირდებოდა 8,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ამდენივე მაინც უნდა ყოფილიყო 1919—20 და 1920 – 21 წ. ბიუჯეტიც; 8,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი არსებულ კურსების მიხედვით იქნებოდა:

	გირვანქა სტერლინგი (მილ.)	გირვ. სტერლ. რამდ. მან. ბონ. უდრიდა. (მილიონ.)	მინისტრების ვარაუდით ბონებ. (მილიონებით)
1918—1919	8,3	663,5	—
1919—1920	8,3	5312,0	747,4
1920—1921	8,3	42516,0[5])	8552,4
		340.300,0	

[4]) 1921 წლის მარტიდან ბონის კურსის დაწევის ტემპი შეიცვალა, მისი კურსის დაწევა ხდება საშინელი სისწრაფით.

[5]) იხ. შენიშვნა წინა ცხრილის. ხელისუფლებამ დიდძალი ქონება ჩამოართვა მოქალაქეებსდა დიდძალი ქაღალდის და ოქროს ფული ჩამოიტანა რუსეთიდან; ამიტომ მთავრობას არ

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რამდენი მილიარდი უნდა ყოფილიყო შეტანილი ბიუჯეტში ბონის კურსის ცვლილებების მიხედვით 1919—1920 და 1920—21 საბიუჯეტო წლებში, თუ დაუშვებთ-რაც შეუძლებელია,—რომ სახელმწიფოს აღმშენებლობა წლიდან-წლამდე არ იწვევდა ხარჯების ზრდას. ამ დაუშვებელ შემთხვევაშიაც კი მეორე და მესამე საბიუჯეტო წლების ნავარაუდევი ხარჯები არ უნდა ყოფილიყვნენ ნაკლები 1918—19 წლის ხარჯზე, ე. ი. 8,3 მილიონი გირვ. სტერლინგისა, ანუ იმდენი მანეთისა—ბონებით, რამდენსაც უდრიდა კურსის მიხედვით ამა თუ ხმ წელს 8,3 მილ. გირ. სტერლინგი[6]). ამ საფუძველით სამინისტროს უნდა ევარაუდნა ხარჯები (დაახლოვებით):

1919—20 წ.	5,3	მილიარდი მანეთი ბონებით:
1920—21 წ.	42,5	„ „ „
სამინისტრომ კი ივარაუდა:		
1919—20 წ.	797,4	მილიონი „ „
1920—21 წ.	8552,4	„ „ „

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ბიუჯეტების ანალიზი გვიჩვენებს დემ. რესპ. ფინანსიურ არევ-დარევას, მის სრულიად მოუწყობლობას, რაც უმთავრესად შედეგი იყო ეკონომიური პირობებისა.

ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ საქართველოს იმ ხანის ბიუჯეტის დეფიციტის რაოდენობა. ამისათვის საჭიროა გამოვიანგარიშოთ ჯამი დახარჯული ბონების და მას გამოვაკლოთ სახელმწიფოს ფაქტიური შემოსავალი ბონების სახით.

	შემოსავალი:	გასავალი:	დეფიციტი:
1918—19 წ.	174,2 მილ. მ.	663,5 მ. მ.	489,3 მილ. მან.
1919—20 წ.	771,0 „ „	3252,8 „ „	2481,9 „ „
1920—21 წ.[7])	8552,4 „ „	—	—

ასეთი იყო დემოკრატიული რესპუბლიკისი ფინანსიური მდგომარეობა 1918-21 წლამდე.

1923. წ. ბიუჯეტი.

(იანვარი—ენკენისთვე)

როგორც ზემოდ უკვე ავღნიშნეთ არსებულ მეტად მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბიუჯეტს საფუძვლად ჰქონდა თითქმის მხოლოდ ბონების ემისია და ამიტომ არ შეიძლე-

---

დასჭირდა იმდენი ბონების გასოცემა, რამდენიც საქართველოში მან ფაქტიურად დახარჯა, ფული. მაგრამ 1921 წ. სექტემბრამდის მან დაახლოვებით გამოსცა 80 მილიარდამდე მანეთი ბონები, ეგრედწოდებული სანიტარული გადასახადით აიღო 40 მილიარდამდე; ამას უნდა მიემატოს გარდა რუსეთიდან ჩამოტანილი ფულისა, ის ფული და სხვადასხვა ქონება, რომელიც ჩამოერთვა კერძო პირებს და ფირმებს: ფართლეულობა, ქარხნებში დამზადებული ყოველგვარი მასალა, ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ქვები და სხვა.

[6]) ბიუჯეტის შედგენის დროს, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ლი აგრეთვე, თუ როგორ იზრდებოდა უმთავრესი მოსახმარისი საგნების ფასები და როგორი იყო ამ ფასების ცვლილების და ბონების კურსის ცვლილების ურთიერთ შორის დამოკიდებულება.

[7]) ამ საბიუჯეტო წლის ფაქტიური შემოსავლის შესახებ ცნობები არა გვაქვს. ეს არიბრძოლის ხანა, როდესაც რესპუბლიკის ეკონომიურ-ფინანსიური ცხოვრება ანარქიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ბა ითქვას, რომ ამ ხანაში არსებობდა. რესპუბლიკანური ბიუჯეტი, რომელიც გულისხმობს შემოსავალ-გასავლის შორის წონასწორობას.

ბონების ემისია ხომ შემოსავლის წყარო არაა; ის არის თავისებური თამასუქები, რომელსაც სახელმწიფო აძლევს იმათ, ვისი საქონლით ან სამსახურით ის სარგებლობს.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა საქართველოში 1924 წლამდე, როდესაც თებერვალში მოხდა ფულის რეფორმა და იქნა შემოღებული მტკიცე ვალიუტა ჩერვონცის სახით;

1921-დან 1923 წლამდე საქართველოს არც ადგილობრივი და არც რესპუბლიკანური ბიუჯეტი არ ჰქონდა. რესპუბლიკანურ შემოსავალ-გასავლის შესახებ ჩვენ გვაქვს ცნობა ოდნავ ბიუჯეტის სახით მხოლოდ 1923 წ. იანვრიდან და აქედან იწყება საქართველოს ბიუჯეტის ისტორიული ხანა, რომლის პირველ პერიოდი შეიცავს 1923 წლის იანვარ-ენკენისთვეს: ამ პერიოდში საქართველოს შემოსავალ-გასავალი გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებში (გადატანილია ოქროს მანეთებში):

	შემოსავალი ათას მან.	გასავალი ათას მან.	დეფიციტი ათას მან.
საქართველო (სამხრეთ ოსეთით)	1.144	4.252	3.108
აფხაზეთი	63	287	224
აჭარისტანი	121	293	272
სულ	1.328	4.832	3.604

შემოსავალ-გასავალი 3,5-ჯერ სჭარბობდა, შემოსავალი ჰფარავდა გასავლის მხოლოდ 28%; დაახლოებით 72% სახელმწიფო ხარჯებისა იფარებოდა ემისიის საშუალებით.

ამ პერიოდში საქართველო საშინელ ფინანსიურ კრიზისს გაჰიცდიდა, მაგრამ წინა-წლებთან შედარებით მისი ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მას უკვე აქვს შემოსავალი, რომელიც ჰფარავს მისი ხარჯების დაახლოებით ერთ მესამედს. მაგრამ აქ ნაჩვენები შემოსავალი მხოლოდ მცირე ნაწილია სახელმწიფო შემოსავლისა, რომელიც ამ დროს გროვდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ცხრა თვის განმავლობაში ადგილობრივი შემოსავალი გასავლის გამორიცხვით რესპუბლიკაში გროვდებოდა 4,5 მილიონზე მეტი.

ამ ფინანსიურ მიღწევაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსიური მეურნეობის აპარატის შესაფერად მოწყობას.

ამ პერიოდში ეს აპარატი უკვე ჩამოყალიბდა.

1923—24 წ. ბიუჯეტი.

ამ საბიუჯეტო წელს ჩვენ არ გვქონდა წლიური ბიუჯეტი: ეკონომიური და ფინანსიური პირობები ჯერ კიდევ ასეთი ბიუჯეტის შედგენის შესაძლებლობას არ გვაძლევდა, ბიუჯეტები დგებოდა კვარტალური პირველი ნახევარი წლის განმავლობაში და მხოლოდ მეორე ნახევარი წლის ბიუჯეტი შედგა მთლიანი, მაგრამ ესეც საქართველოს ბიუჯეტს არ შეიცავს.

1923-24 საბიუჯეტო წელიწადი დაიწყო იმ ხანაში, როდესაც ბონების კურსი დიდის სისწრაფით ეცემოდა: ბიუჯეტი იყო ჩერვონულ მანეთებში შედგენილი, მაგრამ ფაქტიურად ტრიალებდა ბონები, რომლის კურსი არამც თუ დღითი-დღე, საათობით მცირდებოდა და ასეთ პირობებში რესპუბლიკის რეალური ფულადი შემოსავალიც თავის სყიდვით უნარს ასეთივე სისწრაფით ჰკარგავდა, რასაც გვიმტკიცებს შემდეგი ორი ციფრი: ტფილისის ბირჟაზე ჩერვონცი 1923 წელს 31 დეკემბერს ღირდა ბონებში 52,7 მილიონი მან. და აპრილში კი (15 აპრ. 1924 წ. შეწყდა ბონების ემისია და მოხდა მისი კურსის სტაბილიზაცია) 125 მილიარდი მან.

ფულის კურსის სტაბილიზაციამ ჩერვონცზე თანდათან გადასვლით ქვეყნის სახალხო და სახელმწიფო საფინანსო მეურნეობებს მისცა მტკიცე საფუძველი. 1923-24 წლის მეორე ნახევარში მტკიცე ვალიუტაზე დაყრდნობილ სახალხო მეურნეობას უკვე აღორძინების ნიშნები ეტყობა, მისი პროდუქცია იზრდება. შესაძლებელი ხდება საკრედიტო ოპერაციების ნორმალურად წარმოება და თანდათან საკრედიტო დაწესებულებათა ქსელი ფართოვდება და ყველა ამასთან დაკავშირებით სწრაფი ტემპით ვითარდება ვაჭრობა.

ეს ხანა არის საზღვარი, სადაც ეკონომიური ქაოსისა და ანარქიის ადგილს იკავებს კანონშეზომილი გეგმიანი სახალხო და სახელმწიფო მეურნეობა.

ეს ასეა, მაგრამ 1923-24 წ. ბიუჯეტი ძლიერ მცირეა და უაღრესად დეფიციტიანი; რესპუბლიკანური ბიუჯეტის შესრულება გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტით საქართველოს შემოსავალი უდრიდა 2.172 ათ. მანეთს, რომელიც ნაწილდებოდა შემდეგ ნაირად: საქართველოს (სამხრეთ ოსეთით)—1.817 ათ. მანეთი (83,7%), აჭარის—181 ათ. მან. (8,3%) და აფხაზეთის—174 ათ. მან. 8%).

მთავარ წყაროებიდან რესპუბლიკანური ბიუჯეტი იღებდა:

პირდაპირი ხარკებიდან . . .	1. 737 ათ. მან.
საფასურებიდან	107 „
სახელმწიფო ქონებიდან . . .	262 „

1923-24 წლის ხარჯები, როგორც ეს ბიუჯეტის შესრულებიდან სჩანს, უდრიდა 8.170 ათ. მანეთს, რომელიც ნაწილდებოდა შემდეგ ნაირად: საქართველო—6.949 ათ. მან., (85,1%), სამხრეთ-ოსეთი—185 ათ. მან. 2,3%), აჭარა—562 ათ. მან. (6,9%) და აფხაზეთი—474 ათ. მან. (5,7%).

საქართველოს ხარჯები შედგებოდა შემდეგი ჯგუფებისაგან:

1. ადმინისტრატიული	2.145 ათ. მან.
2. სამ.-ადმ. (მიწ. მოქ. სახ. კომ.) . . .	431 „
3. სოც.-კულტ.	5.594 „

საქართველოს საერთო შემოსავალი (მისი ბიუჯეტით) უდრიდა 2.172 ათ. მან., გასავალი—8.170 ათ. მან. და დეფიციტი—5.998 ათ. მანეთი (73,4%). ეს დეფიციტი იფარებოდა დოტაციით.

საქართველოს შემოსავალი არ ამოიწურება მხოლოდ იმ შემოსავლით, რომელიც აღნიშნულია და შედის საქართველოს რესპუბლიკანურ ბიუჯეტში. საქართველოს აქვს სხვა შემოსავლებიც, რომელიც ნაწილდება ფედერაციისა და საკავშირო ბიუჯეტთა შორის.

ხარკები	8.326 ათ. მან.
საფასურები	1.125 „
სახელმწიფო რეგალიები, ქონება, ვაჭრობა-მრეწველობა და ბანკებიდან ხარჯების ანაზღაურება და სხვა	1325 „
არაჩვეულებრივი	161 „
სულ . . .	10.941 ათ. მან.

1923-24 წლის საქართველოს ტერიტორიალური შემოსავლიდან დარგვალებით 11 მილ. მან. შეადგენდა ა/კავკასიის ფედერატიული ბიუჯეტის შემოსავალს.

საქართველოს ტერიტორიალურ შემოსავლიდან უფრო დიდი ნაწილი შედიოდა საკავშირო ბიუჯეტში. ნ. ქოიავა *) ამ შემოსავლის შესახებ ამბობს შემდეგს: „საქართველოს რკინის გზების შემოსავალი (საკასო) შეადგენდა—1923-24 წ. 19.703.742 მან, 63 კაპ. ამ თანხებიდან აჭარის შემოსავალი შეადგენდა 4.584.899 მ. 29 კაპ. საქართველოს ფოსტის შემოსავალი იმავე წელს შეადგენდა 487.862 მ. 57 კ., ტელეგრაფისა—566 136 მ. 89 კ., რადიოსი 7.436 მ. 44 კ., ტელეფონის—258.019 მ. 63 კ., სხვა 29.204 მ. 12 კ. საერთოდ კი—1.348.659 მ. 65 კ.—უკანასკნელი თანხა შეიძლება ჩაითვალოს თვით საქართველოს შემოსავლად, ხსენებული რეგალიების შემოსავალი ერთად შეადგენდა 21.052.402 მ. 28 კ. ამრიგად საქართველოს ტერიტორიაზე მიღებულ სახელმწიფოს შემოსავალმა 1923-24 წ. შეადგინა 2.179.949 მ. 72 კ.+10.941.525 მან. 20 კაპ.+21.052.402 მან. 28 კაპ. ან 34.165.877 მან. 20 კაპ.“

ეს 34.166 ათ. მან. 1923-24 წელს ნაწილდებოდა სამ ბიუჯეტს შორის:

1. საქართველოს რესპუბლიკანურ ბიუჯეტში შედიოდა 8.170 ათ. მანეთი.

2. „ფედერატიული გასავალი შედგებოდა გაერთიანებულ დაწესებულებათა ხარჯებიდან; ა/კავკასიის ბიუჯეტში სხვადასხვა კომისარიატის ხარჯებთან ერთად შეტანილია ხარჯები სხვადასხვა ფონდებიდან. ეს ფონდები არის: სახარჯთ-აღრიცხვო, სარეეზიო, სადოტაციო, სპეციალური და განსაკუთრებული. ფედერატიული ხარჯები 1923-24 წელთან ერთად (სამაზრო ხაზინების და ცენ-

*) ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1926 წ. წიგნი მე-VI-ე. ამ წიგნში მოთავსებულია ნ. ქოიავას წერილი, რომელშიდაც იხილავთ საქ- სახ. ფინანსებს 1923-24 წ. აქ ჩვენ ვსარგებლობთ მის მიერ მოყვანილ ცნობებით.

ტრალურ სალაროს ცნობებით) შეადგენდა 7.968 ათ. მანეთს. ეს თანხა უშუალოდ საქართველოზე იხარჯებოდა" (ნ. ქოიავა, იქვე).

3. სპეციალურად საკავშირო ხარჯთ-აღრიცხვით გატარებული იყო 1923-24 წელს 93.493 მან. საქართველოს წილი რკინის გზების ხარჯებში, სათანადო დაწესებულების გამოანგარიშებით, 1923-24 წ. შეადგენდა 5.200 ათ. მან. ამავე წელში ფოსტა-ტელეგრაფის მთელი ხარჯები უდრიდა 1,306 ათ. მან. (იქვე).

საქართველოს ყოველგვარი სახელმწიფო ხარჯები, რესპუბლიკანური, ფედერატიული და საკავშირო ბიუჯეტებით უდრიდა: 22.737 ათ. მან. ამ ხარჯებს უპირისპირდება სრულიად საქართველოს ტერიტორიალური სახელმწიფო შემოსავალი, რომელიც 1923-24 წ- უდრიდა 34.166 ათ. მან. ეს შემოსავალი ზევით მოხსენებულ საქართველოს ხარჯებს სამივე ბიუჯეტით (რესპუბლიკანური, ფედერატიული და საკავშირო) სჭარბობს—11.429 ათ. მანეთით (35.166 ათ. მან.—22.737 ათ. მან.).

ამ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ საქართველო 1923-24 წ. ფინანსიურად უკვე მომაგრდა, მისი ტერიტორიალური შემოსავალი უკვე ფრიად თვალსაჩინოა. მისი შემოსავალი 1923-24 წ. დაახლოვებით 2-ჯერ მეტია, ვიდრე 1920-21 წ. იყო.

1924-25 წლის ბიუჯეტი.

რევოლიუციის შემდეგ 1924-25 წ. არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბიუჯეტის შედგენა და შესრულება სწარმოებს მტკიცე ვალიუტის ტრიალის პირობებში და სრულიად საქართველოს რესპუბლიკანური ბიუჯეტი ამ ხანაში საგრძნობლად გაიზარდა. სახელმწიფო საშემოსავლო წყაროებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემავალ თანხების გამოკლებით, საქართველოს ფაქტიური შემოსავალი მისი ბიუჯეტით იყო.

1923-24 წ.—2.172 ათ. მან.
1924-25 წ.—3.754 „

ეს შემოსავალი შედგებოდა შემდეგი მთავარი წყაროებიდან:

პირდაპირი ხარჯები . . .	2.691	ათ. მან.
საფასურები	217	„
სახელმწიფო ქონება . . .	831	„

საშემოსავლო წყაროთა შორის პირველი ადგილი ხარკებს ეკუთვნის, რომელიც წინა წელთან შედარებით 900 ათ. მან. მეტია. საფასურები გაიზარდა 100% და სახელმწიფო ქონებიდან შემოსავალი—317%.

1924-25 წლის შემოსავალი საქართველოში ნაწილდებოდა შემდეგნაირად:

საქართველო (სამხრეთ ოსეთით) . .	3130	ათ. მან.	83,4%
აფხაზეთი	288	„	7,7%
აჭარისტანი	336	„	8,9%

სასუბვენციო ფონდის (1 358 ათ. მან.) და კომუნალური კრედიტების (28,9 ათ. მან.) გამოკლებით საქართველოს ხარჯები შედგებოდა:

საქართველოში . . .	8.444	ათ. მან.	82,7%
სამხრ. ოსეთში . . .	307	„	3,0%
აფხაზეთში	727	„	7,1%
აჭარისტანში . . .	733	„	7,2%

საქართველოს ხარჯები სასუბვენციო ფონდის და კომუნალური კრედიტის ჩათვლით 1924-25 წ. უდრიდა 10,97 მილ. მანეთს, ხოლო ამ ორი ხარჯის გამოკლებით—9,584 ათ. მანეთს. ეს თანხა ნაწილდება სამ ჯგუფის ხარჯთა შორის.

საადმინისტრაციო . . .	1.541 ათ. მან.
სამეურ.-საადმინ. . .	1.041 „
სოც.-კულტურული . .	7.002 „

აქ ჩვენ საგულისხმო მოვლენას ვამჩნევთ: შედარებით 1923-24 წელთან, 1924-27 წ. საადმინისტრაციო ხარჯები 2.145 ათ. მანეთიდან შემცირდა 1.541 ათ. მანეთამდე და ამავე დროს გაიზარდა ხარჯები სამეურნეო-საადმინისტრაციო 431 ათ. მანეთიდან—1.041 მანეთამდე და სოციალურ-კულტურული—5.594 ათ. მანეთიდან 7 მილ. მანეთამდე.

საქართველოს მთელი შემოსავალი, რომელიც შედის მის რესპუბლიკანურ ბიუჯეტში, უდრის 3.754 ათ. მანეთს, გასავალი ამავე ბიუჯეტით—10-970 მან. და დეფიციტი 7.216 ათ. მანეთს. ეს დეფიციტი იფარება ფედერატიულ და საკავშირო ბიუჯეტიდან.

აქაც უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1923-24 წელს დეფიციტი სჭარბობდა შემოსავალს 270%, და 1924-25 წ. 190%.

დეფიციტი შედარებით ძლიერ შემცირდა.

საქართველოს შემოსავალი უფრო დიდია, ვიდრე ეს არის აღნიშნული მის ბიუჯეტში. საქართველოს ეს ზედმეტი შემოსავალი, მომქმედ საბიუჯეტო უფლებათა თანახმად, ნაწილდება ა/კავკასიის ფედერატიულ და საკავშირო ბიუჯეტებს შორის.

საქართველოს ტერიტორიაზე 1924-25 წ. იყო შემდეგი შემოსავალი, რომელიც გატარდა საქართველოს, ამ/კავკასიის და საკავშირო ბიუჯეტში: (მილიონ მან.).

ხარკები	16,5
საფასურები და საღერბო გადასახადი.	2,0
სახელმწიფო რეგალები, ქონება, ვაჭრობა-მრეწველობა, ბანკებიდან შემოსავალი, ხარჯების ანაზღაურება და სხ. .	5,4
არაჩვეულებრივი	3,8
სულ . . .	27,7 მილ. მან.

ფედერატიულ და საკავშირო შემოსავლად გადარიცხული თანხები საქართველოს ტერიტორიალური შემოსავლიდან 1924-25 წელს უდრიდა 20 მილ. მანეთს: ამ თანხას უნდა მიუმატოთ საქართველოს რესპუბლიკანურ ბიუჯეტში შეტანილი შემოსავალი—3,7 მილ. მან. და ჩვენ მივიღებთ მთლიან ტერიტორიალურ ნეტტო სახელმწიფო შემოსავალს—24 მილ. მანეთს.

აქ საკავშირო შემოსავალში არ შედის შემოსავალი: ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის და სხვა., რომელიც ნ. ქოიავას 1923-24 წელს, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, გამოანგარიშებული აქვს დაახლოვებით ექვსი მილიონი მანეთის რაოდენობით. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1924-25 წ. რესპუბლიკანური ბიუჯეტი დაახლოვებით 40% სჭარბობდა 1923-24 წლის ბიუჯეტს, აქ ხსენებული ექვსი მილიონი შემოსავალი 1924-25 წელში უნდა ვივარაუდოთ 40% მეტი. ამნაირად მივიღებთ 8,4 მილ. მანეთ.. ეს თანხა უნდა მიუმატოთ 24 მილ. მან. და მივიღებთ 1924-25 წლისათვის მთლიან ტერიტორიალურ შემოსავალს— დაახლოვებით 32 მილიონ მანეთს, ორი მილიონით ნაკლებს შადარებით 1923-24 წელთან.

საქართველოს ტერიტორიალური შემოსავალი იხარჯებოდა სამი ბიუჯეტით:

1. საქართველოს რესპუბლიკანური ბიუჯეტით . . . . . 9.613 ათ. მან.
2. ა/კავკასიის ფედერატიული ბიუჯეტით . . . . . 3.716 „
3. საკავშირო ბიუჯეტით . . . . . 5.766 „

ამ სამი ბიუჯეტით საქართველოში დაიხარჯა სულ 19 მილიონი მან., ე.ი. საქართველოს ტერიტორიალური შემოსავალი (24 მილ. მ.) მისივე ტერიტორიალურ გასავალს სჭარბობდა 5 მილ. მანეთით.

1924-25 წლ. ბიუჯეტი მოწმობს, რომ საქართველოს სამეურნეო და სოციალ-კულტურული მოთხოვნილებები უფრო ფართოდ კმაყოფილდება და მათზე გაწეული ხარჯებიც საგრძნობლად გაიზარდა.

1925—26 წლის ბიუჯეტი.

შედარებით 1924—25 წლის ბიუჯეტთან 1925—26 წლის ბიუჯეტი შემოსავლის წყაროებით უფრო მდიდარი იყო. მას გადაეცა საქართველოს ტერიტორიალურ შემოსავლიდან მთელი რიგი ახალი წყაროებისა; მისი წილი ზოგიერთ საშემოსავლო წყაროებში გადიდდა; ზოგიერთი წყარო კი მას მთლიანად გადაეცა. რასაკვირველია, რესპუბლიკანურ ბიუჯეტში შევიდა ზოგიერთი ახალი ხარჯებიც, რომელნიც ადრე შედიოდა ა/კ. ფედერატიულ ბიუჯეტში.

საბიუჯეტო კანონმდებლობაში სრულიად გარკვეული ხაზია აღებული, რომელიც გამოიხატება შემდეგში: რესპუბლიკანურ ბიუჯეტში თანდათან გადადის სხვადასხვა რესპუბლიკანური ხარჯები, ტერიტორიალური შემოსავლები და რესპუბლიკის ბიუჯეტი თანდათან საქართველოს ცხოვრების და მთავრობის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობის უფრო სწორი გამომხატველი ხდება.

ამ სწორი გზით საბიუჯეტო კანონმდებლობა ვითარდება და რესპუბლიკას ერთი-ორი წლის განმავლობაში ექნება ნამდვილი რესპუბლიკანური ბიუჯეტი. მიმდინარე 1922 წ. 25 მაისს საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკათა საბიუჯეტო უფლებათა დებულება ფართო და დამაკმაყოფილებელ პერსპექტივებს აძლევს რესპუბლიკებს.

სახელმწიფო საშემოსავლო წყაროებიდან, ადგილობრივ ბიუჯეტში შემავალ თანხების გამოკლებით, საქართველოს ფაქტიური შემოსავალი მისი ბიუჯეტით იყო.

1923—24	2.172 ათ. მან.
1924—25	3.754 „ „
1925—26	6.865 „ „

ინტენსიური, მძლავრი ზრდა საქართველოს რესპუბლიკანური ბიუჯეტისა აქ ნათელია.

1925—26 წ. ბიუჯეტის შემოსავალი შემდეგ მთავარ წყაროებიდან შედგებოდა (ათას მან.).

	1924—25 წ.	1925—26 წ.
პირდაპირი ხარკები	2.691	4.884
საფასურები	217	401
სახელმწიფო ქონება	831	1.108

პირველი ადგილი საშემოსავლო წყაროთა შორის 1925—26 წ. ხარკებს უკავია; ამ წყაროდან წინანდელთან შედარებით შემოსავალი თითქმის ორჯელ მეტია. ასეთივე ტემპით გაიზარდა საფასურებიც და მხოლოდ სახელმწიფო ქონებიდან შემოსავალი ჯერ ნელი ტემპით იზრდება.

1925—26 წ. საქართველოს ბიუჯეტით შემოსული თანხა უდრის 9,7 მილ. მან. *) ეს თანხა საქართველოში შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

საქართველო	8,4 მილ. მან.	86,1%
აფხაზეთი	0,6 „ „	6,5%
აჭარისტანი	0,6 „ „	6,3%
სამხ. ოსეთში	0,1 „ „	1,1%

1925—26 წ. მთელი შემოსავალი (9,7 მილ. მან.) ხარჯების სამ მთავარ ჯგუფს შორის ნაწილდება ასე:

ადმინისტრატიული	2.542 ათ. მან.
სამეურნეო-ადმინისტრ.	1.425 „ „
სოციალ. კულტურული	6.585 „ „

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ შედარებით 1925—25 წ. თვალსაჩინოთ გაზრდილა ადმინისტრატიული და სამეურნეო—ადმინისტრატ. ხარჯები და შემცირებულა სოციალ-კულტურული ხარჯები (ფაქტიურათ საქართველოს ბიუჯეტით დაიხარჯა 800 ათასი მან. მეტი, ვიდრე ზევით არის ნაჩვენები შემოსავალი).

შემოსავალ-გასავლის შედარება რესპუბლიკანურ ბიუჯეტში გვიჩვენებს შემდეგს: შემოსავალი იყო 6.865 ათ. მან., გასავალი 10 552 ათ. მან. და დეფიციტი—3,687 ათ., მან. მაშინ, როდესაც დეფიციტი 1924—25 წ. უდრიდა—7,2 მილ. მანეთს.

*) ამ თანხაში შედის ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლო ანარიცხებიც.

ეს ფაქტი, საქართველოს ფინანსიური მდგომარეობისა, საგულისხმო გაუმჯობესების მაჩვენებელია. თუ 1924—25 წ. დეფიციტი შემოსავალს 100%-ს აღემატება, 1925—26 წ. დეფიციტი შეადგენს შემოსავლის მხოლოდ 50%-ზე ცოტა მეტს.

როგორც წინა წლებში, ისე 1925—26 წელსაც, საქართველოს ტერიტორიალური შემოსავალი ბევრად მეტია იმ შემოსავალზე, რომელიც შედის მის რესპუბლიკანურ ბიუჯეტში. ეს თანხა, რომელიც რესპუბლიკანურ ბიუჯეტში არ შესულა, ნაწილდება ამ.-კავკასიის ფედერატიულ და საკავშირო ბიუჯეტებს შორის.

ამ თანხას იძლევა შემდეგი წყაროები:

ხარკები	20,3
საფასური და საღერბო გადასახადი	2,5
სახელმწიფო რეგალიები, ქონება, ვაჭრობა-მრეწველობა, ბანკებიდან შემოსავალი, ხარჯების ანაზღაურება და სხვა	3,5
არაჩვეულებრივი	0,2
	26,3

ამ 26,3 მილ. მანეთიდან საქართველოს ბიუჯეტში, თანახმად საბიუჯეტო უფლებისა, შედიოდა 6,8 მილ. მანეთი, დანარჩენი 19,5 მილ. მან. შედიოდა ა/კავკასიის ფედერატიულ და საკავშირო ბიუჯეტში და შემდეგ დოტაციის და სუბვენციის სახით საჭირო თანხა უბრუნდება საქართველოს ბიუჯეტს.

აღნიშნულ 26,3 მილ. მანეთში, რასაკვირველია არ შედის შემოსავალი ზოგიერთ ტერიტორიალურ წყაროებიდან (რკინის გზა, ფოსტა და სხვ.)

1925—26 წ. საქართველოს ტერიტორიალური შემოსავალი (26,3) სამ ბიუჯეტს შორის ნაწილდება ამნაირად:

1. საქართველოს რესპუბლიკ. ბიუჯეტით	6,9
2. ა/კავკასიის ბიუჯეტით	2,8
3. საკავშირო ბიუჯეტით	16,6
	26,3

საქართველოს რესპუბლიკანური ხარჯები 1925—26 წ. უდრიდა 22 მილ. მანეთს. ეს ხარჯები საკუთარი შემოსავლიდან რესპუბლიკანური ბიუჯეტით მხოლოდ 6,9 მილ. რაოდენობით იფარებოდა, დანარჩენი 15 მილ. მანეთს საქართველოს ტერიტორიალური შემოსავალი ფარავდა ა/კავკასიის და საკავშირო ბიუჯეტის მეშვეობით.

საქართველოს რესპუბლიკანურ ხარჯებს 1925—26 წელს შემოსავალი სჭარბობდა ოთხი მილიონი მანეთით.

ეკონომიურად და ფინანსიურად შედარებით გაჯანსაღებული საქართველო მტკიცედ ფარავს თავის რესპუბლიკანურ ბიუჯეტიდ გათვალისწინებულ ხარჯებს და ეს გარემოება გარანტიაა იმისა, რომ საქართველოს ეკონომიურად გაუმჯობესება მომავალში უფრო სფრაფი ტემპით იწარმოებს.

1926—27. წლის ბიუჯეტი.

1926—27 წ. ბიუჯეტის შესრულების შესახებ ჯერ საჭირო ცნობები არ არის, ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ბიუჯეტის ცნობებს.

შემოსავალი ბიუჯეტით ნავარაუდევია 11,5 მილ. მან., გასავალი 22 მილ. მან. და დეფიციტი—10,5 მილ. მან.. საქართველოს ტერიტორიალური შემოსავალი, გზების, ნავთსადგურების და ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავლის გამოკლებით, მილიონ მანეთში იყო:

პირდაპირი ხარკი	8,3
არაპირდაპირი ხარკი	13,6
ბაჟები და გამოსაღებები	2,5
შემოსავალი სახელმწ. ქონებ.	4,6
სახელმწ. მრეწველ. ვაჭრობა და ბანკები	0,9
სესხის დაბრუნება და ხარჯის ანაზღაურება	0,2
სხვადასხვა შემოსავალი	0,2
საკრედიტო ოპერაციები	2,0
	32,2

ამ 32 მილ. მანეთიდან საქართველოს ბიუჯეტში შედიოდა, როგორც-საკუთარი შემოსავალი 11,5 მილ, მან. დანარჩენ თანხას (10,5 მილ. მანეთს) კი საქართველო იღებდა ფედერატიულ და საკავშირო ბიუჯეტებიდან, სადაც შედიოდა საქართველოს ტერიტორიალურ შემოსავლიდან 20,7 მილიონი მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი ხარჯები შედარებით წინა წლებთან შემდეგ სურათს გვაძლევს (ათას მან.).

	1924 წ.	1924—25 წ.	1925—26 წ.	1926—27 წ.
ადმინისტრატ.	2.175.	1.541	2.541	2.630
სამეურნეო ადმ.	431	1.041	1.425	1.735
სოც.-კულტურ.	5.594	7.002	6.585	7.442

1926—27 წ., როგორც აქედან ვხედავთ, სამეურნეო და სოც.-კულტურული ხარჯები იზრდება, ხოლო ადამინისტრატიული ხარჯები კი ბიუჯეტში თანდათან უფრო მცირე როლს თამაშობს.

ათი წლის განმავლობაში საქართველოში ბიუჯეტმა განიცადა დიდი პერტურბაციები და ბიუჯეტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით 1924—25 წლამდე არ არსებობდა. 1918—22 წლებში რესპუბლიკას წინასწარ გამოანგარიშებული შემოსავალ-გასავალი არ ქონდა. 1923—24 წლიდან უკვე იწყება რესპუბლიკანური ბიუჯეტის ისტორიული ხანა. ის თანდათან უფრო მტკიცდება და უკეთ გამოხატავს სახელმწიფოს რეალურ მდგომარეობას. მაგრამ ჯერ ეკლიანი გზა არაა გავლილი. ჯერ კიდევ ბიუჯეტის მატერიალური და უფლებრივი ბაზა არაა საკმაოდ მტკიცე და ფართო, მაგრამ ბიუჯეტის ეს ორი მხარე მთავრობის დღის წესრიგში დგას და არის უკვე დამუშავებული ახალი დებულებები, რომელიც რესპუბლიკის საბიუჯეტო უფლებას და საშემოსავლო წყაროებს შესამჩნევად

აფართოებს. უფლებრივი საკითხი ფრიად რთული და ძნელია. მისი საბოლოოდ ჩამოყალიბება კალმის ერთი მოსმით შეუძლებელია. მაგრამ ის სერიოზული მუშაობა და ზრუნვა, რომელიც ამ კითხვის ირგვლივ წარმოებს, ჩვენ სრულ იმედს გვაძლევს, რომ კავშირში ყველა რესპუბლიკებს და მათ შორის საქართველოსაც ახლო მომავალში ექნება ისეთი ბიუჯეტი, რომელიც სავსებით გამოხატავს მის ფინანსიურ შესაძლებლობასა და რეალურ ფინანსიურ მოთხოვნილებას.

ა.კ. სიგუა.

საბანკო კრედიტი ჩვენში.

საბანკო კრედიტი ჩვენში განვითარებას იწყებს 1924 წლიდან, როცა ფულის რეფორმის საშუალებით საძირკველი ჩაეყარა მტკიცე ვალიუტას. მანამდე, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ არ იყო მოწყობილი არა თუ საბანკო კრედიტი, არამედ მოუწყობელი და მოუწესრიგებელი იყო სახელმწიფოს ფინანსიური მეურნეობა.

ფულის რეფორმამდე შეიძლება ითქვას, რომ არ გვქონია არც ბიუჯეტი. არც კრედიტი და არც საგადასახადო სისტემა, ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობით. ისე კი ფორმალურად ყველაფერი ეს იყო ფულის რეფორმამდეც. მაგ. ჩვენში არსებობდა ეგრედწოდებული საქართველოს სახალხო ბანკი, რომელმაც 1922 წ. აგვისტოში ემისიის წესით მოკლევადიანი ვალდებულებანიც კი გამოუშვა. ამ ვალდებულებებმა ბოლოს არსებითად ფულის ხასიათი მიიღო. აქვე უნდა აღინიშნოს. რომ ეს ვალდებულებანი უზრუნველყოფილი იყო ბანკში შენახული ოქროთი და უცხოეთის ვალიუტით.

არსებობდა აგრეთვე საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ბანკის კანტორა, რომელიც შემდეგ გადაკეთდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის კანტორად.

ჩვენ აქ არ შეუდგებით კრედიტის დახასიათებას 1924 წლ., რადგანაც, მაშინ მთელი ფინანსიური მეურნეობა გამოიხატებოდა ფულის ბეჭდვაში (საკავშირო მასშტაბით ფულის სისტემის გაერთიანებამდე) და დაბეჭდილი ბონების განაწილებაში.

1924 წლიდან კი იწყება საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება და ჩვენში თანდათანობით არსდება სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულება. ამჟამად საქართველოში მოქმედობს: ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა (განყოფილებები ქუთაისში, ბათომში, სოხუმში), სააგენტოები: ფოთსა და ჭიათურაში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი (ფილიალები ქუთაისსა და სიღნაღში), საკავშირო სამრეწველო ბანკის სრ. საქ. კანტორა, სრ. რუს. კოოპ. ბანკის ტფ. განყოფილება, აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკი, აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკი, ტფ. კომუნალური ბანკი (ფილიალები: ქუთაისში, ბათომში, ახალსენაკში, სოხუმში, გორში, ცხინვალში, სიღნაღში, ახალქალაქში, ახალციხეში), საგარეო ვაჭრობის ბანკის ტფილისის განყოფილება. საქართველოსავე ტერიტორიაზე მოქმედობს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომელიც თავის კრედიტებს საქართველოში ატარებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით (გამონაკლისსაც აქვს ადგილი). გარდა ამისა ჩვენში არსებობენ საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1924-25, 1925-26 და 1926-27 წ. ჩვენი სახალხო მეურნეობის გაშლის ხანა იყო. მტკიცე ვალიუტის არსებობამ ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის აღდგენა-განვითარებას. მეურნეობის ზრდა-განვითარება კი უკრედიტოდ ყოვლად წარმოუდგენელია. იმავე დროს ჩვენში კრედიტის მოთხოვნილება მეტად დიდი იყო და ახლაც არის, ხოლო საკრედიტო საშუალებანი კი მცირე. მაგ. ამჟამად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტი აკმაყოფილებს მოთხოვნილების დაახლოვებით 20%-ს, უმთავრესად გრძელვადიან საწარმოო კრედიტების ნაკლებობას განიცდით. მოკლევადიანი კომერციული კრედიტები თითქმის საკმაოდაა.

როცა საკრედიტო საშუალებანი განსაზღვრულია, ხოლო კრედიტის მოთხოვნილება დიდი, თავისთავად იბადება კითხვა კრედიტის დაგეგმვის შესახებ. სახელმწიფომ კრედიტის დაგეგმვის საშუალებით კრედიტები მეურნეობის იმ დარგში უნდა წარმართოს, რომლის განვითარება და წინ წაწევა საჭიროა სახელმწიფოს თვალსაზრისით.

კრედიტების დაგეგმვას იწვევს აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობა გეგმიანობის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.

გარდა ამისა ის პროცენტი, რომელსაც იღებს საკრედიტო დაწესებულებანი აქტიურ ოპერაციებზე მეტად მცირეა ფულის კერძო ბაზარზე არსებულ პროცენტთან შედარებით. ამ პროცენტების გაღებით ესა თუ ის დარგი მეურნეობისა ვერ იშოვის საკმაო კრედიტს. კაპიტალისტურ ქვეყნებში ფულის ბაზარს აწესრიგებს განაღდების პროცენტს (учетный процент). ჩვენში კი არსებითად ფულის ორი ბაზარია. როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს თავის წერილში ამხ. დ. ლოევეცკი *), ერთია სახელმწიფო ფულის ბაზარი, მეორე კი კერძო ფულის ბაზარი. კერძო თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად: კერძო მოუწესრიგებელი ბაზარი და კერძო ბაზარი საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა საშუალებით მოწესრიგებული.

ფულის ბაზრის ასეთი მდგომარეობა და თვით ის პრინციპები, რომლის მიხედვით სწარმოებს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება, მოითხოვს კრედიტის დაგეგმვას. საქართველოში 1925 წლიდან დაწყებული სწარმოებს კვარტალური საკრედიტო გეგმების შედგენა. კვარტალურ გეგმების პროექტებს ადგენენ საკრედიტო დაწესებულებანი, ხოლო ამ გეგმებს ისილავს და საერთო სამეურნეო გეგმებს უთანხმებს (რასაკვირველია, შესაძლებლობის ფარგლებში) და ერთიან რესპუბლიკანურ გეგმას ადგენს საგეგმო კომისია, ამტკიცებს ეკონომიური საბჭო.

გარდა ამისა საქართველოს საგეგმო კომისია ყოველთვიურად აწარმოებს კონიუნქტურის მიმოხილვას კრედიტის დარგშიაც და მრავალი მასალაა დაგროვილი კრედიტის მდგომარეობის დასახასიათებლად. ამ წერილის შედგენის დროს ვეყრდონობოდით, როგორც საგეგმო კომისიის, ისე სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის მასალებს.

---

*) იხ. Д. Доевецкий—Проблема госуд. кредита СССР.

საკრედიტო ოპერაციების ზრდას ახასიათებს: საკრედიტო დაწესებულებათა ბალანსის ზრდა, მიმდინარე ანგარიშებისა და ანაბარების ზრდა და განაღდების ოპერაციების დინამიკა. ყველა ამ კითხვების გასაშუქებლად აქვე მოვიყვანთ ციფრებს.

მაგ. 1925 წ. ოქტომბრის 1-სათვის საქართველოში მომქმედ საკრედიტო დაწესებულებათა შეერთებული ბალანსის ჯამი უდრიდა 64,325.000 მან., 1926 წ. ოქტომბრის 1-სათვის — 91.183.000 მან. 1927 წლის სექტემბრის 1-სათვის კი — 106.370.000 მან.

ცალკე საკრედიტო დაწესებულებათა მიხედვით ბალანსის ზრდა შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

ბ ა ნ კ ე ბ ი:	1925 წ. 1 ოქტომბ.	1926 წ. 1 ოქტომბ.	1927 წ. 1 სექტემბ.
1. სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორა .	23.103	27.657	41.332
2. საქ. სას.-სამ. ბანკი	6.893	10.765	11.738
3. სამრეწველო ბანკის საქ. კანტ. . .	5.024	5.106	5.435
4. საგარეო ვაჭრობის ბანკის ტფილ. განყოფილება.	3.115	3.223	6.832
5. ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი .	9.089	13.763	20.126
6. სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის ტფილისის გან-ბა	2.566	2.150	2.679
7. ტფილისის კომუნალური ბანკი . .	7.595*)	10.790*)	16.373*)
8. აფხაზეთის სას.-სამ. ბანკი	1.598	2.014	2.577
9. აჭარისტანის სას.-სამ. ბანკი . . .	481	577	1.443
10. ელექტრო-ბანკის ა/კ. კანტორა . .	2.964	12.061	გაუქმებულია
11. ტფ. ორი საურთ. ნდობის საზოგად.	374	550**)	512
ს უ ლ	64.325	91.183	106.370

სულ ორი წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედი ბანკების ბალანსი გაზრდილა 65,6%-ით, ხოლო ეს ზრდა უმთავრესად მომხდარა 1925-26 წელში. უკანასკნელ წელში შედარებით ძალიან მცირე ზრდა გვაქვს. ეს უკანასკნელი გარემოება სხვა ეკონომიურ მიზეზთა გარდა აიხსნება შედარებით

*) არ შედის ფილიალების ბალანსი.

**) არ შედის ტფილისის პირველი საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბალანსი.

ღიდბალანსიანი ბანკის — ელექტრობანკის ა.-კავ. კანტორის გაუქმებით. ბალანსის სიდიდის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორას, შემდეგ მიდის ა.-კ. სას. სამ. ბანკი, მესამე ადგილზეა ტფ. კომუნალური ბანკი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ა.-კ. სას. სამ. ბანკი თავის კრედიტებს ატარებს რესპუბლიკანური სას. სამ. ბანკების საშუალებით და მის 20 მილ. ბალანსში შედის სომხეთისა და აზერბეიჯანის სას. სამ. ბანკებისათვის მიცემული სესხები, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სახელმწიფო ბანკის შემდეგ პირველი ადგილი უდაოდ კომუნალურ ბანკს უჭირავს.

ყურადღებას იქცევს სრ. რუს. კოოპ. ბანკის ტფ. განყოფილების ბალანსის სტაბილიზაცია და სხვა ბანკებთან შედარებით უმნიშვნელო ხვედრითი წონა. თითქმის არ გაზრდილა ამ ორი წლის განმავლობაში აგრეთვე სამრეწველო ბანკის საქ. კანტორის ბალანსი. ამ ორი ბანკის ბალანსზე გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის წესით მეურნეობის სათანადო დარგისათვის გაღებული თანხები, რადგანაც მრეწველობისათვის ბიუჯეტიდან მიცემული თანხები გადის სახელმწიფო ბანკის საშუალებით და ადიდებს მის ბალანსს, ხოლო კოოპერაციას იმდენად პატარა თანხები ეძლევა ბიუჯეტით, რომ ის გავლენას არ ახდენს კოოპერბანკის ბალანსზე. ცენტრიდან კი, როგორც სჩანს, ეს ბანკები ვერ იღებენ გადიდებული რაოდენობის თანხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წელში მეტად მცირე ზრდას იძლევა აგრეთვე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ფრიად უმნიშვნელოა კერძო ბანკების-საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა ბალანსის მონაწილეობა საერთო ჯამში. არც ზრდის მხრივ უჩანს მათ ბალანსს სანუგეშო პირი.

როგორც ირკვევა ჩვენში კერძო საბანკო კრედიტს ასულდგმულებდა სახელმწიფოს დახმარება. სანამ სახელმწიფო და სხვა საქციო ბანკები ამა თუ იმ სახით კრედიტს აძლევდენ საურთიერთო ნდობის საზოგადოებებს, მანამ ეს საზოგადოებები სიცოცხლის უნარს იჩენდენ. მათი ზრდაც საგრძნობი იყო, იზრდებოდა აგრეთვე საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა რიცხვი: 1926 წ. ოქტომბრის 1-სათვის საქართველოში არსებობდა 11 საურთიერთო ნდობის საზოგადოება (ტფილისში 2, თითო: სენაკში, სამტრედიაში, ქუთაისში, ონში, ზუგდიდში, ბათომში, ფოთში, სოხუმსა და ზესტაფონში).

1927 წ. სექტემბრის 1-სათვის კი 4 საურთიერთო საზოგადოება (სახელდობრ: ფოთის, ონის, სენაკის და ზესტაფონის) დაიხურა. დანარჩენი ამხანაგობები ღაფავენ სულს (ტფილისის 1 საურთიერთო საზ. გარდა).

ამრიგად ვხედავთ, რომ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებანი ზრდას განიცდიან, ხოლო კერძო კაპიტალის ორგანიზაცია უკან მიდის.

საკრედიტო დაწესებულებათა პასიურ ოპერაციებში საინტერესოა ის, თუ რამდენად ახერხებდენ ისინი თავისუფალი თანხების მობილიზაციას მიმდინარე ანგარიშებისა და ანაბრების სახით, ამას შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს (ათ. მან.).

ბ ა ნ კ ე ბ ი:	1925 წ. 1 ოქტომბ.	1926 წ. 1 ოქტომბ.	1927 წ. 1 სექტემბ.
1. სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტ. . .	5.445	6.022	7.521
2. სასოფ.-სამ. ბანკები	972	1.095	1.541*)
3. სამრეწველო ბანკის საქ. კანტ. . .	1.562	1.508	1.906
4. საგ. ვაჭრობის ბანკის ტფილ. განშ. .	840	535	75
5. სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის ტფილისის განშ-ბა.	795	501	783
6. ტფილისის კომუნალური ბანკი . .	3.169	3.928	3.241
7. ელექტრო-ბანკი	727	153	გაუქმებულია
8. ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგად.	53	349	67
ს უ ლ	13.563	14.091	15.862

მიმდინარე ანგარიშებისა და ანაბარების ზრდის მხრივ ერთგვარ სტაბილიზაციას აქვს ადგილი. დიდ ზრდას გვაძლევს მხოლოდ 1924-25 წ., მაგ. 1927 წ. ოქტომბრის 1-სათვის მიმდინარე ანგარიშები და ანაბარები უდრიდა — 5.400 ათ. მან., 1925 წ. ოქტომბრის 1-ს. კი — 13.563 ათ. მან. ზრდა 100%-ს აღემატება. აქედან ცხადია, რომ ბანკების ბალანსი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაზრდილა არა მიმდინარე ანგარიშების ხარჯზე, არამედ პასივის სხვა მუხლების ანგარიშებზე, უმთავრესად ბიუჯეტის წესით გაღებული თანხებით და აგრეთვე ემისიით მიღებული საშუალებებით. მთელი მიმდინარე ანგარიშების თითქმის ნახევარი სახელმწიფო ბანკზე მოდის, რაც იმით აიხსნება, რომ სახელმწიფო ბანკში ინახავს თავის თანხებს ფინსასკომი და სოცდაზღვევა.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, თუ რა წარმოშობისაა, ე. ი. ვინ ინახავს მიმდინარე ანგარიშებზე თავის თანხებს.

კონიუნქტურული ცნობებით 1927 წ. სექტემბრის 1-სათვის, მიმდინარე ანგარიშებზე ქონდათ: სახელმწიფო დაწესებულებებს — 11.018 ათ. მან., კოოპერაციას — 543 ათ. მან., საკრედიტო დაწესებულებებს — 1.523, კერძო პირებს — 772 ათ. მან. დანარჩენი გაუნაწილებელია. აქედან ცხადია, თუ რა უმნიშვნელოა კერძო პირთა ანაბარების ხვედრითი წონა. ეს გასაგებია. კერძო პირი ეკონომიურად სრულიად არაა დაინტერესებული, რომ თავისი თავისუფალი თანხები საკრედიტო დაწესებულებებში შეინახოს. მაშინ, როდესაც ბანკები მას

*) აქედან ა/კ. სას.-სამ. ბანკზე მოდის 964 ათ. მან., საქართველოზე—410 ათ. მან., აფხაზეთზე—66 ათ. მან. და აჭარისტანზე—103 ათ. მან.

მისცემენ წლიურად 6-7%-ს, ის ფულის კერძო სპეკულიატურ ბაზარზე იღებს თვეში 5-15%-დე.

სახელმწიფო თავის მხრივ უაღრესად დაინტერესებულია, რომ სახელმწიფო და კერძო ფულის ბაზარზე არსებული განაღდების პროცენტის განსხვავება შემცირდეს და ფულის ამ ორი ბაზრის პროცენტები ერთმანეთს დაუახლოვდეს. ამ დაახლოვებას, სხვათა შორის, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საკრედიტო ოპერაციების ჩატარებისათვის; ამ მხრივ კიდევაც იღებს სახელმწიფო ეკონომიურ ღონისძიებებს. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ ღონისძიებათა ეფექტი არა არის საგრძნობი.

ახლა განვიხილოთ სესხისა და განაღდების ოპერაციების მოძრაობა.

ბ ა ნ კ ე ბ ი:	1925 წ. 1 ოქტომბ.	1926 წ. 1 ოქტომბ.	1927 წ. 1 სექტემბ.
1. სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტ.	16.746	24.092	36.961
2. სას.-სამ. ბანკები	13.074	20.281	24.018*)
3. სამრეწველო ბანკის საქ. კანტ.	3.731	4.139	4.892
4. საგარეო ვაჭრობის ბანკის ტფილისის განყოფილება	2.748	2.818	6.456
5. სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის ტფილისის განყოფილება	1.799	1.560	1.853
6. ტფილისის კომუნალური ბანკი	6.179	8.696	11.997
7. ელექტრო-ბანკის ა/კ. კანტორა	2.402	11.769	გაუქმებულია
8. საურთიერთო ნდობის საზოგადოება	178	820	122
ს უ ლ	46.857	74.175	86.299

სესხისა და განაღდების ნაშთი, ანუ მეურნეობის სხვადასხვა დარგის დავალიანება ბანკების წინაშე ორი წლის განმავლობაში, თითქმის ორჯერ გაზრდილა. ზემოთ დავინახეთ, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიმდინარე ანგარიშები და ანაბარები სულ მცირე ზრდას იძლევა, ეს ზრდა ორი მილიონის ფარგლებშია. სესხისა და განაღდების ზრდა კი 40 მილ. მანეთით გამოიხატება, ცხადია სახალხო მეურნეობის დავალიანების ასეთი ზრდა მომხდარა არა მიმდინარე ანგარიშების ხარჯზე, არამედ უმთავრესად ბიუჯეტის წესით სახალხო მეურნეობისათვის გაღებული თანხების ანგარიშზე.

*) არ შედის აჭარისტანის სას.-სამ. ბანკის ცნობები. ამ 24.018 ათ. მან. საქართველოს ბანკზე მოდის—7.218 ათ. მან. აფხაზეთზე—1.918 ათ. მან.

ეს ბუნებრივიც არის. საბჭოთა სამეურნეო და ფინანსიური სისტემა ისეა მოწყობილი, რომ მთელი შემოსავალი ბიუჯეტში იყრის თავს და ბიუჯეტით ამ შემოსავალს ანაწილებს სამეურნეო და სოციალ-კულტურული აღმშენებლობის დარგში.

სესხისა და განაღდების ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშთი შეიცავს იმ დავალიანებას, რომელიც აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ საწარმოებს საკრედიტო დაწესებულებათა წინაშე. მაგრამ, როგორც ვიცით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებენ, როგორც საქართველოს, ისე ფედერატიული და საკავშირო საწარმონი. არა საქართველოს საწარმონი შეიძლება ითქვას, რომ იღებენ მხოლოდ სავაჭრო კრედიტს. მათ მიერ მოტანილი საქონელი იხმარება შიგ საქართველოშივე ზოგიერთ გამონაკლისს გარდა. მიუხედავად ამისა მაინც საინტერესოა კრედიტების განაწილება საქართველოს და არა საქართველოს საწარმოთა შორის:

საწარმონი.	1925 წ. ოქტომბ.		1926 წ. ოქტომბ.		1927 წ. სექტემბ.	
	აბს. რიცხ.	% ჯამის მიმართ.	აბს. რიცხ.	% ჯამის მიმართ.	აბს. რიცხ.	% ჯამის მიმართ.
საქართველ. საწარმონი .	30.980	66,1	47.650	66,1	49.552	57
ფედერატიული, ა/კ. რესპ. და ა/კავკას. გარეშე რესპუბლიკების საწარ. . .	15.877	33,9	26.525	35,8	36.747	43
ს უ ლ . . .	46.857	100	74.175	100	86.299	100

ამ 86.299 ათ. მან. შედის ა.-კ სასოფლო-სამეურნეო ბანკის კრედიტი 14.698 ათ. მან., რომლის ნაწილი აგრეთვე გატარებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის კრედიტებში და ეს ორნაირი ანგარიში ადიდებს, როგორც კრედიტების საერთო ჯამს, ისე ა.-კავკასიის საწარმოთა წილს. საერთოდ კი, როგორც ამ ცხრილიდან ირკვევა, საქართველოს საწარმოთა % 57-სა და 66,1-ს შუა ირყევა.

თუ საკრედიტო დაწესებულებათა მიერ ერთმანეთისათვის მიცემულ კრედიტებს გამოვაკლებთ დავალიანების საერთო ჯამს მივიღებთ შემდეგ ციფრებს: 1927 წ. სექტემბრის 1-სათვის საქართველოს საწარმოების დავალიანება უდრიდა 40.855 ათას მან., არა საქართველოს საწარმოების კი 27.239 ათ. მან., ანუ პროცენტებში 63,4% და 36,6-%ს.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ნაწილდებოდა ეს დავალიანება სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებს შორის. ამას შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს: (ვიღებთ მხოლოდ საქართველოს საწარმოთა დავალიანებას).

(ვილებთ მხოლოდ საქართველოს საწარმოოთა დავალიანებას).
ათას მანეთებში.

მეურნეობის დარგები	1925 წ. 1 ოქტომბ.	1926 წ. 1 ოქტომბ.	1927 წ. 1 ოქტომბ.
მრეწველობა	5.392	8.717	14.504
სოფლის მეურნეობა	9.989	10.174	9.082
ვაჭრობა	6.175	6.575	5.529
კომუნალური მეურნეობა	5.665	16.587	9.939
საკრედიტო დაწესებულებანი	2.833	4.836	9.014
ტრანსპორტი	5	8	—
დანარჩენი გაუნაწილებელი	921	753	1.484
სულ	30.980	47.650	49.552

ეს ცხრილი ერთი შეხედვით გვიჩვენებს, რომ 1926-27 წლის განმავლობაში ადგილი ქონია კრედიტების უმნიშვნელო ზრდას, სულ რაღაც 2 მილ. რაოდენობით. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სწორედ 1926-27 წ. გაუქმდა ელექტრობანკის ა.-კ. კანტორა, რომლის ფაქტიური კრედიტები 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის 11.769 ათ. მან. უდრიდა მაშინ დავინახავთ, რომ. უკანასკნელ საბიუჯეტო წელშიაც კრედიტების საგრძნობ ზრდასთან გვაქვს საქმე.

განსაკუთრებით გაზრდილა მრეწველობის კრედიტები. სოფლის მეურნეობის კრედიტები შემცირებას იძლევა დაახლოვებით ერთი მილიონი მანეთით, რაც იმით აიხსნება, რომ 1927 წ. 1 სექტ. ცნობებში არ შედის აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკის კრედიტები დაახლოვებით 1.200 ათ. მანეთამდე. რომ ეს თანხა მიუმატოთ სოფლის მეურნეობის კრედიტებს, მივიღებთ, რომ შემცირებას ადგილი არ ქონია, პირიქით მომხდარა კრედიტების სტაბილიზაცია. სოფლს მეურნეობის კრედიტების სტაბილიზაცია გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის-წარმოკავშირის ლიკვიდაციით. სოფლის კავშირი კი მეტად ფრთხილად სარგებლობს კრედიტებით და მისი დავალიანება წარმოკავშირისაზე გაცილებით ნაკლებია.

კომუნალურ მეურნეობის კრედიტების შემცირება აიხსნება იმ გარემოებით, რომ 1927 წ. სექტ. 1-ს ცნობაში არ შედის ელექტრობანკის კრედიტები. წინა წლის ცნობაში კი ის შედიოდა. ამ რიგად ფაქტიურად კომუნალური მეურნეობის კრედიტების შემცირებას ადგილი არ ქონია.

რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ საით იყო მიმართული საკრედიტო პოლიტიკა კრედიტების განაწილებაში, საჭიროა აქვე მოვიყვანოთ

ცნობები მეურნეობის ცალკე დარგის კრედიტების ხვედრითი წონის შესახებ. აი ეს ცნობები:

(დავალიანების ნაშთიდან სწორი ანგარიშისათვის გამოვრიცხეთ საკრედიტო დაწესებულებათა მიერ ერთმანეთისათვის მიცემული კრედიტები).

მეურნეობის დარგი.	%% ჯამის მიმართ.		
	1925 წ. 1 ოქტ.	1926 წ. 1 ოქტ.	1927 წ. 1 ოქტ.
მრეწველობა	19,2	20,3	35,8
სასოფლო მეურნეობა	35,5	23,8	22,4
ვაჭრობა	21,9	15,4	13,6
კომუნალური მეურნეობა	20,1	38,7	24,5
დანარჩენი გაუნაწილებელი	3,3	1,8	3,7
სულ	100	200	100

ეს ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად პოულობს თავის გამოსახულობას საკრედიტო პოლიტიკაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი. მრეწველობის ხვედრითი წონა ყველაზე უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. იმავე დროს 1927 წ. სექტემბრის 1-სათვის მრეწველობამ პირველი ადგილი დაიკავა, მეორე კომუნალურ მეურნეობას ეკუთვნის, მესამე კი სოფლის მეურნეობას.

ეს მოვლენა ფრიად სასიხარულოა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში სოფლის მეურნეობის კრედიტების ხვედრითი წონა არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას ჩვენი ეკონომიკისათვის. როგორც ზევით აღვნიშნეთ, კრედიტებით ყველაზე უფრო დაუკმაყოფილებელი რჩება სოფლის მეურნეობა. ამჟამად მისი მოთხოვნილების მხოლოდ 20%-მდე კმაყოფილდება. ჩვენის აზრით, საჭიროა სოფლის მეურნეობისათვის გრძელვადიანი საწარმოო კრედიტების გამონახვა.

ასეთია ზოგადად კრედიტის მდგომარეობა საქართველოში უკანასკნელ წლების განმავლობაში.

ვლ. ცაგარელი

საქართველოს კოოპერაცია ოქტომბრის 10 წლის თავზე.

„მშრომელი კლასის კოოპერაციაში ჩაბმით ჩვენ ორივე ფეხებით ვიდგომებოდით სოციალისტურ ნიადაგზე".

ლენინი.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ დაამსხვრია ძველი ბურჟუაზიულ-ფეოდალური საბყარო და მის ნანგრევებზე საფუძველი ჩაუყარა ახალ საწარმოო და სოციალურ ურთიერთობას.

10 წლის წინად როცა რუსეთის მუშათა კლასმა ხელთ იგდო ძალაუფლება და შეუდგა სახალხო მეურნეობის აღმშენებლობას ახალ სოციალურ საფუძველზე, მის წინაშე დაისახა სამი მთავარი ამოცანა, რომელიც მოითხოვდა განსაკუთრებულ ყურადღებას და ურომლისოდაც შეუძლებელი იყო ოქტომბრის მონაპოვართა შენარჩუნება. ეს არის ქალაქის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის აღდგენის საკითხები, რომელიც განსაკუთრებით წამოიჭრა მუშათა კლასის სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ. ეხლა ყველასთვის ნათელია, თუ როგორი დაკვრითი წესით და პროლეტარული ერთსულოვნობით დაიწყო სამოქალაქო ომით განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენა.

ვის უნდა ეკისრა სოფლის ნაწარმოების დამზადება და ქალაქის მომხმარებლისა და მრეწველობისთვის მისი მოწოდება, ერთის მხრივ და ვინ გაანაწილებდა ქალაქის ნაწარმოებს სოფლის და ქალაქის მოსახლეობის შორის მეორეს ხრივ? ასეთი იყო სამეურნეო ამოცანა, რომლის შესრულება იმ თავითვე დაეკისრა **კოოპერაციას**.

როგორც მშენებლობის სხვა სფერრებში, კოოპერაციაშიაც მოგვცა სახელმძღვანელო ხაზი ოქტომბრის რევოლიუციის დიდმა ბელადმა **ლენინმა**. როგორ ეკვისახავს იგი კოოპერაციის როლს სოციალისტურ სახელმწიფოში? წერილებში „კოოპერაციის შესახებ" ის სწერდა: „მოსახლეობის კოოპერაციაში ჩაბმის პირობებში თვითონვე მიაღწევს მიზანს ის სოციალიზმი, რომელიც წინად იწვევდა კანონიერ დაცინვას და ღიმილს... ყველა ამხანაგები არ აძლევენ ანგარიშს თავის თავს იმაში, ეხლა რა გიგანტიურ და განუსაზღვრელ მნიშვნელობას იღებს ჩვენთვის კოოპერაციაში მოსახლეობის ჩაბმა".

ამ ამონაწერიდან ნათლად სჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ლენინი კოოპერაციას სოციალისტურ სახელმწიფოს არსებობის პირობებში. კოოპერაცია მან მიიჩნია ერთ-ერთ ხიდათ სოციალისტურ სახელმწიფოში გადასასვლელად. დღეს ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს კოოპერაციას ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება და კომუნისტური პარტია.

რა მიღწევები გვაქვს ამ მხრივ საქართველოში? როგორ მდგომარეობაში იყო კოოპერაცია გასაბჭოების დროს, რა გააკეთა მან და როგორ მდგომარეობაშია იგი ეხლა?

საქართველოს გასაბჭოებისას 1921 წელში ჩვენში არსებობდა კოოპერატიული ორგანიზაციების 2 სახე: სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო. პირველი, შედარებით სას.-სამ. კოოპერაციასთან, იყო უფრო ძლიერი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია კი რიცხვობრივადაც მცირე იყო და ეკონომიურადაც სუსტი.

გარდა ამ ორი სახისა, რომელიც ჩვენში გასაბჭოებისას არსებობდა, 1927 წელს გვაქვს კიდევ სამი ახალი სახე კოოპერატიული ორგანიზაციებისა: შინამრეწველობის, საბინაო და სას.-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატივები. სას.-სამ. საკრედიტო კოოპერაცია ამ უკანასკნელ წლამდე არსებობდა ცალკე, მხოლოდ ეხლა გაერთიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან და შეადგენს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ერთიან ქსელს.

სამომხმარებლო კოოპერაცია საქართველოში.

სამომხმარებლო კოოპერაცია საქართველოში იყო ყველაზე უფრო პოპულიარული და უნივერსალური ხასიათის მატარებელი. თუ მის ზრდა-განვითარებას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ 1917 წლის რევოლიუციამდე ჩვენში არსებობდა მცირე რიცხვი კოოპერატიული ორგანიზაციებისა. მაგ. ქუთაისის მაზრაში 1908 წელში, არსებობდა 12, ტფილისის მაზრაში კი 6. როგორი შემადგენლობის და ვის მიერ იყო ესენი დაარსებული? ცნობილია რომ მეფის მთავრობა კოოპერაციას ცუდი თვალით უცქეროდა, ის ხედავდა მასში არასაიმედო ორგანიზაციას, რომელიც ლამობს თავის ირგვლივ მცხოვრებთა შემოკრებას და სვამს გადასაჭრელად ეკონომიურ საკითხებს. ამასთანავე კოოპერატივების დაარსება ხელსაყრელი არ იყო ახლად ფეხადგმულ სავაჭრო კლასისათვის, რომელსაც მფარველობას უწევდა მეფის მთავრობა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კოოპერატივების დაარსებას წინააღმდეგობას უწევდა მონარქია. ცხადია, რომ გლეხებისა და მუშების მიერ დაარსებულ ორგანიზაციას მაშინდელ დროში არავინ არ დაუშვებდა. ამისთვის იმ თითო-ოროლა კოოპერატივებს, რომლებიც მაშინ წარმოიშვა, აარსებდენ სამღვდელოება და თავადაზნაურობა. ადვილი გასაგებია თუ როგორი ხასიათის მატარებელი იქნებოდა და ვის სასარგებლოდ დაარსდებოდა ხუცებისა და თავად-აზნაურების მიერ დაარსებული კოოპერატივები.

ასეთი ხასიათის მატარებელი იყო კოოპერაცია 1917 წ. რევოლიუციამდე: 1916 წ. ე. ი. რევოლიუციის ერთი წლით ადრე, საქართველოში არ-

სებობდა 176 ამხანაგობა 34.656 მან. საპაიო კაპიტალით. ამათ შორის ბათომის ოლქში იყო 3, ტფილისის გუბერნიაში 83 და ქუთაისში 90, მაშინ როდესაც ჩვენ მოსაზღვრე ქვეყნებში იყო—სომხეთში სულ 13 და აზერბაიჯანში 5.

1917 წლის რევოლიუციის შემდეგ კოოპერატივების ქსელი მოედო საქართველოს ყველა კუთხეებს, სამომხმარებლო კოოპერატივების ზრდა-განვითარებას 1920-23 წელში დავინახავთ შემდეგ ცხრილიდან[1].

სამომხმარებლო საზოგადოებები.

წლები	საკავშირო		არა საკავშირო		ს უ ლ	
	რაოდენობა	წევრთა რიცხვი	რაოდენობა	წევრთა რიცხვი	რაოდენობა	წევრთა რიცხვი
1920	758	332.837	120	35.209	878	368 046
1921	766	328.325	69	31.833	835	360.158
1922	597	253.359	7	2.884	604	356.243
1923	606	301.215	13	3.397	619	304.612

ზევით მოყვანილ ცხრილიდან ადვილი გასაგებია შემდეგი გარემოება. დაწყებული 1920 წლიდან 1923 წლამდე, სანამ კოოპერაციას არ დაეპატრონა საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენ ვხედავთ, რომ ის რაოდენობითაც მცირდება და წევრთა რიცხვის მიხედვითაც. მაგრამ მოყვანილი ციფრებიც რომ ავიღოთ, თავის შინაარსით ის არ გამოხატავს ნამდვილ მდგომარეობას. ეს კოოპერატივები არსებობდენ ქალაქში. მათი დიდი რიცხვი გაუქმებული იყო, ხოლო არ ჰქონდათ შესრულებული საამისო ფორმალური მხარეები, ამისთვის ისინი რჩებიან სიაში. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მენშევიკური ხელისუფლება კოოპერაციას არავითარ დახმარებას არ უწევდა, რადგან თვითონ საშინელ სიღატაკეს განიცდიდა. კოოპერატივები ერთი მეორეზე იხურებოდენ. ამასვე დავინახავთ ჩვენ თუ გავეცნობით წევრთა რიცხვს და საპაიო კაპიტალის მდგომარეობას. (იხ. ცხრ. 74 გვ.).

აქედან ცხადათ სჩანს, თუ როგორი ჩქარი ტემპით ეცემოდა როგორც წევრთა რიცხვი, ისე საპაიო კაპიტალი. თუ თითო წევრის მიხედვით 1919 წელს საპაიო კაპიტალი უმნიშვნელო იყო და უდრიდა 0.92 მან. 1920 წელში დაეცა 0,15 მან. და 1921 წელს, ე. ი. გასაბჭოების წელს, კი უდრიდა 0,07 მ.

აი ასეთ მდგომარეობაში იყო სამომხმარებლო კოოპერაცია, როდესაც მას დაეპატრონა საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

სამომხმარებლო კოოპერაციის ერთდუქნიანი სისტემიდან მრავალდუქნიანზე გადასვლის შემდეგ ჩვენ გვაქვს შემდეგი მდგომარეობა.

[1]) ჟურნალი „კოოპერაცია ამიერ-კავკასიაში“ გვ. 10

წლები	აღებული ერთეულის რიცხვი	წევრთა რიცხვი	საპაიო კაპიტალი	
			აბსოლუტური	თითო წევრზე
1919	72	45.039	41.288 მ.	0.95
1920	217	145.349	22.177	0.15
1921	163	89.405	5.880	0.07
1922	49	21.543	234	0.01
1923	36	15.336	372	0.02

1924 წლ. იანვ. მთლიანი სამომხ. საზ-ბა „ეპო" იყო რიცხვით 121 და 506 დუქ-
„ ოქტომ. „ „ „ „ 133—700 „
1925 „ „ „ „ „ „ 141—871 „
1926 „ „ „ „ „ „ 148—1005 „

1927 1 ივლისასთვის მთლ. სამომხ. საზოგად. „ეპო" იყო 149—1192 დუქანი.

აქედან სჩანს, რომ მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოების რიცხვი, დაწყებული 1924 წლიდან 1927 წლის ივლისამდე, გაიზარდა 28 ერთეულით. დუქნების ანუ განყოფილებების რიცხვი კი გაიზარდა 682-ით. საშუალოთ თითო კოოპერატივზე მოდის 8 განყოფილება. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგობათა ზრდა-განვითარება მიმდინარეობს ნორმალური ტემპით და შეთანხმებულია სამოქმედო რაიონის, როგორც ეკონომიურ, ისე გეოგრაფიულ და სხვა პირობებთან.

კოოპერატივებში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობას და მისი საპაიო თანხების მდგომარეობას დავინახავთ შემდეგ ცხრილიდან.

ა) წევრთა მიმდინარეობა

1924 წლ.	1-ლ იანვარს	იყო 62.200	წევრი საშვალოთ თითო კოოპერატივზე მოდიოდა	514 წევრი
„	1 ოქტ.	106.096	„	800 „
1925 წლ.	„	145.630	„	1032 „
1926 „	„	208.201	„	1407 „
1927 წ.	1 ივლისი	253.881	„	1704 „

ამ ცნობებიდან ცხადათ სჩანს, რომ 4 წლის განმავლობაში ყველა კოოპერატივების წევრთა რიცხვი გაიზარდა 62.200-დან 253.881-მდე. აქედან თუ 1927 წელს თითო კოოპერატივის მიხედვით საშუალოდ წევრთა რიცხვი უდრიდა 514 ს, 1927 წელს კი თანდათანობით ზრდა მივიდა 1704-მდე, ე. ი. 1927 წლის 1-ლ ივნისს თითო კოოპერატივზე მოდიოდა საშუალოდ 1704 წევრი.

ბ) საპაიო თანხების მიმდინარეობა. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ბალანსის სამომხმარებლო სისტემაზე გადაკეთების დღიდან, ე. ი. 1924 წლიდან საპაიო თანხების მდგომარეობას დავინახავთ შემდეგ ცხრილიდან:

საპაიო თანხების რაოდენობა			რამდენი მოდის თითო კოოპ-ზე საშუალოთ	რამდენი მოდის თითო წევრზე საშუალოთ
1924 წ.	I/I—იყო	95.582 მ.	790 მან.	1 მ. —50 კ.
„	I/X „	189.908 „	1432 „	1 —80 „
1925	„	329.315 „	3045 „	2 —26 „
1926	„	569.840 „	3850 „	2 —73 „
1927	წ. I/VII	880.922 „	5912 „	3 —47 „

საპაიო თანხების გაცნობამ დაგვანახვა შემდეგი: თუ მისი რაოდენობა 1924 წლის 1 იანვრისთვის უდრიდა 95.582 მანეთს, თითო კოოპერატივზე საშუალოთ მოდიოდა 790 მანეთი და თითო წევრზე კი 1 მან. 50 კაპ. შემდეგ წლებში ჩვენ ვხედავთ მის ჩქარ ზრდას. 1927 წლის 1 ივლისისათვის კი საპაიო კაპიტალი, შეტანილი პირველ საფეხურის კოოპერატივებში „ეპოებში“ უდრიდა 860.922 მანეთს, ანუ თითო კოოპერატივზე საშუალოდ მოდის 5,912 მანეთი და კოოპერატიულად შეკავშირებულ. თითო წევრზე კი საშუალოდ 3 მ. 47 კ. აქედან ის ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მოსახლეობის ლტოლვა სამომხმარებლო კოოპერაციისკენ დიდია, რასაც მისი საპაიო კაპიტალების ზრდა ნათლად გვიჩვენებს.

ერთობ საინტერესო სურათი იქნება, თუ მოსახლეობის მონაწილეობას კოოპერატიულ მოძრაობაში პროცენტებში გამოვსახავთ.

1924 წ. 1 იანვარს იყო 13%
1924 წ. 1 ოქტომბ. „ 22.2%
1925 წ. „ 30.5%
1926 წ. „ 43.7%
1927 წ. 1 ივლის იყო 53.2%

აქედან ცხადია, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი გაერთიანებულია კოოპერატივებში, 1924 წელს კი გაერთიანებული იყო მხოლოდ 13%. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობამ ცხადად დაინახა კოოპერაციის დიდი უპირატესობა კერძო ვაჭრობასთან შედარებით და შეკავშირდა მის ირგვლივ.

საქონლის ბრუნვა ძირითად კოოპერატივებში.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის აღდგენამ და მოსახლეობის ეკონომიურად მოღონიერებამ გაზარდა სამომხმარებლო საგნების მეტი რაოდენობით მიწოდება მომხმარებლისადმი, რასაც თან დაერთო სამომხმარებ-

ლო კოოპერაციის ქსელის გაფართოება. სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებით გაყიდული საქონლის რაოდენობა შემდეგია:

1924 წელს 1/1-დან 1-10-მდე	—21.509.000	მანეთის ღირებული
1924/25 წ. „	28.898.000	„
1925/26 „	45.631.000	„
1926 წ. 1/X-დან 1927 წ. 1/VII-მდე	36.760.000	„

აქედან აშკარაა თუ როგორ იზრდება სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელის საშუალებით გასაღებული საქონლის რაოდენობ- ყოველწლიურად.

ძირითადი ქსელის ფინანსიური მდგომარეობა ქ. ტფილისის გამოკლებით.

ძირითადი ქსელის ფინანსიურ მდგომარეობას შეიძლება გავეცნოთ შემდეგ მუხლებში: 1. საბალანსო ჯამის რაოდენობა, 2. საკუთარი თანხების რაოდენობა, 3. გარეშე თანხების რაოდენობა და 4. ბრუნვის გარეშე მყოფ თანხების რაოდენობა.

შემდეგი ცხრილიდან დავინახავთ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითად ქსელის ფინანსიურ მდგომარეობას.

	1/X 1924 წ.	1/X 1925 წ.	1/X 1926 წ.	1/VII 1927 წ.
1. საბალანსო ჯამი	3.973.810	6.044.545	7.640.683	9.694.004
2. საკუთარი თანხა	1.074.770	1.707.030	3.356.329	4.066.065
3. გარეშე თანხა	2.890.040	4.337.515	4.284.354	5.627.939
4. ბრუნვის გარ. თან.	852.290	1.250.488	1.123.999	1.434.794

აქედან სჩანს, რომ ყველა თანხები ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდება, მაგალითად: საბალანსო ჯამი 3.973.810 მ. 1924 წლიდან გაიზარდა 9.694.004 მანეთამდე 1927 წლის 1 ივლისისათვის. საკუთარი თანხები ამავე დროში 1.074.770 მანეთიდან გაიზარდა 4.065.065 მანეთამდე. გარეშე თანხები 2.890.040 მანეთი გაიზარდა 5.627.939 მანეთამდე და ბრუნვის გარეშე არსებული თანხები 852.290 მანეთიდან—1.434.794 მანეთამდე.

აქვე აღსანიშნავია, თუ რადარა რაოდენობის საკუთარი თანხები იღებდენ მონაწილეობას სამეურნეო ოპერაციებში. თუ 1924 წ. საკუთარი თანხა სავაჭრო ბრუნვაში შეადგენდა 222.480 მანეთს 1925 წელში ის უდრიდა 456·542 მანეთს, 1926 წელში 2.232.530 მანეთს და 1927 წლის 1-ლ ივლისისათვის კი შეადგენდა 2.631.271 მანეთს.

საყურადღებოა აღვნიშნოთ ქალთა მონაწილეობა სამომხმარებლო კოოპერაციაში. თუ 1927 წელს 106.094 წევრთა შორის ქალები შეადგენდენ 2.121,

1925 წელს ქალების რიცხვი უდრიდა 9.588-ს, 1926 წ. ითვლებოდა 13.607 წევრი და 1927 წლის 1 აპრილ. კი--18.250 წევრი ანუ საშუალოდ 8%.

ყველა ზევით ნათქვამი ეხებოდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითად ქსელს, ე. ი. სამომხმარებლო საზოგადოებებს თავის განყოფილებებით. ეხლა უნდა შევეხოთ თვით ცენტრის—ცეკავშირის საქმიანობას. თუ თვალს გადავავლებთ ცეკავშირის ბრუნვებს, გაყიდული საქონლის ღირებულების მიხედვით, დაწყებული 1916 წლიდან მივიღებთ შემდეგ სურათს:

1916	წელს	გაიყიდა 641.359	მანეთის ღირებული საქონელი
1917	„	1.562.405	„
1918	„	937.736	„
1919	„	2.346.769	„
1920	„	1.033.558	„
1921	„	317.963	„
1922	„	269.141	„
1923	„	6.519.874	„
1924 (9	თვე)	6.026.060	„
1924/25		5.703.470	„
1925/26		6.690.294	„
1926	წ. 1/X-დან		
1927	წ. 1/I -მდე		
11	თვეში	16.281.444	„

ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრის—ცეკავშირის საქონლის ბრუნვა დაწყებული ჯერ კიდევ 1916 წლიდან ვიდრე 1923 წლამდე, ე. ი. სამომხმარებლო კოოპერაციის საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღდგენა-განვითარებამდე, საქონლის ბრუნვა იყო იმდენად უმნიშვნელო ცენტრალური კავშირისთვის, რომ საშუალოთ თითო წლის განმავლობაში არ უდრიდა 1 მილ. მანეთსაც კი. სულ 7 წლის განმავლობაში საქონლის ბრუნვა უდრიდა დაახლოვებით 6.500.000 მან. მას შემდეგ რაც მოხდა სამომხმარებლო კოოპერაციის გასაბჭოება, ჩვენ ვხედავთ, რომ 1923 წლიდან საქონლის ბრუნვა გაიზარდა წლის განმავლობაში 6.519.874 მანეთამდე და ასე იზრდება; 1926/27 წლის 11 თვის განმავლობაში კი ბრუნვამ მიაღწია 16.281.444 მანეთს. თუ პირველ 7 წლის განმავლობაში ცეკავშირის საქონლის ბრუნვა უდრიდა დაახლოვებით 6.500.000 მანეთს, შემდეგ 5 წლის განმავლობაში ის გაიზარდა დაახლოვებით 51.000.000 მანეთამდე. ასეთი ტემპით ზრდა ცეკავშირის ბრუნვისა იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია დაუკავშირდა მოსახლეობის ფართე მასას, აწვდის მას სამომხმარებლო საგნებს ხელსაყრელ ფასებში და ნდობას იმსახურებს მომხმარებელთა შორის. მხოლოდ საბჭოთა პირობებში შეეძლო კოოპერაციას ასეთი განვითარება. არ ახსოვს ისტორიას სხვა ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ასეთი დახმარება აღმოეჩინოს კოოპერაციისათვის, როგორც აღმოუჩინა საბჭოთა მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ. ამით აიხსნება ჩვენი კოოპერაციის ყოველ მხრივ გაჯანსაღება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საქართველოში.

ჩვენში როგორც სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში, კარგი ნიადაგი აქვს განსავითარებლად სასოფლო-სამეურნეო საგლეხო კოოპერაციას. მისი აღორძინების ისტორია, თუ ცალკე ერთეულებს მივიღებთ მხედველობაში. იწყება ჯერ კიდევ 1876 წლიდან, როდესაც ქუთაისის მაზრის სოფ. გოჩაჯიხაიშში პირველად ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეთა მიერ მოეწყო სასოფლო-სამეურნეო საგლეხო შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ვიმეორებთ, ეს იყო პირველი ცდა სოფლის გლეხური კოოპერატიული ორგანიზაციის მოწყობისა. შემდეგ წლებში დაარსდენ ეგრეთწოდებული „ეპოები" (საგარეჯოში, მაჩხაანში და სხ.). ასეთი საკრედიტო ხასიათის სახე იმისთვის მიიღო სოფლის კოოპერაციამ. რომ მევახშეები არ გამხდარიყვენ ბატონ-პატრონი სოფლის შეუძლო გლეხებისა, ამიტომ მოეწყო სესხის გამცემი და ანაბრების მიმღები სასოფლო კოოპერატივები. შემდეგ ხანებში კი ვითარდება წმინდა სახის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები, როგორიცაა, მაგ., კახეთის მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობა „კახეთი", გომის მებაღეთა საზოგადოება, ე. წ. „გომის სინდიკატი", სოფ. კუხის მეაბრაშუმეთა ამხანაგობა „კოლხიდა" და სხვა.

თუ აღნიშნულ კოოპ. წევრთა სოციალურ შემადგენლობას გავეცნობით, დავინახავთ, რომ მათი დიდი უმრავლესობა შესდგებოდა თავადაზნაურობისა და შეძლებულ გლეხებისგან. გარდა ამხ-ბა „კოლხიდა"-სი, სადაც შეუძლო გლეხები იყვენ შეკავშირებულნი. რადგან ასეთ შემადგენლობას არ ძალუძდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაფერი ხელმძღვანელობა და მასვე ხელს უშლიდა მაშინდელი პოლიტიკური პირობები, თითქმის ყველა ეს ორგანიზაციები გაქრენ და 1905 წ. თითქმის არც ერთი პირველსაფეხურის კოოპერატივი არ არსებობდა. 1905 წლიდან კი მდგომარეობა იცვლება და ჩვენ ვხედავთ, რომ ჩქარი ტემპით ვითარდება შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, მაგ. 1905 წელს მათი რიცხვი უდრიდა 22, 1911 წელს—44, 1915—186 და 1917 წელს კი - 368 ამხანაგობას. ასეთი ჩქარი ტემპით განვითარდენ ჩვენში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები. იმპერიალისტურ ომის მიერ გამოწვეულმა საერთო კრიზისმა და ფულის კურსის დაცემამ სავსებით გაანადგურა აღნიშნული ამხანაგობები.

ხელმეორე აღდგენა-განვითარება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციისა იწყება რევოლიუციის შემდეგ. შემდეგი ცხრილიდან დაკინახავთ ჩვენ სას.-სამ. კოოპერატივების ზრდა-განვითარებას.

	1/I—1921 წ.	1/I—1922 წ.	1/I—1923 წ.
სას.-სამ. კოოპერატ. რაოდ.	6	7	7
მათი წევრების რაოდენობა	3369	2449	3730
საქონლის ბრუნვების მოძრაობა .	25 460 მ.	61.635 მ.	390.089 მ.
ბალანსის მდგომარეობა	21.398 მ.	13.019 მ.	7.622 მ.

აი ასეთ მდგომარეობაში იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია 1924 წლამდე, ე. ი. მანამ, სანამ საბჭოთა ხელისუფლებამ ხელში არ არ აიღო მისი მართველობა. ეს აღდგენა-გაჯანსაღების პერიოდი იწყება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის „წარმოკავშირის" გამო-

ცოცხლებით და მთავრობის რეალური დახმარებით. უდავოა, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის ნიადაგი საკმაოდ მომზადებული იყო, მხოლოდ უხელმძღვანელობით და დაუხმარებლად, ყოფილი მენშევიკური მთავრობის მხრივ, მშენებლობა არ სწარმოებდა.

გასაბჭოების შემდეგ კი ჩვენ ვხედავთ შემდეგ სურათს:

	I/I—1923 წ.	I/I—1924 წ.	I/I 2-24	1/3—25 წ.
სას.-სამ. კოოპ. რიცხვი	7	25	97	137
შეკავშირებული გლეხთა მეურნეობა	2900	10898	19413	26553
საეროო გლეხთა მეურნეობა	0,9%	3.7%	7.9%	9.09%

ასეთი გიგანტიური ნაბიჯით გაიზარდა კოოპერატივების და მათში გაერთიანებულ წევრთა რიცხვი მას შემდეგ, რაც მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ ჯანსაღ მუშაობას მიჰყო ხელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდა-განვითარების საქმეში. ასე რომ 1925 წლის დასაწყისში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აერთიანებდა 137 კოოპერატიულ ერთეულს მასში შეკავშირებული 26.553 გლეხის მეურნეობით. თუ ამ რიცხვს ჩვენ საერთოდ საქართველოს გლეხურ მეურნეობას შევადარებთ, მივიღებთ კოოპერატიულად შეკავშირებულ 9.09%-ს.

თავისი ხასიათის მიხედვით 1925 წელს საქართველოში იყო შემდეგი სახის სას.-სამ. კოოპერატივები.

1. მეღვინე-მევენახეთა 12
2. მეხილეთა 22
3. შერეული ფუნქციებით 28
4. მეცხვარეთა 5
5. მერძევეთა 30
6. მეფუთკრეთა 6
7. მეთამბაქეთა 4
8. მებამბეთა 2
9. სამელიორაციო 4
10. სხვადასხვა 24

ზევით მოყვანილ ცნობებიდან დავინახეთ, თუ მეურნეობის რამდენი სახე ყოფილა შეკავშირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში 1925 წლის დასაწყისში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის ერთობ საინტერესო ფინანსიურ მდგომარეობას ჩვენ დავინახავთ შემდეგ ცნობებიდან:

ბალანსის მოძრაობის ცხრილი.

	1923 წ.	1924 წ.
1 იანვარი	5.414—78	844.556—85
1 აპრილი	20.000—	1.259.383—37
1 ივნისი	122.654—61	2.153.657—44
1 ოქტომბერი	369.640—10	2.043.242—76
1 დეკემბერი	530.910—85	

ამნაირად 2 წლის განმავლობაში 1923 წლიდან 1924 წლამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის ბალანსი 5.114 მანეთიდან 2.043.242 მანეთამდე გაიზარდა. თუ პირველ საფეხურის ქსელის ბალანსის საერთო ჯამს ავიღებთ, ის უდრის 7.789.000 მანეთს.

ცენტრის საკუთარი თანხები:

	1 იანვ. 1924 წ.	1 ოქტომბ. 24 წ.	1 იანვ. 1925 წ.
საპაიო	4.968 მ.	74.479 მ.	74.840 მ.
ძირითადი . . .	—	18.844	18.840 —
სათადარიგო . .	462	4.647—	5.158—

ნათქვამიდან ცხადად სჩანს, თუ როგორი ნაბიჯით წავიდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდა-განვითარება, როგორც რიცხვობრივად, აგრეთვე ფინანსიურ-ეკონომიურათაც მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციას სათანადო ყურადღება მიაქცია ჩვენმა ხელისუფლებამ: სულ 2—3 წლის განმავლობაში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში აღორძინდა გლეხური კოოპერატივები. კოოპერაციის საშუალებით შემოღებულ იქნა სრულიად გადავარდნილი სახე რამდენიმე ძვირფასი მეურნეობისა, როგორიცაა მეთამბაქეობა კახეთში, გურიასა და სამეგრელოში, მებამბეობა ბორჩალოში და სამეგრელო-იმერეთში: გაიზარდა რიცხვი მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობებისა, მეხილეთა ამხანაგობებისა და სხ. საერთოდ კოოპერატიულად შეკავშირებულ გლეხების საშუალებით ამოძრავდა სოფლის ცხოვრება და დაეტყო მას ეკონომიური გაჯანსაღება.

მიუხედავათ პირველ საფეხურის კოოპერატივთა ყოველდღიური გაჯანსაღება-განმტკიცებისა, 1925 წელს ერთობ შესუსტდა ცენტრის მუშაობა, რამაც საგრძნობლად შეუშალა ხელი პერიფერიასაც. ცენტრის კრიზისი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ გლეხობაზე დარიგებული მოკლევადიანი დიდძალი თანხები თავის დროზე ვერ იქნა დაბრუნებული; ამას დაერთო კიდევ სხვა ხელშემშლელი პირობები, რამაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის „წარმოკავშირის“ ლიკვიდაცია; ამის შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობის დადგენილებით 1925 წ. დაარსდა ახალი ცენტრი „სოფლის კავშირი“-ს სახელწოდებით. ახალმა გაჯანსაღებულმა ცენტრმა გადაათვალიერა თავისი ქსელის რიცხვი, გაცხრილა ის და გააცხოველა სამეურნეო-საფინანსო და საორგანიზაციო მუშაობა.

დღიდან ახალ ხელმძღვანელ ორგანოს არჩევისა და მთელ რიგ რეორგანიზაციის მოხდენისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საქართველოში წარმოადგენს შემდეგ სურათს:

მთავარ მომენტს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში უკანასკნელ წლების განმავლობაში წარმოადგენს საკრედიტო სისტემის შექმნა და შემდეგ მისი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან გაერთიანება. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის ჩვენში უკვე არსებობდა 120 საკრედიტო ამხანაგობა 33060 წევრით, 1926 წ. 1 ოქტ. 102 ამხ. 42.930 წევრით. სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან ერთად ვხედავთ შემდეგ მდგომარეობას: 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოში არსებობდა 275 სას.-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობა 71.103 წევრით და 1926 წ. 1 ოქტომ-

ბრისათვის, ე. ი. ერთი წლის შემდეგ კი იყო 225 ამხანაგობა 82190 წევრით. აქ ვხედავთ, რომ ამხანაგობათა რიცხვმა დაიკლო 50 ით, მხოლოდ წევრთა რიცხვი კი გაიზარდა ყველა ამხანაგობებში 11.087 წევრით. ამხანაგობების რიცხვის შემცირება გამოიწვია ორი სისტემის—სას. სამ. და საკრედიტოს—გაერთიანებამ და ორივე ქსელის გაცხრილვამ. რაც შეეხება წევრთა რიცხვს 82.190 ესეც ვერ ჩაითვლება სავსებით სწორად, რადგან ზოგიერთ რაიონში ერთი და იგივე გლეხი ითვლებოდა როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე საკრედიტო ამხანაგობის წევრად. ეს ეხება 1926 წელს, ეხლა კი ასეთი მდგომარეობა გამოკეთებულია სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის საბოლოო გაერთიანების შემდეგ.

საკრედიტო და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის გაერთიანებამ გააჯანსაღა ქვედა ქსელი გაერთიანებულ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემისა და შექმნა სრული სახე ნამდვილი გლეხური კოოპერატივისა, რომელიც ერთის მხრით აწვდის გლეხს სესხს საკუთარ მეურნეობის მოსაწყობათა და ამასთანავე უსაღებს მას თავის ნაწარმოებს ხელსაყრელ და სასარგებლო პირობებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წევრთა მეურნეობის მდგომარეობას დავინახავთ შემდეგი ცხრილიდან.

ნათესების მიხედვით.

	1	2	3	4	5	6	7
წევრთა რაოდენობა	არა აქვს ნათესი	1/4—3/4 დ.	1 დეს.	1—2 დეს.	2—4 დეს.	4—6 დეს.	6—8 დეს
19969	1441	325	6168	6728	3866	1168	273

ვენახების მიხედვით.

წევრთა რაოდენობა	სულ არ აქვს	1/4 დ.	1/4—1/2 დ.	1/2—1 დ.	1—2 დ.	2 დეს. მეტი
16256	5889	4661	3576	1651	421	58

მუშა საქონლის მიხედვით.

წევრთა რაოდენობა.	არა აქვს	1	2	3	4	4-ზე მეტი
19106	6137	4696	5498	1391	1009	375

მეწველი საქონლის მიხედვით.

წევრთა რაოდენობა	არა აქვს	1	2	3	4	4-ზე მეტი
19071	8081	7509	2230	817	210	224

ბალების მიხედვით.

წევრთა რაოდენობა	არა აქვს	1/4—1/2 დეს.	1/2—1 დეს.	1—2 დეს.	2-ზე მეტი
10465	7778	1897	206	415	169

თუ მოყვანილ ცხრილს გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ დიდი უმრავლესობა წევრებისა ღარიბებია, შემდეგ მოდის საშუალო გლეხები, შეძლებულები კი ერთობ უმნიშვნელოა და შეადგენენ ძალზე მცირე პროცენტს ღარიბსა და საშუალო გლეხებთან შედარებით.

თუ სხვადასხვა სახის ამხანაგობების საქმიანობას შევადარებთ, მივიღებთ შემდეგ ცხრილს:

	სას.-სამ. საკრ. ამხ-ბა	სას.-სამ. ამხანაგობა	მეცხვარეთა ამხანაგობა	მეღორნეთა ამხანაგობა	მერძევეთა არტელი
1. საშუალოდ თითო ამხ-ბა აერთიანებს წევრებს	648	386	2168	452	132
2. საშუალო ბალანსის ჯამი თითო ამხანაგობაზე	79.089	46.965	332320	327473	17.772
3. საპაიო თანხა თითო ამხ-ბაზე . . .	5.428	330	14.309	3.315	1.218
ა) თვითეულ წევრზე	8,4	0,8	6,6	7,3	9
4) საკუთარი თანხა თითო ამხ-ზე მოდის	4.435	17.203	41.908	110377	8.821
ა) თითო წევრზე მოდის	6,8	44,5	19	244	67
5. საქონ. ბრუნვა თითო ამხ-ზე მოდის	50.439	66.611	78.452	513164	84.007
ა) თითო წევრზე მოდის	77,8	172,5	362	1135	636

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ საპაიო და საკუთარი თანხების დაგროვების და სოფლის მეურნეობის ნაწარმოების მიწოდება გასაღების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მერძევეთა არტელს. კოოპერატიულად შეკავშირების და ბალან-

სის ჯამის სიდიდის მხრივ—მეცხვარეთა და მეღვინეთა ამხანაგობებს. საქონლის გასაღების ხვედრითი წონის მიხედვით კი—პირველი ადგილი მეცხვარეთა ამხანაგობებს ეკუთვნის, შემდეგ მეღვინეებს, სას.-სამ. ამხანაგობებს და უკანასკნელი ადგილი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებს.

სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით დღემდე კოოპერატიულათ შეკავშირებული გლეხური მეურნეობები შემდეგ სურათს წარმოადგენენ.

მეთამბაქეობა	90%,
ბამბა	100%,
აბრეშუმის პარკი	30%,
ხილი	20%,
ღვინო	35%,
რძე და რძის ნაწარმოები	20%,
მატყლი	100%,

გარდა აღნიშნულ ქსელისა, დღეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში შედის აჭარისტანის წარმოკავშირი, ოსეთის სას.-სამ. კოოპერაციის კავშირი და მეღვინე-მევენახეთა საქართველოს ცენტრალური კავშირი—"საქართველოს ღვინო".

სას.-სამ. კოოპერაციის „სოფლის კავშირი"-ს მოღვაწეობა.

გარდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ხელმძღვანელობისა, „სოფლის კავშირი", როგორც ცენტრი საქართველოს გლეხური კოოპერაციისა, ეწევა შემდეგ დამოუკიდებელ საქმიანობას:

1. **აგრიკულტურულ სფეროში** აქვს კახეთში, სოხელდობრ მუკუზანსა და გურჯაანში სათბურები და სანერგეები, წელს მან დაარიგა გლეხობაში, 245.986 ნამყენი ვაზი და 200675 მეტრი მწარე დასამყენი ლერწი.

ასეთივე მუშაობა სწარმოებდა მეხილეობის საქმეშიც. „სოფლის კავშირს" აქვს ხილის სანერგეც სოფ. ციხის ძირში, საიდანაც მიმდინარე წელს მიაწოდა მან გლეხებს ხეხილის ნერგები:

I-ლი ხარისხის	10.224	ლერი
II-რე „	2.216	„
III-ე „	3.725	„
სულ	16.165	ლერი

აგრიკულტურული მუშაობა სწარმოებს აგრეთვე მეთამბაქეობის დარგშიც, სადაც ეხლა მუშაობს 3 ინსტრუქტორი-სპეციალისტი. აღნიშნული სპეციალისტები ასწავლიან 60-მდე გლეხს. საწყობებში თამბაქოს მოვლას დაკრეფას, დახარისხებას და შენახვას სტანდარტის მიხედვით.

2 მომარაგება. 1927 წ. 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე სოფლის კავშირმა შეიძინა: (იხ. ცხრ. 84 გვ.).

აქედან სჩანს, რომ სულ 8 თვის განმავლობაში სოფლის კავშირს შეუძენია გლეხობისათვის 1:091.324 მან. ღირებული იარაღ-მანქანები და სხვა საქონელი.

№№ რიგზე	საქონლის დასახელება	ჯამი ნაღდ ფასებში
1	სას.-სამ. იარაღ-მანქანები (ტრაქტორები და სხვ.)	600.000
2	მერძეობის ინვენტარი (სეპარატორი და სხვა)	674—85
3	მავნებლებთან საბრძოლველი მასალა	447.000—
4	პურეულობა	42.649—38
	სულ	1.091.324—23

ამავე 8 თვის განმავლობაში მიაწოდა საწარმოო ხასიათის საქონელი:

№№ რიგზე	ორგანიზაციის დასახელება	ჯამი გასაყიდ ფასებში	%%-ში
1	სასოფლო-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციებს	1.111.918	99,3
2	სახელმწიფო ორგანიზაციებს და ტრეს.	6.667	0,6
3	სამომხმარებლო კოოპერაციას	409	0,1
	სულ	1.118.994	100

მაშასადამე, 8 თვის განმავლობაში სოფლის კავშირს გადაუცია კოოპერატივებისათვის 1.118.994 მანეთათ ღირებული სხვადასხვა სახის იარაღ-მანქანები და საქონელი; მათი დიდი ნაწილი გრძელვადიანი სესხადაა გაცემული.

სოფლის ნაწარმოების გასაღება. უკანასკნელ საოპერაციო წლის განმავლობაში „სოფლის კავშირმა" დაამზადა და გაასაღა გლეხის მეურნეობის შემდეგი ნაწარმოები (იხ. ცხრ. 85 გვ.):

ვის მიჰყიდა აღნიშნული ნაწარმოები?

3.271.572 მან. სახელმწიფო დაწესებულებებს.

98.500 მან. კი კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი დაკავშირებულია სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან. მაშასადამე, სდგას მტკიცე ნიადაგზე.

№№ რიგზე	რა დაამზადა	რაოდენობა	ღირებულება
1	აბრეშუმის პარკი	34.526 ფ.	820.000 მ.
2	მატყლი	76.609	1.457.476
3	ხილი	17.080	49.697
4	თამბაქო	41.064	561.674
5	არაყი	1.282.476	420.217
6	თხილი	33.709	16.907
7	დაფნის ფოთოლი	1.195	3.189
8	ნაწლავები	—	30.000
	სულ		3.362.000

ნაწარმოების გასაღების ოპერაციებმა სოფლის კავშირს მისცა სულ 47.000 მანეთი, რაც უდრის ბრუნვის 1,8% დანარიცხი პროცენტი „სოფლის კავშირის" სასარგებლოდ არ აღემატებოდა $2^1/_2$ პროცენტს აპარატის შესანახათ, რაც იდეალურად უნდა ჩაითვალოს.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს შემდეგი:

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაცია საქართველოში იმყოფება გაჟურჩქვნის, გაჯანსაღების და ჩამოყალიბების პერიოდში. თავისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში მან შესძლო შეეკავშირებია რამოდენიმე ათი ათასი მშრომელი ღარიბი გლეხის მეურნეობა და აღმოეჩინა მათთვის დახმარება, როგორც სესხების მიწოდების, აგრეთვე ნაწარმოების დამზადებისა და გასაღების საქმეში. მომავალ მისი მუშაობა მიმართული უნდა იქნეს მშრომელი ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობის ასაყვავებლათ, სპეციალური კულტურების გასაშენებლათ, სოფლად იარაღ-მანქანების მისაწოდებლათ და საერთოდ ისეთი მდგომარეობის შესაქმნელად, რომელიც საშუალებას მისცემს მშრომელ გლეხობას არ ჩავარდეს კულაკებისა და სოფლის ჩარჩების ხელში.

კოლექტიური მეურნეობანი საქართველოში.

კოლექტიურ მეურნეობის განვითარებას ჩვენში არა აქვს დიდი ხნის ისტორია, არც არავითარი ხელმძღვანელობა ყოფილა რომელიმე ორგანიზაციის მიერ მათ მიმართ. მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, კოლექტიური მეურნეობანი სტიქიურად აღმოცენდენ და განვითარდენ. ჩვენში არსებობს 3 სახე კოლექტივებისა: კომუნები, არტელები და მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები.

ქვევით მოყვანილ ცხრილიდან დავინახავთ ჩვენ მათ მდგომარეობას:

მეურნეობის სახე	კოლექტიურ ორგანიზ. რიც.	წევრთა რიცხვი (კომლობრივ)	სოც. შემადგ.		პარტ. შემადგ. (მოსახტ. მიხ.)		
			ღარიბი	საშუალო შეძლების	კომ. პარტ. წევრი	კომ. კავ.	ჯამარტი
კომუნები . . .	7	102	85	17	33	53	127
არტელები . . .	19	157	113	44	23	10	124
ამხანაგობები . . .	59	1195	866	329	147	72	976
სულ . .	85	1454	1064	390	203	135	1227
%%-ში . .			73%	27%	21,6%		78,4%

კოლექტივების მეურნეობა

მეურნეობათა სახესა და მის რაოდენობას შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს: (იხ. ცხ. 87 გვ.).

მიღებულ ცნობებიდან ირკვევა, რომ საქართველოში არსებულ ყველა სახის კოლექტიურ მეურნეობებს ერთად აქვთ: $1799^{14}/_{40}$ დ. მიწა, რომელიც ასე ნაწილდება: ვენახი — $45^{1}/_{12}$ დეს., ხორბალი — 415 დეს., ბამბა — 39 დეს., თამბაქო — 34 დეს., ბაღ-ბოსტანი — $87^{9}/_{20}$ დეს., სათიბი — $310^{3}/_{4}$ დეს., ლუფა — $8^{1}/_{4}$ დეს., ჩაი — $22^{7}/_{8}$ დეს., სახნავი — $643^{7}/_{12}$ დეს., ტყე — $31^{5}/_{6}$ დეს., სიმინდი — 30 დეს., ნამყენი ვაზი — 968.000 ძირი. ნამყენი მანდარინა — 34.200 ძირი, ფუტკარი — 454 ძირი, ხახვი — 3 დეს., კარტოფილი — $^{1}/_{2}$ დეს., ჯაგნარი — 48 დეს. და მზესუმზირა — 80 დეს.

ცხადია, რომ მანქანა-იარაღების ეს რაოდენობა 85 კოლექტიური ერთეულისათვის ერთობ მცირეა: ამისთვის საჭიროა, რათა მომავალ მუშაობაში ერთ-ერთ მთავარ ამოცანას მეურნეობისათვის საჭირო მანქანა იარაღების შეძენა შეადგენდეს (იხ. ცხრ. 87 გვ.).

კოლექტივების მიერ აღებული სესხი. ახლად დაარსებულ კოლექტიურ-მეურნეობათა ასაღორძინებლად საჭირო იყო საკმაოდ დიდი თანხები და რადგან თვითონ მეურნეობებს ეს სახსარი არ გააჩნდათ, ამიტომ მათ აიღეს სესხი, რომლის რაოდენობაც ასე ნაწილდება:

1. კომუნების მიერ აღებული სესხი		112,097 მ. 70 კ.
2. არტელების	„	20.997 მ.
3. ამხანაგობათა	„	33.147 მ.
	სულ . . .	166.241 მ. 70 კ.

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების განვითარება ჩვენში დამოკიდებულია სათანადო ხელმძღვანელ ორგანოს არსებობასა და სესხებზე. ახლო მომავალში მოიწვევენ საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა წარმომადგენლების

კოლექტიური მეურნეობის სახე	ვენახი	ხორბალი	ბამბა	თამბაქო	ბალ-ბოსტ.	სათიბი	ლუფა	ჩაი	საძოვარი	ტყე	სიმინდი	ნამყენი ვაზი (ძირი)	ნამყენი მან-დარინა (ძირი)	ფუტკარი (ბირი)	ხახვი	კარტოფილი	ჯეჯნარი	მზესუმზირა	სულ
კომუნა	$14\frac{1}{2}$	412	—	—	$39\frac{1}{2}$	$163\frac{1}{4}$	—	—	—	4	18	—	—	199	—	—	26	80	$757\frac{1}{4}$
არტელი	20	3	39	$12\frac{1}{2}$	35	$109\frac{1}{2}$	—	$3\frac{5}{8}$	$292\frac{1}{4}$	$24\frac{1}{2}$	12	45000	—	—	$3\frac{1}{2}$	8	—		$562\frac{7}{8}$
ამხანაგობა	$10\frac{7}{12}$	—	—	$21\frac{1}{2}$	$12\frac{19}{20}$	38	$8\frac{1}{4}$	$19\frac{1}{4}$	$351\frac{1}{3}$	$3\frac{1}{2}$	—	923000	34200	255	—	—	14	—	$479\frac{1}{5}$
სულ . .	$45\frac{1}{12}$	415	39	34	$87\frac{9}{20}$	$310\frac{3}{4}$	$8\frac{1}{4}$	$22\frac{7}{8}$	$643\frac{7}{12}$	$31\frac{5}{6}$	30	968000	34200	454	$3\frac{1}{2}$	8	48	80	$1799\frac{13}{40}$

კოლექტიურ მეურნეობათა მანქანა-იარაღები.

კოლექტიური მეურნეობ. სახე	ტრაქტორი	ტრიერი	სალიწი მანქანა	გუთანი	ვეფხორეულ ასარატი	ყველნის საწურავი	სათიბი მან.	სიმ. საცეხვი მანქანა	კულტივატ.	თივის სალ. მანქანა	ლაწანის ფარცები	გოგ. საბერ.	სარწ. მან.	სათესი მან.	ანრეულ სა-ფდელი	სამკელი მანქანა	სეპარატორი	ფარდული
კომუნა	3	4	2	17	13	—	3	—	—	—	8	—	—	—	1	3	3	—
არტელი	6	3	3	32	26	3	4	1	5	2	9	1	3	4	2	—	—	3
ამხანაგობა	5	2	—	6	—	—	3	—	2	—	4	—	—	—	—	—	—	—
სულ . .	14	9	5	45	39	3	10	1	7	2	21	1	3	4	3	3	3	3

კოლექტივების ოთხფეხი საქონელი

კოლექტიური მეურნეობის სახე	ცხენი	ხარი	ძროხა	ცხვარი	კამეჩი	მოზვები	ხბო	ღორი	დეკეული
კომუნა	30	65	79	173	17	33	62	69	—
არტელი	39	2	6	—	2	2	1	—	2
ამხანაგობა	2	—	—	—	—	—	—	—	—
სულ . . .	71	67	85	173	19	35	63	69	2

ყრილობას, სადაც არჩეული იქნება ხელმძღვანელი ორგანოები. კოლექტივების საქმიანობას უხელმძღვანელებს სექცია, რომელიც იარსებებს სოფლის კავშირთან.

მომავალი მუშაობა კოლექტივებში იწარმოებს მათ ჩამოსაყალიბებლად და გასაჯანსაღებლად, მშრომელი გლეხობის მეურნეობის მოსაწყობად, სოფლის მეურნეობაში კულტურის შესატანად.

III საბინაო კოოპერაცია საქართველოში.

1 ხაბინაო-საიჯარო ამხანაგობები.

საბინაო-საიჯარო კოოპერაციას საქართველოში არა აქვს დიდი ხნის ისტორია. ამ დარგში მხოლოდ 1926 წლის დასაწყისიდან იწყება სერიოზული საორგანიზაციო-საინსტრუქციო მუშაობა. უკანასკნელ ხანებში დამთავრდა პირველი გამოკვლევა ყველა ამხანაგობებისა, გამოირკვა შემდეგი:

ყველაზედ მეტი რაოდენობა ამხანაგობებისა მოთავსებულია ტფილისში, რიცხვით 214; რაც შეეხება მაზრებს, იქ არსებობს 30 ამხანაგობა. ტფილისში არსებულ 214 ამხანაგობაში გაერთიანებულია 3280 წევრი 14.000 მოსახლით.

წევრების სოციალური მდგომარეობა ამხანაგობებში ასეთია: 3280 წევრიდან მუშებია 35,2%, მოსამსახურენი 56,0%, შინამრეწველნი 2,8%, თავისუფალი პროფესიის პირნი 2, 5%, მასწავლებელნი 2,5% და ინვალიდები 1%.

მთავარი შემოსავალი წყარო ამხანაგობებისა არის ბინის ქირა. ეს აშკარა შეიქნება თუ ჩვენ განვიხილავთ 70 გამოკვლეულ ამხანაგობის მასალას. აღნიშნული ამხანაგობების თვიური შემოსავალი უდრის სულ 8.116 მანეთს, რომელშიაც ბინის ქირა შეადგენს 94,9%-ს, დარაბებიდან გადმონარიცხი უდრის 1,9%-ს სავაჭრო-სამრეწველო სადგომის საიჯარო გადასახადი კი—1,4% და სხვა დანარჩენი 1,8%. აქედან ცხადია, რომ მთავარ და თითქმის ერთად-ერთ შემოსავალს შეადგენს ბინის ქირა.

ისმება კითხვა, ვინ არის მობინადრე და რამდენი შემოუდის ამხანაგობას ქირის სახით. იმავე გამოკვლევას თუ მივმართავთ, მივიღებთ, რომ 5116 მცხოვრებლებიდან საცხოვრებელი მოედნის 1 კვადრატულ მეტრზე იხდის 5 კაპ. მცხოვრებთა 11,5%, 5-10 კაპ. 10,6%, 10 დან 15-კაპ. 20,5%; 15 დან 25 —29,4%, 25 დან 50 კაპ.—33,3%; 50 დან 75 კაპ.—0,9% და 75 კაპ.—0,8%.

მობინადრეების დიდ რაოდენობას წარმოადგენენ მუშა-მოსამსახურენი თვიური ხელფასით 70-150 მანეთამდე; ესენი შეადგენენ გადამხდელების 85,9%.

გამოკვლევიდან ისიც აშკარა გახდა, რომ შემოსავლის დიდი ნაწილი სახლების შეკეთებას კი არ ხმარდება, არამედ სხვა ხარჯებს. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

2. საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობები.

საქართველოს საბინაო კოოპერაცია შესდგება საბინაო-საიჯარო და საბინაო-სააღმშენებლო ორგანიზაციებისაგან. პირველის შესახებ ჩვენ ვილაპარაკეთ ზევით ეხლა შევეხებით საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობებს. 1927 წლის პირველ ოქტომბრისათვის საქართველოში სულ ითვლება 32 ამხანაგობა. ამათ შორის ტფილისში 18 და დანარჩენი, რესპუბლიკის სხვა კუთხეებში.

ტფილისში არსებულ 18 ამხანაგობაში გაერთიანებულია 787 წევრი. ამათში მუშებია 352 და მოსამსახურენი 433. მათი საკუთარი თანხაა: საწევრო 3.533 მან., საპაიო—110.242 მან., დოტაცია 88.462 მან., სხვა შემოსავალი 2.272 მან. სულ 204.509 მან. მათ მიერ აღებული გრძელვადიანი სესხი: ადგილობრივი ფონდიდან 708.225 მან., ცენტრალურ კომუნალურ ბანკიდან 203.000 მან. ტფილისის ამხანაგობების მიერ აღებული გრძელვადიანი სესხი სულ უდრის 911.225 მანეთს.

პროვინციაში არსებული 14 ამხანაგობა აერთიანებს 300 წევრს. მათში მუშებია 168 და მოსამსახურენი 132. საკუთარი საშუალებები: საწევრო 1.312 მან., საპაიო 32.139 მან, დოტაცია 7.613 მან. სხვა შემოსავალი 2.903 მან. სულ საკუთარი საშუალება უდრის 43.967 მანეთს. გრძელვადიანი სესხი: ადგილობრივ ფონდიდან 120.459 მან. და რესპუბლიკანურ ფონდიდან 28.517 მანეთი. სულ მათი სესხი უდრის 148 976 მანეთს.

საქართველოს ყველა საბინაო სააღმშენებლო ამხანაგობებში გაერთიანებულია 1087 წევრი. ამათში მუშებია 520 და მოსამსახურენი 567. ყველა ამხანაგობების საწევრო თანხა უდრის 4.845 მანეთს, საპაიო 142 381 მან., დოტაცია 96.075 მან. სხვა შემოსავალი 5.175 მან. სულ ყველა ამხანაგობების საკუთარი საშუალებანი უდრის 248.476 მან. გრძელვადიანი სესხები: ადგილობრივ ფონდიდან 328.684 მან. რესპუბლიკანურ ფონდიდან 28.517 მან., ცენტრალუ კომუნალურ ბანკიდან 203.000 მან. სულ გრძელვადიანი სესხი უდრის 1.060.201 მან. საკუთარ თანხებთან ერთმდ კი—1.308.677 მან.

რაც შეეხება საბინაო მშენებლობას, 1926 წელს ტფილისში ააგეს 20 სახლი, 19 ერთსართულიანი და 1 ორსართულიანი 35 ბინით 82 ოთახით. 1926 წელს აგებულ იქნა ერთი ექვს ოთახიანი სახლი წაღვერში. 1927 წელს აგებულია ტფილისში 8 სახლი, ამათში ორსართულიანი 7 და ერთსართულიანი 1. ბინების რიცხვი 34, ოთახების-88. წაღვერში კი ორი 8 ოთახიანი სახლი. შენდება ეხლა ტფილისში 17 სახლი. ამათში ერთსართულიანი —3, ორსართულიანი 8, სამსართუ-

ლიანი 6. ბინების რიცხვი 101, ოთახების რიცხვი 303. წალვერში და ბაკურიანში აიგო ორი 8 ოთახიანი სახლი.

ასეთი აღმშენებლობა მიმდინარეობს კოოპერაციის საშუალებით. როგორც მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, მშენებლობა ყოველწლიურად იზრდება. კოოპერაციის ამ დარგს, ისე, როგორც სხვა დარგს, დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ყველასათვის აშკარაა, რომ საბინაო მშენებლობა მოითხოვს გრძელვადიან სესხს, რომელიც ყოველწლიურად იზრდება.

IV. სარეწაო კოოპერაცია საქართველოში.

სარეწაო კოოპერაციის ისტორია ჩვენში იწყება 1925 წლიდან, როდესაც მოეწყო საორგანიზაციო ბიურო სარეწაო კოოპერაციისა. 1927 წლის იანვარში საორგანიზაციო ბიურომ მოიწვია რწმუნებულთა ყრილობა და დააარსა კავშირი შინამრეწველობის კოოპერაციისა საქართველოში.

საქართველოს შინამრეწველნი და ხელოსნები აქამდე ორგანიზაციულად შეკავშირებული არ იყვენ. კავშირმა ამ მხრივ სათანადო ნაბიჯი გადასდგა. ეხლა ჩვენ გვაქვს კოოპერატიულად შეკავშირებული 59 საწარმოო კოოპერატიული არტელი. ამათში: საფეიქრო-სატრიკოტაჟო წარმოებას ეწევა 10, კერამიკულ წარმოებას და აგურხანას 3, ხის დამუშავებას 8, ტანსაცმელის კერვას 4, მეტყავეობას 5, პურის ცხობას 5, მესაპნეობას 2, საკრედიტო ხასიათის 6 და სხვადასხვა 16. ყველა არტელები აერთიანებს 2395 წევრს, რომელთა საკუთარი თანხა უდრის 265.144 მანეთს და ნასესხი 252.372 მანეთს.

კავშირის ბალანსი უდრის 455 309 მანეთს. შევიდა რა წევრად საკავშირო სარეწაო კოოპერაციაში, მან მიიღო 50 000 მანეთის სესხი სხვადასხვა ფაბრიკატების სახით. საქართველოს მთავრობამ მისცა 25.000 მანეთი და საკავშირო მთავრობამ კოოპერატიული ფონდიდან 88.000 მანეთი.

სხვა ცნობების მოყვანა სარეწაო კოოპერაციაზე საქართველოში ვერ მოხერხდა, რადგან მისი პირველი საფეხურის ორგანოები ჯერ შეუსწავლელია (საინსტრუქციო აპარატი ეხლა შეუდგა მათ დეტალურ გამოკვლევას). ნიადაგი და მნიშვნელობა სარეწაო კოოპერაციას საქართველოში დიდი აქვს. კავშირის მომავალი მუშაობა მიმართულ უნდა იქნეს დაფანტულ შინამრეწველთა კოოპერატიულად შეკავშირებისაკენ.

ლ. კარგელაშვილი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი მაჩვენებლები.

საქართველოს, ისე, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობა მსოფლიო ომისა და შემდეგი წლების სამოქალაქო ომის შედეგთა ზეგავლენით მნიშვნელოვნათ დაეცა. ის დადებითი პროცესები, რომლებიც ახასიათებდა სახალხო მეურნეობას ომამდის—ომის შემდეგ სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით შეიცვალა. კერძოთ — საქართველოს სახალხო მეურნეობას ამ დროისათვის ახასიათებს: ნათესების არის შემცირება და პროდუქციის დაცემა, ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების ფართობის და მოსავლის მნიშვნელოვანი შეკუმშვა, — პურის კრიზისთან დაკავშირებით — მოქმედების ცენტრის პურეულის თესვაზე გადატანის გამო; მესაქონლეობის და მისგან მიღებულ პროდუქციის, ჩვენი სოფლის ზედმეტი ნაწარმოების გასაღების ბაზრების დაკარგვა და მათი ფასების დაცემა; ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის გაცვეთა — შემცირება მუშაობის უნარის მქონე მოსახლეობის დაკლებასთან ერთად ისეც მცირე რაოდენობის მქონე საწარმოო წამოწყებათა მოქმედების შეკუმშვა და მაღი ნაწილობრივი შეჩერება; ტრანსპორტის და სახალხო კავშირის მოქმედების ნორმალურ კალაპოტს აცდენა და მასთან ერთად შინაურ და საგარეო ბაზრებთან ურთიერთობის შეწყვეტა-შესუსტება; ფულის კურსის შესყიდვითი უნარიანობის დაცემა და მით ბაზარზე შექმნილი ვაკხანალია. აი ის მთავარი შტრიხები, რომელიც ახასიათებს ჩვენს მეურნეობას აღებული პერიოდისათვის.

მაგრამ ნორმალურ პირობების შექმნის შემდეგ — განახლდა მეურნეობაში ძველად შეჩერებული და შეკუმშული შემოქმედებითი მუშაობა და სადღეისოთ ხომ თითქმის საყოველთაოდ მიღწეულ და გადალახულია ის დონე, ის ზღვარი, რომელიც გვქონდა ომამდის; ამას ვხედავთ ყველგან, მეურნეობის ყველა დარგებში, სადაც კი თვალი მიგვიწვდება და რაც კი რიცხვით, წონით და ზომით აღირიცხება, ეხება იგი წარმოებას თუ აღებ-მიცემობას, განაწილებას თუ მოხმარებას.

1. სოფლის მეურნეობა.

დავიწყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციით,[1]) რომელიც აღებული არის 1913 წ. ფასებში (მილ. მანეთობით):

[1]) ამ წერილში მოყვანილი ციფრითი მასალა დამყარებულია საქ. სახ. საგეგ. კომისიაში დაგროვილ ცნობებზე. კერძოთ ამ ცხრილში 1924—25 და 26 წ. ცნობები შესწორებულია დამატებით შეკრებილი მასალის მიხედვით. 1926—27 სამეურნეო ან 1927 წლის ცნობები საყოველთაოდ წინასწარია. ამით უნდა იქნას ახსნილი ის ცვლილებები, რომელიც არის ამ წერილის ციფრითი მასალასა და „საქართველოს ეკონომისტის“ 1926 წ. № 1—2 გამოქვეყნებულ ჩემ წერილებში.

წლები:	მცენარეული	მეცხოველეობა	მთლად
1913	73,7	35,1	108,8
1923	54,4	31,8	86,2
1924	68,0	32,6	100,6
1925	70,7	36,3	107,0
1926	77,2	38,5	115,7
1927	70,4	39,4	109,7

მშვიდობიანი ეროის 108,8 მილ. მანეთად ღირებულ პროდუქციის ნაცვლად, 1925 წლისათვის გვქონდა 115,7 მილ. მანეთი და 1927 წლისათვის კი — 109,7 მილ. მანეთს ვვარაუდობთ, ე. ი. 1913 წლის დონე აქ გადალახულია, ოთუ არა ის სტიქიური მოვლენანი, რომელთაც ჰქონდა ადგილი ჩვენში წრეულს, მოსავლის რაოდენობა — ღირებულება უფრო მეტი გვექნებოდა.

პურეულის ნათესების ფართობი და მოსავალი შემდეგი ციფრებით ხასიათდება:

წ ლ ე ბ ი:	ნათესების ფართობი ათას დესეტინებში	მოსავალი მილ. ფუთ.
1913	810,8	46,7
1919—20	616,3	35,3
1923	608,5	43,3
1924	649,7	37,5
1925	662,2	44,1
1926	669,0	45,7
1927	671,0	44,6

როგორც ნათესების ფართობით, ისე მოსავლის რაოდენობის მიხედვით, 1919 — 20 წ. წ. საგრძნობი გადაჭარბებით არის გადალახული ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, იმ დროს, როდესაც 1913 წელს მოსავალი უთანაბრდება, ხოლო ნათესების ფართობი თითქოს საგრძნობ ჩაჩორჩება (1913 წ. ფართობი გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს — ლ. კ.).

შევეხოთ ეხლა ისეთ ძვირფას ტეხნიკურ კულტურებს, როგორიც არის თამბაქო და ბამბა.

	თამბაქო		ბამბა	
წლები:	დესეტინა	ათას ფუთ.	დესეტინა	ათას ფუთ.
1913	9.652	617,7	7.954	245,2
1918—20	2.300	132,3	—	—
1923	5.100	350,0	300	10,2
1924	8.309	490,2	5.531	231,7
1925	8.444	488,9	6,962	329,3
1926	12.764	735,3	8.187	215,7
1927	12.785	686,3	4.588	172,8

მართალია, 1927 წლისათვის წინა წელთან შედარებით მოსავლის მოსალოდნელი შემცირება გვაქვს ნავარაუდევი, მაგრამ ამის მიუხედავად ისეც საკმაოდ მაღალი ციფრები გვაქვს ამ უკანასკნელი წლებისათვის; თამბაქოს ფართობი წრეევანდლისათვის ხუთჯერ მეტად აღემატება 1918 — 20 წელს, ხოლო სამი ათასი დესეტინით მეტია 1913 წელთან შედარებით. 1926 წელს, გამუდმებული ზრდის შემდეგ, ბამბის ფართობიც სჭარბობდა 13 წელს და მხოლოდ წრეულს გვაქვს მისი ფართობის დაკლება ზევით აღნიშნულ სტიქიურ და ნაწილობრივ კონიუნქტურული პირობების გამო.

ვენახების და ხილის ბაღების ფართობი შარშანდელი წლის დონეზე რჩება, ე. ი. ვენახები არის 34,3 ათ. დეს. რაოდენობით და ბაღმით გაშენებული ხილის ბაღების ფართობი ახალი ცნობებით — 15 ათ. აღემატება. მშვიდობიანი დროის მიმართ ვენახების ფართობი ნაკლებია, — ფილოქსერის მიერ განადგურებული ფართობის აღდგენას ჯერ კიდევ 10 — 15 წელიწადი დასჭირდება, იმ დროს, როდესაც ხილის ბაღების არე ორჯერ მეტად სჭარბობს 1913 წლის დონეს. რაც შეეხება **ჩაის პლანტაციებს** კი აქ ხომ განსაკუთრებული მდგომარეობა გვაქვს, — მათი ფართობი განუწყვეტლივ იზრდება ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში და სადღეისოთ ათას ხუთას დესეტინას აღწევს წინააღმდეგ მშვიდობიანი დროის 800 დესეტინის.

თუ თვალს გადავავლებთ მესაქონლეობას აქ საკმაო მიღწევები უნდა აღინიშნოს. საქონლის საერთო რიცხვი გამუდმებით მატულობს და უკვე გასცილია მშვიდობიანი დროის დონეს; მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ღორი, ცხვარი და იხა საგრძნობ აღემატება 1913 წლის რაოდენობას და მხოლოდ ცხენის და ვირის რიცხვი ჩამორჩება მას.

თუ არა საძოვრების სიმცირე, უნდა ვიფიქროთ, რომ საქონლის ზრდა და მათი აბსოლიუტური სიდიდე უფრო დიდ რიცხვში გამოიხატებოდა.

საქონლის რაოდენობა—ათას სულობით.

წლები:	ცხენი	მსხვ. რქ. საქონელი	ვირი, ჯორი აქლემი	ცხვარი და თხა	ღორი	სულ
1913*)	110,6	1.161,8	29,2	1.705,9	280,6	3289,1
1917**)	88,1	1.185,8	14,2	1.611,3	356,2	3256,3
1923**)	74,9	1.145,0	15,0	1.015,4	393,5	2643,8
1924***)	81,4	1.273,7	21,8	1.784,4	410,0	3571,3
1925	82,9	1.320,2	22,2	1.874,9	447,5	3747,7
1926	93,6	1.400,2	22,3	1.989,2	537,0	4042,3
1927	94,9	1.441,9	22,5	2.091,2	586,4	4236,9

*) ნეიტრალური ზონის გამოკლებით.
**) აღწერის ჯამები.
***) 1924 წ. მასალა მოცემულია შესწორებული ცხრილებით.

მნიშვნელოვანი ზრდა და მიღწევები ახასიათებს აგრეთვე ჩვენს მეაბრეშუმეობას, როგორც გამოცოცხლებული თესლის რაოდენობით, ისე აკრეფილ ჭიის პარკის მიხედვით.

წლები:	გაცოცხლდა ათასი კოლოფი	აიკრიფა პარკი ათასი ფუთი
1910—13	119	136
1914—17	66	79
1918—20	33	37
1921	55	85
1922	36	50
1923	58—63	100
1924	104	139
1925	87	143
1926	105	160
1927	108	145

მეაბრეშუმეობის პროდუქციის მხრივ გავცილდით მშვიდობიან დროს, ოდჯელ გადავაჭარბეთ ომიანობის წლებს, სამნახევარჯელ მეტათ — მენშევიკურ პერიოდს, და თუ არა უამინდობა — 1927 წ. მოსავალი სარეკორდო ციფრში უნდა გამოხატულიყო.

ამნაირად, სოფლის მეურნეობის ყველა მთავარ დარგებში წარმოების საყოველთაო ზრდა-განვითარება და ახალ-ახალი მიღწევები გვაქვს უკანასკნელი წლებისათვის.

ისმის კითხვა — მერე რა მამოძრავებელი ძალები უწყობდა ხელს სოფლის მეურნეობის აღნიშნულ განმტკიცებას და მიღწევებს; აქ ბევრის დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ უმთავრესი იყო: ჩატარებული აგრარული რეფორმა, მოსახლეობაში აგროცოდნის გავრცელება, წარმოებული სამელიორაციო სამუშაო, სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებით და საჭირო წამლეულით მომარაგების გაძლიერება, სას.-სამ. სესხი და ის კაპიტალური დაბანდებანი, რომელიც არის გაწეული ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაგ. 1924 — 25 წ. გაწეული კაპიტალური დაბანდება 1,2 მილ. მან. უდრის 25 — 26 წ. 2,7 მილ. მან. და 26 — 27 წელს — კი უკვე 4,3 მილ. მან. სოფლის მეურნეობისათვის საბანკო ხაზით გაცემული სესხის ნაშთი 1925 წ. 1 ოქტომბერს 7,2 მილ. მან. უდრის, 1926 წ. 1 ოქტომბერს — 5,9 მილ. მან. და 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის — 8,2 მილ. მან.

11. სოფლის მეურნეობის ნაწარმოების დამზადება.

სოფლის მეურნეობის ცალ-ცალკე მთავარ დარგთა და მთელი მისი პროდუქციის საერთო ღირებულების განხილვა გვიჩვენებს, რომ მას მნიშვნელოვანი მიღწევები ახასიათებს თავის აღდგენა-განვითარების მხრივ. პროდუქციის ღირებულების იმ გამუდმებულ მატებასთან ერთად, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, გამუდმებულ მატებას იძლევა აგრეთვე მისი სასაქონლო ნაწილი და განსაზოგადოებული სექტორის მიერ (სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები) ამ სასაქონლო ნაწილის მასიდან მნიშვნელოვანი წილის შესყიდვა-დამზადება, რაც ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარების განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულება (თანამედროვე შეფასებით), მისი სასაქონლო ნაწილის განვითარება და ამ სასაქონლო მასიდან სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ შესყიდული საქონლის ღირებულება შემდეგია:

წ ლ ე ბ ი	მილ. ჩერ. მანეთებში საერთო პროდუქცია	სასაქონლო ნაწილი	დამზადება სახელ.—კოოპ.*)
1924	229,0	54,4	18,3
1925	263,9	59,4	26,0
1926	282,7	60,2	—
1927	278,8	62,9	—

*) აღებულია სამეურნეო წლები: 24-25 და 25-26 წ. წ.; 26-27 წ. ცნობებიარ აქვს.

ტენდენციები — ნათელია. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ზრდასთან ერთად გამუდმებით მატულობს ის საქონლის ნაწილი ანუ ბაზარზე გასატანი რაოდენობა (გარდა გლეხების შინაური ყიდვა-გაყიდვისა), რომელიც გლეხს ზედმეტად მოჰყავს და რომლითაც უნდა დააკმაყოფილოს თავისი მრავალფეროვანი მოთხოვნილებანი, იქნება ეს ჩაცმა-დახურვა თუ სხვა. რაც შეეხება მარტო მსხვილ-კოოპერატიულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა მიერ დამზადებულ სოფლის ნაწარმოების საერთო ღირებულებას, იგი საკმაოდ მაღალი ციფრით იხატება, მას ახასიათებს ინტენსიური ზრდა და მასთან ერთად პროდუქციის სასაქონლო ნაწილის მნიშვნელოვან %% შეადგენს. თუ მხედველობაში ვიქონიებთ აგრეთვე დაბალი კოოპერაციის იმ დამზადებას, რომელიც აღრიცხვაში არ შედის — საერთო მიღწევები უფრო ნათელი იქნება სოფლის ნაწარმის რეალიზაციის დარგში.

ყურადღებას იქცევს აქ აგრეთვე თვით სოფლის მეურნეობის შინაური ჭოხმარების ციფრის სტაბილიზაცია უკანასკნელი წლებისათვის, — რომელიც თუ 24 წელს 175 მილ. მან. უდრიდა, 25 წ. 205 მილ. მანეთამდის ადის, 26 წელს 214 მილ. მან. შეადგენს და 27 წლისათვის კი 217 მილ. მან. აღწევს, ე. ი. იგი ერთ დონეზე ჩერდება. რაც იმის მაჩვენებელია, რომ შემდეგი წლების პროდუქციის მოსალოდნელი ზრდა მის სასაქონლო ნაწილის გადიდებისაკენ უნდა განვითარდეს უმთავრესად და მით გაძლიერდეს სოფლის მოსახლეობის შესყიდვით-გადამხდელობითი უნარიანობაც.

მერე რა უწყობდა ხელს სოფლის ნაწარმის სასაქონლო ნაწილის ზრდას და მის რეალიზაციას? ზოგიერთი ამის მიზეზები ზევით დავასახელეთ, — ეხლა შევჩერდებით სხვა მთავარ მიზეზებზე, ეს იყო: ტექნიკური კულტურების და მესაქონლეობის ინტენსიური ზრდა; სოფლის ნაწარმოების რეალიზაციის პირობათა გაუმჯობესება — სოფლის ნაწარმოების ფასების აწევის და „მაკრატლის წვერები"-ს პრობლემის მნიშვნელოვნათ გადაჭრის სახით; საზღვარგარეთთან და უმთავრესად-კი საბჭოთა რესპუბლიკებთან ომიანობის და რევოლიუციის შედეგთა ზეგავლენით შეწყვეტილი ეკონომიური და კერძოთ — სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა, და მით ჩვენი ნაწარმის გასაღების ბაზრის გაფართოება; შინაური ბაზრის გაუმჯობესება და მოსახლეობის შესყიდვითი უნარიანობის ზრდა, სავაჭრო ქსელის და ვაჭრობის წარმოების პირობათა საერთო გაჯანსაღების პირობებში; ჩვენი და მოკავშირე რესპუბლიკათა მრეწველობის აღდგენა და მრეწველობის ახალ-ახალი მიღწევები, რაც აფართოებს და ამტკიცებს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზას (ბამბა, თამბაქო, აბრეშუმის პარკი, მატყლი, ტყავი და სხვა); სოფლის ნაწარმოების დამამზადებელ სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ფინანსიურ-ორგანიზაციული გაძლიერება და მით ხელის შეწყობა სოფლის ნაწარმის დამზადებისათვის; საკრედიტო დაწესებულებათა მოქმედების გაღრმავება და ხელის შეწყობა დამზადების წარმოებისათვის; კერძო თაოსნობის გამოყენება ზოგიერთ ისეთი საგნების დამზადებაში, რომლის შეძენა სრულიად ან საკმაოთ არ შეეძლო ჩვენ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათ.

თუ თვალს გადავავლებთ ზოგიერთ ცალ-ცალკე საგნების დამზადებას განზოგადოებული სექტორის მხრივ, — აქ შემდეგს ვხედავთ.

ფოთლოვანი თამბაქოს დამზადება მთლად განსაზოგადოებულ სექტორის ხელში იმყოფება. დამზადებული ფოთლოვანი თამბაქოს რაოდენობა უდრიდა: 1923 წ. 85 ათ. ფუთს, 1924 წელს 240 ათ. ფუთს, 1924 — 25 წ. 442,9 ათ. 1925 — 26 წელს 555,4 ათ. და 26 — 27 წლის გასული თერთმეტი თვის განმავლობაში (ამ ნაწილში ყველგან ოქტომბერ-აგვისტო გვაქვს აღებული) 673,1 ათ. ფ., ე. ი. მისი შესყიდვა გამუდმებით მატულობს, პროდუქციის იმ გამუდმებულ ზრდასთან ერთად, რაც ზევით აღვნიშნეთ. დამზადებული თამბაქოს ნაწილი ადგილობრივ მუშავდება, ხოლო უდიდესი ნაწილი საბჭოთა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ იზიდება.

ბამბის დამზადებას თითქმის მთლად სახელმწიფო ორგანიზაციები აწარმოებენ; მისი შესყიდვა ხდება მტკიცე ფასებში და მწარმოებელთ ნაწარმის ღირებულებაში სურვილისამებრ—ნაწილობრივ ფართალი და ხორბალი ეძლევათ დაკლებულ ფასებში. ბამბის დამზადება ასეთ სურათს გვაძლევს: 1923 წ. შესყიდულია 8,5 ათ. ფუთი გაუწმენდელი ბამბა. 1924 წელს 85,5 ათ. ფუთი. 24-25 წ. 123.6 ათ. ფ., 25 — 26 წ. 152,2 ათ. ფ. და 26 — 27 წელს-კი 132 ათ. ფ.. აქაც დამზადების გამუდმებული ზრდა გვაქვს, გარდა უკანასკნელის, რომლის შემცირებაც მთლად 1926 წლის მოსავლის შემცირებასთან არის დაკავშირებული. ნედლი ბამბის გადამუშავება სწარმოებს ადგილობრივ ქარხნებში; მიღებული ბეწვი უმეტესად საბჭოთა რესპუბლიკებში იზრდება, ხოლო ბამბის კურკა (თესლი) ჩვენი საპნის ქარხნებში მუშავდება.

ღვინის და სპირტის დამზადებაში თუმცა კერძო ინიციატივა საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, მაგრამ არა ნაკლები ციფრებით იხატება აგრეთვე სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა როლი — მის შესყიდვაში. მათ მიერ შესყიდული სპირტეული სასმელის რაოდენობა შემდეგ ციფრებშია მოცემული:

წ ლ ე ბ ი:	ღვინო—ათ. ვედ.	სპირტი—ათ. გრად.
1924—25	446,5	829,4
1925—26	961,3	2.905,7
1926—27	274,1	3.209,6

სპირტისა და არაყის დამზადება ამ სამი წლის განმავლობაში ოთხჯერ მეტად იზრდება. ზრდას იძლევა აგრეთვე ღვინის შესყიდვა, რომლის 27 წ. დაბალი ციფრი უნდა აიხსნას—ერთი მხრივ იმით, რომ აქ არ შედის დაბალი კოოპერაციის დამზადება, რომელიც წინა წლებისათვის აღებული გვაქვს და მეორეც — მის ბაზარზე არსებული დეპრესიით, რომელიც ამ უკანასკნელ თვეებში მაღალი კონიუნქტურით შეიცვალა.

ხილეულის დამზადებაც მაღალი ციფრებით იხატება:

წლები:	ვაშლი—ათ. ფ.	თხილი და კაკალი ათ. ფ.	ნარინჯი ათ. ც.
1924—25	264,1	56,8	11.689,3
1925—26	134,4	64,0	281,8
1926—27	119,6	42,6	7.309,0

წრეულს ხილის მოსავალს საკმაოდ ხელსაყრელი ბაზარი აქვს და თუ არა მოსავლის დაცემა 26 — 27 წ. დამზადება მაღალ ციფრებში უნდა გამოხატულიყო. დამზადებული ხილეულის გასაღების მთავარ ბაზარს კვლავ საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს. კერძო თაოსნობის მონაწილეობა აქაც ძლიერია, რომელიც უმეტეს წილათ თვით საქართველოს ფარგლებში აწარმოებს დამზადებულ ხილის გასაღებას.

ჩაის შესყიდვა, იმ განსაკუთრებული ყურადღების გამო, რომელიც მას აქვს მიქცეული ჩვენს საქმიანობაში — გამუდმებით იზრდება. ზრდას გვაძლევს აგრეთვე **დაფნის ფოთოლის** შესყიდვა — რომელიც თითქმის მთლად იყო განადგურებული წარსულ წლებში. შესაფერისი ციფრები ასეთია:

წლები:	ნედლი ჩაი — ათ. გირ.	დაფნის ფოთ.—ათ. ფუთი
1924—25	229,8	ცნ. არ არის
1925—26	609,1	23,5
1926—27	2054,7	38,5

დამზადების საერთო განვითარებას **არც მეცხოველეობის** პროდუქციის შესყიდვა ჩამორჩება, იმ საერთო განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც ზევით აღვნიშნეთ მეცხოველეობისათვის.

მეცხოველეობის მთავარ პროდუქტების შესყიდვის სურათი ასეთია:

წლები:	მატყლი—ათ. ფ.	აბრ. პარკი—ათ. ფ.	მსხვ. ტყავი ათ. ცალი	წვრ. ტყ. ათ. ცალი	ბეწვეული ათ. ცალი
1924—25	75,3	109,7	52,6	17,2	21,7
1925—26	87,3	139,0	60,3	41,8	25,6
1926—27	89,2	111,5	49,1	47,4	35,8

დასახელებული პროდუქტების გასაღების პირობები საერთოდ დამაკმაყოფილებელია; კერძო თაოსნობის მონაწილეობა უმეტესად შინახელოსნურ წარმოების საჭიროებისათვის — საგრძნობ ციფრებში იხატება. დამზადებული ნაწარმის უდიდესი ნაწილი ადგილობრივ და საბჭოთა რესპუბლიკების საწარმოო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდება და ნაწილობრივ კი საზღვარგარეთ იზიდება.

ერთი სიტყვით, რომელი საგნის შესყიდვა — რეალიზაციის განხილვასაც კი მოვკიდებთ ხელს, ყველგან საკმაო მიღწევებს ვამჩნევთ, — რაც მთავარი თავდებია ჩვენი სოფლის მეურნეობის ნორმალური განვითარებისა.

III. მრეწველობა.

მრეწველობის განვითარება ჩვენში ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ორი ხაზით მიმდინარეობდა; დაინტერესებულ უწყებათა ყურადღება მიქცეული იყო — ერთის მხრივ — არსებულ წარმოება-დაწესებულებათა მოქმედების გაფართოებისაკენ, მათი მუშაობის დატვირთვისაკენ და არ მომქმედ წამოწყებათა ამუშავებისაკენ, მანქანა-იარაღების შეცვლისა დ შეკეთების საფუძველზე; ხოლო მეორე მხრივ — ახალ წარმოებათა შექმნისაკენ, რომელიც გადაამუშავებდა ადგილობრივ ნედლეულს და შინაურ თუ საგარეო ბაზარს დამუშავებულ პროდუქტს მიაწვდიდა, უფრო მაღალ ფასიანს, ვიდრე ნედლეულია. ამ ორი გეზით წარმოებულმა მუშაობამ, საკმაოდ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა; შეიძლება ითქვას, რომ სადღეისოთ, არსებულ წარმოებათა შემოქმედებითი უნარიანობა უკვე აღდგენილია — ამოწურულია და მთელი მუშაობა უახლოეს პერიოდში უნდა ახალ წარმოებათა დანერგვისაკენ იქნას მიქცეული არსებულ წამოწყებათა განმტკიცების პირობებში.

მსხვილ მრეწველობაში ჩაბმული მუშა-ხელი. საერთო პროდუქცია და მუშის თვიური გამომუშავება ასე ვითარდება ამ უკანასკნელ წლებში:

წ ლ ე ბ ი	მუშა ხელი	პროდუქცია მილ. მან.		გამომუშავება მან.	
		1913 წ. ფ.	თანამედ. ფ.	1913 წ.	თ.ნ. ფას.
1924—25	14,332	21,1	37,9	155,1	278,6
1925—26	14,157	28.7	54.4	168,9	320,3
1926—27	14,373	28,3	54,2	163,0	314.0

სამივე აქ მოყვანილი მაჩვენებელი გამუდმებული ზრდით ხასიათდება და შედარებით 24 — 25 წელთან უკანასკნელი სამეურნეო წლისათვის (რომელიც სავარაუდო ციფრებით არის მოყვანილი — როგორც ყველგან) საკმაოდ მაღალი დონე გვაქვს. თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ 26 — 27 წ. ციფრები შავიქვის მრეწველობისათვის დაბალი კონიუნქტურის პირობებშია ნავარაუდევი,

რომელიც შემდეგ თვეში მაღალი კონიუნქტურით იცვლება, უნდა ვიფიქროთ, რომ ნავარეუდევი დონე საერთოდ უფრო აიწევს.

წარმოების ცალკე დარგებიდან პროდუქციის რაოდენობის მიხედვით მთავარი ადგილი შემდეგ დარგებს ეკუთვნის ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში:

	მილიონ ჩერ. მანეთებში		
	24 — 25 წ.	25 — 26 წ.	26 — 27 წ.
გემო-კვების მრეწველობა.	12,4	16,9	15,8
სამთო-მადნო	6,5	7,9	5,8
ფიზიკურ ძალთა წარმოება-გადაცემა .	5,4	5,8	6,0
ხის დამუშავება	2,5	4,9	5,8
ლითომის	1,9	3,0	3,1
მინერალ. ამოღება-დამუშავება . . .	1,0	2,4	2,8
აბრეშუმის დამუშავ.	0,1	0,4	2,8
პოლიგრაფიული მრეწველობა	2,3	2,5	2,5

აქედან ნათლად სჩანს თვითეული დარგის მდგომარეობა და განვითარება.

ნატურალურ ერთეულებში პროდუქციის ასეთი მოძრაობა გვაქვს იმ დარგებში, რომლისათვისაც მოგვეპოვება წ. წლების ცნობები.

წლები	შავი ქვა ათ. ტონი	ქვა ნახშირი ათ. ტონი	პაპიროსი მილ. ცალ.
1913	970,9	71,6	1503,5
1918	25,9	22,7	ცნ. არ არის
1919	54,8	36,0	„
1920	120,7	79,1	„
1921	92,0	75,5	„
1922	53,2	28,7	„
1923—24	364,7	62,9	616,3
1924- 25	425,5	71,4	1074,9
1925—26	769,5	85,2	1643,0
1926—27	510,0	98,3	1720,0

გარდა შავი-ქვის, აღებული მთავარი დარგების პროდუქცია გამუდმებით მატულობს; 1913 წლის დონე გადალახულია ქვა-ნახშირისათვის და პაპიროსისათვის და საკმაოდ ვართ გაცილებულნი აგრეთვე 1918 — 20 წ. წ., თუ არა შავი-ქვის ბაზარზე 26 — 27 წ. პირველ ნახევარში შემჩნეულია გასაღების გართულება, რომელიც მეორე ნახევარში უკვე გამოსწორდა, წრეულს უნდა 1913 წლისათვის მიგვეღწია.

არა ნაკლებ ზრდას იძლევა აგრეთვე სხვა ნაწარმის დამზადება.

წლები	აგური მილ.ცალი	ხის მასალა ათ. კუბ. მეტ.	შალი ათ. მეტ.	აბრეშ. ქს. ათ. მეტ.	ტყ. მსხვ. ათ. ცალი	ტყავი წვ. ათ. ცალი
1923—24	2,5	20,5	16.7	10,5	30,4	13,0
1924—25	8,8	51,9	24,7	10,7	49,0	33,4
1925—26	17,7	82,8	40,1	14,6	84,6	41,9
1926—27	30.2	96,2	99.2	18,0	74.8	45,5

თუ როგორ ნაწილდება ჩვენი მსხვილი მრეწველობის პროდუქცია ცალკე სექტორებს შორის და თვითეული მათგანის წონა რა მხრივ ვითარდება, ამას ნათლად ვხედავთ შემდეგიდან:

წ ლ ე ბ ი	სახელმწიფო	კოოპერაცია	კერძო	კონცესია	ს უ ლ
		ა) ათას ჩერვონულ მანეთებში			
1924 — 25	29,3	3,3	5,3	—	37,9
1925 — 26	43,7	3,7	1,7	5,3	54,4
1926 — 27	46,4	3,5	1,3	2,9	54,1
		ბ) %%-ში საერთო ჯამის მიმართ.			
1924 — 25	77,3	8,6	14,1	—	100,0
1925 — 26	80,3	6,7	3,2	9,8	100,0
1926 — 27	85,6	6,5	2,5	5,4	100,0

სახელმწიფო სექტორის წარმოებათა პროდუქციის მონაწილეობა გადამუდმებით მატულობს და გადამწყვეტი პროცენტით იხატება მთელ მსხვილ მრეწველობაში — 77%-დან 86%-დის იზრდება; მეორე ადგილი უჭირავს კერძო საკონცესიო წამოწყებათ, რომელთა როლი 14,1%-დან 7,9%-იდს ეცემა, ე. ი.

ერთი ორად კლებულობს სამი წლის მანძილზე. რაც შეეხება კოოპერატიულ სექტორს, მის მიერ აღებული გეზის მიხედვით, საწარმოო წამოწყებათაგან განტვირთვის სახით, მისი მონაწილეობა გამუდმებით მცირდება და 8,6%-დან 6,5%-დის დადის დაპირდაპირებული წლების განმავლობაში.

სახელმწიფო სექტორის მნიშვნელობის ასეთი გამუდმებული ზრდის ერთ-ერთ მთავარ მიზეზათ იმ კაპიტალურ დაბანდებათა თანხების გამუდმებული მატება უნდა მივიჩნიოთ. რომელიც შემდეგ ციფრებში იხატება; სახელმწიფო სექტორის ძველ და ახალ ცენზიან წარმოებებში გაწეული კაპიტალური ხარჯები (ს. მ. უ. ს. ხაზზე) ასეთია: 1924-25 წ. 1.293,4 ათ. მან.. 1925-26 წელს 3.769,3 ათ. მან. და 1926-27 წელს კი 8.239,0 ათ. მან., ე. ი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ცენზიან მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 13.301,7 ათ. მან.

აქვე მოვიყვანთ ზოგიერთ საკარაუდო ციფრებს ჩვენი წვრილი მრეწველობის მდგომარეობა-განვითარების შესახებ ჩაბმულ მუშა-ხელის და პროდუქციის სახით:

წ ლ ე ბ ი	მუშაობის წვრ. მრეწველობაში	პროდუქცია მილ. მან.
1924—25	40.102	30,8
1925—26	44.242	34,9
1926—27	45.011	36,1

აქაც გამუდმებული ზრდა გვაქვს, როგორც ჩაბმულ მუშა-ხელის, ისე მათ მიერ დამუშავებული პროდუქციის ღირებულებისა.

მსხვილი (ანუ ცენზიანი) და წვრილი მრეწველობის გაერთიანებული ციფრები ასეთია ამ ორი მაჩვენებლით:

წ ლ ე ბ ი	მუშა ხელი	პროდუქცია
1924—25	51.434	68.689,6 ათ. მან.
1925—26	58.399	89.352,8 „ „
1926—27	59.384	90.221,8 „ „

ამნაირად, სამი წლის განმავლობაში მრეწველობაში ჩაბმული მუშა-ხელი 8 ათასი სულით იზრდება, ხოლო პროდუქციის ღირებულება 21,5 მილ. მანეთით მატულობს, ე. ი 31,3%-ით იზრდება.

აღებული ციფრები ცალკე სექტორების მიხედვით ასე ნაწილდება

სექტორი	მუშა-ხელი			პროდუქცია მილ. მან.		
	24—25	25—26	26—27	24—25	25—26	26—27
სახელმწიფო	9.233	10.305	.12.110	29,4	44,3	49,7
მ. შორის ს. მ. უ. ს. . .	5.395	5.600	6.224	14,8	21,5	23,7
კოოპერაცია	1.344	1.622	1.797	4,1	4,9	5,2
კერძო	40.857	44.104	45.240	35,2	34,9	32,4
კონცესია	—	3.368	2.237	—	5,3	2,9
სულ . .	51.434	58.399	59.384	68,7	89,4	90,2

როგორც მუშა-ხელის, ისე პროდუქციის მიხედვით სახელმწიფო სექტორის მნიშვნელობა და წონა უფრო ინტენსიურათ იზრდება და მატულობს, ვიდრე კერძო ან საკონცესიო სექტორი.

საგარეო ვაჭრობა.

შინა წარმოების გაძლიერებას, სოფლის და ქალაქის შესყიდვითი უნარიანობის ზრდას, საქონლის გამტარებელ აპარატის გაჯანსაღებას და საგარეო ბაზრებთან ურთიერთობის დამყარების პირობების გაუმჯობესებას საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინათ ჩვენს აღებ-მიცემობაზე და, როგორც ამას დავინახავთ ქვევით, ეს ასეც მოხდა.

ჩვენი აღებ-მიცემობის გამოსარკვევად საბჭოთა რესპუბლიკებთან და საზღვარ-გარეთთან აღებული გვაქვს ორმოცამდე მთავარი საექსპორტო და საიმპორტო საგანი. ცნობები ემყარება ერთის მხრივ სატრანსპორტო სტატისტიკას და მეორე მხრივ საბაჟო სტატისტიკას.

უკანასკნელი წლების აღებ-მიცემობის საერთო სურათი ასეთი არის, 1919-20 წელთან შედარებით:

	მილიონ ფუთებში			
	1919—20	1924—25	1925—26	1926—27
ექსპორტი საქ-დან	8,5	29,0	38,3	47,2
იმპორტი საქ-ში	3,5	14,8	22,5	25,6
საერთო. ბრუნვა	12,0	43,8	60,8	72,8

როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი თავისი რაოდენობით გამუდმებულ ზრდას გვიჩვენებს და უკანასკნელი წლისათვის სარეკორდო ციფრები გვაქვს; მიუხედავად იმისა, რომ 1919-20 წ. აღებ-მიცემობა აღებული არის მთელი მოცულობით — ყველა საგნებისათვის და ყველა საზღვრებისათვის და უკანასკნელი წლები-კი მხოლოდ 40--დე მთავარ საგანს შეიცავს და ისიც რკინის გზებით და ნავთსადგურებით წარმოებულ შემოტანა-გატანას, უკანასკნელ წლების ბრუნვა მნიშვნელოვნათ სჭარბობს 1919-20 წელს. ეს-კი იმ მიღწევათა მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს ჩვენს მეურნეობას ამ პერიოდის შემდეგ.

ღირებულებით. თანამედროვე ფასებში, ორმოცამდე უმთავრესი საგნის ციფრები ასეთი არის:

	მილ. ჩერ. მანეთებში		
	24—25	25—26	26—27
ექსპორტი საქ-დან	36,2	56.2	61,6
იმპორტი საქ-ში	64,7	85,4	95,7
საერთო ბრუნვა	100.9	141.6	157.3
განსხვავება	28,5	29,2	34,1

აქაც იგივე სურათი-ზრდა გამუდმებული. როგორც შემოტანის, ისე გატანის; უარყოფითი ბალანსი ჩვენ მეურნეობის თავისებურებაში არის ჩაქსოვილი და იგი მხოლოდ უკანასკნელი წლების დამახასიათებელი არ არის. როგორც სასამ. ქვეყანა, ჩვენს ექსპორტში მცირე ღირებულებიანი საქონელი სჭარბობს -- ნედლეული უმეტესად. იმ დროს, როდესაც იმპორტის უდიდესი ნაწილი მაღალ ღირებულებიან საქარხნო-საფაბრიკო ნაწარმოებზე მოდის. გარდა ამისა, — ბალანსის უარყოფითობას ხელს უწყობს აგრეთვე ფასების ის დაშორება, რომელიც ახასიათებს დღევანდელ სოფლის და ქალაქის ნაწარმოების ღირებულებას, — უკანასკნელის შედარებით მაღალი დონე პირველის მიმართ, რომელიც არც აქამდის იყო ჩვენთვის ხელსაყრელი.

მთავარი საექსპორტო საგნების გატანა შემდეგ სურათს იძლევა წარსულ წლებთან დაპირდაპირებით.

ჩვენი შავი-ქვის ექსპორტი ჯერ კიდევ ომამდის — მთელი მსოფლიო მოთხოვნილების მესამედზე მეტს ჰფარავდა, ომიანობის დროს იგი თითქმის მთლად შესწყდა, ხოლო განახლებულ იქნა მენშევიკების დროს და მას აქეთ მის ექსპორტს გამუდმებული ზრდა და საკმაოდ მაღალი ციფრები ახასიათებს. მაგ. გატანილი იყო 1909-13 წელს 46,8 მილ. ფ., ომიანობის დროს 15-16 წ. 1.2 მილ. ფ., მენშევიკების დროს 6,5 მილ. ფ., 1924-25 წ. 23.7 მილ. ფ., 1925-26 წ. 31 მილ. ფ. და 1926-27 წელს 37.3 მილ. ფ., ე. ი. უკანასკნელ დროს უკვე მშვიდობიანი დროის გატანის სამი მესამედი გვაქვს.

ფოთლოვანი თამბაქო, ღვინო და ხილი — შემდეგი რაოდენობით იზიდებოდა — ათას ფუთებში:

წ ლ ე ბ ი	თამბაქო	ღ ვ ი ნ ო	მედლი ხილი	კაკალი-თხილი
1909—13	355,5	1.278,0	—	115,1
1919—20	348,3	164,9	794.3	19,6
1923—24	215,2	411,5	579,5	271,0
1924—25	217,2	612,8	905,7	142,5
1925—26	258,5	857,0	876,7	384,5
1926—27	278,8	450,0	950,0	390,0

გარდა ღვინისა, რომელიც 1926-27 წლისათვის შემცირებას იძლევა ბაზარზე არსებული დეპრესიის ზეგავლენით, ყველა დასახელებული საგნების ექსპორტი გამუდმებული ზრდით ხასიათდება. 1919-20 წლის გატანას — ღვინის, ხილის და თხილის ექსპორტი საგრძნობ აღემატება.

მატყლის ექსპორტი უდრიდა: 1909-13 წ. 142,6 ათ. ფ. (რკ. გზ.), 1919-20 წ. 26,5 ათ. ფ., 1923-24 წ. 39,7 ათ. ფ.; 1924-25 წ. 57,7 ათ. ფ., 1925-26 წ. 118,2 ათ. ფ. და 1926-27 წ. 60 ათ. ფ., ე. ი. აქაც გამუდმებული მატება გვაქვს; თუ არა ქუთაისის მაუდის ქარხნის მოთხოვნილება, რომელიც ამ ბოლო წლებს ამუშავდა, მატყლის ექსპორტი უფრო მეტი რაოდენობით გვექნებოდა მოცემული.

აბრეშუმის პარკი გაიტანეს 1923-24 წ. 22,3 ათ. ფ. (ხმელი პარკია აღებული), 1924-25 წ. 27,4 ათ. ფ., 1925-26 წ. 36,1 ათ. ფ., და 1926-27 წ. 20 ათ. ფ. აქაც გამუდმებული ზრდაა უკანასკნელი წლისათვის მოცემული შემცირებით, რაც კვლავ მისი შინაური გადამუშავების გაძლიერებით უნდა აიხსნას, რომელსაც ამ მასშტაბით უწინ ადგილი არ ჰქონდა.

შეშა, რომელიც ომამდის 2,9 მილ. ფ. რაოდენობით გადიოდა საქართველოდან (უმთავრესათ სომხეთში), 1919-20 წ. თითქმის მთლად არ გაზიდულა და ამ უკანასკნელ წელს კი კვლავ განახლდა მისი ექსპორტი და თითქმის მიღწეულიც არის მშვიდობიანი დროის დონეც; 1924-25 წ. გატანილია 1,1 მილ. ფ., 1925-26 წ. 2,1 მილ. ფ. და 1926-27 წ. 2,7 მილ. ფ.

ამნაირად, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველა მთავარი საექსპორტო საგნების გატანა საკმაოდ მაღალი ციფრებით ხასიათდება და თითქმის გამუდმებული ზრდა გვაქვს წლიდან წლამდის.

გადავდიეგართ ახლა უმთავრეს საიმპორტო საგნების საქართველოში შემოტანის განხილვაზე.

ვინაიდან საქართველო **პურის** დეფიციტიანი ქვეყანა არის, ამიტომ მის საიმპორტო ვაჭრობაში, როგორც ძველად, ისე ახლა **პურეულის შემოტანას** საკ-

ფართლის და შაქრის შემოტანა გამუდმებით მატულობს. და თუმცა 1909-13 წ. დონე მიღწეული არ არის, მაგრამ შემდეგი დროისთვის მისი სარეკორდო ციფ-**ხორბლის ფქვილი** რომ ავიღოთ იგი იყო შემოტანილი: 1909-13 წ. 5,9 მილ ფ., 1919-20 წ. 0,4 მილ. ფ., 1923 წელს — 1,9 მილ. ფ., 1923-24 წ. 2,9 მილ. ფ., 1924-25 წ. 5,3 მილ. ფ., 1925-26 წ. 6,6 მილ. ფ., და 1926-27 წ. 5 მილ. ფ., ე. ი. აქაც გამუდმებული მატება გვაქვს.

	შემოტანილია—ათას ფუთ.	
	ფართალი	შაქარი
1909—13 წ.	750,0	—
1919—20 წ.	131,9	116,8
1923—24 წ.	162,2	385,2
1924—25 წ.	253,1	1024,8
1925—26 წ.	310,9	1422,8
1926—27 წ.	380,0	1430,0

ფართლის და შაქრის შემოტანა გამუდმებით მატულობს და თუმცა 1909-13 წ. დონე მიღწეული არ არის, მაგრამ შემდეგი დროისთვის მისი სარეკორდო ციფრი გვაქვს.

მარილი შემოდიოდა ომამდის 1,3 მილ. ფ., 1919-20 წ. 555,8 ათ. ფ., 1923-24 წ. 1,7 მილ. ფ., 1924-25 წ. 1 მილ. ფ., 1925-26 წ. 1,4 მილ. ფ. და 1926-27 წ. 1,5 მილ. ფ.

სააღმშენებლო მასალის მხრივ ყოველთვის გარეშე ბაზარზე ვიყავით დამოკიდებული. — რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? (ცხრ. იხ. 107 გვ.).

ხე-ტყე, ცემენტი და რკინეული, ეს მთავარი ელემენტები სააღმშენებლო მუშაობისა — აღმშენებლობის გაძლიერებასთან ერთად — საკმაოდ დიდის რაოდენობით შემოდის საქართველოში, გამუდმებით იზრდება მათი იმპორტი და უკანასკნელ 1926-27 წლისათვის სარეკორდო ციფრები გვაქვს.

ავიღოთ **ნავთეული** — თანამედროვე მეურნეობის მთავარი მაცოცხლებელი ელემენტი, რომლის იმპორტი ჩვენში გამუდმებულ ზრდას იძლევა და კიდევ სარეკორდო ციფრს. იგი შემოდიოდა საქართველოში დაახლოვებით 3,5 მილ. ფ. რაოდენობით ომამდის, 1919-20 წ. შემოტანილია 634,3 ათ. ფ., 1923-24 წ. 2 მილ. ფუთი. 1924-25 წ. 3,4 მილ. ფ., 1925-26 წ. 5,2 მილ. ფ. და 1926-27 წ. კი 6,3 მილ. ფუთზე მეტი.

ერთი სიტყვით, რომელ საიმპორტო საგანსაც-კი ხელს მოვკიდებთ, მისი შემოტანა საკმაო ზრდას გვაძლევს, ბევრს შემთხვევაში სარეკორდო ციფრებს უკანასკნელი დროისთვის და მშვიდობიანი დროის დონე თუ არ გადალახულა, მას საგრძნობ. უახლოვდება.

	შემოტანილია — ათას ფუთ.			
	ტყვე რგვალი	ტყვე დახერხილი	ცემენტი	რკინეული
1909—13 წ. (რკ. გზ.) . . .	—	356,4	—	741,2
1919—20 წ.	—	1,0	13,0	31,0
1922 წ.	—	—	175,5	33,3
1923 წ.	—	—	325,9	82,7
24—25 წ.	146,2	196,1	389,3	404,0
25—26 წ.	585,8	655,5	2418,4	783,2
26—27 წ.	1263,0	1474	2500,0	1211,0

შინაური ვაჭრობა.

შინაური წარმოების ზრდა-განვითარება და საგარეო აღებ-მიცემობის განმტკიცება — ეს ისეთი ელემენტებია, რომელთაც აუცილებლივ დადებითი გავლენა უნდა ჰქონოდათ შინაურ აღებ-მიცემობაზე და საქონლის იმ საერთო მასაზე, რომელიც ტრიალებდა ჩვენს ტერიტორიაზე.

სავარაუდო ციფრები, რომელიც იძლევა წარმოდგენას ჩვენს ბაზარზე მბრუნავს საქონლის მასაზე — შემდეგია:

წლები	სასაქონლო მასსა-მილ. მანეთებში				სულ
	სოფ. მეურნ. პროდუქცია	მრეწველობის აქციზით	მთლად აქციზით	განსხვავება საგარეო ვაჭ.	
1924—25	54,4	68,2	122,6	28,5	151,1
1925—26	59,4	87,1	146,5	29,2	175,7
1926—27	69,9	91,6	161,5	34,1	195,6

შინა ვაჭრობის სასაქონლო ნაწილის და ექსპორტ-იმპორტის განსხვავება, ე. ი. საქართველოს ბაზარზე გამოტანილი საქონლის მთელი რაოდენობა, რომელმაც შინა მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს — გამუდმებით მატულობს, 1924-25 წელს 150 მილ. უდრის, 1925-26 წ. 175 მილ. და 1926-27 წელს კი 195 მილ. მან.

გამუდმებით იზრდება და მაღალი ციფრებით ხასიათდება აგრეთვე ჩვენი სოფლის შემსყიდველობითი თანხა და მუშა-მოსამსახურის სამუშაო ხელფასის ფონდიც, რომლებიც შემდეგ სავარაუდო ციფრებში გვაქვს გამოანგარიშებული:

სექტორი	1924—25 წ.	25—26 წ.	26—27 წ.
	ა) მილ. მანეთებში		
სახელმწიფო	95,1	131,4	139,6
კოოპერატიული	68,0	91,7	122,6
კერძო	58,4	73,8	65,5
მთლად	221,5	296,9	327,6
	ბ) %%-ში ჯამის მიმართ.		
სახელმწიფო	42,9	44,3	42,6
კოოპერატიული	30,7	30,9	37,4
კერძო	26,4	24,8	20,0
მთლად	100,0	100,0	100,0

ერთად საკრედიტო ქსელის და საკრედიტო ოპერაციების აღდგენა-გაძლიერებაშიც. საკრედიტო ქსელის გაშლა უკვე დამთავრებულია სადღეისოთ, ხოლო მისი მეშვეობით გატარებული თანხები-სახალხო მეურნეობის მიღწევათა ერთ-ერთი მთავარი ღერძია.

თუ რა ციფრებით და რა ინტენსივობით ვითარდებოდა საბანკო ქსელის საქმიანობა ამ უკანასკნელ წელში — ამას ნათლად ვხედავთ შემდეგიდან (აღებულია მთავარი საკრედიტო დაწესებულებანი).

თარიღი	მილიონ მანეთებში		
	ბალანსი	სესხი	ანაბარი
1 ოქტომბერი 1924 წ.	22,7	13,9	5,4
1 ოქტომბერი 1925 წ.	64,3	47,0	13,3
1 ოქტომბერი 1926 წ.	86,5	73,1	13,5
1 ოქტომბერი 1927 წ.	104,9	84,4	14,1

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მომქმედ მთავარ საკრედიტო დაწესებულებათა გაერთიანებულ ბალანსების ჯამი თითქმის ხუთჯერ იზრდება,

ექვსჯერ მეტად მატულობს სესხის და აღრიცხვის ნაშთი, ხოლო სამჯერ გადიდებულა ანაბართა ჯამი. ამნაირად, მიღწევები და განვითარება საკრედიტო-საქმის უდავო ჭეშმარიტებათ უნდა ჩაითვალოს. თუ არა ელექტრობანკის ტფილისის კანტორის გაუქმება მიმდინარე 1927 წელს მაჩვენებელთა ზრდა უფრო მეტი გვექნებოდა (1926 წ. 1 ოქტ. მისი ბალანსი 12 მილ მან. შეადგენდა, სესხი — 11,8, ანაბარი — 0,1).

ცალკე რესპუბლიკების კლიენტთა ჯგუფებს შორის ასე ნაწილდება ზევით მოყვანილი დავალიანების საერთო ნაშთი ამ უკანასკნელი თარიღის განმავლობაში:

კლიენტურა	ათას მანეთებში		
	25 წ. 1 ოქტ.	26 წ. 1 ოქტ.	27 წ. 1 სექტ.
ს. ს. რ. კავშირის	4.308	4.476	8.094
ა. კ. ფედერაციის	7.165	11.766	10.740
სომხეთ-აზერბეიჯანის	4.589	9.198	17.430
საქართველოსი	30.980	47.655	48.192
მთლად	47.042	73.095	84.446

ყველა რესპუბლიკის კლიენტურის დავალიანებას გამუდმებული ზრდა ახასიათებს; ამავე დროს საქართველოს კლიენტურის დავალიანება ნახევარზე მეტს შეადგენს მთელი დავალიანების ნაშთისა. ამნაირად, საკრედიტო ხაზით დაბანდებული თანხების ჯამი ამ უკანასკნელი წლებისათვის 50 მილ. მანეთს უახლოვდება.

მერე სად, რომელ დარგებში არის ეს თანხა დაბანდებული და საქართველოს სახალხო მეურნეობის თვითეულ დარგს რა ადგილი ეკუთვნის ამ მოხმარებულ თანხებში? მდგომარეობა ასეთია — ათას მანეთებში. (იხ. 112 გვ. ზევ. ცხრ.).

ორი წლის განმავლობაში ყველა დარგებისათვის გაცემული სესხი მატულობს; უკანასკნელი წლისათვის არის აღნიშნული სესხის შემცირება ვაჭრობისათვის — დაკავშირებით აღებ-მიცემობისათვის სესხის საერთო შემცირებასთან მთელი კავშირის მასშტაბით, და ელექტროფიკაციისათვის თითქოს-ელექტრობანკის ცნობების უქონლობის გამო — მის გაუქმებასთან დაკავშირებით. ფაქტიურად-კი აქაც სესხის ზრდა უნდა ვიგულისხმოთ.

ამ უკანასკნელი დროისთვის სესხის ჯამის მიხედვით პირველ რიგში სდგას მრეწველობა, მეორეში — საბინაო აღმშენებლობა და კომუნ. მეურნეობა და სხ.

საქართველოს კლიენტთა ჯგუფებს შორის — სესხის ნაშთის განაწილება ასეთ სურათს იძლევა — ათას მანეთებში:

მეურნეობის დარგები	1925 წ. 1 ოქტ.	1926 წ. 1 ოქტ.	1927 წ. 1 ოქტ.
სოფლის მეურნეობა	7.199	5.882	8.758
მრეწველობა	5.392	8.717	13.940
ვაჭრობა	6.175	6.575	4.470
კომუნ. მეურ. და საგ. აღმშ.	5.665	16.587	10.459
საკრედიტო დაწესებულებანი	5.623	9.128	9.014
გაუნაწილებელი თანხა	926	766	1.451
ს უ ლ	30.980	47.655	48.192

	1925 წ. 1 ოქტ.	26 წ. 1 ოქტ.	27 წ. 1 სექტ.
სახელმწიფო ორგანო	7.589	13.982	21.028
კოოპერაცია	11.421	11.106	7.471
კერძო კლიენტურა	3.472	1.194	127
კომუნალური მეურნ.	5.665	16.587	9.858
საკრედ. დაწ.	2.833	4.836	9.708
ს უ ლ.	30.980	47.655	48.192

უკანასკნელი დროისთვის სესხის შემცირება კოოპერაციისათვის საერთოდ ვაჭრობისათვის სესხის დაკლებით უნდა აიხსნას; კერძო კლიენტურისათვის სესხის შეკვეცა ხომ საერთო ხასიათს ატარებს და კომუნ. მეურნეობის სესხის დაკლება-კი მოჩვენებითია ელექტრობანკის დახურვასთან დაკავშირებით. როგორც აქედანვე ვხედავთ სახელმწიფო ორგანოთა და საკრედიტო დაწესებულებათა სესხის ზრდა შეუჩერებლივ სწარმოებს. სახელმწიფო ორგანოთათვის გაცემული კრედიტი 21 მილ. მანეთს აღემატება.

ამნაირად, ყველა ის უმთავრესი მაჩვენებლები, რომელიც განვიხილეთ ჩვენ წარმოების თუ განაწილების დარგიდან, გამუდმებული ზრდით ხასიათდებიან, რაც ჩვენი მეურნეობის წინმსვლელობის და განტკიცების ფუძეა.

ს. გოდაბრელიძე.

მუშათა საკითხი და ოქტომბრის რევოლუცია

ოქტომბრის რევოლუციამ უპირველეს ყოვლისა რადიკალურად შესცვალა შრომის პირობები. პროლეტარულ დიქტატურისათვის თავდაცვის შემდეგ მთავარი ამოცანა გახდა სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება. ამ სამეურნეო საკითხებში ერთ მნიშვნელოვან მომენტად საბჭოთა ხელისუფლებისათვის ითვლებოდა მუშათა საკითხი.

შრომის პრობლემისადმი დიდი ყურადღების საუკეთესო მაჩვენებელია შრომის დარგში განვითარების ტემპი. შეიძლება აბსოლუტურად, მაგ.,ხელფასი საბჭოთა რესპუბლიკებში არ იდგეს იმ დონეზე, როგორც ამერიკაში და სხვა ქვეყნებშია, მაგრამ ხელფასის ზრდის ტენდენცია საბჭოთა რესპუბლიკებში შეუდარებელია სხვა სახელმწიფოებთან. სხვა ქვეყნებში ხელფასის ზრდა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. 21 წლიდან არც ერთ წელში ხელფასის ზრდა საბჭოთა რესპუბლიკებში არ ყოფილა 12—20 პროცენტზე მცირე. თუ ავიღებთ უკანასკნელ 1926/27 სამეურნეო წელს, როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო ხელფასის ზრდა ამ სხვა წლებთან შედარებით ნაკლები ტემპით მიმდინარეობდა, ამ წელშიაც კი ეს ზრდა უდრის 11—12% ს.

საბჭოთა რესპუბლიკებში მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა. თუ შევადარებთ მოსახლეობის შემოსავალს და დაქირავებულ პირთა შემოსავლის ზრდას, მივიღებთ, რომ მოსახლეობის შემოსავალი გაზრდილა 60%-ით, დაქირავებულ პირთა შემოსავალი კი 115%-ით. ამრიგად მუშათა კლასის შემოსავალის ზრდა ორჯერ უფრო ჩქარია ვიდრე მოსახლეობისა. სახალხომეურნეობის შემოსავლიანობის ზრდასთან შედარებით დაქირავებულ პირთა შემოსავალი შეადგენდა მთელი სახალხო შემოსავლის 23,2%-ს, 1926/27 წელში კი 29,8%-ს.

1921 წლიდან გვაქვს ხელფასის განუწყვეტელი ზრდა. იზრდება არა მარტო ნომინალური, არამედ მასთან ერთად იზრდება რეალური ხელფასიც. თუ 1921 წელში მუშის რეალური ხელფასი ყველა ნატურალური მიცემების ჩათვლით არ აღემატებოდა 8—10 მანეთს, 1926/27 წლის პირველ ნახევარში ის უკვე უდრის 25 მანეთს (ომის წინა დროინდელ მანეთებში). რეალური ხელფასის ზრდა საქართველოში ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობ ზრდას იძლევა. მუშის, თვიურად ხელფასი რეალურ მანეთებში უდრიდა:

1924/25 წელში — 20 მ. 44 კ.
1926/27 — 24 მ. 93 კ.

ამრიგად რეალურ ხელფასის ზრდა ზევით მოყვანილ პერიოდში უდრის 22 %-ს. ცალკე საწარმოო დარგებში ეს ზრდა უფრო მნიშვნელოვანია. მაგალითად ზევით მოყვანილ პერიოდში რეალური ხელფასი გაზრდილა ქვანახშირის წარმოებაში —41%, თამბაქოს 32%, ტყავის—33,4%.

ნომინალური ხელფასის ზრდა საქართველოს ცალკე სამრეწველო დარგებში შემდეგ სურათს იძლევა:

ტყავის მრეწველობაში მუშის დღიური ხელფასი ჩერვონულ მანეთებში 1923/24 წელში უდრიდა 1 მ. 85 კ. გასულ 26/27 წლის პირველ ნახევარში კი 3 მ. 18 კ. ე. ი. გაზრდილა 72,4%-ით.

თამბაქოს წარმოებაში დღიური ხელფასი ჩერვ. მანეთებში 1923/24 წელში შეადგენდა 1 მ. 50 კ. გასული 26/27 წლის პირველ ნახევარში —2 მ. 95 კ. რაც იძლევა 73% ზრდას.

ქვანახშირის წარმოებაში მუშის დღიური ხელფასი 1923/24 წელში უდა 1 მ. 17 კ. გასული 26/27 წლის პირველ ნახევარში 2 მ. 1 კ., რაც იძლევა 72% ზრდას.

პოლიგრაფიულ წარმოებაში მუშის, დღიური ხელფასი ჩერვ. მანეთებში 1923/24 წელში უდრიდა 2 მ. 03 კ. გასული 26/27 წლის პირველ ნახევარში— 3 მ. 13 კ., რაც იძლევა ზრდის 54%-ს.

ხის დამუშავების წარმოებაში მუშის თვიური ხელფასი ჩერვ. მანეთებში 1924/25 წელში უდრიდა 45 მ. 53 კ. გასული 26/27 წლის პირველ ნახევარში 58 მან.

ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო დაუდვა მტკიცე საფუძველი წარმოებაში ჩაბმულ მუშათა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ მან აღადგინა მეურნეობა და ის განვითარების გზაზე დააყენა. ამან ხელი შეუწყო მუშათა კლასის რიცხვობრივ ზრდას. საქართველოში დაქირავებულ პირთა რიცხვი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეტად მცირე იყო. გასაბჭოების დღიდან იწყება დაქირავებულ პირთა საგრძნობი ზრდა. დაქირავებულ პირთა რიცხვი საქართველოში უდრიდა:

1920	წელში	78.800
1924	—	90.773
1925	—	128.115
1926	—	148.000
1927	—	157.000

აქ მოყვანილ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ დაქირავებულ პირთა რიცხვის ზრდას აქვს არა შემთხვევითი ხასიათი, არამედ მასეტყობა თანდათანობითი ზრდა. ზრდის ეს ტემპი საქართველოში მომავალ წლებში არა თუ არ შენელდება, არამედ პირიქით გაძლიერდება ვინაიდან ამ უკანასკნელ წლებში ჩვენში მოეწყო მრავალი ახალი წარმოებები. დაქირავებულ პირთა ასეთი ჩქარი ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო, რომელიც მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი იყო ოქტომბრის რევოლუციამ ინდუსტრიალიზაციის გზაზე დააყენა.

მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და და რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ოქტომბრის რევოლუციამ მუშათა კლასისათვის შექნა უაღრესად შრომის დამცველი კანონმდებლობა. საბჭოთა შრომის კანონმდებლობა არ შეიძლება შევადაროთ არც ერთი ქვეყნის შრომის კანონმდებლობას. საბჭოთა რესპუბლიკებში არსებულ ეკონომიურ პირობებში ჩვენი შრომის კანონმდებლობა მაქსიმალური არის. სახელმწიფო მეურნეობას უხდება ხელფასის გარდა გასწიოს მუშებისათვის მრავალი ხარჯები, როგორიცაა სოციალური დაზღვევა, საბინაო მშენებლობა, სპეციალური ტანსაცმელი, სხვადასხვა მავნე შრომის პირობებისაგან მუშების ჯანმრთელობის დაცვა და სხვა. საშუალოთ ეს ხარჯები შეადგენენ ხელფასის 32—40%-ს.

საბჭოთა შრომის კანონმდებლობით მუშა ყოველმხრივ უზრუნველყოფილია ავადმყოფობის და სხვა რაიმე უბედურ შემთხვევის დროს. შემოღებულია სავალდებულო სოციალური დაზღვევა, რომელიც ტარდება წარმოების და არა მუშების დაბეგვრის საშუალებით, რასაც ადგილი ჰქონდა მენშევიკების დროს. თუ როგორი ფართო მასშტაბით არის დაყენებული სოციალური უზრუნველყოფის საქმე, ამის მაჩვენებელია დამზღვევი ორგანოების წლიური გასავალი. 1925/26 წელში საქართველოს დამზღვევი ორგანოების გასავალი 8 მილ. მანეთს უდრის. დამზღვევი საქმის გაუმჯობესების მაჩვენებელი არის ის რომ 1923 წელში დამზღვევ ორგანოების გასავალი უდრიდა $1^1/_2$ მილიონს, 26 წელში კი 8 მილიონს. დაზღვეულებს ავადმყოფობის დროს გარდა უფასო საექიმო დახმარებისა, საბჭოთა შრომის კანონმდებლობით, ეძლევათ დახმარება მთელი ფაქტიური ხელფასის რაოდენობით. შრომის ინვალიდების პენსიის რაოდენობა 1923 წელში უდრიდა 7 მან., 1925 წლის დამლეეს 25 მან., ახლა კი პენსიის მიცემა ხდება ინვალიდის უკანასკნელ ფაქტიურ ხელფასის მიხედვით. ესეც იმის დამამტკიცებელია, თუ რამდენად უმჯობესდება დაზღვეულთა მდგომარეობა.

აღსანიშნავია უმუშევრების დახმარების საკითხიც. ყოველ წლიურად საბჭოთა ხელისუფლება იღებს განსაზღვრულ თანხებს უმუშევართათვის საზოგადო სამუშაობების და შრომის კოლექტივების მოწყობისათვის. ამას გარდა კიდევ სოციალური დაზღვევის წესით უმუშევრებს ეძლევათ დახმარება. 1925 წელში დახმარების თვიური ნორმა 7 მან. არ აღემატებოდა, მიმდინარე წელში კი ის 15 მანეთზე მეტია. 1923 წელში უმუშევრებზე გაცემული დახმარება მარტო სოციალური დაზღვევის წესით უდრიდა საქართველოში 63 ათას მანეთს, 1925/26 წელში 461 ათას მანეთს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირში პროფესიონალური მოძრაობა გაიზარდა და მისი ამოცანები გაფართოვდა. წინედ პროფესიონალური კავშირების მთავარი დანიშნულება იყო თავის წევრების ინტერესების დაცვა და კლასიურ ბრძოლის წარმოება მუშათა დიქტატურის პირობებში კავშირების ამოცანას შეადგენს თავის წევრების ინტერესების დაცვა, რამდენადაც სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ წარმოებებში შეიძლება ადგილი ექნეს ადმინისტრატორების მიერ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების შელახვას. გარდა თავის წევრების ინტერესების დაცვისა საბჭოთა ხელისუფლების დროს კავშირები გადაიქცენ კომუნიზმის სკოლად. მუშების დარაზმვა, მათი კლასიური აღზრდა, საბჭო-

თა სამეურნეო მუშაობაში ჩაბმა, მათი რიგებიდან სამეურნეო მუშაკების მომზადება, სახელმწიფო წარმოების განვითარებისათვის ხელის შეწყობა და პირდაპირი დახმარება, აი მთელი რიგი ამოცანები, რომელიც სდგას საბჭოთა პროფესიონალურ მოძრაობის წინაშე. რამდენიმე წლის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ კავშირების ზემოხსენებული ამოცანები ცხოვრებაში ტარდება.

თუ რამდენად მძლავრ ორგანიზაციას წარმოადგენს ჩვენი პროფესიონალური კავშირები, სხვათა შორის, ამის მაჩვენებელია კავშირის წევრთა რიცხვი. მენშევიკების დროს საქართველოში კავშირის წევრთა რიცხვი 1920 წელში უდრიდა 50 ათასს, საბჭოთა ხელისუფლების დროს 1923 წ. 80 ათასს და 1927 წელსი 165 ათასს (ამ რიცხვში მომუშავე წევრთა გარდა შედის უმუშევრებიც).

ეს მოკლე მიმოხილვა გვიჩენებს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ შექნა საუკეთესო პირობები მუშათა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების სწრაფი ზრდისა და მათი დარაზმვისათვის.

ლ. ასათიანი.

სამელიორაციო მშენებლობა საქართველოში

მელიორაცია ჩვენს პირობებში, ეს არის უმთავრესად მორწყვა და ჭაობების ამოშრობა.

მორწყვის საჭიროება აღმოსავლეთ საქართველოსთვის—ყველასათვის ცნობილია. ნალექის სიდიდე აქ შეადგენს წლიურად არა უმეტეს 300-600 მ. მ. ამასთან მაისსა და ივნისში ხშირად იცის გვალვა, რაც ღუპავს ნათესსა და ხეხილს. დაბლობ ადგილებში გადაჭიმულ ველებზე, საცა კიდევ უფრო ცხელა, მეურნე სრულიად ვერ ბედავს თესვას ან ხეხილის გაშენებას და იყენებს მათ მხოლოდ როგორც საძოვრებს. ასე მიტოვებულია ველების მთელი რიგი—აშურიანის (კასპთან), სამგორის (ტფილისიდან სართიჭალამდე), ზემო ყარაიაზის, ქვემო ალაზნის, ელდარის და სხვ., რომელნიც საერთოდ შეადგენენ ასი ათას ჰექტარამდე მიწას.

მორწყვის საჭიროება დასავლეთ საქართველოსთვის ზოგიერთისთვის, საადავოა. იქ ხომ ძლიერი წვიმები იცის. ნალექების რაოდენობა წლიურად უდრის საშუალოდ 800-2.000 მ. მ.

დაკვირვებითი მიდგომა ააშკარავებს აქაც მორწყვის აუცილებელ საჭიროებას. საქმე ის არის, რომ ნალექები იცის შემოდგომაზე, გაზაფხულზე კი მეტად ხშირია ძლიერი გვალვა, რომელიც აქვავებს ნიადაგს და არ იძლევა დახვნა-დათესვის შესაძლებლობას, თუ არ მორწყეთ მიწა წინასწარ. ამასთან აქ იცის ჩრდილო-აღმოსავლეთის მეტად მშრალი ქარი, რომელიც ზედმეტად აშრობს ნიადაგს და აყვითლებს მცენარეს.

საქართველოს ამ პირობებს მიაქციეს ყურადღება ჯერ კიდევ ჩვენმა წინაპრებმა, რომელთაც თანდათანობით მოაწყეს არხები, როგორც აღმოსავლეთ (უმთავრესად), ისე დასავლეთ საქართველოში. იმ მუდმივმა ომებმა, რომელშიაც ჩაბმული იყო საქართველო მე-XVI-ე და მე-XVII-ტე საუკუნეებში, შეაჩერეს და ნაწილობრივ კიდევაც მოსპეს ეს ნამუშევარი. რუსეთის მეფის მთავრობას, შიგ რუსეთშიც ვერ მოეწყო სამელიორაციო მშენებლობა და აშკარაა საქართველოში არაფერს საგრძნობს არ გააკეთებდა. მთავარი მისი მოქმედება ამ დარგში გამოიხატა ყარაიაზის არხის გაკეთებაში, რუსულ ახალშენის მოსაწყობად. აქ გასაგებია მეფის მთავრობის საკოლონიზაციო პოლიტიკა.

გასაბჭოების წინ ირწყოდა 121 ათ. ჰექტარი, მაშინ, როცა დაახლოვებითი გამოანგარიშებით, საქართველო საჭიროებს 550 ათ. ჰექტარ. მორწყვას. ამრიგად ისტორიამ უანდერძა საბჭოთა ხელისუფლებას 429 ათ. ჰექტარის მორწ-

ყვის მოწყობა, რასაც უნდა დაუმატოთ ის, რომ დიდი უმეტესობა არსებულ ძველ სარწყავ არხებისა პრიმიტიული ხასიათისაა და აუცილებელია მათი რადიკალური, ტეხნიკური გადაკეთება.

მეორე ამოცანა მელიორაციის დარგში, რომელიც აგრეთვე დაჟინებით მოითხოვდა ყურადღებას, ეს იყო ჭაობების ამოშრობა. როგორც ვიცით, შავი ზღვის პირას გადაჭიმულია კოლხიდის ჭაობიანი ველი, ზომით არა ნაკლებ 150.000 ჰექტარისა. მიწის საშინელ სიმცირის პირობებში, რომელიც ბატონობს დასავლეთ საქართველოში და აგრეთვე სასტიკ სენის— მალარიის შესანელებლად, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ამ ჭაობების ამოშრობა. ჭაობების ამოშრობას ფართო მასშტაბით აწარმოებდენ ყველა ევროპის სახელმწიფონი—იტალია, გერმანია და სხვ, მაგრამ რუსეთის მეფის მთავრობას თითიც არ გაუნძრევია ამ საქმის მოსაწყობად საქართველოში. ამრიგად ეს იყო მეორე დიდი ამოცანა, რომელიც დაისვა საბჭოთა სამელიორაციო მშენებლობის წინაშე 1921 წელს.

მაგრამ ამასთან ერთად არ იყო ნათლად გამორკვეული საორგანიზაციო ფორმა სამელიორაციო მშენებლობისათვის, არც ამისათვის საჭირო დიდი თანხები. პირველად ამ საქმისათვის ს. მ. უ. ს-თან მოეწყო ჰიდრომშენი. 1923 წ. მის ნაცვლად მოეწყო ა/კავკასიის მასშტაბით გაერთიანებული ცენტრალური ორგანიზაცია ა. კ. წყალთა სამმართველო. ამასთან პარალელურად ხდებოდა სათანადო ფინანსიური ინვესტიზაცია ამ საქმეში. აი სამელიორაციო მშენებლობისათვის მთავრობის მიერ დახარჯული თანხები (ციფრები მორგვალებულია).

1922/23 წ.	31.000	მან.
1923/24 წ.	303.000	„
1924/25 წ.	621.000	„
1925/26 წ.	1.440.000	„
1926/27 წ.	3.021 000	„

როგორც ვხედავთ, პირველ წლებში მელიორაციაზე სრულიად უმნიშვნელო თანხა იხარჯებოდა. ეს გასაგებიც არის, რადგან მაშინ იყო გაჭირვების დრო.

მეორე მხრივ, როგორც დავინახეთ, დიდი საჭიროება იყო სამელიორაციო მუშაობის დაწყებისა. ჰიდრომშენმა დაიწყო ეს საქმე, მაგრამ უსახსრობის გამო, იძულებული იყო დაყრდნობოდა ნატურალურ ბეგარას. ასეთი საფუძველი კი აძლევდა მას საშუალებას შეესრულებინა უმთავრესად მიწის სამუშაოები, ხელოვნური ნაგებობები კი ან უნდა მიეტოვებია, ან პრიმიტიულად გაეკეთებინა. ამის შედეგი იყო ის, რომ არხები, გაკეთებული ამ პერიოდში. არ იყო საბოლოოდ დამთავრებული, რწყავდენ მხოლოდ ნაწილს, მალე ფუჭდებოდა.

უკანასკნელ წლებში თანდათანობით მეტი ყურადღება მიაქციეს მშენებლობას, მის შეგუებას ყველა ტეხნიკურ მოთხოვნილებასთან, სრული დამთავრების აუცილებლობას და სხვ. ამასთან ყველა სამუშაოები სრულდებოდა გეგმის მიხედვით.

რა არის გაკეთებული ამ პერიოდში, ე. ი. 1921/27 წლამდე?
მოკლე პასუხი იქნება შემდეგი:

1. მოწყობილია ახალი სარწყავი სისტემა 11.050 ჰექტ.
2. ამოშრობილია . . . . . 1.010 „ ჭაობები
3. წარმოებს და ნაწილობრივ შესრულ. მუშაობა 126.880 „

საერთო ღირებულება . . . 12,6 მილ. მან.

ახალი მორწყვა მოწყობილია შემდეგ ადგილებში:

1922-23 წ.	მათხოჯი—ქუთაისის მაზ.	ირწყვება	550 ჰექტ.
	ხოხოურის ჭალები—შორაპნ. მაზ.		1100 „
	ლამი მისაქციელი—დუშეთის „		1100 „
	როზენფელდი—ელფილისის „		550 „
1923-24 წ.	კულაშ-ლანირი—ქუთაისის „		550 „
	ბაშველი—იქვე „		4400 „
1924-25 წ.	1 საბჭოთა—ქუთაისის „		2200 „
1926-27 წ.	აჭარის პატარ-პატარა არხები		220 „
	დოესი გრაკალი		1370 „

მოხსენებული 1.010 ჰექტ. ჭაობი ამოშრობილია ქობულეთში 1926 27 წ. ახალი სამუშაოები წარმოებს *) შემდეგ ადგილებში (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ამ მდგომარეობაში არიან:

სამუშაოს დასახელ.	ღირებულება ოქროვანეტით	არ.	24-25	გაკეთებულია %-ში 25-26	26-27	სულ	დამთავრდება
1. ფოთის ჭაობების ამოშრობა	3.230.000	28.600 გ.	4,6	9,1	13,0	27,4	1931/32
2. სამურზაყან. არხი . .	230.000	11.000 გ.	—	—	32,2	32,2	1927/28
3. მაშველი და 1-ლი საბჭ. არხ. დამთავრ. . . .	794.000	13.200 გ. (დამატ.)	5,7	—	1,8	4,5	1929/30
4. დიღმის არხი	305.000	1.480 გ.	—	—	18.8	18.8	1928/29
5. ალაზნის არხი . . .	5.200.000	44.000 გ.	6,3	8,9	23,3	38,5	1929/30
6. ტირიფონის არხი . . .	2,870.000	28.600 გ.	7,2	14,9	19,4	41,5	1929/30

ამრიგად სამელიორაციო მუშაობამ მიიღო საქართველოში უკვე ფართე და მასიური ხასიათი, იგი გაშლილია 120. ათ ჰექტ. მეტ არეზე და საშუალოდ ამ დიადი მუშაობის მესამედზე მეტი უკვე შესრულებულია. შედარება მეფის

*) ამ სიაში არ შემიტანია წვრილი სამუშაოები—დოეს, გრაკალი, დიმი-როკითი, ხოხურას ჭალები.

დროის მუშაობასთან ჩვენ გვეუბნება, რომ ამ რამოდენიმე წელში წარმოებულმა სამელიორაციო მშენებლობამ უკვე მისცა საქართველოს იმდენივე არე საინჟენერო სისტემისა, რაც ათეულ წლებში ძლივს მოახერხა მეფის მთავრობამ, შემდეგ გააჩალა (და ნაწილობრივ უკვე შეასრულა) მუშაობა ათჯერ მეტი მასშტაბით, ვიდრე ეს წინათ იყო. ეს შედარება გვაძლევს ჩვენ უფლებას დავასკვნათ, რომ სამელიორაციო აღმშენებლობა, როგორც სერიოზული მოვლენა ეკონომიურ ცხოვრებისა, დაიწყო საქართველოში მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ. ეს ცხრილი გვიჩვენებს ჩვენ აგრეთვე, რომ სამელიორაციო მუშაობა თავის ბუნებით თხოულობს მრავალ წლების მუშაობას. ეს აიხსნება ამ მუშაობის სირთულით.

აქ მოსაგონებელია ფ. მახარაძის გაფრთხილება მის საყურადღებო წერილში კოლხეთის ჭაობების დაშრობის შესახებ, რომ აჩქარება რთულ სამელიორაციო მშენებლობაში სახიფათოა. მელიორაცია უშუალოდ გარდაქმნის მხოლოდ მიწის ხარისხს, ის იძლევა შეძლებას სრულად გამოყენებულ იქნეს მიწის წარმოებითი ძალა. საინტერესოა იმის გათვალისწინება, თუ რა შედეგები უნდა მოგვცეს ეხლა წარმოებულ სამელიორაციო მუშაობამ. რასაკვირველია, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ საორიენტიროდ, მაგრამ ესეც მეტად მაჩვენებელია.

იმ მიწებში, რომლის მელიორაციაც **ეხლა წარმოებს**=43.000 ჰექტ. სრულიად გამოუყენებელი რჩება. ეს არის უმთავრესად ჭაობები — ფოთის რაიონში და საძოვრები ალაზნის ველზე. მელიორაციის შემდეგ ეს მიწები ვადაიქცევა პირველ ხარისხოვან მიწებად, მათი ნაწილი მიეცემა ადგილობრივ უმიწაწყლო გლეხებს, ნაწილი სხვა მაზრების უმიწაწყლოდ და მცირე მიწიანებს, როგორც საკოლონიზაციო ფონდი.

ეხლა ამ მიწების მხოლოდ 5%-ა დაკავებულია ძვირფასი მცენარეულობით. დანარჩენ 95%-ის მესამედი ჭაობებია, მესამედი საძოვრები და ბოლო მესამედზე კი ითესება ხორბლეული. მელიორაციის საშუალებით ამ მიწების გაუმჯობესების შემდეგ შესაძლებელია მათზე ბაღ ვენახების, ბოსტნების გაშენება, ბამბის, კენაფის, შაქრის ჭარხლის დათესვა.. ეს დაიკავებს ამ მიწის 40%-ს. ეს აბსოლიუტურ ციფრებში მოგვცემს ამ კულტურების არეს მომატებას 42.000 ჰექტ. რაოდენობით, კერძოდ 22.000 ჰექტ. მეტი შეგვემატება სამრეწველო ნედლეული, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინდუსტრიალიზაციის ახალ ხანაში.

ამ სოფლის მეურნეობის ასეთ თვალსაჩინო ცვლილებებს, მოსდევს ნაწარმოების ღირებულების გადიდება ამ მიწებზე და გლეხის შემოსავლის ზრდა. ეხლა კი 1 ჰექტ. მოხსენებულ მიწებისა აძლევს გლეხს არა უმეტეს 75 მ. პროდუქციას; მელიორაციის მეოხებით გაუმჯობესებულ მიწის ინტენსიურად გამოყენების შემდეგ იგივე ერთი ჰექტარი მისცემს გლეხს 250-300 მ. პროდუქციას; სულ ეს 126 ათ. ჰ. სახალხო მეურნეობას რამდენიმე ათეულ მილიონათ ღირებულ პროდუქციას შემატებს.

მოხსენებულ მშენებლობასთან ერთად წარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ახალ სამელიორაციო სამუშაოთა დასაწყებად ამ უახლოეს წლებში. ეს არის გამოკვლევანი და პროექტების შედგენა. გამოკვლეულია, ან წარმოებს გამოკვლევა და სდგება პროექტები შემდეგ ახალ სამუშაოებისა: სამგორის ველის მორწყვისათვის—44.000 ჰ., ზემო-ყარაიაზის ველის—7.700 ჰ., შირაქის პლატოსთვის—

30.000 გ. წყლის მიწოდება ბორჩალოს მაზრის სარწყავ სისტემის სარეკონსტრუქციოთ 50.000 ჰ., კოლხეთის ჭაობების დამატებით 7.000 ჰ. ამოსაშრობათ. ყველა ეს სამუშაონი, საერთო სივრცით 137.000 ჰ., შეტანილია 5 წლიან გეგმაში და როცა იგი დამტკიცდება, დაიწყება ეს მნიშვნელოვანი საქმე.

ამათში ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო არის სამგორის ველის მორწყვა.

საკმაოა გავითვალისწინოთ, რომ სამგორის მორწყვა გვაძლევს დედაქალაქის პირას 30.000 გ. უმიწაწყლო გლეხებისთვის გამოსაყენებელ საკოლონიზაციო ფონდს, აჩაღებს ფართოთ რძის მეურნეობას ქალაქის მახლობლათ, ადიდებს ბაზბის არეს 7.000 გ., ჰქმნის ახალ ელსადგურს და ყველას ამას, ვიმეორებთ, არა სადღაც გადაკარგულ უდაბნოში, არამედ უშუალოდ დედაქალაქის გარეუბნიდან დაწყებული კახეთის რკინის გზის გასწვრივ.

ვ. ხახანაშვილი.

მასიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წესი წინათ და ეხლა.

მუნიციპალური მოღვაწეობის საზღვრებს ხალხის ამა თუ იმ ხანაში განმარტავს ნისი კულტურული დონის საფეხური და მატერიალური შესაძლებლობანი; რამდენადაც კულტუროსანია ხალხი, იმდენად უფრო რთული და მნიშვნელოვანია ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობის ასპარეზი.

მუნიციპალიზაციის ამოცანები მეტად დიდია, მიღწევები კი ერთობ მცირე. მაგალითად, 1912 წ. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში წყალსადენი არსებობდა: ბათომში, ფოთში, სოხუმში, და ტფილისში: ელექტროსადგურები: ბათომსა და ტფილისში; აბანოები არსად ადგილობრივ ორგანოთა გამგებლობაში არ იყო. მუნიციპალიზაციის ასეთი სუსტი ზრდის მიზეზი იყო იმ დროინდელი უკულმართი კანონმდებლობა და კერძო კაპიტალი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქები სწრაფად იზრდებოდენ, ვაჭრობა-მრეწველობა წინ მიიწევდა. ამავე დროს გამოაშკარავდა, რომ მეფის ტახტს საშიშროება მოელოდა და ეს გარემოება უმთავრესათ ქალაქების ზრდას მიეწერებოდა. ამიტომ მართველმა წრეებმა საჭიროდ დაინახეს ქალაქების კულტურული ზრდის ხელოვნურად შეჩერება და ამ მიზნის განსახორციელებლად საუკეთესო ზომათ აღიარეს ერთის მხრივ თვითმართველობის უფლებების შეკვეცა და მეორეს მხრივ ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა ქალაქის ზრდაში. ქალაქების უფლებები საგრძნობლად შეიკვეცა 1892 წლის საქალაქო დებულების გამოცემით: მეორე ზომის გასატარებლად კი საჭირო გახდა მართველ წრეების მიერ თვითმართველობათა აბუჩათ აგდება და ქალაქების მცხოვრებთა მოთხოვნილების გათელვა. ამ დროს თუ ერთი სამინისტრო ადგილობრივ ორგანოთა მფარველის როლში გამოდიოდა, მეორე სამინისტრო არავითარ ზომას არ ერიჯებოდა ქალაქების ზრდის შეჩერებაში.

1897 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებული ცირკულიარით მიმართა ადგილობრივ ორგანოებს, სადაც ის ურჩევდა უკანასკნელთ თავი შეეკავებიათ მომგებიან წამოწყებათა კონცესიით გაცემაში, თვითონ ეწარმოებინათ ეს საქმე და მოგება მოეხმარებიათ ქალაქის კეთილმოწყობისათვის. ამავე დროს ეს სამინისტრო ყოველგვარ დახმარებას ჰპირდებოდა სათანადო კრედიტების გაცემით. მეორე უფრო მძლავრი სამინისტრო — ფინანსთა — ვიტეს ხელმძღვანელობით, სინოდის ხელმძღვანელ პობედონოსცევთან ერთად სასტიკი წი-

ნააღმდეგი იყო მუნიციპალურ წამოწყებათა გაძლიერებისა თვითმართველობის ხელში, რის გამო იგი არავითარ კრედიტებს არ აძლევდა ადგილობრივ ორგანოებს წამოწყებათა ასაგებათ და გასაფართოებლად.

ამგვარად შინაგან საქმეთა სამინისტრო არ უშვებდა კონცესიონერებს საზოგადო სარგებლობის საქმეში, ხოლო ფინანსთა სამინისტრო არ აძლევდა თვითმართველობებს საკუთარ წამოწყებათა ასაგებათ საჭირო კრედიტებს.

ამავე დროს ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას უწევდა კონცესიონერებს და მათ ინტერესებს ანაცვლებდა ხალხის კეთილდღეობას.

სახელმწიფოზე ბევრად მძლავრ წინააღმდეგობას უწევდა და უწევს დღესაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში თვითმართველობას გაერთიანებული კერძო კაპიტალი.

უკვე აღვნიშნეთ, რომ მუნიციპალიზაციის მიზანია მოქალაქის ყოველგვარი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს განსაზოგადოებულ წამოწყებებით. თავის თავად ცხადია, რომ აქ მუნიციპალიზაცია უპირისპირდება კერძო კაპიტალს და, მაშასადამე, მათ შორის უნდა სწარმოებდეს ბრძოლა, რადგან პირველის წარმატება ნიშნავს კერძო კაპიტალის შევიწროებას.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კერძო კაპიტალის სიმძლავრე იმაში გამოიხატება, რომ თითოეული ქალაქის ბატონ-პატრონნი და გამგებელნი თვით ამ კერძო კაპიტალის მესაკუთრენი არიან. თუ ზოგიერთს შემთხვევაში ქალაქის მესვეურთა ჯგუფში იყვნენ და არიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მუნიციპალიზაციის გულწრფელი მომხრეები, ისინი უმცირესობას შეადგენენ და მათ ხმას მნიშვნელობა ეძლევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხოვრების გარდუვალი აუცილებლობით მუნიციპალიზაციის გატარება საჭირო ხდება.

ასეთი პირობები რუსეთის ყოფილ იმპერიაში სრულიად შეიცვალა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. გასაბჭოების პირველ დღეებიდანვე კერძო პირს ჩამოერთვა სამრეწველო დაწესებულება და ამ გვარად მთელი წარმოების განსაზოგადოება. სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადება მოხდა. კომუნალურ წამოწყებათა ესეთი განსაზოგადოება საჭირო იყო მრავალგვარი მოსაზრებით.

ყველა საზოგადო სარგებლობის წამოწყებას თან სდევს სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ადგილობრივ ორგანოთა ხელში ეს წარმოებანი მიზნად ისახავენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას სანიტარიის და ჰიგიენის მხრივ მოსახმარ საქონლის გაიაფებას და გაუმჯობესებას. ხშირად ესა თუ ის წამოწყება ადგილობრივ ორგანოს ხელში საზარალოა, მაგრამ ამაზე უარს არ ამბობს, რადგან იგი მოსახლეობის მასიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს (მაგ. წყალსადენი) ან სანიტარიის და ჰიგიენის თვალსაზრისით აუცილებელია (კანალიზაცია, ასენიზაცია და სხვა).

ამ მოსაზრებით ყველა ის საზოგადო მნიშვნელობის წამოწყებანი, რომელიც კერძო პირის გამგებლობაში იყო გასაბჭოების შემდეგ გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო ქონებათ და გადავიდა ადგილობრივ ორგანოების სრულ გამგებლობაში.

კომუნალურ წამოწყებათა შორის ყველაზე დიდი ფინანსიური მნიშვნელობა ჰქონდა ტრამვაის, წყალსადენს და ელექტრო-სადგურებს. აღნიშნულ წა-

მოწყებათაგან, სხვა უწყებათა შეუდავებლად, ადგილობრივ ორგანოთ გადაეცათ ტრამვაი და წყალსადენი, რაც შეეხება ელექტრო-სადგურების ადგილობრივ ორგანოთა განკარგულებაში გადაცემას, ეს საკითხი დიდხანს სადაო იყო, რადგან ელექტრო-სადგურები ემსახურებიან არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ სახელმწიფო მრეწველობასაც; ამიტომ მათი ადგილობრივი მნიშვნელობა სადაო გახდა. ეს დავა ადგილობრივ ორგანოთა სასარგებლოთ გადაწყდა და კომუნალურ განყოფილებათა წარმომადგენლების სრულიად რუსეთის მეოთხე ყრილობამ 1923 წლის მარტში აღნიშნა, რომ რ. ს. ფ. ს. რ.-ის ადგილობრივ ორგანოებს გადაეცათ 1.100 ელექტრო-სადგური. მაშასადამე, ჯერ კიდევ 1923 წელში ადგილობრივ ორგანოთა განკარგულებაში აღმოჩნდა იმდენი ელექტრო-სადგური, რამდენზედაც ძველ თვითმართველობებს ოცნებაც არ შეეძლოთ.

სასაკლაოების დიდი უმრავლესობაც გადაეცათ ადგილობრივ ორგანოებს, გარდა რამდენიმე ათეულისა, რომელნიც სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში იქნა დატოვებული; ამ კომისარიატის გაუქმების შემდეგ ესენიც გადავიდენ ადგილობრივ ორგანოთა გამგებლობაში. სასაკლაოებთან ერთად ადგილობრივ ორგანოებმა მიიღეს აგრეთვე ყველა სხვა დამხმარე წამოწყებანი. თუ როგორ გამდიდრდენ ადგილობრივი ორგანოები საერთო მნიშვნელობის წამოწყებებით საქართველოში, დავინახავთ შემდეგი ცნობებიდან.

1912 წელს, ოფიციალურ ანგარიშის მიხედვით *) წყალსადენი თვითმართველობათა განკარგულებაში იყო: ტფილისში, ბათომში, სოხუმსა და ფოთში. ამ ქალაქების გარდა დღეს წყალსადენი აქვთ: ახალციხეს, ლიუქსემბურგს. ნაწილობრივ გორს, სიღნაღს და ჭიათურას და მრავალ სოფელს. ელექტრო-სადგურები ჰქონდათ ტფილისს (რომელიც აკმაყოფილებდა მოსახლეობის მხოლოდ ერთი ჯგუფის მოთხოვნილებას, აქვე იყო 16 კერძო ელექტრო-სადგური) და ბათომს: დღეს კი ელექტრო-სადგურები არის ყველა ქალაქებში და ბევრგან სოფლადაც (გარდა სვანეთისა და ლეჩხუმის მაზრისა).

არცერთს თვითმართველობას 1912 წ. არ ჰქონია აბანო, ყველა აბანოები კერძო პირების ხელში იყო ან ზოგან სრულიად არ იყო. დღეს აბანოები ყველგ ქალაქშია გარდა რაჭისა და სვანეთისა და ყველა ეს აბანოები ადგილობრივ ორგანოთა გამგებლობაშია. ასე განსაზოგადოებრივდა მასიურ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი წამოწყებანი საქართველოში გასაბჭოების შემდეგ. რა შედეგები მოყვა ასეთ ფართე მუნიციპალიზაციას საზოგადოთ და კერძოთ საქართველოში.

კომუნალურ წარმოებებმა დიდი როლი ასრულეს ადგილობრივ ორგანოთა ფინანსებში. ფინანსთა სამინისტროს ანგარიშიდან სჩანს, რომ მიმდინარე საუკუნის პირველ ათ წელიწადში ადგილობრივ ბიუჯეტების შემოსავლის სტრუქტურა შეიცვალა შემდეგნაირად:

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ქალაქების შემოსავლის სამს მთავარ წყაროთა-განში საჯარო უფლებრივ ხასიათის შემოსავალი, ე. ი. გადასახადები-ხუსტად

*) Доходы и расходы городских поселений в 1912 г. изд. депар. неокладных сборов минист. финансов.

იზრდებოდა, ათი წლის განმავლობაში ეს უკანასკნელნი გაიზარდენ მხოლოდ ერთი მესამედით, მაშინ როდესაც წამოწყებათა შემოსავალი გაიზარდა 4-ჯერ მეტად.

შემოსავლის წყაროები	1909 წელს მილიონი მანეთი	% მონაწილეობისა ბიუჯეტში	1910 წელს მილიონი მანეთი	% მონაწილეობისა ბიუჯეტში
საჯარო უფლებრივი ხასიათის შემოსავალი (გადასახადებით)	30,8	38,8	41,0	22,6
კერძო უფლებრივი ხასიათის შემ. . .				
ა) ქალაქის ქონებიდან	21,3	23,5	37,5	20,7
ბ) წამოწყებიდან	12,6	13,9	51,6	28,6

ეს მოვლენა ეჭვს გარეშეა. შემთხვევითი არ იყო და კომუნალურ წამოწყებათა შემოსავლის როლის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტებში შედეგი იყო ორი გარემოებისა. პირველი იყო ქალაქების ხელმოკლეობა და აქედან გამომდინარე აუცილებლობა შემოსავლის წყაროების გაძლიერების და მეორე — ცხოვრების გარდუვალი მოთხოვნილების. მოსახლეობის ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა. რომელსაც შედეგად მოყვა წამოწყებათა შედარებით გაძლიერებული განვითარება.

ქალაქის უფლებები გადასახადებში მეტად შეეიწროებული იყო და ამ უფლების მთლიანად გამოყენებაც შეუძლებელი ხდებოდა ქალაქის საბჭოს შემადგენლობის გამო. სადაც ბატონობდა მესაკუთრეთა უმრავლესობა, ე. ი ის კლასი. რომელსაც ეს გადასახადები უნდა გაეღო. ძველმა მუნიციპალურმა მოღვაწეებმა კარგათ იცოდენ კომუნალურ წამოწყებათა სოციალური მნიშვნელობა, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა ამ საქმეს სრულიად შეგნებულად საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა და ცდილობდა ქალაქის ხარჯებისათვის საჭირო თანხა ამოეწურა მცხოვრებლებზე არა გადასახადის გაწერის სახით, არამედ მუნიციპალურ წამოწყებათა შემოსავლის გადიდებით. რომ მით შესაძლებელი გაეხადა მესაკუთრეთა განთავისუფლება დიდი გადასახადებიდან.

ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ქალაქების ბიუჯეტში კომუნალურ წამოწყებათა მნიშვნელობის სწრაფი ზრდა. რომ ძველი თვითმართველობები კომუნალურ წამოწყებებს უყურებდენ, როგორც შემოსავლის მთავარ წყაროს, სჩანს ფინანსთა სამინისტროს 1912 წლის ანგარიშიდან.

საქართველოს ყველა ქალაქების კომუნალურ წამოწყებათა შემოსავალი 1912 წელს უდრიდა 948.627 მან. ამ წამოწყებებზე იმავე წელიწადში დაიხარჯა სულ 349.205 მან.. მაშასადამე. წმინდა მოგება ყოფილა 599.422 მან. ანუ მთელი შემოსავლის 63,2%, ხოლო გაწეული ხარჯების 171,6%.

აქედან სჩანს, თუ როგორ ეპყრობოდა იმ დროინდელი თვითმართველობა საზოგადო სარგებლობის წამოწყებებს და რამდენად სძარცვავდა იგი მათ პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

საბჭოთა ხელისუფლებამ გასაბჭოების პირველ ხანებში დააწესა მუშა-მოსამსახურეთა უსასყიდლოდ უზრუნველყოფა კომუნალურ წამოწყებათა პროდუქციით, მაგრამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისა და ადგილობრივ ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტებიდან გამოყოფის შემდეგ, გამოაშკარავდა, რომ მიმდინარე ხარჯების დასაფარავად და ძირითადი თანხის შესანარჩუნებლად იძულებული იყვენ შემოელოთ ფასდადებით გაყიდვა კომუნალურ წამოწყებათა პროდუქციისა. 1921 წლის 25 აგვისტოს სრულიად რუს. ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტით, ამავე წლის 15 სექტ. დაწესებულ იქნა კომუნალურ წამოწყებათა პროდუქციის ფასდადებით მოხმარება. ეს აუცილებელი იყო, სხვათა შორის, იმ მოსაზრებითაც, რომ სახელმწიფო ხაზინას, რომელიც საკმაო დიდს ფინანსიურ გაჭირვებას განიცდიდა, წამოწყებათა მოთხოვნილებებს ველარ აკმაყოფილებდა, არავითარი შეკეთება არ სწარმოებდა. მაშასადამე, მუშა-მოსამსახურეთა უსასყიდლოდ მომარაგება წამოწყებათა პროდუქციით ნიშნავდა მათი ხელფასის ნაწილის გაღებას ამ საქმისათვის. ამის თავიდან ასაცილებლად იმავე 1921 წლის 25 აგვისტოს დეკრეტით კომუნალურ წამოწყებათა პროდუქციის შეძენაში კანონებდა შემდეგ წესს: პროდუქციის ღირებულება უნდა გადაეხადა არა ნომხმარებელს, არამედ იმ დაწესებულებას ან წამოწყებას, რომელშიც მუშა-ბელი მოსამსახურე ან მუშა, კანონშივე განსაზღვრული ნორმებით. მაგრამ ეს დეკრეტი უსიცოცხლო აღმოჩნდა და მალე შეიცვალა 1922 წლის 20 მარტის დეკრეტით, რომლის ძალით კომუნალურ წამოწყებათა პროდუქციით სარგებლობისათვის შესაფერი ფასი ხდებოდა ყველა მომხმარებელს ნაღდ ფულად, რისთვისაც მუშა-მოსამსახურეთ უნდა მომატებოდათ ჯამაგირები. მაგრამ არც ამ გზით წავიდა ცხოვრება; ფინანსიური ხელმოკლეობის გამო, ჯამაგირები მუშა-მოსამსახურეთ საკმარისად ვერ გაუდიდდათ და ამიტომ ადგილობრივი ორგანოები დაადგენ სხვა გზას — შელავათიან ტარიფების სისტემას მუშა-მოსამსახურეთათვის.

ამგვარად კომუნალურ წამოწყებათ გაუჩნდა საკუთარი შემოსავალი, რომელიც საჭირო იყო საექსპლოატაციო ხარჯებისა და ძირითადი თანხის აღდგენა-შენარჩუნებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება მეტად სათუთად მოეპყრა საზოგადო სარგებლობის წამოწყებებს და მტკიცედ მოითხოვა ამათი შემოსავალი მოხმარებოდა ამავე საქმის გაფართოებას. ამიტომ 1923 წლის 17 ივლისის დეკრეტით შემოღებულ იქნა სამეურნეო ანგარიში, რაიც ნიშნავს შემოსავლის დატოვებას, წამოწყების განკარგულებაში. მაშასადამე, ურთიერთობა საერთო სარგებლობის წამოწყებათა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის, წინანდელთან შედარებით, არსებითად შეიცვალა.

სამწუხაროთ, ხელთ არა გვაქვს ცნობები სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ წამოწყებათა შესახებ; ზევით მოყვანილ აზრის დასამტკიცებლად საკმაოდ მიგვაჩნია ცნობები იმ წამოწყებათა შესახებ, რომელნიც გადაყვანილი არი არიან სამეურნეო ანგარიშზე.

მაგალითად, 1925-26 წ. საქართველოს ქალაქების სამეურნეო ანგარიშზე გადაუყვანელ კომუნალურ წამოწყებათა მთელი შემოსავალი შეადგენდა 1.756.358 მანეთს. აქედან თვით წამოწყებებს მოხმარდათ 1.640.817 მან. და მაშასადამე, წამოწყებების უცხო საჭიროებას მოხმარდა სულ 115.541 მან. ანუ 6,5% მთელი შემოსავლისა და 7% ხარჯების და არ 171,6%, როგორც ეს იყო 1912 წ.

უფრო სხვა სურათს ვხედავთ 1926-27 წლის ბიუჯეტებში. აქ მთელი შემოსავალი კომუნალურ წამოწყებებისა შეადგენს 8.551.520 მან. *) ხმარდება კი ამავე წამოწყებებს 8.602.741. მ. ე. ი. მთელი შემოსავალი და სხვა წყაროებიდან 51.221 მან.

ეს გარემოება უზრუნველყოფს კომუნალური საწარმოების სრულ აღდგენას და გაფართოვებას ახლო მომავალში. ამას თვალსაჩინოდ დავინახავთ თუ წამოწყებებზე გაწეული ხარჯების ხასიათს გავითვალისწინებთ.

1926-27 წლის ბიუჯეტით, კომუნალურ წამოწყებათა ხარჯები შემდეგ საჭიროებათ მომხმარდათ: კაპიტალურ შეკეთებას ანუ ძირითადი თანხის აღდგენას 62.934 მან., ახალი მანქანების და ინვენტარის შეძენას 2.793.282 მან. ახალ აღმშენებლობას და პრსებულ წამოწყებათა გაფართოვებას 2.999.510 მან. და 2.747.015 მან. საექსპლოატაციო ხარჯებს. მაშასადამე, თვით წამოწყებათა აღდგენა-გაფართოვებას მოხმარდა 5.855.726 მან. ანუ მთელი ხარჯების 68,1%. ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება, უფრო სწრაფი ნაბიჯით მიიწევს კომუნალურ სარგებლობის წამოწყებათა აღორძინება-გაძლიერებისაკენ, ვინემ ძველი ხელისუფლება, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა სესხის მიღებისა სახელმწიფოს შიგნით და გარეთ. მუნიციპალურ საზოგადო სარგებლობის წამოწყებათა შემოსავალს ადგილობრივი ორგანო უბრუნებს ისევ მოსახლეობას გაუმჯობესებულ წყალსადენის, ელექტროსადგურების, გადამზიდავ საშუალებათა, აბანოს და სხვ. სახით. გაყავს ახალი ქსელი წყალსადენისა და ელექტრო-განათებისა იმ რაიონებში, რომლებიც წინათ ამას მოკლებულნი იყვენ და საზოგადოთ უფრო ფართედ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ვინემ ეს იყო გასაბჭოებამდე.

---

*) ასეთი ზრდა კომუნალურ შემოსავლისა 1926-27 წ. აიხსნება იმით, რომ ტფილისში კომუნალური წამოწყებები შეტანილნი იყვნენ ბიუჯეტში.

ს. ამაღლოგელი

კინო ინდუსტრიალიზაციის პერსპექტივები ჩვენში.

კაპიტალისტურ მეურნეობაში, უკანასკნელ ათეულ წლებში კინო ინდუსტრიალიზაციამ ბუმბერაზული ხასიათი მიიღო. ამერიკის, გერმანიის, ნაწილობრივ საფრანგეთის და იტალიის სახალხო მეურნეობაში კინო ინდუსტრიამ მრეწველობის მწვერვალთა შორის საპატიო ადგილი დაიჭირა.

ამერიკა და გერმანეთი წარმოადგენენ კინო ინდუსტრიის პირველ ქვეყნებს. უკანასკნელი ცნობებით, ამერიკის სახალხო მეურნეობაში კინო ინდუსტრიას უჭირავს მესამე ადგილი, გერმანეთის სახალხო მეურნეობაში მეტალურგიის შემდეგ კინო ინდუსტრია სდგას.

ამ ქვეყნების კინომრეწველობის მასშტაბი მეტად დიდია. როგორც ტეხნიკური, ისე ფინანსიური რესურსები კოლოსალურ ბუმბერაზობას წარმოადგენენ. ამერიკასა და გერმანეთში გვაქვს არა მარტო კინო წარმოებანი, კინო ქარხნები, არამედ კინო ქალაქებიც, მთელი მხარეები. ამ უკანასკნელთა მოწყობილობა, ქუჩებით, ნაშენობით, ბაღებით და მით უფრო ქარხნებით შეგუებულია კინო ფილმების გამომუშავების თავისებურობასთან.

გიგანტიურ ატელიებში ერთსა და იმავე დროს იდგმება რამდენიმე დიდი სურათი. ამ სურათებში მონაწილეთა რიცხვი ათასობით ითვლება, ნაგებობათა რაოდენობა ასობით, ცხოველთა და მხეცთა სცენებიც მრავლად.

როგორი პერსპექტივები გვაქვს საქართველოში კინო ინდუსტრიისთვის?

კინო ინდუსტრიის პერპექტივები მჭიდროდ უკავშირდება კინო ხელოვნების პერსპექტივებს. კინო ინდუსტრია კინო ხელოვნების მატერიალურ-ტეხნიკური მხარეა. თუ კინო ხელოვნების ფაქტორები არ არის მოცემული ქვეყანაში, იქ შეუძლებელია კინო ინდუსტრიის განვითარებაც. ინგლისი ამის საუკეთესო მაგალითია. ინგლისის მზე მკრთალად ანათებს კინოხელოვნებისთვის. ნისლოვან კუნძულის ატმოსფერული ბუნება ხელს უშლის კინო გადაღებების წარმოებას ნატურაში. ამიტომ ინგლისის კინო ბაზარი ამერიკის პროდუქციით იკვებება, მას ემატება გერმანული პროდუქცია და სულ მცირე პროცენტით საკუთარი წარმოების ფილმები.

მაშასადამე, კინო ხელოვნების ფაქტორები განსაზღვრავენ კინო ინდუსტრიის განვითარებას. ამიტომ კინო წარმოადგენს მეტად თავისებურ დარგს. ის ერთსადაიმავე დროს ხელოვნებაც არის და წარმოებაც. ხელოვნების სხვა დარგებიც უკავშირდება წარმოებას, მაგრამ კინო უშუალო წარმოებას წარმოადგენს.

კიდევ მეტი. კინო ხელოვნება უშუალოდ უკავშირდება ეპოქის ტეხნიკას თავის შემოქმედებაში. ხელოვნების არც ერთი დარგი ასეთ კავშირში არ არის ტეხნიკასთან. ამიტომ კინო ხელოვნება და კინო ინდუსტრია ერთი მოვლენის ორი მხარეა, ერთმანეთისაგან დაუშორებელი, ერმანეთისაგან განუყრელი. ამიტომ შეუძლებელია კინო ინდუსტრიის პერსპექტივების გამოყოფა კინო ხელოვნების პერსპექტივებიდან.

რა პირობებია საჭირო კინო-ხელოვნებისათვის? როგორ ნედლ მასალას მოითხოვს კინო ხელოვნება და კინო ინდუსტრია?

კინოს ნედლი მასალაა:

1. მზის სხივების სიუხვე და ელექტრო ჩქერი.
2. ბუნების მრავალფეროვნება.
3. ყოფის მრავალფეროვნება და ეკზოტიურობა.
4. არტისტიული მასალის სიჭარბე.

მზის სხივების სიუხვე და ელექტრო ჩქერი. ამერიკის კინო ინდუსტრიას მზის სხივების სიუხვით პირველი ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში. ლოს-ანჟელოსში, სადაც არის მოთავსებული ამერიკის კინო-მრეწველობის ცენტრი, წელიწადში მხოლოდ ერთი თვე ცდება უამიდობის, წვიმების გამო. ამ კუთხის მზის სხივების სიუხვე წარმოადგენს ამერიკის კინოს ბუნებრივ სინათლეს, ამიტომაც ამერიკის კინოში გამეფებულია ნატურალური რეალიზმი.

გადაღებანი დეკორაციებში, ქარხნებში ამერიკული ფილმების მეტად მცირე ნაწილს შეადგენს. სცენათა უდიდესი უმრავლესობა გადატანილია ბუნებაში. მხოლოდ ის სცენები, რომლებიც თავის შინაარსით ვეღარ გაიტანება ბუნებაში, სწარმოებს დეკორაციებში, ხელოვნური განათების პირობებში.

მართალია, კინო ლიტერატურაში სამართლიანი აზრი გვხვდება, რომ ბუნებრივ სინათლეს სჯობს ხელოვნური. ხელოვნური სინათლე უფრო ემორჩილება სამხატვრო მიზნებს, ვიდრე ბუნებრივი. მსახიობიც ატელიეში უფრო მეტად დაცულია გარეგანი ზეგავლენისგან და უზრუნველ ყოფილი არტისტიული გარდაქმნისთვის, ვიდრე ბუნებაში გადაღების დროს. ამის მიუხედავად, ბუნებრივ სინათლეს აქვს თავის სიმშვენიერე და თავისებურება. იგი უკავშირდება გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოს, ბუნების ლირიულ თუ ტრაგიულ მოცემულობას, რომელთა შენება ატელიეში უდიდეს ხარჯებს მოითხოვს, ზოგჯერ არსებითად შეუძლებელიც ხდება.

მზის სხივების სიუხვით საქართველო იშვიათ ქვეყანას წარმოადგენს. **საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მზის სხივების ასეთი სიუხვე არსად არ არის.** ეს გარემოება წარმოადგენს უკვირფასეს ნედლ მასალას კინო ხელოვნების და კინო ინდუსტრიის განვითარებისთვის. საშუალოდ, წლის სამი მეოთხედი გადაღებისთვის გამოსადეგი ამიდია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაშასადამე, გადაღებანი ბუნებაში შესაძლებელია თითქმის შეუწყვეტლად. ეს დიდ მომჭირნეობას მისცემს ჩვენს კინო ინდუსტრიას. მას არ დასჭირდება კაპიტალური ხარჯები ატელიეს გადაღებებში, დეკორაციების შენებაში. სცენართა შინაარსის შეგუებით ბუნების გადაღებებთან, კინო წარმოება მინიმალურად შეამცირებს სა-

წარმოო ხარჯებს. გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის გადაღებანი, პატარა ატელიეს პირობებშიაც, ზამთრის პერიოდში შეივსება ატელიეს გადაღებებითაც.

ამ რიგათ კინო ინდუსტრიის პირველი და მთავარი ნედლი მასალა ჩვენში მოიპოვება დიდი სიუხვით. ეს ნედლი მასალა არც ამოღებას მოითხოვს, არც გადატანის ხარჯებს, არც გადამუშავებას. იგი მოცემულია თავისთავად.

ბუნებრივ სინათლეს გარდა ჩვენ უკვე გვაქვს ხელოვნური სინათლის დიდი რეზერვუარი ზაჰესის სახით. ესეც კინო ინდუსტრიის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ბუნების მრავალფეროვნება.

ფილმის შენებას სჭირდება ბუნების სხვადასხვა სახე, წლის სხვადასხვა დროს პეიზაჟები, სხვადასხვა ქვეყნის ბუნების კოლორიტი. ბუნების სხვადასხვა ზონა. ამ მხრით საქართველოს მთელ მსოფლიოში უპირველესი ადგილი უჭირავს. ჩვენი მთების მწვერვალებზე მუდმივად თოვლი ძევს. ჩვენს დაბლობებში მუდმივად მცენარეულობანი ყვავის. ზღვის სანაპიროებზე მუდმივი ზაფხულია.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მსოფლიოს ყოველი კუთხის ბუნების კოლორიტია დაცული. აქ კინოსთვის მზად არის აფრიკული, ჩინური, იაპონური, ესპანური, ავსტრალიური ბუნება. საერთოდ შავი ზღვის სანაპიროები საშუალებას იძლევა ბუნების კოლორიტის დაუსრულებელი შერჩევისთვის.

ამას გარდა, ჩვენ გვაქვს მთებიც და ველებიც, ნაოსნობისთვის გამოსადეგი მდინარეებიც და ზღვაც, ზოგად ევროპიული ხასიათის საკურორტო ადგილებიც (ბორჯომი) და ულბური ტყეებიც. ზვრებიც და ბაღებიც (კახეთი და იმერეთი) და გაუალი ტბებიც და ჭაობებიც (პალიასტომის ტბა და ფოთის ჭაობები). ყოველივე ეს კინო ინდუსტრისთვის დიდი განძია.

ჩვენი ბუნების მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა გადავიღოთ ჩვენში ყოველი ქვეყნის, ევროპიულის და არა ევროპიულის ხალხის ცხოვრება. ამ ცხოვრების ბუნებრივი არეს შენება ჩვენ არ დაგვჭირდება ატელიეებში ჩვენს ბუნებაში საუკეთესოთ არის მოცემული სხვადასხვა ქვეყნის ბუნების სახენი. ეს გარემოებაც, მზის სხივების სიუხვის დამატებით, წარმოადგენს უდიდეს განძს, დაუსრულებელ მასალას კინო ხელოვნების და ინდუსტრიის განვითარებისთვის.

ყოფის მრავალფეროვნება და ეკზოტიურობა.

კინო ეძებს ყოფის ეკზოტიურობას. ამერიკა და გერმანეთი ექსპედიციებით, ან უფრო მეტად, ატელიეებში აგებით, სცდილობს სხვადასხვა ხალხთა ყოფის აღებას ფილმის ფონათ. აფრიკის, აზიის, ავსტრალიის მივარდნილი კუთხეები აღარ დარჩა გადაუღებელი. კინოს თვალი მეტად შორს იცქირება დი მსოფლიოს ყოველ კუთხეში ეძებს ეტნოგრაფიულ მასალას, ყოფის სიუჟეტებს.

საქართველო და ამიერ-კავკასია ყოფის მხრივ დიდ სიჭრელეს წარმოადგენს. ქალაქები—ტფილისი, ბაქო, ერევანი ევროპიული სამრეწველო ყოფის არეს იძლევა. ამ ქალაქების პროლეტარული მასები სოციალისტური ყოფის ჩანასახებზე იღებენ ახალ ცხოვრების შედეგებს, ამავე დროს ჩამორჩენილი კუთხეები—

ლვანეთი, აჭარისტანი, მთიულეთი, იძლევიან საგვარეულო და ფეოდალური ყოფის ნაშთებს, გარკვეული კუთხური კოლორიტითა და ეკზოტიკით.

ამიერ-კავკასიის ყოფის სიჭრელე დიდია. ამასთანავე ამ ყოფის შინაგანი მრავალფეროვნებაც უსაზღვროა. ამიერ-კავკასია ისტორიულად იღებდა, ხალხთა მოძრაობიდან, სხვადასხვა ყოფის ნალექს, ყოფათა შერევას, ამიტომ ამიერ-კავკასიის ხალხთა ყოფაში ბევრია ნარევი, ეკლექტიური. კინტოც ხომ ამიერ-კავკასიის ყველა ერთა ნალექია. მასში შეერთებულია ქართულ-სომხურ თათრული ყოფის ელემენტები.

ამ რიგათ ამიერ-კავკასიის ეტნოგრაფია, ვიწრო გაგებით, და სოციალური ყოფა, როგორც გარკვეული კულტურული კოლორიტი, ფართო ახრით, დიდ მასალას აძლევს კინო ხელოვნების განვითარებას ჩვენში. ცხადია ეს იმას არ უდრის, რომ ჩვენში კინო ყოფის ნაჭუჭში უნდა მოექცეს. სრულიად არა. ყოფის გარეშე კინოს აქვს საერთო სიუჟეტები, მასალა, მაგრამ ყოფის ჯანსაღი ასახვაც კინოსათვის გამოსადეგია. ყოფის ეკზოტიკა, როცა ყოფა სწორად და ღრმად არის გაგებული და მხატვრულად ასახული დიდ წარმატებას, კომერციულ თვისებას აძლევს სურათს.

არტისტიული მასალა. კინო ინდუსტრიის განვითარების ერთი ძირითადი ფაქტორი არტისტიული მასალაა. ამერიკისა და გერმანეთის კინო ინდუსტრიის ბუხჰალტერია კარგათ იცნობს, თუ რა ფასი აქვს კინო წარმოებისთვის კინო „ვარსკვლავს". ჩვენ იდეათ ვერ დავსახავთ იმ ბურჟუაზიულ ტრადიციებს, რაც უერთდება „კინო ვარსკვლავის" სახელს, მაგრამ ვერ უარვყოფთ კინო მსახიობის როლს კინო ინდუსტრისთვის.

ჩაპლინის, ფერბენკსის, პიკფორდის, გიშის, ბარტელმესის, იანინგსის, ვიდიტის და სხ. დიდ მსახიობთა მონაწილეობით შექმნილი ფილმები მსოფლიოს შარაგზებით მიემართება. ნაციონალური ბაზრის არეს შორდება. დიდი მოგების წყაროთ ხდება.

აქ საჭირო არ არის კინო მსახიობის როლისა და ბუნების შესახებ ლაპარაკი. აღვნიშნათ მხოლოდ, რომ საქართველო და ამიერკავკასია საერთოდ იძლევა მეტად მრავალფეროვან პლასტიურ მასალას. კინო მსახიობის საკითხი, როგორც უნდა გადაწყდეს, კინოს მაინც დაჭირდება ეგ. წოდებული ტიპაჟი. ე. ი. სახასიათო სახენი. სად, რომელ კუთხეში იპოვნით იმდენ ნაციონალურ, კუთხურ რაობრივ ნალექსა და სხვადასხვაობას, როგორსაც ამიერ-კავკასიაში? ცხადია, ვერსად.

ამერიკის კინომ დიდათ მოიგო ამერიკის მოსახლეობის ემიგრანტულ შემადგენლობით, ამ შემადგენლობაში ადვილად მოინახა ყოველგვარი ტიპი.

ამიერ-კავკასიაშიც დიდი ნაციონალური სიჭრელეა. ქართველები, სომხები, თურქები, სპარსელები, რუსები, ებრაელები, ბერძნები, მალაკნები, აისორები, ბოშები და სხ. იძლევიან კინო ხელოვნებისთვის ტიპაჟის შერჩევის დიდ თავისუფლებას.

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს კინომრეწველობისთვის ყოველგვარი, როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური პირობა.

ბაზარი. როგორ მდგომარეობაშია კინო ბაზარი? სად გავა ჩვენი პროდუქცია?

კინოსადმი ლტოლვა უდიდესი სისწრაფით იზრდება. კინომ გაასწრო ყველა სანახაობას მასების მიზიდვაში. მაგრამ ერთი ქვეყნის კინო ბაზარი მაინც მცირეა კინო წარმოებისთვის. კინოს აქვს ტეხნიკური შესაძლებლობა ერთი პოზიტივიდან გადაიღოს განუსაზღვრელად მრავალი პოზიტივი, გაამრავლოს ერთი სურათი მრავალ ეკზემპლიარებათ. ფილმის მხატვრული თვისება, პლასტიურობით მეტყველება, ათავისუფლებს მას ეროვნულ ფარგლებში შეზღუდვისაგან.

საქართველოს კინო ბაზარი მეტად დიდია. უპირველესად ის არის მთელი კავშირის ტერიტორია. მთავარ ბაზრად ეს სავსებით საკმაოა. ამას გარდა, დღესაც საქართველოს ფილმები გადის აზიის და ნაწილობრივ ევროპის კინო ბაზარზე. ცხადია, დღეს ჩვენ კუსტარული კინო მეურნეობა გვაქვს, ამიტომ გარეშე ბაზრისთვის ჩვენი ფილმის ხარისხი არ შეიძლება დიდ საკომერციო საფუძველს იძლეოდეს. შესაფერ მრეწველობის პირობებში ჩვენი კინოს პროდუქციას შეუძლია თავისუფლად გასვლა აზიის ბაზარზე და საუკეთესო ნიმუშების მიწოდებაც ევროპის ბაზრისთვისაც.

მაშასადამე, კინო ინდუსტრიის ბაზრის საკითხი ამთავითვე გადაწყვეტილია. ბაზარი ცალიერია და ფართო. საჭიროა მხოლოდ მისი დაკმაყოფილება. დაკმაყოფილება კი წარმოების საქმეა.

წარმოება. კინო ინდუსტრიაზე მსჯელობის დროს არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება—**კინოს არავითარ შემთხვევაში არ უდგება კუსტარული წარმოება.**

საერთოდ კუსტარული წარმოება ანგარიშში იღებს ადგილობრივ მოხმარებას. კინო სწორედ არ შეიძლება ადგილობრივ მოხმარებაზე იქნეს გადაყვანილი. მაშინ ის ვერ აინაზღაურებდა თავის საწარმოო ხარჯებსაც. კინო უნდა შეეჯიბროს გარეშე ბაზრებზე უცხოეთის კინო ფილმებს. კიდევ მეტი. კინო ადგილობრივ ბაზრებზეაც უნდა შეეჯიბროს უცხოეთის ფილმებს.

უცხოეთი კი გიგანტიური მასშტაბის ტეხნკური და ფინანსიური რესურსებით სდგამს ფილმს. ამ ფილმის მხატვოული ღირებულება რამდენჯერმე მეტია, ვიდრე ჩვენი კუსტარული წარმოების ფილმების.

მარტო განათება რომ ავიღოთ, აშკარად გახდება განსხვავება ჩვენი და უცხოეთის ფილმების შორის. გერმანეთის კინოს განკარგულებაშია დაახლოვებით 30.000 ამპერი სინათლე, მუდმივი და ცვალებადი ჩქერის სახის. საქართველოს კინო მრეწველობა 800 ამპერზე მუშაობს. საბჭოთა კავშირის საუკეთესო ქარხნებში მხოლოდ 2.000 ამპერამდე აღწევს ელექტრო სინათლე.

საშუალო ევროპიულ-ამერიკული ფილმის დადგმაზე იხარჯება 400.000 მანეთი. საქართველოს კინომრეწველობის საშუალო სურათის დადგმაზე იხარჯება 30—40.000 მანეთი.

ამას თუ დაუმატებთ უცხოეთს კინოს პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას ტეხნიკურ შესაძლებლობათა მაღალ ხარისხს, აშკარა გახდება, რომ **კუსტარულ კინოს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს კინო ინდუსტრიის პროდუქციას. ამ შეჯიბრების გარეშე კი ვერ იარსებებს კინო წარმოება.**

ჩვენს კინო აუდიტორიას უჩვენებთ ერთი მხრით მსოფლიო წარჩინებულ სურათებს რომლებზედაც მილიონებია დახარჯული, რომლებიც გამოჩენილ რეჟისორთა დადგმაა და მსოფლიოდ ცნობილ მსახიობთა შემოქმედებით არის გამართული, მეორე მხრით ვაწოდებთ ჩვენს უბადრუკ კუსტალულ წარმოების ფილმებს. აშკარაა კინო აუდიტორია გვერდს უხვევს ჩვენს სურათებს და ხალისით მიდის ევროპიულ-ამერიკულ სურათებზე.

უცხოეთიდან ჩვენში ნაკლებად შემოდის საშუალო სურათები, უმთავრესად შემოდის „ბოევიკები" არ შეიძლება არ შემოვიტანოთ პირველ ხარისხოვანი ფილმები. ეს იქნებოდა ხელოვნურად ჩამორჩენა კინო ხელოვნების დარგში. მაგრამ ამ სურათებთან ჩვენი ფილმების ჩვენება ხელს უწყობს ჩვენი სურათების დამარცხებას.

აუდიტორია მართალია, როცა არ კითხულობს რა დაიხარჯა „ბაღდადელ ქურდზე" და „ორ მონადირეზე", ან რა განსხვავებაა ჩვენსა და ამერიკის, ან გერმანეთის მსახიობებს შორის. მას სურს ესთეტიური საზრდო და არა ეკონომიურ-მხატვრული მსჯელობა უცხოეთისა და ჩვენს კინო შესაძლებლობაზე. ვიმეორებთ აუდიტორია მართალია.

ამიტომ საკითხი უნდა დადგეს პირდაპირ—ან გაბედულად, გადაჭრით და სასწრაფოდ უნდა შევკნათ კინო ინდუსტრია, ან თავი უნდა დავანებოთ კინო კუსტარობას წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ მხოლოდ ზარალს.

კინო ინდუსტრიაზე გადასვლა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კინოინდუსტრიისთვის მოგვეპოვება ყოველგვარი პირობა. გვაქვს დიდი ბაზარიც.

რა არის საჭირო? საჭიროა:

1) სპეციალისტები.
2) ტეხნიკური იარაღები.
3) კაპიტალი.

სპეციალისტები.

უპირველესად აუცილებელია რეჟისორები. წარმოებას უნდა ჰყავდეს რამდენიმე კვალიფიციური რეჟისორი, რომელზედაც შესაძლო იქნება საწარმოო. გეგმის სიმძიმის გადატანა. ამას გარეშე შესაძლებელია ცდები, ექსპერიმენტები, არა კვალიფიციური ძალების გამოცდაც და სხ. ყველა რეჟისორების მოწვევა შეუძლებელია.ორი რეჟისორის მოწვევით შესაძლებელია ადგილობრივად ძალების გაწვრვნა, მათი ერთდროული მივლინებით გადამზადება.

დასაწყისისათვის 5—7 რეჟისორი ძირითადი კადრის სახით სავსებით საკმაოა.

რეჟისორები არ კმარა კინო წარმოებისთვის, საჭიროა კინო მხატვრები, დეკორატორები, ხუროთმოძღვრები, ლაბორანტები, მონტაჟისტები, გრიმერები, გამნათებლები და სხ. ვიწრო სპეციალისტი. საჭიროა ამ კადრის მომზადებაც.

თითო კაცი მაინც უნდა იქნეს თითო დარგში საქმის რიგიანად მცოდნე.

გარდა სამხატვრო დარგისა **აუცილებელია სპეციალისტი კინო ადმინისტრატორები და ეკონომისტები.** მათ უნდა ესმოდეთ, როგორც კინოს მხატვრუ-

ლი, ისე ფინანსიური მხარე. უამისოთ შეუძლებელია კინო ინდუსტრიის ხელმძღვანელობა. ამ დარგშიაც **ორი სპეციალისტია აუცილებელი თავდაპირველად 1) კინო წარმოების ხელმძღვანელი, 2) კინო ექსპლოატაციის ხლმძღვანელი.** ეს ორი დარგია კინო წარმოების განმსაზღვრელი. თუ ამ დარგთა ხელმძღვანელებს არა აქვთ საქმის ცოდნა, შეუძლებელი იქნება წარმოების განვითარება.

ტეხნიკური აპარატები. კინო ხელოვნება უმჯიდროეს კავშირშია ტეხნიკასთან. კინო ხელოვნებაში საჭიროა არა მარტო მხატვრული ფანტაზია, არამედ ფიზიკისა და ქიმიის პროცესების ზედმიწევნით სწორი მომარჯვება.

თვით გადამღები აპარატიც თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვაა. კინო ლაბორატორიაც მეცნიერულ-ტეხნიკურ დაყენებას მოითხოვს.

საერთოდ კინოში ვერც ერთი გენიალური რეჟისორი, ასეთივე მსახიობებით, ვერაფერს გააწყობს, თუ მას შესაფერი ტეხნიკური აპარატები, დამხმარე მუშაკებით, არ მიეშველა, თუ მისი მხატვრული ამოცანა ტეხნიკურად უნაკლოდ არ იქნა შესრულებული.

ამიტომ კინო ინდუსტრიის მატერიალურ საფუძველთა შორის უპირველესად ტეხნიკურ აპარატის გამოყენებაა საჭირო. ჩვენ ამ მხრივაც არ ვართ სათანადო სიმაღლეზე მდგომი. აუცილებელია ამ დარგს გენერალური ყურადღება მიექცეს. საჭირო აპარატები შეძენილ იქნეს. კინო ინდუსტრიის მატერიალურ-ტეხნიკური საფუძველი გაჯანსაღდეს.

კაპიტალი. კინო ინდუსტრიაში კაპიტალი ორი მხრით არის განხილვის საგანი. კაპიტალის მოცულობა, სიდიდე და კაპიტალის დანიშნულება, მიზანი.

ამ უკანასკნელის საკითხი ჩვენში სწყდება სავსებით სხვაგვარად ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. კინო ჩვენში უმთავრესად და უპირველესად მხატვრული და საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ვიდრე კომერციული. აშკარაა, ქვეყანა, რომელიც ტიპიურ კომერციულ მრეწველობასაც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველზე აწყობს და მინიმალურ მოგების ფარგლებში აყალიბებს, ეს ქვეყანა, მით უფრო კინო მრეწველობის დარგში, მოგების მიზნით ვერ გამოვა. და არც გამოვა.

ამ მომენტს ორგვარი მნიშვნელობა აქვს კინო ხელოვნებისა და კინო ინდუსტრიის განვითარებისთვის. მოგების მომენტის მოხსნა აუქმებს კინო ხალტურისაგან გადახრას მესჩანურ-შაბლონური ფილმების შენებას, აუდიტორიის გემოვნების ბრმა მორჩილებას. ამასთანავე ეს მომენტი ამცირებს კინო კაპიტალის ჩვეულებრივი მოგების სიმაღლეს.

გამოშვება იშვიათი მხატვრული, მეცნიერული, საგანმანათლებლო ფილმის იმდენ მოგებას ვერ აძლევს წარმოებას, როგორსაც სანტიმენტალურ-ინტიმურ-დრამა, რომელიც დიდათ უყვარს საშუალო მაყურებელს.

ეს თავისებურობა არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება საბჭოთა კინო განვითარების შემაფერხებელ მომენტად. პირიქით, ეს თავდებია ჩვენი კინოს აყვავების და მისი მოხმარების მუშათა კლასის სასარგებლოთ.

კინო კრიტიკოსები საფუძვლიან შიშს გამოსთქვამენ, რომ ბურჟუაზიულ კინომრეწველობაში მხატვრული ინტერესი ეწირება კომერციულს. კინო ჩამოდის გაუნათლებელი და განუვითარებელი მასის გემოვნებამდე. სალაროს ანგარიში განსაზღვრავს რეჟისორის ფანტაზიას. ჩვენში ეს სავსებით მოხსნილია, ან უკეთ უნდა იქნეს მოხსნილი. ეს კომერციულ ზარალს უდრის მხოლოდ განსაზღვრულ საფეხურამდე, მანამ. ვიდრე საზოგადოების გემოვნებას აწევს ახალ პროდუქციამდე, ვიდრე ხალხი შეეჩვევა ახალ მხატვრულ ფაქტებს. ეს კი უეჭველად მოხდება თუ ჩვენი კინო გასცდება კუსტარულ ხასიათს და იდეოლოგიურ სისწორეს შეუფარდებს მხატვრულ სიმაღლეს. ამას გარდა, კინო კაპიტალის მოგება იმდენად მაღალია, რომ მისი შემცირებაც, არავითარ შემთხვევაში არ შეაფერხებს კინო ინდუსტრიის ზრდას.

ცხადია, ჩვენ ვამბობთ ნორმალურ კინო კაპიტალზე, უკეთ ნორმალური წარმოების მოგებაზე. უცხოეთში კინო წარმოება იტანს დიდ კონკურენციას სხვადასხვა ქვეყნის წარმოებათა შორის. იგი არავითარი პრივილეგიებით არ სარგებლობს. მიუხედავათ ამისა, კინო კაპიტალზე რამდენიმე ასეული პროცენტით ირიცხება მოგება. ჩვენში კი წინააღმდეგ. კინო მრეწველობა ყოველგვარი პრივილეგიებით სარგებლობს და დეფიციტიდანაც თავი ვერ დაუხწევია. ასეთ გარემოებას ვერასოდეს ვერ დაახწევს თავს კუსტარული კინო წარმოება. ეს მისი ბუნებრივი ბედია.

კინო კაპიტალი თავისი მოცულობით არ მოითხოვს დიდ რაოდენობას. კინო წარმოებისთვის უმთავრესია საბრუნავი კაპიტალი. ამავე დროს, კინო მრეწველობაში კაპიტალის ბრუნვა ჩქარია. ეს კინოს შესაძლებლობას უქმნის საბანკო, საკრედიტო გზითაც დააყენოს წარმოება მკვიდრ ნიადაგზე. განსაკუთრებით ჩვენში, სადაც სახელმწიფო მრეწველობას საბანკო კრედიტები სისტემატიურად ეძლევა, კინოს საშუალება აქვს დაუსრულებლად გააფართოვოს მუშაობა თუ ეს უკანასკნელი გონივრულად იქნება დაყენებული. მაშასადამე, ჩვენში კინო ინდუსტრიის აღორძინებას არ ეღობება არც ფინანსიული დაბრკოლება.

როგორც ვხედავთ, ყოველგვარი პირობა არსებობს კინო ინდუსტრიის აღორძინებისთვის. **საჭიროა მხოლოდ საქმის მცოდნე პირები, სპეციალისტები და საათანადო ტექნიკური აპარატები.** ეს არ შეადგენს დიდსა და დაუძლეველ დაბრკოლებას.

ჩვენ ვალდებული ვართ უყურადღებოდ არ დავტოვოთ ეს შესაძლეობანი. **ჩვენ აუცილებლად უნდა დავაყენოთ საკითხი—კინო ინდუსტრიალიზაციის გატარების.** ამით ჩვენ შევქმნით ჩვენი მეურნეობის ერთ დიდ საფუძველთაგანს, ჩვენი კულტურის ერთ დიდ დარგს.

ბრ. კუჭაიძე.

სახალხო ჯანმრთელობა გასაბჭოების 10 წლის თავზე.

ოქტომბრის რევოლიუციამ სრული გარდატეხა მოახდინა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში. მუშათა კლასი დიეპატრონა სახელმწიფო ძალაუფლებას და გამონახა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ახალი მეთოდები და ფორმები.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახალხო ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს საერთო აღმშენებლობის განუყოფელ ნაწილს და უჭირავს განსაკუთრებული ადგილი იმ ღონისძიებებს შორის, რომელთაც მიზნად კომუნიზმის გამარჯვება აქვს.

ძველი რეჟიმის დროს სახალხო ჯანმრთელობის დაცვა დაქსაქსული იყო სხვადასხვა უწყებებსა; დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. მხოლოდ რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაში ქონდა ერობებს ეს საქმე წესიერად დაყენებული, რაც აიხსნება ამ ერობათა აქტივობით. ამ მხრივ საქართველო, სადაც ერობა არ არსებობდა, მძიმე პირობებში იმყოფებოდა.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმე კიდევ უფრო გაუარესდა 1914-17 წლებში, როდესაც მობილიზაციით ფრონტზე გაიწვიეს ექიმების დიდი ნაწილი და საავადმყოფოების უდიდესი ნაწილი გადაკეთდა სამხედრო ლაზარეთებად.

მენშევიკურმა ხელისუფლებამ ვერ შესძლო საექიმო-სასანიტარო საქმის გაუმჯობესება და, პირიქით, საქართველოდან გაქცევის დროს მათ გაზიდეს მედიკამენტების არსებული მარაგიც.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი საბჭოთა მედიცინის ლოზუნგების განხორციელება: რიგორიცაა, უფასოდ წამლობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა და კვალიფიციურობა.

საქმის წესიერად დაყენებისათვის საჭირო იყო უპირველესად საუწყებო დაქსაქსულობის მოსპობა და საექიმო სასანიტარო საქმის ერთ სახელმწიფო ორგანოში—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში—გაერთიანება.

ბურჟუაზიულ მედიცინის მეთოდის წინააღმდეგ, რომელიც მთავარ ყურადღებას ინდივიდუალურ მკურნალობას აქცევს, საბჭოთა მედიცინა პირველ რიგში მოსახლეობის მასიურ გაჯანმთელებას აყენებს, რასაც ვაღწევთ გამაფრთხილებელი ღონისძიებების ფართოდ გავრცელებით.

ისტორიული პირობების გამო საქართველო სანიტარიის მხრივ მეტად ჩამორჩენილი იყო.

თანხების სიმცირის მიუხედავად ჰიგიენურ დაწესებულებათა ქსელი, თანდათან ფართოვდებოდა. რასაკვირველია ეს ქსელი არაა საკმაო, საჭიროა მისი გაფართოებაც, მაგრამ მეფის მთავრობასთან შედარებით ამ დარგში დიდი მიღწევები გვაქვს. მაგ. მეფის რეჟიმის დროს გადამდებ სენით შეპყრობილთათვის არსებობდა 3 კარავი, ამჟამად-კი—11, სადეზინფ. კამერა—3, ამჟამად—46, ლაბორატორია—3, ამჟამად—64, პასტერის სადგური—1, ამჟამად—4.

პირველად საბჭოთა ხელისუფლების დროს დაარსდა ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი, სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტი, სოციალური ჰიგიენის მუზეუმი, პროფავადმყოფობათა შესწავლის ინსტიტუტი და აგრეთვე სამაზრო სანიტარული აპარატები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის.

სოციალურ ავადმყოფობათა (ვენერიზმი, ჭლექი) წინააღმდეგ ბრძოლა სწარმოებს ორი საშუალებით: ეწყობა ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც ობიექტად ავადმყოფი ჰყავს და ამავე დროს სწარმოებს მოსახლეობის შორის ფართო სანიტარული აგიტაცია.

ჭლექი საქართველოში და განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში ფართოდაა გავრცელებული.

ჭლექთან მებრძოლ დაწესებულების საუკეთესო ტიპს წარმოადგენს დისპანსერი, რომელიც მკურნალობასთან ერთად აწარმოებს ავადმყოფთა აღრიცხვას, გამოკვლევას და აგიტაციას. ასეთი ტუბ-დისპანსერი 4 გვაქვს.

მშრომელთა გასაჯანსაღებლად ფართოდაა გამოყენებული კლიმატიური საკურორტო ადგილები, რომლებიც საქართველო მდიდარია. მშრომელთა განკარგულებაშია ათი სანატორიუმი 1200 საწოლით და რამდენიმე დასასვენებელი სახლი. 1921 წ. ჩვენს სანატორიუმებში (აფხაზეთსა და აჭარისტანს გარდა) გატარდა 1359 ავადმყოფი; 1926 წ. გაცემულია 180.269 მან. აბაზანა, ნახშირმჟავა—6.464, ტალახის—26.002.

დიდი მუშაობაა ჩატარებული კურორტების აღდგენისა და კეთილმოწყობისათვის: დაარსებულია მრავალი ახალი საექიმო დაწესებულება, აგებულია ელსადგურები, მისასვლელი გზები და სხ.

საბჭოთა კავშირის არსებობის ათი წლის თავზე ტფილისში ზეიმით გაიხსნება კურორტოლოგიის და ფიზიატრიის ინსტიტუტი, ბორჯომში — ბალნეოფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი, აბასთუმანში საძირკველი ჩაეყრება კანალიზაციასა და წყალსადენს, წყალტუბოში—გლეხის სახლს.

საკურორტო მრეწველობის პროდუქციის მოპოვებისა და რეალიზაციის მხრივ დიდი მიღწევები გვაქვს—მაგ., 1926 წ. დამზადებულია 383.000 ბ. ბორჯ. წყალი, 1925 წ. 3.600.759 ბ., ხოლო 1927 წ. საწარმოო გეგმით განზრახულია 8.000.000 ბ. დამზადება.

ასეთივე მიღწევები გვაქვს ნახშირჟანგისა და ბოთლების დამზადების დარგში.

კარგად აოის დაყენებული ვენერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეც. ამჟამად გვაქვს 6 ვენდისპანსერი და რამდენიმე სპეციალური კაბინეტი.

განსაკუთრებით მწვავედ სდგას ჩვენში მალარიასთან ბრძოლის საკითხი. მალარიის გავრცელებას ხელს უწყობს ჩვენი გეოგრაფიული და ეკონომიური პირობები. მალარიიდან დაცულია მხოლოდ ორი რაიონი—სვანეთი და ახალქალაქის მაზრა, რომელთა მოსახლეობა 80.000 სულს უდრის. განსაკუთრებით გავრცელებულია ეს სენი დაბლობ ადგილებში, როგორიცაა, ყარაიაზის და ალაზნის ველი, მდ. რიონის და იორის დაბლობები და მთელი შავი ზღვის სანაპირო.

თვითეულ 1000 მცხოვრებზე მოდის 137 მალარიით დასნეულებული.

საქართველოში მალარიასთან ბრძოლას ხელმძღვანელობს ცენტრალური სამალარიო კომიტეტი. გვაქვს ორი ტროპიკული ინსტიტუტი და 13 სამალარიო სადგური.

სანიტარულ განათლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ტფილისში არსებობს სანიტარული განათლების სახლი და სოციალური ჰიგიენის მუზეუმი. ყველა სამაზრო ცენტრებიდან დაარსებულია სანიტარულ-განმანათლებელი გამოფენები, ხოლო სასოფლო ადგილებში ქოხ-სამკითხველოებისათვის დაგზავნილია საგამოფენო მასალები.

შესამჩნევი მუშაობაა ჩატარებული დედისა და ბავშის დაცვის დარგში. ბავშთა მკვდოვანობა საქართველოში ყოველთვის დიდი იყო, რაც აიხსნება მოსახლეობის სიღარიბით და უკულტურობით. ძველი რეჟიმის დროს არ არსებობდა ძუძუმწოვარ ბავშთათვის არცერთი კონსულტაცია. ამჟამად გვაქვს 22 კონსულტაცია.

დიდი ყურადღება ექცევა მაზრების უზრუნველყოფას საექიმო პერსონალით. ყველა სამაზრო ცენტრებში გვაქვს საავადმყოფოები სამი ძირითადი განყოფილებით: ქირურგიულით, სამეანო-გინეკოლოგიურით და ტერაპევტიულით. მეფის დროს საქართველოში იყო 38 საავადმყოფო, მენშევიკების დროს 45, ეხლა—83. ამბულატორია იყო—7, ეხლაა—143, კბილის საექიმო კაბინეტი 4, ეხლაა—57. იზრდება სასოფლო ქსელიც. ამჟამად სოფლებში გვაქვს 333 საექიმო და 87 საფერშლო პუნქტი. საუკეთესოდ დაყენებულია დაზღვეულთა საექიმო დახმარება.

ჩვენს წინაშე სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში გრანდიოზული ამოცანები სდგას. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ, მომავალში, საწარმოო ძალთა განვითარებისა და სახალხო მეურნეობის აღორძინებასთან დაკავშირებით, უფრო მთლიანად განვახორციელებთ ჩვენს ამოცანებს.

პროფ. ს. კუკელ-კრაევსკი.

ელექტროფიკაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები საბჭოთა კავშირში*).

ცნობილია ელსადგურების ორი ჯგუფი: 1) საერთო სარგებლობის სადგურები—ელცენტრალები, რომელნიც აწვდიან ენერგიას ყველა მომხმარებელთ, თუ კი შესაძლებელი იქნა უკანასკნელთა შეერთება მათ ქსელთან; 2) სპეციალური დანიშნულების სადგურები, რომელნიც ცალკე საწარმოებს ემსახურებიან. ამათში რაოდენობისა და ძალოვნობის მიხედვით პირველი ადგილი საქარხნო-საფაბრიკო და აგრეთვე მაღაროების ელსადგურებს უჭირავთ. ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ელმომარაგების კონცენტრაცია უკიდურესადაა განვითარებული, ცენტრალურ სადგურთა ძალოვნობა სპეციალური დანიშნულების სადგურების ძალოვნობაზე გაცილებით მეტია. იქ სპეციალურ დანიშნულების სადგურებს კერძო სადგურებს უწოდებენ. გერმანიაში საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი: კერძო სადგურთა შეერთებული ძალოვნობა გაცილებით სჭარბობს საერთო სარგებლობის ელსადგურთა საერთო ძალოვნობას. 1926 წ. დასასრულს საბჭოთა კავშირში საქარხნო-საფაბრიკო სადგურების ძალოვნობა ყველა ელსადგურთა სუმარულ ძალოვნობის (1.452.000 კილოუატი) 52% შეადგენდა. დანარჩენ ელსადგურებზე 48% მოდიოდა. ომამდე საფაბრიკო-საქარხნო ელსადგურების პროცენტი კიდევ უფრო მაღალი იყო და ელსადგურთა საერთო ძალოვნობის 64% (850.000 კილოვატამდე) შეადგენდა.

საბჭოთა კავშირში ელსადგურების ზემოხსენებულ ორ ჯგუფად დაყოფას არ აქვს ისეთი არსებითი მნიშვნელობა, როგორც სხვა ქვეყნებში და მხოლოდ ელმომარაგების კონცენტრაციის დონის მაჩვენებელია. მართლაც, საბჭოთა კავშირში ყოველ სადგურს შეუძლია გასცეს ენერგია მომხმარებელზე, ეს არამც თუ ნებადართულია, არამედ სავალდებულოც, თუ ეს გეგმიანობის თვალსაზრისით მიზანშეწონილად იქნა აღიარებული. ასე ელექტრიფიკაციის გეგმის შედგენის დროს არის შემთხვევები, როდესაც ქალაქის სადგურის აგების ან გაფართოების ნაცვლად უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევა საქარხნო-საფაბრიკო სადგურის გაფართოება, თუ ის შესძლებს უფრო მცირე პირველადი ხარჯის გაწევით უფრო იაფი ენერგიის გაცემას. ასეთი წესის გამოყენებას განსაკუთრებით მაშინ აქვს ადგილი, როდესაც წარმოებაში შესაძლებელია ელენერგიისა და სითბოს გამომუშავების კომბინაცია. ამჟამად საბჭოთა კავშირის საქარხნო-საფაბრიკო სადგურე-

*) წერილი დაწერილია საგანგებოთ ჟურ. „საქ. ეკონომისტისათვის". რ ე დ ა ქ ც ი ა.

ბის უმეტესი ნაწილი ფაქტიურად საერთო სარგებლობის სადგურებს წარმოადგენს და აწვდის ენერგიას სხვა სამრეწველო საწარმოებს, ქალაქებს და მახლობელ სოფლებს. ამიტომ სადგურების მიკუთვნებას ელცენტრალთა ან საქარხნო საფაბრიკო სადგურების ჯგუფისადმი საბჭოთა კავშირში მხოლოდ პირობითი ხასიათი აქვს.

საერთო სარგებლობის სადგურები თავის მხრივ რაიონულსა და ადგილობრივ სადგურებად იყოფა. რაიონულ სადგურების დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს დიდი ძალოვნობა და ძლიერი მაღალვოლტიანი ქსელი, რაც ელენერგიით მრავალ მომხმარებელთა უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა; მეორე ნიშანია მსხვილი სამრეწველო დატვირთვა, რომელიც კომუნალურ დატვირთვას სჭარბობს. საბჭოთა კავშირში რაიონული სადგურები და მათი მაღალვოლტიანი ქსელები საკავშირო კუთვნილებას წარმოადგენენ, ადგილობრივი სადგურები კი ეკუთვნის ცალკე რესპუბლიკებსა და კომუნალურ მეურნეობებს. ოქტომბრის რევოლიუციამდე არსებულ სადგურებიდან რაიონულ სადგურებად და მაშასადამე ქალაქებისა და საწარმოთა მფლობელობიდან გამორიცხულად ითვლება ლენინგრადის, მოსკოვის და ბაქოს ნავთის სარეწაოთა ელსადგურები.

1913 წელში რაიონული სადგურების ჯგუფი ძალოვნობის მიხედვით ყველა ელცენტრალების საერთო ძალოვნობის 51% შეადგენდა. 1926 წ. დასასრულში რაიონულ სადგურების ძალოვნობა საერთო სარგებლობის ელსადგურების ძალოვნობის 56%, და საბჭოთა კავშირის ყველა ელსადგურების ძალოვნობის 27% შეადგენდა. მათი მნიშვნელობა ელენერგიის საერთო გამომუშავებაში კიდევ უფრო მეტია: სახელდობრ 1925/26 საოპერაციო წელში რაიონულ ელსადგურების გამომუშავება საერთო სარგებლობის ელსადგურთა გამომუშავების 73% (1913 წ.—63%) და საბჭოთა კავშირის ელსადგურების გამომუშავების 34½% შეადგენდა.

რაიონული სადგურების განვითარება, რომელიც ახალ სამრეწველო მშენებლობის ძირითად ენერგეტიულ ბაზად ითვლება, საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღების ობიექტს წარმოადგენს. ყოველწლიურად მატულობს ამ მიზნისათვის საბიუჯეტო წესით გადადებული თანხების რაოდენობა. გარდა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებისა, რაიონული სადგურების აგებასა და გაფართოებას ხმარდება აგრეთვე რაიონული სადგურების ყველა დაგროვებანი, საამორტიზაციო ფონდები და სადგურის სასწრაფოდ აგებაში დაინტერესებულ მსხვილ მომხმარებელთა და ადგილების მიერ გადადებული თანხები. უკანასკნელ შემთხვევაში არსდება საააქციო საზოგადოება საკავშირო ორგანოების მთავარი მონაწილეობით ს.მ.უ.ს.-ის მთავარ ელექტროტეხნიკურ სამართველოს სახით.

რაიონული სადგურების აგება ხდება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. 1926 წლიდან შეკვეთილი იქნა მოწყობილობა ორთქლის მაღალ წნევისათვის (25-30 ატმ. წინანდელი 18 ნაცვლად), გათვალისწინებულია ყველა სადგურებზე ორთქლის მეორედი გათბობის გამოყენება.

ყველა რაიონულ სადგურებზე, რომელთა აგება ან გაფართოება დაწყებულია 1926 წ., გარდა ერთად ერთი სარატოვისა, რომლისთვის შეკვეთი-

ლია 5.000 კილოუატ სიმძლავრის ტურბოგენერატორები, იდგმება 11.000, 22.000 ან 44.000 კილოუატიანი ერთეულები; ამათში პირველი ორი 3.000 ბრუნვით წუთში, უკანასკნელები კი 1.500-ით. 1926 წლამდე შატურისა და კლასონის სახელობის სადგურებზე დადგმული იყო 16.000 კილოუატის ტურბოგენერატორები 3.000 ბრუნვით წუთში. აგრეთვე ლენინგრადის სადგურისათვის მიღებული იყო 30.000 კილოუატის ტურბოგენერატორი. იმავე 1926 წლიდან, როდესაც მოხდა ტურბოგენერატორების ძალოვნობის სტანდარტიზაცია, საბჭოთა ქარხნებსაც გადაეცა შეკვეთები 11.000 კ. ერთეულებზე. 1927 წ. კი საბჭოთა ქარხნებისათვის შეკვეთილ იქნა ორი 22.000 კილოუატიანი ტურბოგენერატორი 3.000 ბრუნვით წუთში. ყველა დანარჩენი ტურბოგენერატორები და მძლავრი ქვაბები შეკვეთილია უცხოეთის ქარხნებისათვის.

რაიონულ სადგურებიდან ელენერგიის მოხმარების მსხვილ ცენტრებისათვის გადასეცემად გაყავთ ელგადაცემის ხაზები 115.000 ვოლტის ჭინვით, მსხვილ მომხმარებლებზე ენერგიის განრიგების მიზნით გამოიყენება 38.000 ვოლტი ჭინვა. უმაღლეს ჭინვისათვის საჭირო მოწყობილობის შეკვეთა უკანასკნელ დრომდე უცხოეთში ხდებოდა, ხოლო 1927 წლიდან ამ მოწყობილობის ნაწილი საბჭოთა კავშირში მზადდება.

38.000 ვოლტი ჭინვისათვის საჭირო ყველა მოწყობილობანი და აგრეთვე ამ ჭინვის კაბელები მზადდება საბჭოთა კავშირში.

ყველა რაიონულ ქსელებში გამოიყენება 50 პერიოდის სამფაზიანი დენი.

მაშინ, როდესაც 1925/26 წ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობამ მხოლოდ ომამდე არსებულ დონეს მიაღწია, ელმომარაგებამ მძლავრად გადააბიჯა ამ დონეს. ვნახოთ, როგორ ნაწილდება ელენერგია მომხმარებელთა ცალკე ჯგუფებს შორის:

	მილიონი კილოუატ-საათი
სახელმწიფო მრეწველობა	2.289
ბინების, ქუჩების და სავაჭრო დაწესებულებათა განათება	312
კომუნალური საწარმონი (ტრამვაი, წყალსადენი)	192
წვრილი მრეწველობა	72
სხვადასხვა ტეხნიკური მიზნები	10
რკინისგზების საჭიროება (განათება და სახელოსნოები)	96
ელსადგურთა საკუთარი საჭიროებანი	88
დანაკარგი ქსელებსა და ელგადამცემებში	189
	3.248

თუ კი საერთო სარგებლობის ელსადგურთა გამოშუშავებას და აგრეთვე სპეციალურ დანიშნულების სადგურებიდან მათ მიერ შეძენილ ენერგიას ქსელების დანაკარგისა და საკუთარ საჭიროების ხარჯის გამოკლებით, ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით მოთხოვნილების სამ ძირითად ჯგუფად დავანაწილებთ, შემდეგ ციფრებს მივიღებთ 1913 წ., 1924/25 წ. და 1925/26 წ. %-ში.

	1913	1924/25	1925/26
გათენება	28,29%	26,3%	24,3%
ტეხნიკური მიზნები . .	37,9	59,9	64,1
ტრამვაი	33,9	13,8	11,6
	100%	100%	100%
გამომუშავება მილიონ			
კილოუატ-საათებში	690	1132	1435
%%	100	164	210
%%		100	126

ეს ციფრები იმის მაჩვენებელია, რომ საერთო სარგებლობის ელსადგურებმა ძლიერ გაადიდეს ელენერგიის გამომუშავება ტეხნიკურ მიზნებისათვის. ამ ჟამად ცენტრალურ ელსადგურთა დატვირთვის მიმართება მთავარ მომხმარებელთათვის პროცენტულად ახლოა იმ გამაწილებასთან, როგელიც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს, სადაც ელმომარაგების კონცენტრაციის დონე მეტად მაღალია. 1913 წ. და 1925/26 წ. ცნობების შედარებიდან ვხედავთ, რომ რევოლიუციის პერიოდში ძლიერ ღრმა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი.

ქვემოთ მოგვყავს ცნობები ელენერგიის სულობრივ მოხმარების შესახებ კილოუატ-საათებში რამდენიმე მსხვილ ქალაქში მომხმარებელთა იმავე ძირითად ჯგუფებად დაყოფით (ცხ. იხ. 143 გვ.)

მოყვანილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ ენერგიის მოხმარება მოსახლეობის კულტურულ მიზნებისათვის თანდათან იზრდებოდა. ეს მოვლენა საბჭოთა კავშირის ყველა რაიონების დამახასიათებელია. რევოლიუციამდე ელექტრონით მხოლოდ მოსახლეობის შეძლებული ნაწილი სარგებლობდა. რევოლიუციის დროს საშინელ რღვევის პერიოდშიც კი, როდესაც ელსადგურები სათბობის უქონლობის გამო ძლიერ არარეგულიარულად მუშაობდენ, დიდი მუშაობა სწარმოებდა ელენერგიის გასავრცელებლად განაპირა რაიონებში და მუშათა უბნებში.

განათების ქსელის გავრცელება ელენერგიის დიდი ზრდის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს განათების დატვირთვა, ის მაინც სადგურის ტეხნიკურ მიზნებისათვის დატვირთვაზე გაცილებით ნაკლებია.

ცენტრალურ სადგურებზე გამომუშავებულ ენერგიის მოხმარების გაზრდის მეორე მიზეზია მრეწველობის მიერ საკუთარ სადგურებზე ენერგიის გამომუშავების შეკვეცა და რაიონულ ქსელიდან ენერგიის მიღება. ამას ხელი შეუწყო მრეწველობის ნაციონალიზაციამ და გეგმიანობის შეტანამ მსხვილ ელექტრიფიკაციაში. ის გარემოება, რომ ახალი რაიონული სადგურები მოსკოვსა და ლენინგრადში მუშაობდენ ადგილობრივ სადგურზე და რომ მთელი კავშირი სათბობის დიდ კრიზისს განიცდიდა აღდგენითი პერიოდშიც კი, რის გამო საჭირო გახდა ნავთისა და მაღალხარისხოვან ნახშირის მოხმარების ხელოვნურად შეკვეცა, ხელს უწყობდა რაიონულ სადგურების კლიენტურის გაზრდას საქარხნო საფაბრიკო სადგურების ხარჯზე. ეს პროცესი უფრო ინტენსიური იქნებოდა, რომ მოსკოვსა და ლენინგრადში ელსადგურების გაფართოება საკმაო ინტენსიური

ქალაქები	წლები	ბინის და ქუ-ჩის განათება	ტრამვაი	მოსახლეობის საჭიროება	მრეწველობა	ს უ ლ
მოსკოვი	1913[1])	15	37,7	52,7	30,4	83,1
	1916	21,6	33,6	54,6	51,6	106,2
	1924/25	47,6	28,2	75,3	84,2	160,0
	1925/26	54,7	33,2	87,9	112,1	200,0
ლენინგრადი	1913[2])	15,1	16,7	31,8	28,4	60,2
	1916	—	—	—	—	—
	1924/25	36,3	22,2	58,5	65,1	123,6
	1925/26	36,5	27,4	63,9	84,6	148,5
ხარკოვი	1912	5,6/1,6	11,0	18,2	0,9	19,1
	1924/25	17,8/3,3	14,3	35,4	20,1	55,5
	1925/26	22,2/2,8	12,9	37,9	22,7	60,6
კოსტრომა	1914	4,1/1,9	—	6,0	1,5	7,5
	1924/25	9,1/0,2	—	9,3	3,0	12,3
	1925/26	10,9/0,7	—	11,6	3,3	14,9
ოდესა	1913	4,5/0,6	0,4	5,5	1,4	6,9
	1924/25	12,5/0,8	15,1	28,4	17,6	46.0
	1925/26	13,7/0,9	18,2	32,8	28,8	51,6
სიმფეროპოლი	1914	5,2/0,3	4,9	10,4	0,7	11,1
	1924/25	7,9/0,9	10,0	18,8	0,2	19,0
	1925/26	9,2/0,9	10.8	20,9	0,9	21,8

ტემპით წასულიყო. უკანასკნელი წლების განმავლობაში საჭირო შეიქნა მომხმარებლების რაიონულ ქსელებთან შეერთების ხელოვნური ზომებით შემცირება და მხოლოდ ორი წლის შემდეგ რაიონულ სადგურების ძალოვნობა შეფარდებული იქნება მოთხოვნილებასთან.

თუ კი ჩვენს მიერ აღნიშნულ მოვლენით შეიძლებოდა რაიონულ სადგურების როლის გაძლიერება ელმომარაგების საერთო სისტემაში, ეს თითქოს

[1]) 1913 წ. მოსკოვის მოსახლეობა მიღებულია 1.700.000 სულის რაოდენა.
[2]) ლენინგრადისათვის 2.100.000 სული.

ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ თვით საქარხნო-საფაბრიკო სადგურებმა უფრო მეტი ენერგია გამომუშავეს, ვიდრე ომამდე იმუშავებდენ, მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობამ მხოლოდ 1913 წ. დონეს მიაღწია.

აქ უკვე მოსჩანს ის მოვლენა, რომლითაც ხასიათდება მრეწველობის განვითარება საბჭოთა კავშირში: ადგილი აქვს ჩვენში არა მხოლოდ მრეწველობის აღდგენას რევოლიუციის წინადროინდელ მასშტაბით, არამედ ხდება მისი რეკონსტრუქცია. გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საბჭოთა მრეწველობამ წარმოების ომის წინდროინდელ საზომს მიაღწია უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე 1913 წ., რის მაჩვენებელია ელენერგიის მოხმარების ძლიერი ზრდა. კერძოდ, ბაქოს ნავთის მრეწველობა ელექტრიფიკაციაზეა გადაყვანილი, რაც მიღწეულია უკანასკნელ დროს ნავთის ამოღების უფრო რაციონალური წესების შემოღებასთან ერთად.

მრეწველობის მიერ ელენერგიის მოხმარების ანალიზი, მოხდენილი 1925-26 წ. ცნობების მიხედვით, გვიჩვენებს, რომ ამ წელს წარმოებისათვის საჭირო ენერგიის 55,5% ან ძალოვნობის 51,5% ვიღებდით ელექტრონის ფორმით და დანარჩენი ენერგიის 44,5% ან ძალოვნობის 48,5% კი უშუალოდ მექანიური ძრავების საშუალებით. რევოლიუციის წინადროის სტატისტიკური ცნობების სიღარიბე ნებას არ გვაძლევს მოვახდინოთ შედარება, მაგრამ ცალკე საწარმოებებში შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ამ ჟამად მრეწველობაში უფრო მეტად არის გამოყენებული მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, ვიდრე რევოლიუციამდე.

ამრიგად საბჭოთა კავშირში ელენერგიის მოხმარების დიდი ზრდა შემდეგი მიზეზებითაა გამოწვეული: 1. ელგანათების დემოკრატიზაციით, 2. მექანიზაციის ზრდით, 3. ელექტრიფიკაციის გადიდებით მრეწველობის აღდგენის დროს.

ელენერგიის გამომუშავების კონცენტრაციამ, ელმომარაგების დარგში გეგმიანმა მეურნეობამ და ელენერგიის გამომუშავებაზე დიდი მოგების უარყოფამ მიგვიყვანეს იმ მდგომარეობამდე, რომ, როგორც ამას ქვემო მოყვანილ ციფრებიდან დავინახავთ, ამჟამად ელენერგიის ფასი გაცილებით დაბალია ომის წინადროინდელ ფასზე, თუ კი მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველა დანარჩენ საქონლისათვის ინდექსი არ არის 1,5-ზე ნაკლები.

საშუალო ტარიფი კილოუატ-საათზე კაპიკებში:

	1914 წ.	1925/26 წ.
მოსკოვი	9,4	8,6
საშუალო საბჭოთა კავშირის 12 პროვინციალურ ქალაქში . .	16,7	17,0

ოასაკვირველია, ელენერგიის შედარებითი სიაფე თავის მხრივ ხელს უწყობს მოხმარების გაფართოებას.

როგორც ქვევით დავინახავთ, ამჟამად დიდი ძალოვნობის სადგურები შენდება და ეს შედეგი მიღებულია განსაკუთრებით „გოელრო“-ს A გეგმის შესრულების ხარჯზე და მხოლოდ მცირე ნაწილში პროგრამის Б ნაწილის ხარჯზე. [1])

[1]) 1920 წ. ლენინის ინიციატივით შექმნილ იქნა კომისია რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმის დასამუშავებლად (Гоэлро) საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის ეხლანდელ თავმჯდო-

რასაკვირველია, სახალხო მეურნეობისათვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნება პროგრამის მთელი Б ნაწილის შესრულებას, რაც უნდა მოხდეს 1932 წელს ამ წლისათვის განხრახულია მრეწველობის პროდუქციის ორჯერ გადიდება 1925/26 წელთან შედარებით. და სწორედ მრეწველობის ამ საფეხურისათვის შეფარდებულია ელექტრომშენებლობის პროგრამა. იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნა ისეთ გარემოებებს, როშელნიც შეაფერხებენ ან, წინააღმდეგ, დააჩქარებენ მრეწველობის განვითარებას. ელექტრიფიკაციის დარგში ხუთწლიანი გეგმის შესრულებაც ან დაშორდება ან დაუახლოვდება 1932 წლისათვის ნავარაუდევ მშენებლობას. თუმცა, დაახლოვებაც პრაქტიკულად მხოლოდ ერთი წლით თუ არის შესაძლებელი, ვინაიდან ჰიდროელსადგურების აგებისა და ტორფის ჭაობების მომზადებისთვის მრავალი წელია საჭირო. შედარებისათვის მოგვყავს ელმომარაგების ბალანსი 1925/26 და 1931/32 წლებისათვის:

1925/26 წ.

წლის განმავლობაში გამომუშავებული კილოუატ-საათები მილიონებში		%	წლის განმავლობაში დახარჯული კილ.-საათები მილიონებში		%
რაიონულ სადგურების მიერ . . .	1121	34,5	მსხვ. მრეწველობის მიერ	2400	74
ადგილობრივი სადგურების მიერ (რკინისგზის სადგურების ჩართვით)	427	13	მოსახლეობის და წვრილ მრეწველობის მიერ . . .	848	26
საქარხნო-საფაბრ. სადგურებზე .	1700	52.5			
ს უ ლ . .	3248	100		3248	100

მარის ინჟ. გ. კრეჟანოვსკის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის მიერ 200-მდე ცნობილ მეცნიერის მონაწილეობით დამუშავებული გეგმა დამტკიცებულ იქნა 1921 წ. ის სახალხო მეურნეობის პირველი გენერალური გეგმა იყო. რომელიც ითვალისწინებდა მის განვითარებას 10-15 წლ. ფარგლებში (ზუსტი ვადა არ იყო დანიშნული). ელექტროფიკაციის დარგში შედგენილ იქნა ორი პროგრამა: А—აოსებულ სადგურების გამოყენება მათი რაციონალიზაციისა და გაერთიანების საშუალებით—ეს პროგრამა ამჟამად უკვე შესრულებულია, და პროგრამა Б—საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას 20 უმსხვილეს რაიონულ ელსადგურის აგებას 1.500.000 კილოუატი საერთო ძალოვნობით. იმ რაიონულ სადგურების ზევით, რომელნიც მაშინ უკვე არსებობდა და რომელთა ძალოვნობა 235.000 კილოუატს უდრიდა. გარდა ამისა გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე რამდენიმე რკინისგზის ხაზის ელექტროფიკაციას. გეგმა შეიცავდა მთელ საბჭოთა კავშირს ამიერკავკასიისა და შორეულ აღმოსავლეთის გამოკლებით. ამჟამად Гоэлро-ს გეგმის Б ნაწილის თანაბარფასიან სადგურებად ითვლება—ზემოაჭალის, ქუთაისის, ძორაგეთის და აზჰიდრო. ცენტრალი (უკანასკნელი პროექტშია).

საშინელ განადგურებისა და რღვევის ხანაში „Гоэлро"-ს გეგმის შესრულება ბევრს შორეულ უნიადაგო ოცნებად ეჩვენებოდა, მაგრამ ის ამჟამად საკმაოდ ჩქარი ტემპით ხორციელდება.

1931/32 წ.

რაიონულ სადგურებზე	5200	52%	მსხვილ მრეწვ. მიერ . . .	7700	77%
ადგილობრივ სადგურებზე	1250	12,5	მოსახლეობისა და წვრილ მრეწველ. მიერ	2000	20%
საქარხნო-საფაბრ. სადგურებზე . .	3550	35,5	რკინისგზის ელსადგურების მიერ	300	3%
ს უ ლ . .	10000	100		10000	100

ამ ბალანსების შედარება გვიჩვენებს ძირითად ცვლილებას ელმომარაგების სისტემაში „ГОЭЛРО"-ს გეგმის შესრულების საფუძველზე ცენტრალიზაცია ქმნილ ელმომარაგების როლის გაზრდის მნიშვნელობით.

ღრმა ცვლილებას ექნება ადგილი მრეწველობისათვის ელმომარაგების დარგში 1931/32 წ. ნაცვლად ეხლანდელი 55,5%-სა მრეწველობის 74,5% გადაყვანილი იქნება ელექტრიფიკაციაზე და ენერგიის 61%, ნაცვლად ეხლანდელი 29%-ისა, მიიღებს რაიონულ ქსელებიდან.

დაახლოვებით ელექტროენერგიის კონცენტრაციის ის საფეხური იქნება მიღებული, რომელიც ამჟამად ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში არსებობს, თუმცა, რასაკვირველია, აბსოლუტურ რაოდენობის მხრივ საბჭოთა კავშირი მაშინაც ძლიერ ჩამორჩენილ იქნება ამერიკასთან შედარებით. შემდეგი ხუთწლედების ამოცანას შეადგენს, „ГОЭЛРО"-ს გეგმის შესრულებით შექმნილ საბჭოთა კავშირის ელმომარაგების რაციონალურ სისტემის დაცვის საფუძველზე, ენერგიის შედარებითი და აბსოლუტური მოხმარების გადიდება. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ხუთწლედი ჯერ კიდევ არ შეიცავს საბჭოთა ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის განვითარებას, რომლის პირველი მსხვილი ცენტრი დნეპრის ჰიდროელსადგური იქნება.

„ГОЭЛРО"-ს გეგმის ნაცვლად ამჟამად მუშავდება ახალი გენერალური გეგმა, რომელიც ელენერგიის გამომუშავებას იოვალისწინებს 1941 წლამდე აბსოლუტურად და შედარებით შემდეგ რიცხვებში:

	1926-27	1931-32	1936-37	1941 42
ყველა ელსადგურთა ძალოვნობა ათას კილოუატებში	1440	3.600	6000	10.000
გამომუშავება მილიონ კილოუატებში .	4.100	10.000	18.000	30.000
კილოუატ-საათი მოსახლეობის სულზე .	22	63	102	156

ჩვენ ვხედავთ, რომ გენერალური გეგმის პერსპექტივისათვის რევოლიუციის წინადროინდელი რიცხვები სავსებით არასრულყოფილ ციფრებს წარმოადგენს შედარებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების შემდგომ მიღწევათა შესაფასებლად აღებული უნდა იქნეს 1926 წლის ციფრები, როდესაც საბჭოთა კავშირის მრეწველობამ ომის წინადროინდელ მდგომარეობას მიაღწია ახალ ტეხნიკური და ეკონომიური თვალსაზრისით უფრო მაღალ საფეხურზე.

(გაგრძელება იქნება).

აკ. კალაძე.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ხასიათი და მისი მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე.

1. საბჭოთა ეკონომიკის ზოგადი თეორიული ანალიზის ცდა.

საბჭოთა ეკონომიკა, რასაც ჩვეულებრივ გარდამავალ ტიპის ეკონომიკას უწოდებენ, წარმოადგენს საქონლის — კაპიტალისტური ეკონომიკის სოციალიზმში გადასვლის გარკვეულ საფეხურს. იგი გარდამავალი საფეხურია, რომელშიაც ჯერ კიდევ დალეკილია მემკვიდრეობით მიღებულ კაპიტალისტური მეურნეობის ელემენტები, მაგრამ ამავე დროს მოცემულია მომავალი სამეურნეო ფორმაციის ნიშნებიც.

გარდამავალი პერიოდის ასეთი ზოგადი განმარტება ოდნავათაც ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მკითხველებს. დღეს ყველას აინტერესებს გაიგოს თუ რა გვარ დამახასიათებელ თვისებებს იჩენს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა. საიდან, საით და განვითარების რა და რა საფეხურები უნდა გაიაროს მან. ამ კითხვებს უკვე აღარ აქვს მარტო თეორიული ღირებულება, არამედ მათ დიდი აქტუალურ-პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება.

ამ კითხვებში საჭირო გარკვეულობის შეტანა ერთი ძირითადი პირობაა, რომ ჩვენი ორიენტაცია ყოველ ცალკე შემთხვევაში შეუმცდარი გამოდგეს.

მაგრამ რა გვარი მეთოდით უნდა შევისწავლოთ ეს ჩვენი ეკონომიკა, რომ მისი დახმარებით სწორი სამოქმედო ხაზი ავირჩიოთ.

ერთად-ერთ სწორ მეთოდს, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს ჩვენი ეპოქის უაღრესად რთული სინამდვილის გაგებაში, წარმოადგენს მარქსისტული მეთოდი. ვერც ერთი სხვა მეთოდი ამ მხრივ დახმარებას ვერ გაგვიწევს, რადგან ყოველი ეპოქის ძირითადი შინაარსის გათვალისწინება და შესწავლა მარქსისტული აზროვნებით შეიძლება.

საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლის პროცესში მარქსისტი ყოველთვის ცდილობს აღმოაჩინოს ამ მოვლენათა შორის არსებული კანონზომიერება. ერთგვარი კანონზომიერება დამყარდა ჩვენშიაც ორ პრინციპიალურად განსხვავებულ სამეურნეო ფორმაციის თანარსებობის პროცესში. ასეთ პირობებში, როცა ჯერ კიდევ, როგორც მარქსი იტყოდა, ფორმა და შინაარსი ერთი მეორეს არ

ეთანხმებიან. შეუძლებელია დაკმაყოფილდეთ მარტო სამეურნეო ფორმაცია აღწერით. ასეთი აღწერა ვერ მოგვცემს წარმოდგენას გარდამავალი პერიოდის ნამდვილი შინაარსის შესახებაც.

ამავე მარქსისტული მეთოდით უნდა მიუდგეთ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის შესწავლასაც. რომელშიაც წარმოიშვა ამ ეპოქის დამახასიათებელი, გარკვეული შინაარსის კანონზომიერებანი.

რადგან მომავალი გზების დასახვა უნდა გამომდინარეობდეს არსებული სინამდვილის სწორად გაგებიდან, ამიტომ ჩვენი ამოცანაც სწორედ ამ პერიოდის მეურნეობის სოციალ-ეკონომიური ბუნების გარკვევაში გამოიხატება.

მაგრამ ჩვენი ეკონომიკის შინაარსის გასაგებად რა ფია საკმაო მარტო სტატისტიკური ციფრები, ჩვენი სამეურნეო განვითარების რაოდენობის მაჩვენებელი ცნობები. მართალია, ეკონომიკის შესასწავლად ციფრებს დიდი მნიშვნელობა ეძლევა. მაგრამ მარტო ეს მაინც არაა საკმაო. ციფრები რაოდენობითი ანალიზის ელემენტებია. რომელითაც ყოველთვის და ყოველგან შეუძლებელია გამოირკვეს ჩვენი მეურნეობის ხასიათი. ამისათვის საჭიროა სპეციალური ხარისხობრივი ანალიზი მოვახდინოთ იმ ფაქტების. რომლებიც დაფუძნებული არიან ციფრებზე. ასეთი ანალიზი ხშირად უფრო მეტს ამბობს. ვიდრე მთელი წყება ციფრებით გატენილი ცხრილებისა. მეორე მხრივ ხარისხობრივი ანალიზი იმითაცაა მნიშვნელოვანი. რომ მისი საშუალებით გვიადვილდება ჩვენი სამეურნეო განვითარებაში ჩასახული ტენდეციების გაგება და იმ კანონთა აღმოჩენა. რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს ჩვენი სამეურნეო პროცესები.

სოციალიზმი. უპირველეს ყოვლისა. აღრიცხვას წარმოადგენს. სწორედ ლენინი. და ჩვენი მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობაც წარმოუდგენელია სამეურნეო პროცესთა სტატისტიკური აღრიცხვის გარეშე: რომ სტატისტიკური მასალების დაგროვება და მისგან საჭირო დასკვნების გამოყვანა მეტის სარგებლიანობით სწარმოებდეს, საჭიროა უკვე დაგროვილ ცნობებით ჩვენი მეურნეობის ერთგვარი თეორიულ-ეკონომიური ანალიზი მოვახდინოთ: ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს სტატისტიკური მასალების დაგროვებასა და დამუშავებას იმ წესით, რაც ჩვენი მეურნეობის გეგმიან ხელმძღვანელობას გაადვილებს.

ჩვენი მეურნეობის თეორიული ათვისება იმ მოსაზრებითაცაა ნაკარნახევი. რომ რაც დრო გადის, ჩვენს გეგმიან ხელმძღვანელობის რკალში ექცევა სახალხო მეურნეობის ახალ-ახალი ელემენტები, რომელთა მოთავსება გეგმიანობის ჩარჩოში უკეთ შესაძლებელი გახდება, რამდენად ნათლად გვექნება წარმოდგენილი ჩვენი სამეურნეო პროცესთა მექანიზმი: ამ მექანიზმის ხასიათის გაგება კი საშუალებას მოგვცემს იგი ჩვენი ზემოქმედების გავლენის ქვეშ მოვაქციოთ და მით გეგმიან ხელმძღვანელობის არე საბოლოოთ გავაფართოვოთ.

იმისათვის, რომ რამდენიმეთ გავერკვიოთ საბჭოთა სინამდვილის რთულ დინამიკაში, საჭიროა ჩვენი კვლევა-ძიება დავიწყოთ იქიდან. თუ რა ხასიათისაა ჩვენი მეურნეობა, რით განსხვავდება იგი წმინდა სახის კაპიტალისტური ან დაწმინდა სახის სოციალისტური მეურნეობიდან და როგორია ის კანონზომიერებანი, რომლებიც ხელმძღვანელობენ საბჭოთა ეკონომიკის განვითარებას.

თავისთავად გარდამავალ პერიოდის ეკონომიკის შესწავლა ერთ-ერთ უძნელეს თეორიულ საკითხს წარმოადგენს. ამხ. ნ. ბუხარინი ამ საკითხის შესახებ გასულ წელს „პრავდაში" შემდეგს სწერდა: „გარდამავალი პერიოდის ანალიზის განსაკუთრებული სიძნელე ტანთსამოსთა **სიჭრელეში** გამოიხატება, განსაკუთრებით თუ ჩვენს წინაშე მდებარე ქვეყნის ეკონომიური ორგანიზმი უაღრესად სხვადასხვა სამეურნეო ფორმებისაგან შესდგება. პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობა და „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია" არის იმის წინნამძღვარი, რომ დაიწყოს საზოგადოებრივ კანონთა კანის გაცლის პროცესი. ამ პროცესს, ბაზას სახელმწიფო მეურნეობის ზრდა და მისი გავლენის გაძლიერება წარმოადგენს. ეს ზრდა მიმდინარეობს უაღრესათ რთულს და ხშირად ერთი მეორეს საწინააღმდეგო ფორმებში". [1]).

იგივე ავტორი გარდამავალ პერიოდის შესახებ დაწერილ შრომაში ამავე პერიოდის ეკონომიკაზე შემდეგს სწერს: „პირველ სერიოზულ ცდის შემთხვევაშიაც კი როცა მართლა ... თეორიულად შეიტანს ის მეტად დაუდგენელ, კონკრეტიულობა, რომელსაც ჩვენ გარდამავალ პერიოდის ეკონომიკას ეწოდებთ. ჩვენ ვეჯახებით იმ დაბრკოლებას, რომ თეორიული ეკონომიის ძველი ცნებები ფიცხლავ უარს გვეუბნებიან ... ჩვენ ... მეტად საყურადღებო დაბრკოლებას. პოლიტიკური ეკონომიის ძველი ფორმები ისევ რჩებიან განუწყვეტელ ცვალებადობაში მყოფ ცოცხალ ეკონომიურ სინამდვილის პრაქტიკულ განზოგადოების ფორმად. ამავე დროს ეს კატეგორიები არავითარ საშუალებას არ იძლევიან შევიჭრათ „მოვლენის ზედაპირის" მიღმა. ე. ი. გავსცდეთ ვულგარულ აზროვნებას და შევიცნოთ სამეურნეო ცხოვრების პროცესი მთლიანად და მის განვითარებაში". [2])

1925 წ. კომუნისტურ აკადემიაში ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვის მიერ წაკითხულ მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში იმავე ამხ. ბუხარინმა გარდამავალი პერიოდის შესწავლის სიძნელის შესახებ შემდეგი სთქვა: „კაპიტალისტური კატეგორიები ჯერ კიდევ არ იცლიან თავის საკუთარ კანს. აქ არაა მარტო ფორმალური მხარე აქ ორი მხარეა: ერთი, ფორმალური, ერთგვარ მოვლენათა მიმართ და არაა ფორმალური მეორე გვარ მოვლენათა მიმართ და ისინი გადაჯაჭვული არიან ერთი მეორესთან სხვადასხვა გვარად... როცა მუშა მუშაობს სახელმწიფო მრეწველობაში ან კერძო მრეწველობაში ჩვენ ვლაპარაკობთ: მოგება იქაცაა და აქაც. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევიმუშავეთ სათანადო გამოთქმები და ეს ქმნის უდიდეს სიძნელეს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ ხასიათისას" [3]).

როგორც ამ ამონაწერებიდან სჩანს, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის თეორიული შეცნობა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს. რადგან ძველი ცნებები, სხვა გვარი სოციალური შინაარსის მქონე, ვერ გამოხატავს უნაკლოდ ამ ახალ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა ეკონომიკის ნიადაგზე.

გარდამავალი ეკონომიკის სირთულე მკვლევარისაგან მოითხოვს, თუ კი მას სურს სწორად და მთელი თავისი სირთულით შეიცნოს იგი, განსაკუთრებულ

[1]) იხ. „Правда" 26 წ. № 148.
[2]) იხ. ნ. ბუხარინი. „Экономика переходнаго периода" 1920 წ. გვ. 124—5.
[3]) იხ. „Вестник Комакадемии" № 11 გვ. 297—8.

მახვილ დაკვირვების უნარს ერთის მხრივ; მეორე მხრივ კი საჭიროა მკვლევარი არ იყოს მოკლებული ფართო განზოგადოების თვისებასაც, რათა ზედმიწევნით სრულიად ჩაწვდეს ერთი მეორის საწინააღმდეგო სამეურნეო პროცესთა შინაარსს და აქედან აღმოაჩინოს გარკვეული ტიპიური კანონზომიერებანი. რადგან საკვლევი ობიექტი მეტის-მეტად რთულია და ჩვენ მიერ აღნიშნული საჭირო თვისებები საკმაო რაოდენობით ბევრს არ აღმოაჩნდა, ამიტომ საბჭოთა ეკონომიკის თეორიული შეცნობა ჯერ კიდევ თავის მკვლევარის მოლოდინში იყოფება.

მაგრამ გარდა ჩვენ მიერ აღნიშნულ, ასე ვთქვათ, „სუბიექტიურ მიზეზებისა" არსებობს აგრეთვე წმინდა ობიექტიური ხასიათის მიზეზებიც, რომელთა დაძლევა უაღრესად ნიჭიერ მკვლევარსაც კი არ ძალუძს. ამ გვარი ობიექტური მიზეზები მრავლადაა ჩამარხული თვით გარდამავალ პერიოდში, რომელიც ბევრად აძნელებს მის სწორად შეცნობას. ერთი უმთავრესი ობიექტიური მიზეზი გარდამავალი პერიოდის ანალიზის სირთულისა იმაში მდგომარეობს, რომ გარდამავალი ეკონომიკა, როგორც ჯერ კიდევ გარდამავალი ხასიათის ფორმაცია, არ იძლევა საშუალებას სწორად გავარკვიოთ: ესა თუ ის მოვლენა „შემთხვევითი" მიზეზითაა გამოწვეული თუ აღებულ სამეურნეო ფორმაციის „ბუნებრივ" პირობებიდან გამომდინარეობს. და როგორც ყოველი დაუსრულებელი სხეულის შესწავლა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან მისი დამახასიათებელი თვისებიდან ერთი ნაწილი შეიძლება არც კი სჩანდეს, ხოლო მეორე ნაწილს ჯერ კიდევ არ გაეშალოს სავსებით თავისი სახე, ისე გარდამავალ პერიოდის სწორად შეცნობაც ძნელია, ვინაიდან არაა მოცემული სრულად მისი სპეციფიური თვისებები; ასეთ პირობებში, რა გინდ ფრთხილი და დაკვირვებული შესწავლა არ მოვახდინოთ უკვე მოცემულ თვისებათა, მაინც მომავლის ტენდენციებს სწორად ვერ დავსახავთ.

ამ ერთგვარი შესავლის შემდეგუნდა შეუდგეთ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის შესწავლას.

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმმა თავისი განვითარების უკანასკნელ პერიოდში მეტრქეობის პრინციპი **ნაწილობრივ** მონოპოლიის პრინციპით შესცვალა და ამ ნიადაგზე თავის სახელმწიფოს შიგნით ერთგვარ მოწესრიგებას მიაღწია, იდეალურად მოწესრიგებული კაპიტალიზმი ჯერჯერობით არსად არ წარმოშობილა და არც წარმოიშვება. და ყველგან, სადაც მუშათა კლასი თავის პოლიტიკურ ბატონობას დაამყარებს, ის მემკვიდრეობით მიიღებს როგორც გეგმითი, ისე სტიქიური ხასიათის მეურნეობას. რუსეთშიაც რევოუილციამდე, ისე როგორც ყოველგან, კაპიტალიზმმა შესძლო წარმოეშვა ერთგვარი მომწესრიგებელი ორგანოები, მაგრამ მათ გვერდით ჯერ კიდევ საკმაო ძალით განაგრძობდენ არსებობას სტიქიური რეგულიაციის ელემენტებიც.

საბჭოთა კავშირში მუშათა კლასის მიერ ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ მისი ეკონომიური პოლიტიკის ტრანსფორმაციული მოღვაწეობა გაიშალა იმ საბაზრო ფორმის საწარმოო ურთიერთობათა პირობებში, რომელიც ახალ წყობილებას მემკვიდრეობით გადმოეცა ძველისაგან.

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, როცა უფლება მოსილი პროლეტარიატის უმთავრეს ამოცანას გეგმიან მეურნეობის დამკვიდრება წარმოადგენს, სამეურნეო ღონისძიებანი სწორედ იმ მიმართულებით იქნება გამოყენებული, რომ წინა სამეურნეო ფორმაციიდან მემკვიდრეობით მიღებულ ორ რეგულიატორიდან — გეგმითი და სტიქიური — უკანასკნელის სისტემატიური შესუსტებით გაძლიერდეს პირველი.

მაგრამ ნათქვამით შეუძლებელია დავკმაყოფილდეთ, მით უმეტეს, რომ ამგვარ გამოთქმამ ჩვენში უკვე ტრაფარეტული ხასიათი მიიღო.

საჭიროა ერთგვარი დაწვრილებითი ანალიზი მოვახდინოთ თუ როგორ და რა პირობებში განაგრძობს თანამშრომლობას ეს ორი რეგულიატორი გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში, რა ხასიათისაა ეს თანამშრომლობა და რაგვარი კანონზომიერებით განისაზღვრება იგი.

როგორც ავღნიშნეთ, გარდამავალი პერიოდის საწარმოო ურთიერთობაში შემკვიდრეობაში შემოდის როგორც სტიქ.. ისე გეგმიანი ხელმძღვანელობის ელემენტები და დიდი ხნით განაგრძნობენ პარალელურ საქმიანობას. მართალია, გამარჯვებულ პროლეტარიატის სამეურნეო საქმიანობის ლოგიურ ტენდენციას სტიქიური ელემენტების თანდათანი შესუსტება წარმოადგენს, მაგრამ რამდენადაც ეს ჯერჯერობით მხოლოდ ტენდენციაა, იმდენად იგი ერთი ხელის დარტყმით არ ხორციელდება. ამის გამო, გარდამავალ პერიოდში ჩვენ საქმე გვაქვს ორ დიამეტრალურად მოწინააღმდეგე პრინციპის ურთიერთ-თანამშრომლობასთან, რომელიც აშკარა ბრძოლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. აქ ჩვენ ვხედებით აგრეთვე ამ ორ პრინციპთა ერთგვარ დიალექტიურ ურთიერთობას, რომელიც თავის მხრივ ართულებს გარდამავალ პერიოდის შესწავლას.

გარდამავალი პერიოდის შესწავლის მეორე სირთულე იმაში გამოიხატება, რომ „გარდამავალი მეურნეობა მექანიკურ ნარევს კი არ წარმოადგენს. არამედ ძველისა და მომავლის ელემენტების გარკვეული შეთანხმებით ქიმიური შეერთებაა. ამის გარეშე არც შეიძლებოდა წარმოდგვედგინა სახალხო მეურნეობის ორგანიზმის მთლიანობა. აქედან ნათელია, რომ ყველაზე მეტი მნიშვნელობა, უდდესი ინტერესი, თუმცა მეორე-მხრივ კვლევა-ძიებისათვის უდიდეს სიძნელეს და სირთულეს წარმოადგნდეს სახელდობ ანალიზი იმ **კავშირის,** რომელიც ორ საწინააღმდეგო ფორმის საწარმოო ურთიერთობათა ელემენტების ქიმიურ და კავშირებაში გამოიხატება, რაიც დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის. მის ისტორიულ **სტატიკაში** და ამ ელემენტთა ურთიერთ შორის ბრძოლის პირობებში, რომელიც ახასიათებს გარდამავალი მეურნეობის ისტორიულ **დინამიკას**". [1]).

ასეთ პირობებში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ საბჭოთა ეკონომიკაში არსებული კანონზომიერებანი დაახლოვებით სისწორით მაინც იქნეს გათვალისწინებული.

---

[1]) იხ. А. Леонтьев и Е. Хмельницкая „Очерки переходной экономики" 1927 წ. გვ. 80.

რომელი ეკონომიური სისტემაც არ უნდა ავიღოთ თავის კონკრეტიულობაში წარმოდგენილი, იგი იმდენად რთულია, მასში მომქმედი ტენდეციები იმდენად ერთი-მეორეზე გადაჯაჭვულია და ზოგჯერ ერთი-მეორეს აშკარა საწინააღმდეგოა, რომ სწორი ანალიზის საშუალებას გვართმევს. ამიტომ ამა თუ იმ კონკრეტი ეკონომიური სისტემის თეორიული ანალიზი ჩვეულებრივად ამ სისტემის აბსტრაქტიული მოდელის შექმნით სწარმოებს, ეს კი კონკრეტ სინამდვილის ისეთ გამარტივებაში გამოიხატება, სადაც მოცემული იქნება ყველაზე ძირითადი და არსებითი ელემენტები. საერთოდ კი აბსტრაქცია საშუალებას იძლევა იმგვარი კანონზომიერებანი შევიცნოთ, რომელიც ხელმიუწდომელია მკვლევარისათვის ეკონომიურ პროცესთა მისი კონკრეტობაში განხილვის დროს.

მარქსმა კაპიტალისტური მეურნეობის ანალიზისათვის ხელოვნურად შექმნა წმინდა კაპიტალისტური მეურნეობის მოდელი. მან წინასწარ მოსაზრებიო სამეურნეო ფორმების რთული კომპლექსიდან გამოჰყო მხოლოდ კაპიტალისტური მეურნეობის ფორმა და იგი გახადა თავის კვლევა-ძიების ობიექტად. ამის უფლება მარქსს ჰქონდა იმდენად, რამდენადაც კაპიტალისტური მეურნეობის ფორმაში ყველაზე უფრო დასრულებულადაა მოცემული საქონლის მეურნეობის ტენდენციები, რომელთა შეცნობა თვით მეურნეობის ამ ტიპის შეცნობას მოასწავებს.

საბჭოთა ეკონომიკაც ისე, როგორც კაპიტალისტური მეურნეობა, სხვადასხვა სამეურნეო ფორმათა კომპლექსი არის, რომლის სპეციფიურ თავისებურებას ის გარემოება შეადგენს, რომ აქ არსებობს განსაზოგადოებული სექტორი და როგორც ასეთი. ეს სამეურნეო სისტემა, სამეურნეო ფორმათა ეს თავისებური კომპლექსი უპრეცედენტოა.

გარდამავალ ეკონომიკაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს ცალკე სამეურნეო ფორმების ურთიერთობის საკითხი წარმოადგენს. უფრო მეტიც, გარდამავალ პერიოდის ანალიზის სიმძიმის ცენტრი ამ ურთიერთობის თეორიულ შეცნობაში გამოიხატება. რადგან ჩვენი ეკონომიური სინამდვილე უფრო მეტად რთულია. ვიდრე ჩვეულებრივი კაპიტალისტური სისტემა. აქაც. ისე როგორც კაპიტალისტურ მეურნეობის ანალიზის დროს. უნდა შევქმნათ ჩვენი სინამდვილის გამომხატველი მოდელი, რომელშიაც მოცემული იქნება საკვლევი ობიექტის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები. მაგრამ რას უნდა შეიცავდეს ჩვენი სინამდვილის აბსტრაქტიულად გამომხატველი მოდელი? ცხადია, აქ მოცემული უნდა იქნას ის, რაც უმთავრესად ახასიათებს ჩვენ ეკონომიურ სინამდვილეს, ასეთს კი ჩვენი ძირითადი სამეურნეო ფორმები წარმოადგენს; ანუ აქ იქნება მოცემული განზოგადოებული, მარტივი საქონლის და კაპიტალისტური მეურნეობის ელემენტები.

სამივე ეს ელემენტები მეტი თუ ნაკლები ხვედრითი წონით მოქმედობენ ჩვენს სინამდვილეში და თეორიული ანალიზის დროს თვითეული მათგანი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. ასეთ პირობებში აბსტრაქტიულად წარმოდგენილი გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა შესდგება სამი ნაწილისაგან: 1) განზოგადებული მეურნეობის სექტორი — სახელმწიფო და კოოპერატიული

მეურნეობიდან (ეს უკანასკნელი არა მთლიანად), 2) კაპიტალისტური სექტორი და მარტივი მეურნეობის სექტორი.

აქ საჭიროა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: რამდენად არც ერთი სამეურნეო ფორმა არ წარმოადგენს წმინდა სამეურნეო ფორმას. არამედ მასში შემოვრილია ან ამ ფორმის წინამორბედი ან შემდგომი ფორმაციის ელემენტები, ამიტომ ყოველ სამეურნეო ფორმაში წარმოშობილი ეკონომიური კანონზომიერება არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ამ ფორმის ძირითად ძალების ნაყოფად. ამიტომ აბსტრაქტიული ანალიზის დროს ეკონომიური კატეგორიები, წარმოდგენილი კონკრეტ სინამდვილეში გადატანის დროს, სხვადასხვა სამეურნეო ფორმების ცოცხალი დიალექტიური ურთი-ერთზედმოქმედების პროცესში ერთგვარ მოდიფიკაციას განიცდიან. [1]).

სანამ ცალკე სექტორის ანალიზსს შეუდგებოდეთ და იმ თავისებური ურთიერთობათა გარკვევას დავიწყებდეთ, რომელიც არსებობს ცალკე სამეურნეო ფორმათა შორის. მანამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლეთ ავღნიშნოთ აგრეთვე თუ რა ხასიათისაა საბჭოთა კავშირში არსებული ძირითადი წინააღმდეგობანი სამეურნეო სუბიექტთა შორის.

ა მშემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ძირითადი შინაგანი კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომელიც ყოველ ფორმაციაში ამა თუ იმ სახით არსებობს.

საბჭოთა კავშირში სოციალ-კლასობრივი წინააღმდეგობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია ახალ სიბრტყეზედ. ოქტომბრის რევოლიუციამ ამ საკითხში დიდი კორექტივი შეიტანა და სახელმწიფო სექტორში იგი სრულიად მოსპო. მაგრამ ასეთი წინააღმდეგობა ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას კერძო წარმოებასა და ვაჭრობაში, საკონცესიო წარმოებასა და მსხვილი საგლეხო მეურნეობაში.

აქ თითქოს ყოველივე ძველ ნაცნობ ფორმაში მიმდინარეობს. აქ საწარმოო საშუალებათა მფლობელი იმავე დროს დაქირავებული ექსპლოატატორია, ანუ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალისტური ექსპლოატაციით გამოწვეულ საწარმოო ურთიერთობასთან.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობაშიაც ერთგვარი წინააღმდეგობა არსებობს. მაგრამ ამ წინააღმდეგობის სოციალური ბუნება პირველისაგან საგრძნობლად განსხვავდება. აქ არის თავისებური წინააღმდეგობა აღმოცენებული ერთი კლასის წევრთა შორის, კონკრეტიულად ამ წინააღმდეგობის საფუძველს მეურნეობის სიციალისტური დაგეგმვებისა და მუშის პირადი მოხმარების ინტერესთა დაპირისპირება შეადგენს. როგორც აღვნიშნეთ. ეს წინააღმდეგობა სულ სხვა ბუნებისაა, ვიდრე ორ კლასს შორის არსებული წინააღმდეგობა, და რამდენადაც არ უნდა გააზვიადონ სახელმწიფო მრეწველობაში ერთი კლასის წიაღში არსებულ ინტერესთა წინააღმდეგობა, მისგან ვერავითარი ლოგიკით ვერ დაასკვნიან, რომ იქ ისეთივე წინააღ-

[1]) იხ. А. Мендельсон. „Категория стоимости в условиях переходнаго периода". ჟურნ. „Плановое хоз." № 6 1927 წ. გვ. 114—115.

მდეგობის ელემენტებია, როგორც კაპიტალისტისა და მუშის შორის არსებულ წინააღმდეგობაში.

გარდამავალ პერიოდში ჩვენ ვხედავთ აგრეთვე თავისებურ დაპირისპირებას ქალაქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შორის, თვითეული მათგანი კაცობრიობის ცხოვრების გარკვეული ისტორიული ტიპებია. როგორც ვიცით, განსაზოგადოებული სამეურნეო ფორმაში შემოდის არა მარტო ქალაქის მრეწველობის ნაწილი, არამედ კოლექტიური გაერთიანების გზაზე მდგარი სოფლის ნაწილიც. ამ გაერთიანებულ ფორმაში მოქცეულ ქალაქისა და სოფლის მეურნეობას მაინც ერთგვარი საკუთარი ინტერესები აქვს, რომელიც ზოგჯერ არა სათანადო ყურადღებით არის გათვალისწინებული ხელმძღვანელ ორგანოს მიერ, ამდენად ერთგვარი წინააღმდეგობის გამომწვევი პირობები ყოველთვის არსებობს; ეს წინააღმდეგობა უფრო სუსტია, ვიდრე ის, რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობის სექტორში შემავალ ქალაქის კაპიტალისტური მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ ქვე სექტორთა შორის არსებობს, რადგან კაპიტალისტური მეურნეობის იმანენტური ბუნება წინააღმდეგობას უფრო აღრმავებს, ვიდრე ანელებს.

არის თუ არა სოციალ-კლასობრივი წინააღმდეგობა ჩვენში არსებულ მარტივ საქონლის მეურნეობაში? აქ წინააღმდეგობა ან სრულიად არ არსებობს ან და მისი მხოლოდ ჩანასახებია. ამის ახსნა იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ერთი მხრივ რევოლიუციამდე აქ არსებულ პატრიარქალური პირობების რამდენიმედ შენარჩუნების გამო, სოციალური წინააღმდეგობა ვერ გაიშალა შესამჩნევად, ხოლო ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კი მოხდა ერთგვარი ნიველიროვკა არსებულ სოციალურ ურთიერთობაში და ამის დამიხედვით სოციალური გამწვავების გამომწვევი პირობებიც შენელდა.

სამაგიეროდ გარდამავალ პერიოდის ნიშნობლივ მხარეს წარმოადგენს სოციალ-კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავება ორ უმთავრეს სექტორთა შორის ერთის მხრივ სოციალისტური და მეორე მხრივ კაპიტალისტურ სექტორების ურთიერთობის პროცესში.

ცხადია, ნათლად გამოხატული შინაგანი კლასობრივი წინააღმდეგობა ახასიათებს კერძო კაპიტალისტურ სექტორს. მაგრამ ამ სექტორის ხვედრითი წონა თავისთავად იმდენად სუსტია, რომ მასში წარმოშობილი შინაგანი სოციალ-კლასიური წინააღმდეგობანი არ წარმოშობს საფუძველს ჩვენს მთლიან სახალხო მეურნეობაში არსებულ სოციალკლასობრივ წინააღმდეგობისათვის. სოციალ-კლასობრივი წინააღმდეგობა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით იშლება იქ, სადაც ემიჯნება ერთი სექტორი მეორეს, ანუ, უფრო სწორად, ორ მოწინააღმდეგე სექტორთა ურთიერთობაში. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორიგინალურ მოვლენასთან. თუ ჩვეულებრივად ცალკე სექტორის შიგნით წინააღმდეგობა წარმოდგენილია ერთი კლასის მიერ მეორე კლასის ექსპლოატაციის მოხდენით, ცალკე სექტორთა შორის არსებული სოციალური წინააღმდეგობა კონკრეტიულად გამოიხატება ცალ-ცალკე მდებარე ანტაგონისტურ სამეურნეო ფორმათა ურთიერთობაში, სადაც თვითეულ სამეურნეო ფორმაში მოცემულია გარკვეული კლასობრივი ინტერესები.

ამრიგად, ჩვენს პირობებში სოციალ-კლასობრივ წინააღმდეგობათა ტიპიურ სახეს წარმოადგენს არა ცალკე სამეურნეო ფორმებში არსებული წინააღმდეგობა, არამედ იგი მოცემულია იმ თავისებურ ურთიერთობაში, რომელიც არსებობს ცალკე სამეურნეო ფორმათა შორის. [1]).

სახელმწიფო და კერძო კაპიტალისტური სექტორის ურთიერთობა ტონს აძლევს მთელ გარდამავალ პერიოდს. სახელმწიფო მრეწველობა მეურნეობის სოციალისტური ფორმა და უფრო ფართოთ კი-განზოგადოებული მეურნეობის სექტორი — განვითარების პროცესში არა თუ თვით ყოველმხრივ სრულადი ხდება, არამედ, და რაც მთავარია, ნელ-ნელა [illegible] შეუპოვრად იწვევს სხვა ფორმების ქსოვილთა სოციალისტურ გარდაქმნას. ეს კი ნებდებოდეს მართალი, თუ განსაზოგადოებული მეურნეობის განვითარების ვზას სწორი ხაზით წარმოვიდგენდით. ამის საშუალებას მოწინააღმდეგე საეურნეო ფორმაციის არსებობა არ იძლევა. აქ ორივე ფორმაცია ერთი მეორეზე დიალექტიურ ზედმოქმედებას ახდენს და ამდენად განსაზოგადოებული მეურნეობის განვითარებაც ერთგვარი წინააღმდეგობებში მიმდინარეობს.

საბჭოთა კავშირის მეურნეობის განვითარების ამგვარი ხასიათი, ხელს უწყობს იმას, რომ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში მოვლენათა განვითარება ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, რის გამო მთლიანად საბჭოთა ეკონომიკას უაღრესი დინამიურობა ახასიათებს. მაგრამ საბჭოთა ეკონომიკის დინამიკა მიმდინარეობს ერთი გარკვეული ნიშნის მხედვით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ძველ ფორმათა ღლეევის პროცესთან და ჯერ არ ნახულ ახალ სამეურნეო ფორმათა ჩამოყალიბებასთან. ჩვენი სამეურნეო განვითარების ამგვარი გენერალური ხაზი ხელს უწყობს განზოგადოებულ მეურნეობის სექტორის მიღმა მდებარე სამეურნეო ელემენტთა განზოგადოებულ მეურნეობის ჩარჩოში სისტემატიურ შემოყვანას.

გარდამავალ პერიოდის ამგვარ ხასიათს სულერთავად განასზღვრავს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა. ეკონომიური პოლიტიკა ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავს, რომ ჩვენში სოციალისტური მეურნეობის ელემენტები გაძლიერდეს; თვით ამ ეკონომიურ პოლიტიკის ხასიათს და ტემპს კი თავის მხრივ განსაზღვრავს რამდენიმედ ჩვენი ეკონომიკაც. ამ მხრივ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ორთავეს ცოცხალ დიალექტიურ ურთიერთ ზედმოქმედებასთან. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა დაფასებული უნდა იქნას არა მარტო იმ სამეურნეო ეფექტით, რასაც გასახელმწიფოებული ჩვენი მეურნეობა იძლევა, არამედ იმათაც, თუ რამდენად ფართოდ შეეხო იგი ჩვენი სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებს. ამ მხრივ ჩვენმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ასე თუ ისე თავის გავლენა აგრძნობინა სამეურნეო ცხოვრების ყოველ დარგს და თავის კონტროლის ქვეშ დააყენა იგი. მართალია, ეს კონტროლი ზოგ შემთხვევაში სუსტია, მაგრამ ეს რაოდენობის საკითხია; და თუ წელს ჯერ კიდევ სუსტია კონტროლი, გაისად იგი უეჭველად გაძლიერდება და ასე შემდეგ.

[1]) იხ. Р. Вайсберг „О процессах обобществления". კერძოთ კი თავი 5 „Трансформация основных протиноp. в. СССР". ჟურნ. „План хоз." № 4. 1927 წ.

ჩვენი სამეურნეო განვითარების [illegible]ალელურად ეკონომიური პოლიტიკა განაგრძნობს გააფართოვოს თავის გავლენა ჩვენში მომქმედ საწარმოო ძალთა განვითარებასა და-მის ნიადაგზე აღმოცენებულ საწარმოო ურთიერთობაზე. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სოციალისტური მეურნეობის ელემენტების გაძლიერების გვერდით ხელს უწყობს სოციალისტურ ურთიერთობათა დამკვიდრებას. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ტენდენციის ლოღიკურ დასასრულს კაპიტალისტური კატეგორიათა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა სოციალისტურ ურთიერთობაში გარდაქმნა წარმოადგენს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, გარდამავალ პერიოდის ეკონომიკის უმთავრეს სექტორს განზოგადოებული მეურნეობა წარმოადგენს. რა ხასიათისაა იგი, რა გვარი ტენდენციები ისახება მასში და როგორ ურთიერთობაში იმყოფება იგი სხვა მეზობელ სექტორებთან. აი კითხვები, რომლითაც რამდენიმედ მაინც გავიცნობთ განზოგადოებულ სექტორის ბუნებას.

რამდენად სოციალიზმის წინაპირობას წარმოადგენს საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონემდე აყვანა, სადაც მსხვილ საწარმოო დარგებში უნდა იყოს თავმოყრილი საწარმოო საშუალებები და სამუშაო ძალა — ამდენად ასეთი პირობები რუსეთშიაც მრეწველობის ზოგ დარგებში კაპიტალიზმის განვითარებით უკვე არსებობდა და მის ნაციონალიზაციამ საძირკველი ჩაუყარა ჩვენში სოციალისტური მეურნეობის დამკვიდრებას.

ამრიგად, განსაზოგადოებული მეურნეობის სექტორში შემოვიდა ყველა სამეურნეო დარგები, როგორიცაა მსხვილი ქარხნები, სარკინისგზო და საზღვაო ტრანსპორტი, მსხვილი კულტურული სოფლის მეურნეობა. ე. ი. სადაც სოციალიზმისათვის საწარმოო ბაზა თავისთავად მოცემული იყო.

თუ ჩვეულებრივად კაპიტალისტური მეურნეობა თავის განვითარების პროცესში წარმოშობს ერთგვარ გამაერთიანებელ ცენტრებს. ბანკების სახით ყველა ესენი ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ უჯარო გენერალებათ რჩებიან, რადგან კერძო წარმოება ჩვენში უკვე აღარ ეკუთვნოდა უმეტეს შემთხვევაში მათ, ვის ინტერესების დასაცავადაც იყო მოწოდებული ეს კაპიტალისტური ცენტრები. განსაზოგადოებულ მეურნეობას რამდენად ჯერ კიდევ ბაზარი ესაჭიროება თავის პროდუქტთა რეალიზაციისათვის და რამდენად ჩვენი მეურნეობა ასე თუ ისე კავშირში იმყოფება მსოფლიო მეურნეობასთან, იმდენად ჩვენშიაც წარმოიშვა ორგანიზაციების მთელი რიგი, რომელთა საზრუნავ საგანს სახალხო მეურნეობისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენს.

განსაზოგადოებულ მეურნეობის სექტორში შემოდის აგრეთვე წვრილი საქონლის მწარმოებელთა კოლექტიური და კოოპერატიული სავაჭრო სამრეწველო გაერთიანებანი, რომლებიც ერთგვარ სოციალისტურ გარდაქმნის პროცესს განიცდიან.

თუმცა საბჭოთა კავშირში ჯერ-ჯერობით რაოდენობის თვალსაზრისით სასოფლო-მეურნეობა სჭარბობს, მაგრამ რადგან განზოგადოებულ სამეურნეო სექტორში მოქცეულია ყველა სამეურნეო „საკომანდო მწვერვალები", რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ მთელ მეურნეობას, ამდენად ჩვენი საწარმოო

ძალთა ლოღიკური ტენდენცია გამოიხატება სოციალიზმისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნაში.

საბჭოთა ეკონომიკის ერთ-ერთ თავისებურებას სწორედ მისი სოციალიზმისაკენ სვლის განუწყვეტელი ტენდენცია შეადგენს. ჩვენს პირობებში უმთავრეს ამოცანას სოციალიზმისათვის საჭირო მატერიალური საფუძვლების განმტკიცება წარმოადგენს, ხოლო ამ ამოცანის შესრულების პირობას კი ის გარემოება შეადგენს, რომ განზოგადოებულ მეურნეობის სექტორი, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს სახელმწიფო, თავის მხრივ მთელი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელის როლში გამოდის.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება უფრო დაწვრილებით შევაჩეროთ იმაზე თუ როგორ ახერხებს ამას განზოგადოებული მეურნეობის სექტორი, რომელიც რაოდენობის თვალსაზრისით წვრილი საქონლის მეურნეობის სექტორთან უმცირესობაში იმყოფება, ხოლო სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით კი ხელმძღვანელის როლს ასრულებს.

განსაკუთრებული პირობების მიხედვით, განზოგადოებული სექტორი თანდათანობით იმორჩილებს კერძო სამეურნეო სექტორს და ამ უკანასკნელს ისეთ ტეხნიკურ და ეკონომიურ პირობებში აყენებს, რომლის შედეგად ახლო მომავალში მეორე პირველის აუცილებელ დამატებათ იქცევა.

ჩვენში ერთ საყურადღებო მოვლენას აქვს ადგილი: რაოდენობით სუსტი სახელმწიფო მეურნეობა ორგანიზაციულად ხელმძღვანელობს თავის მოწინააღმდეგე კერძო მეურნეობას და მას კიდეც იმორჩილებს ამის შესაძლებლობა მოცემულია მეურნეობის ორივე დარგის ისტორიულ განვითარების ტენდენციაში. ყოველგან, სადაც ქვეყნის ეკონომიური განვითარება ნორმალური ტემპით მიმდინარეობდა, მრეწველობა მთელი სახალხო მეურნეობის ტონის მიმცემია. მრეწველობის უშუალო ხელმძღვანელობა ამჩნევია განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას. სამრეწველო კაპიტალი ყოველგან გამოდის, როგორც პატრიარქალურ საწარმოო ურთიერთობათა დამრღვევი საშუალება ს ოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობა თავისი ხასიათით მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის ბაზას წარმოადგენს და რამდენად ეს უკანასკნელი განავითარებს თავის საწარმოო ძალებს, იმდენად მეტია მოთხოვნილება ნედლეულზე, იმდენად მეტად გარდაიქმნება სოფლის მეურნეობა. იმდენად მეტად დაკარგავს იგი თავის სამეურნეო „უმანკოებას" და იმდენად მეტად დაემორჩილება ქალაქის მრეწველობის მოთხოვნილებას. ამის დამიხედვით ქალაქის მრეწველობა თანდათანობით შემოიტანს ახალ ტეხნიკას სოფლის მეურნეობაში, რითაც გაადვილდება ნედლეულის დამზადება. მართალია, რომ სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ერთგვარ დიალექტიურ ურთიერთობაში იმყოფებიან, მაგრამ აქ მრეწველობის როლი უფრო დიდია. რამდენად მრეწველობა შესძლებს საჭირო ტეხნიკური გაუმჯობესებანი შეიტანოს სოფლის მეურნეობაში, იმდენად იგი განსაზღვრავს ამ უკანასკნელის განვითარების ხასიათს. აგრეთვე იცვლება სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონაც მთელ მეურნეობაში.

და თუ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობა სჭარბობს ქალაქის მრეწველობას, ასეთი მდგომარეობა უფრო ნაკლებად შეიძლება ჩაითვა-

ლოს ბუნებრივ მოვლენად და ეს გარემოება მომეტებულათ რუსეთის მრეწველობის არა საკმაო განვითარებას მიეწერება.

მაშასადამე, ჩვენი მრეწველობის განვითარების ლოლიკურ ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ ახლო მომავალში განზოგადოებული მეურნეობის სექტორი განსაზღვრავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ხასიათს. მეორე მხრივ ჩვეულებრივად პოლიტიკურ ბრძოლის პროცესში „გადამწყვეტ მომენტში, გადამწყვეტ პუნქტში საჭიროა გქონდეს ძალების უპირატესობა" — როგორც ამის შესახებ სწერდა ერთხელ ლენინი. სამეურნეო აღმშენებლობის დარგშიაც გამარჯვების მიღწევის ერთ-ერთ უდიდეს პირობას მეურნეობის „საკომანდო მწვერვალებზე" მოქცევა შეადგენს, რომლითაც ადვილად შეიძლება მართოთ სახალხო მეურნეობის დანარჩენი ნაწილიც. „საკომანდო მწვერვალების" დაპყრობით ადვილად ხერხდება ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ფენების ქსოვილთა სოციალისტური გარდაქმნა ანუ ასეთი გზით სწარმოებს ამ ელემენტების სოციალზმში თანშეზრდა. გარდამავალი პერიოდის უმთავრეს დამახასიათებელ მომენტს ის ურთიერთობა შეადგენს, რომელიც განზოგადოებულ და წვრილი საქონლის მეურნეობის სექტორთა შორის არსებობს, სადაც პირველი იყენებს რა მთელ თავის ტეხნიკურ-ეკონომიურ უპირატესობას, სისტემატიურად ცდილობს მეორე დაიმორჩილოს, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველგვარ საშუალებას მიმართავს გაახანგრძლივოს თავისი არსებობა. ეს ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. იგი მომდინარეობს ოქტომბრის რევოლიუციიდან, ხოლო როდის დასრულდება, ამის თქმა ამჟამად შეუძლებელია. ერთი კი ნათელია: ყოველ წლიური დაკვირვება ყოველ ეჭვს გარეშე გვეუბნება, რომ პირველის ხვედრითი წონა მეორეს შეცვლის ხარჯზედ იზრდება.

არა სოციალისტური მეურნეობაზე სოციალისტურ სექტორის ზემოქმედება ჩვენს პირობებში, სადაც არა სოციალისტური მეურნეობის ხვედრითი წონა აღემატება მეორეს, ერთობ ძნელი საქმეა; მაგრამ იგი ადვილად შეიძლება შესრულდეს თუ გამონახული იქნება ზემოქმედების ისეთი ფორმები, როცა კერძო კაპიტალისტურ სტიქიას მოვაქცევთ იმგვარ ორგანიზაციულ ფორმაში, რომ იგი გამოგვადგეს განზოგადოებული სექტორის დამატებათ; ეს მაშინ, თუ გამონახული იქნება თანამშრომლობის ისეთი, ფორმები, როცა ამ სტიქიის ძალა მის და უნებლიედ განსაზოგადოებულ სექტორის გაძლიერებას მოხმარდება.

ასეთ ფორმას კერძო მწარმოებელთა კოოპერაციაში გაერთიანება წარმოადგენს; კერძო მწარმოებლები კოოპერატიულ ცენტრებისა და სახელმწიფო წარმოებათა კონტროლის ქვეშ მოექცევიან, რითაც ჩვენი შინაგანი კაპიტალიზმი ისევ განზოგადოებულ მეურნეობას დაემორჩილება.

არა თუ ჩვენი სუსტი შინაური კაპიტალიზმის გამოყენებაა შესაძლებელი ჩვენში სოციალისტური მეურნეობისათვის საჭირო მატერიალურ წინნამძღვრების შესაქმნელად, არამედ უცხოეთის კაპიტალისტებიც კი, რომლებიც კონცესიებს იღებენ, მათთვის სრულიად საწინააღმდეგო სამეურნეო ფორმაციის დამკვიდრებას უნებლიედ ხელს უწყობს. რამდენად ისინი ტეხნიკურად უკეთ მოაწყობენ თავის საკონცესიო წარმოებას, რომელსაც ვადის შესრულების შემდეგ მემკვი-

ერეობით ვღებულობთ ჩვენ — იმდენად გააძლიერებენ ჩვენში სოციალისტური საძირკველის განმტკიცებას.

მაგრამ საბჭოთა კოოპერაცია. ჩვენში არსებულ წვრილ კაპიტალისტურ სტიქიის განზოგადოებულ მეურნეობის ჩარჩოში ჩასაყენებლად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. კოოპერაციის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენს პირობებში იმაში გამოიხატება, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება შევადუღოთ კერძო მესაკუთრის კერძო ინტერესი სოციალისტურ აღმშენებლობის საერო ინტერესთან; ამ აღმშენებლობაში კოოპერაციის საშუალებით შესაძლებელია ჩავაბათ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის დაახლოვებით ის 80%, რომელიც თავის ობიექტიური მდგომარეობით სოციალისტური აღმშენებლობის მიღმა იმყოფება. თუ მოვიგონებთ ლენინის მიერ კოოპერაციისადმი ჩვენს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას. — კოოპერაცია ჩვენს პირობებში ყოველ მხრივ სოციალიზმს უდრის, — მაშინ კოოპერაცია სერიოზულ საშუალებათ უნდა იქცეს, რომ მისი მეოხებით გლეხები სოციალიზმის აქტიურ მშენებლებათ გავხადოთ. [1]).

ამრიგად, განზოგადოებული სამეურნეო სექტორის ხელმძღვანელობა საჭიროა იმ მიმართულებით გამოვიყენოთ, რომ მის კონტროლის ქვეშ მოექცეს, როგორც შინაური, ისე საგარეო კაპიტალიზმის მატერიალურ-ტეხნიკური რესურსები; ამ გზით გავაფართოვებთ ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობას. ამის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ჩვენი სოფლის მოსახლეობის კოოპერატიულ აღმშენებლობის ჩარჩოებში მოქცევა წარმოადგენს.

განზოგადოებულ სექტორთა და სახალხო მეურნეობის დანარჩენ ნაწილს შორის ერთგვარი დიალექტიური ურთიერთობა არსებობს. რომლის გათვალისწინებაც, გარდამავა ლპერიოდის ეკონომიკის ანალიზის დროს, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

რადგან განზოგადოებული სექტორის განვითარება სხვაგვარ ფორმაციათა გარემოცვაში მიმდინარეობს; ეს უკანასკნელები პირველზე რამდენიმედ მოქმედობენ. ეს გარემოება იმდენად სერიოზულ ფაქტს წარმოადგენს, რომ განზოგადოებული სექტორის ორგანოები, რომლებიც მოწადინებული არიან არა განზოგადოებულ ნაწილებზე იმოქმედონ, ითვალისწინებენ ამ გარემო-პირობებსაც. განზოგადოებული სექტორის ორგანოები გამოხატავენ არა მარტო განზოგადოებულ წარმოების საწარმოო ძალებს და მათ საწარმოო ურთიერთობას, არამედ რამდენიმედ იმასაც. თუ რა ძალისაა ის წინააღმდეგობა, რომელსაც ჰპოულობენ არა განზოგადოებული სექტორი განზოგადეობულის მიმართ. მართალია. ჩვენში არა განზოგადოებული სექტორი რომ არ არსებობდეს, მაინც იარსებებდა მთელი რიგი ორგანოები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას განსაზღვრავდენ წარმოებისა და განაწილების პროცესების ხელმძღვანელობით, მაგრამ ეს ორგანოები უკანასკნელ შემთხვევაში გაცილებით მარტივი იქნებოდენ, ვიდრე ეხლა არიან. ამ ორგანოების რიცხვიც ნაკლები იქნებოდა და ცენტრალიზაციაც შესამ-

[1]) უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. А. Айхенвальд „Советская экономика" 1927 წ. გვ. 260—279.

ჩნევი გახდებოდა. ასე, გარდამავალ პერიოდში კერძო და განზოგადოებულ სექტორთა ურთიერთობა განზოგადოებულ სექტორისაგან მთელ რიგ ორგანოების შექმნას მოითხოვს, რომელზედაც იხარჯება სახელმწიფოს შემოსავლის საკმაო დიდი ნაწილი. ცხადია, თუ ამ ორგანოების რიცხვი შემცირდებოდა და მისი სტრუქტურა გამარტივდებოდა კერძო სექტორის გაუქმებით, ამ ორგანოების შესანახად საჭირო ხარჯებიც შემცირდებოდა.

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის განვითარების სირთულე, სხვათა შორის იმაშიაც გამოიხატება, რომ უშუალო სოციალისტური აღმშენებლობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ უნაყოფოდ იხარჯება სოციალისტური ენერგიის ერთი ნაწილი, რომელიც მიმართულია მომაკვდავ არა სოციალისტური სექტორის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ. რამდენად გარდამავალ პერიოდში კომუნისტურ საზოგადოების ნათესაყუდელს მიუახლოვდება ჩვენი სოციალისტური გეგმა, იმდენად შემცირდება სოციალისტური ენერგიის „უნაყოფო" ხარჯვაც და ძეტის ძალით გამოყენებული იქნება იგი სოციალისტურ წარმოებისა და სოციალისტურ განაწილების მოსაწესრიგებლად.

მართალია საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ძველი წესწყობილებიდან სოციალისტური აღმშენებლობისათვის. მძიმე მემკვიდრეობა მიიღო, რის გამო დიდძალი ენერგიაა საჭირო არა სოცალისტური ელემენტების სოციალისტურად გარდასაქმნელად, მაგრამ ის, რაც ბრძოლის საშუალებით მოვიპოვეთ. სრული თავდებია იმის, რომ ჩვენს ცდასა და შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ჩვენ უკვე მივანიჭეთ განზოგადოებულ მეურნეობას ხელმძღვანელობის როლი და ეს კი დიდ რამეს ნიშნავს. ამის შემდეგ ბრძოლა არა სოციალისტურ ელემენტებთან შესამჩნევად გაადვილებულია და გამარჯვებაც სავსებით უზრუნველყოფილია.

კერძო კაპიტალისტურ სექტორს ერთი თავისებურება ახასიათებს. რომელიც ანსხვავებს მას ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებულ კაპიტალიდან. „ბურჟუაზიის აღმასრულებელი კომიტეტი" — სახელმწიფო, როგორც კაპიტალისტური წყობილების იარაღი, ჩვენში არარსებობს და პირიქით, ძალაუფლება იმ კლასის ხელშია, რომელიც ქმნის კაპიტალიზმის პრინციპიალურად საწინააღმდეგო სისტემას. ამის გამო, ჩვენში არსებული კერძო კაპიტალი „არა ბუნებრივ" პირობებში ვითარდება, და ეს გარემოება მის ხასიათში შესაფერის ცვლილებებს ახდენს.

ამ სექტორში გაერთიანებულია ბევრი სამრეწველო, სავაჭრო და სხვადასხვა წარმოება, რომლებიც თავის მასშტაბით წვრილ ან საშუალო ზომისაა, რადგან საბჭოთა ხელისუფლება შეგნებულად აბრკოლებს მსხვილ კერძო წარმოებათა გაფართოებას, აგებული არიან ჩვეულებრივი კაპიტალისტური წესით. ამ სექტორში ჯერ კიდევ შერჩენილია ექსპლოატაცია, რადგან კერძო დამქირავებელი დაქირავებულისაგან ითვისებს ზედმეტ ღირებულებას. რადგან სოფლის მსხვილი მეურნეები ჩვეულებრივად სარგებლობენ დაქირავებული შრომით. ამიტომ მათი მეურნეობაც შედის აღნიშნულ სექტორში. კონცესიონერებისგან ესენი განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ თუ პირველნი გარკვეულ ხელშეკრულებას სდებენ მთავრობასთან, ეს უკანასკნელები ეწევიან სამეურნეო საქმიანობას ყოველგვარ ხელშეკრულების გარეშე. მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ

თითქოს ისინისრულიად თავისუფლად საქმიანობდენ და საბჭოთა სახელმწიფო მოკლებული იყოს საშუალებას კერძო მწარმოებელთა საქმიანობას კონტროლი გაუწიოს. პირიქით, მათი ეკონომიური დამოუკიდებლობა ჩვენში საგრძნობლად შეკვეცილია. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ისინი ვალდებული არიან დაიცვან ჩვენ მიერ გამომუშავებული შრომის კოდექსი, გადაიხადონ საკმაო, დიდი ვადასახადები და ამდენად ისინი ჩვენ ეკონომიურად გვემორჩილებიან.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ბანკების ნაციონალიზაცია, ტრანსპორტის. ნედლი მასალის, მსხვილი მრეწველობის გასახელმწიფოება შესამჩნევად ჰკვეცავს კერძო კაპიტალის სამოღვაწეო ასპარეზს.

კერძო კაპიტალის თანამშრომლობა სახელმწიფო მრეწველობასთან გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფო წარმოებას ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა მარტო თითონ დააკმაყოფილოს მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნილება. მართალია, ჩვენი კავშირის მოსახლეობის ეკონომიური კეთილდღეობის გადიდებასთან ერთად აბსოლიუტურად გაიზარდა კერძო კაპიტალისტური ელემენტებიც. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო მრეწველობა გიგანტიური ნაბიჯით მიდის წინ, პირველის ზრდა მეორესთან შედარებით შეუმჩნეველი იქნება და მისი ხვედრითი წონაც ერთობ მცირეა.

წვრილ ისაქონლის მეურნეობის სექტორს ავსებს, როგორც ამის შესახებ ლენინი სწერდა თავის „სასურსათო გადასახადაში". გლეხობის ის დიდი ნაწილი, რომელიც ჰყიდის პურს. ანუ ამ სექტორში შედის 22 მილ. დაქსაქსული საგლეხო მეურნეობა. მაგრამ აქვე მოთავსებული არიან ის შინამრეწველები, რომლებიც არ სარგებლობენ დაქირავებული შრომით. სახალხო მეურნეობის ამ სექტორს ფრიად მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს თავისთავად და ჩვენში სოციალისტური აღმშენებლობის გაღრმავება ბევრადაა დამოკიდებული ამ სექტორზე.

რომ სწორი წარმოდგენა შევიმუშავოთ ამ სექტორზე. ამიტომ საჭიროა უფრო დაწვრილებით გავეცნოთ თუ რას წარმოადგენს თავისთავად ის არა სოციალისტური ეკონომიური ქსოვილი, რომლისაგანაც შესდგება ჩვენი საბჭოთა მეურნეობის უდიდესი ნაწილი.

როგორც ავღნიშნეთ. იგი წარმოადგენს წვრილ საქონლის მეურნეობას: ხოლო მისი დამახასიათებელი ნიშანია ის. რომ აქ არ სწარმოებს დაქირავებული მუშის სამუშაო ძალის ექსპლოატაცია: ამ რიგად. მეურნეობის ამ სექტორში არ არსებობს ისეთი საწარმოო ურთიერთობანი, რომელიც ჩვენ გვხვდება ჩვეულებრივ კაპიტალისტურ წარმოებაში.

კაპიტალისტურ მეურნეობაში საქონლის პატრონი საქონელს კი არ ქმნის. არამედ საწარმოო საშუალებებს ფლობს და მუშის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას ითვისებს; აქ კი. მარტივ საქონლის მეურნეობაში, საქონლის პატრონი ამ საქონლის უშუალო შემქმნელიცაა. ამის დამხედვით პირველი საქონლის პატრონი მეორე საქონლის პატრონისაგან თავისი შინაგანი რაობით დიამეტრალურად განსხვავდება და ეს განსხვავება სოციალისტური აღმშენებლობის გაძლიერებისათვის და ხელის შეწყობისათვის ფრიად მნიშვნელოვანია; და რამდენად კერძო საკუთრების ინსტიქტი პირველში ძლიერია და მეორეში სუს-

ტადაა განვითარებული, იმდენად პირველი სოციალიზმის აშკარა მოწინააღმღეგეა, მეორე კი სოციალიზმის გაძლიერებისათვის ნაკლებათ საშიშია.

გლეხობის კავშირი ბაზართან ხელს უწყობს კაპიტალიზმის გაძლიერებას წვრილი საქონლის მეურნეობა წარმოშობს კაპიტალიზმს, გამოყოფს თავის რიგებიდან კაპიტალისტებს, მაგრამ ჩვენს პირობებში, სადაც მიწის ნაციონალიზაცია დაპროლეტარიატის ეკონომიური პოლიტიკა მთლიანად ხელს უშლის ამ პროცესს, რადგან ხელოვნურად ვეხმარებით წვრილ და საშუალო გლეხობას, ვაერთიანებთ მათ, ვაწვდით სამეურნეო მანქანებს და სხვ. ყოველივე ეს თავისებურ სახეს აძლევს ჩვენში წვრილი საქონლის მეურნეობის დაშლის პროცესს.

თუ ჩვეულებრივად კაპიტალისტურ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ეკონომიური განვითარება კაპიტალისტური გზით მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში სოფლის ეკონომიურ ევოლიუციას ახალი გზა ესახება, — ეს არის არა კაპიტალისტური გზით განვითარება. ამის შესაძლებლობა „საკომანდო მწვერვალების“ დაპყრობითაა მოცემული; შემდეგ, ჩვენში თუმცა სწარმოებს „კულაკურ“ ელემენტების ერთგვარი ზრდა, მაგრამ ეს პროცესი ამჟამად უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს ვიდრე წინად, რადგან უღარიბეს და საშუალო გლეხობის გაერთიანებით კოოპერაციაში ამ უკანასკნელთა კეთილდღეობა შესამჩნევად უმჯობესდება. სხვათა შორის ლენინი უდიდესი ყურადღებით ეპყრობოდა გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანების საკითხს, რაზედაც ბევრადაა დამოკიდებული ჩვენში სოციალიზმის განმტკიცების საქმე.

ამრიგად, თუმცა საერთოდ მარტივ საქონელის მეურნეობის და კერძოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის ტენდენციას შეადგენს ამ მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობათ გარდაქცევა, მიუხედავათ ამისა, ეს ტენდენცია ეჯახება განზოგადოებული სექტორის ორგანიზაციულ-ეკონომიურ ზეგავლენას, რის გამოც პირველის ტენდენცია ერთგვარ მოდიფიკაციას განიცდის.

ამ განხილვიდან ჩვენ შეგვიძლია ასეთი დასკვნა გამოვიყვანოთ: გარდამავალ ეკონომიკის პირობებში განზოგადოებული სექტორი განუწყვეტელ ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებს არა სოციალისტური მეურნეობის სექტორთან, რომელსაც ერთი გარკვეული მიზანი აქვს — არა სოციალისტური მეურნეობა სოციალისტურ მეურნეობის გზაზე დააყენოს. ბრძოლა ამ მხრივ განსაკუთრებულ მწვავე ხასიათს ატარებს, რადგან განზოგადოებულ სექტორის წინააღმდეგ სდგას კერძო კაპიტალისტური სექტორი, რომლის ხვედრითი წონა ჩვენს მეურნეობაში ჯერ-ჯერობით პირველს სჯარბობს. მიუხედავად ამისა, განსაზოგადოებული სექტორი მაინც ახერხებს ორგანიზაციული ხელმძღვანელობა გადაიტანოს კაპიტალისტური სექტორზედაც „საკომანდო მწვერვალებისა“ და პოლიტიკური ძალა-უფლების მეოხებით და რამდენად გაღრმავდება ეს ორგანიზაციული გაელენა პირველის მეორეზე, იმდენად შემცირდება არა სოციალისტური ელემენტებიც ჩვენს მეურნეობაში, იმდენად დაუახლოვდებით ჩვენ სოციალიზმს.

ჩვეულებრივ საქონლის მეურნეობაში ღირებულების კანონი წარმოადგენს იმ ერთად-ერთ კანონს, რომლის მიხედვით მყარდება კაპიტალისტურ მეურნეობაში გარკვეული წონასწორობა, ანუ ღირებულების კანონი ხელმძღვანელობს მეურნეობის ცალკე დარგებში სამეურნეო ენერგიის პროპორციონალურ

განაწილებას. ამ კანონის გარეგნული ფორმა, როგორც ვიცით, გამოხატება საქონლის ფასში, ხოლო მისი მოქმედება თავს იჩენს საქონლის ფასის ცვალებადობაში კონკრეტიულად ეს კანონი საქონელთა დამზადებლებზე მოქმედობს იმით, რომ ფასების ურთიერთობაში ასე თუ ისე ცვალებადობას იწვევს.

გარდამავალ პერიოდში საბაზრო ურთიერთობა და საქონლის ფორმა შერჩენილია არა მარტო იმიტომ, რომ ამ გზით განზოგადოებული მეურნეობის სექტორი უფრო უკეთ უკავშირდება კერძო მეურნეობას, არამედ იმიტომაც, რომ საქონლის ფორმის შენარჩუნება საჭიროა თვით განზოგადოებული მეურნეობის ცალკე ნაწილთა ურთიერთ დასაკავშირებლად. მაგრამ საქონელთა გაცვლას განზოგადოებულ სექტორში, მართალია, შერჩენილი აქვს ჩვეულებრივი საბაზრო ურთიერთობის ფორმა, მაგრამ ამ ძველ ნაცნობ ფორმაში ჩაქსოვილია სრულიადახალი სოციალ-ეკონომიური შინაარსი. უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ძველი ფორმები ჩვენს პირობებში გამოხატავენ, როგორც ძველს, ისე ახალ ურთიერთობებს. ამ სხვადასხვაობას ადვილად შევამჩნევთ, თუ მოვლენის სიღრმეში ჩავიხედავთ და გავსცდებით ზერელე ვუგარულ აზროვნებას. ასე მაგ. ერთ შემთხვევაში მოგება შედგა ექსპლოატაციის მოხდენისა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ნაყოფია პროდუქტის იმ თავისებური გაყოფის, როცა ერთი ნაწილი პროდუქტისა მიდის ცალკე მუშის პირადი საჭროებსათვის, მეორე ნაწილი კი პროლეტარიატის საერთო კლასობრივი საჭიროებისათვის.

ასევე ითქმის ფასის შესახებაც: თუ ერთ შემთხვევაში იგი შედეგია შეგნებულ ლგეგმიან ხელმძღვანელობის, მეორე შემთხვევაში კი იგი სტიქიური ძალის ნაყოფია. აქ ჩვენ საქმე გვაქვს გარდამავალ პერიოდის იმ თავისებურ მოვლენასთან, რომელიც მის სპეციფიურ ნიშნას წარმოადგენს და რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბევრ შემთხვევაში ფორმა სცილდება შინაარსს და პირიქით, ძველ ფორმაში თავსდება პრინციპიალურად სხვაგვარი, ახალი შინაარსი.

აქ საქონელთა გაცვლა-გამოცვლა არ გამოხატავს საქონლის ორ დამოუკიდებელ მწარმოებელთა ურთიერთობას, არამედ ის არის ურთიერთობა ორი სამეურნე ოერთეულისა, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთი ცენტრი. მაშასადამე, თუ ფორმით სახელმწიფო მრეწველობის ცალკე ნაწილები ერთი მეორესთან საბაზრო ურთიერთობაში იმყოფებიან, სინამდვილეში ამ სამეურნეო პროცესებს არ ხელმძღვანელობს ის სტიქიური რეგულიატორი, რაც საქონლის მეურნეობას მართავს. აქ საბაზრო ძალები სტიქიურად ვერ მოქმედობენ, რადგან ყველა ესენი ერთი მთელის ნაწილს შეადგენენ. მოკლეთ აქ სამეურნეო პროცესები თანდათანობით გეგმიან ხელმძღვანელობას ემორჩილებიან და თავისუფლდებიან სტიქიურ ირეგულიატორის გავლენისაგან.

საბაზრო აპარატის გამოყენება განზოგადოებულ სექტორში დამზადებულ საქონელთა გასანაწილებლად ჯერ კიდევ დიდხანს იარსებებს, რადგან იგი ჯერ-ჯერობით ყველაზე უკეთესი ფორმაა ამ განაწილების მოსახდენად. საბაზრო ურთიერთობა რჩება კანონიერ მოვლენად გარდამავა ლპერიოდში, და დახარჯული შრომა, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველგვარ სამეურნეო პროცესს, თავის გამოხატულებას ჰპოვებს ღირებულების ფორმაში. ამის გამო კი ღირებულების კანონი ერთგვარი მოდიფიკაციით ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას

გარდამავალ პერიოდში. და ვინაიდან გარდამავალ პერიოდში გეგმიანი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა სავსები, ეს რეგულიატორიც არაა საკმაო იმისათვის. რომ საზოგადოების მთელი შრომა პროპორციონალურად განაწილდეს მეურნეობის ცალკე დარგებს შორის. საზოგადოების სამეურნეო ენერგიის ასეთი პროპორციონალური განაწილება კი ძირითადი კანონია, ურომლისოდ შეუძლებელია სამეურნეო განვითარების წარმოდგენა. ი ი რას სწერს მარქსი ამის შესახებ: „თავისთავად ცხადია, რომ საზოგადოებრივი შრომის განაწილების აუცილებლობა გარკვეულ პროპორციებად ყოველად შეუძლებელია გაჩრდეს საზოგადოებრივი წარმოების გარკვეული ფორმით; შეიძლება შეიცვალოს მისი გამოხატვის ფორმა. საერთოდ შეუძლებელია მოისპოს ბუნების კანონი. შეიძლება მოხდეს იმ ფორმის შეცვლა, რომელშიაც ეს კანონები გამოიხატება. სხვადასხვა ისტორიულ პირობების ზეგავლენით“ [1]).

რასაკვირველია, ჩვენში შექმნილ სოციალ-ეკონომიურ ორგანიზაციას ამ კანონში ერთგვარი შესწორება შეაქვს, რაზედაც ჩვენ დაწვრილებით ქვევით შეეჩერდებით. აქ დასმულია ის ყველაზე უფრო ძნელი თეორიული საკითხი, რომელიც ჯერჯერობით საბოლოოდ არავის გამოურკვევია და რაც კონკრეტიულად იმაში გამოიხატება თუ როგორ უნდა გვესმოდეს ღირებულების კანონის მოქმედება გარდამავალ პერიოდის ეკონომიკის თავისებურ პირობებში და როგორ და რამდენად ხელმძღვანელობს ეს კანონი გარდამავალ პერიოდის ეკონომიკას.

მართალია, ჩვენი გარდამავალი პერიოდის სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით განზოგადოებულ მეურნეობის სექტორში არ არსებობს ექსპლოატაცია რამდენადაც აქ საწარმოო საშუალებათა და სამუშაო ძალის პატრონი ერთი და იგივე მუშათა კლასია, მაგრამ იგივე სექტორი ქმნის საქონელს, იღებს მოგებას და სხვ.; ამავე დროს სამეურნეო პროცესებს ჯერ კიდევ საფუძვლად უდევს შრომა — სამუშაო ძალის მიზანშეწონილი გამოყენება; და ამ დახარჯულ შრომის გამოხატვის ფორმად დატოვებულია ღირებულების ირაციონალური ფორმა: ამის გამო, ამ სექტორში დახარჯული შრომა გაცვლის დროს ღირებულების ფორმაში გვევლინება. მაგრამ, როგორი შინაარსისაა ღირებულების კატეგორია ჩვენი განზოგადოებული მეურ. პირობებში? „შეიძლება კი თანასწორობის ნიშანი დავსვათ ღირებულების კატეგორიათა შორის. რომლებიც საფუძვლად უდევს მარტივ საქონლის. კაპიტალისტური და განზოგადოებული მეურნეობის, მოძრაობას გარდამავალ პერიოდში?“ — კითხულობს ამხ. ა. მენდელსონი და თვითვე იძლევა ამაზე შემდეგ პასუხს: „შრომითი ხარჯების მოდიფიკაციის ამ კითხვაზე ჩვენი გაგების თვალსაზრისით პასუხი არ წარმოადგენს სიძნელეს. ჩვენ ვფიქრობთ: რომ გარდამავალ პერიოდის პირველს საფეხურებზე განზოგადოებულ სექტორის სამეურნეო პროცესთა ერთ-ერთ საფუძველს ჯერ კიდევ ღირებულების კატეგორია წარმოადგენს, მაგრამ სოციალური შინაარსი ანსხვავებს მას მარტივი საქონლის მეურნეობის საწარმოო ურთიერ-

[1]) იხ. „Письма Маркса и Энгельса“ ვ. ადორატსკის თარგმანი გვ. 176 177 გამ. 1923 წ.

თობის პირობებში წარმოშობილ ღირებულების კატეგორიიდან და ღირებულების იმ კატეგორიიდანაც, რომელიც წარმოიშვა კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა პირობებში". [1])

ამრიგად, აქ ფორმის ერთგვარობა, მასში მოთავსებულ შინაარსის ერთგვარობას ყოველთვის და ყოველგან არ გულისხმობს. ერთდაიმავე ღირებულების კატეგორიის ფორმაში ჩაქსოვილია სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური შინაარსი.

საერთოდ კი გარდამავალ პერიოდში ღირებულების კანონი შესამჩნევ ცვალებადობას განიცდის თავის ხარისხობრივი თვისების მიხედვით; ხოლო რაც შეეხება ღირებულების კანონის რაოდენობითი მხარეს, იგი სრულიად უცვლელი რჩება არა თუ გარდამავალ პერიოდში, არამედ განზოგადოებული მეურნეობის სექტორშიაც კი. გეგმიანობის შემოღება მეურნეობაში არ გულისხმობს საცვლელი პროპორციების რაოდენობითი მნიშვნელობის შეცვლას. „პირიქით საცვლელ ურთიერთობათა რაოდენობითი მნშვნელობა არც შეიძლება არ დარჩეს საერთოდ ისეთნაირადვე, როგორადაც ის იყო ღირებულების კანონის მოქმედების დროს. რამდენად ამ პროპორციების საფუძველი დანახარჯ შრომის შეფარდებითი ოდენობაა, რომელიც საჭიროა ამ საქონლის დასამზადებლად და დამზადების კვლავ გასამეორებლად, ერთი და იგივეა როგორც ღირებულების კანონის მოქმედების დროს. აგრეთვე შეგნებული ფასების დამყარების პოლიტიკის მიერ მისი შეცვლის დროს, სრულიად ცხადია, რომ საერთოდ საცვლელ ურთერთობათა რაოდენობითი მნიშვნელობაუნდა დარჩეს ისეთივე. ძველი პროპორციათა შენარჩუნება მათი საერთო სახით, რასაკვირველია არ უარყოფს, შესაძლებლობას საკმაოდ არსებითი ცვლილებათა შესახებ, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნას ამ პროპორციებში ამა თუ იმ გეგმიან ამოცანების მისაღწევად" [1]).

სამაგიეროდ ღირებულების კანონი, როგორც აღვნიშნეთ, ხარისხობრივი თვალსაზრისით საკმაოდ დიდ ცვლილებას განიცდის გარდამავალ პერიოდის ეკონომიკაში. თუ რაგვარი ხასიათისაა ეს ცვლილება, ამის ნათლად წარმოსადგენათ იძულებული ვართ მოვიყვანოთ უკვე დასახელებულ შრომიდან ამ საკითხზე სათანადო ადგილი: „ღირებულების კანონი თავის ხარისხობრივი მხრით, როგორც საწარმოო საშუალებათა სტიქიურ განაწილებისა კანონი და სტიქიურივე ხელმძღვანელი და მართველი საზოგადოების ყველა საწარმოო პროცესთა, გარდამავალ პერიოდის ეკონომიკაში განიცდის არსებითი მნიშვნელობის ტრანსფორმაციას, რომელიც კლებადი ხარისხით მომდინარეობს განზოგადოებული სექტორის შინაგანი ურთიერთობიდან, სადაც ეს ტრანსფორმაცია ყველაზე უფრო ძლიერია, კერძო-სამეურნეო წრის შინაგან ურთიერთობისაკენ სადაც იგი ყველაზე უმნიშვნელოა. საერთოდ ღირებულების კანონის ხარისხობრივი ტრანსფორმაცია მდგომარეობს ბაზრის სტიქიური „გონების" თანდათანობით გამო-

[1]) იხ. А. Мендельсон. „Категория стоимости в условиях переходного периода" ჟურნ. „Плановое хозяйство" № 6 გვ. 119—121.

[1]) იხ. А. Леонтьев и Е. Хмельницкая. „Очерки переходной экономики" 1927 წ. გვ. 259—260.

დევნაში სამეურნეო პროცესთა შეგნებული და გეგმიანი მართველობის მეთოდებით. იხევს და ტოვებს რა პოზიციებს პოზიციებზე, ღირებულების კანონი, როგორც მეთოდი სამეურნე ოცხოვრების **სტიქიური,** ირაციონალური, აპოსტიორიორული ხელმძღვანელობისა, ყოველგან იგი იცვლება სამეურნეო ცხოვრების ახალი დასაბამით შეგნებულ — რაციონალური, აპრიორულ გეგმიან ორგანიზაციით". [1])

საყურადღებოა, რომ მარქსიც ღირებულების კანონის არსებობას არ უარყოფს სოციალისტური საზოგადოებაშიაც და „კაპიტალის" III 2 ტ. შემდეგს სწერს: „წარმოების კაპიტალისტური წესის გაუქმების შემდეგ, მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების შენარჩუნების პირობებში, **ღირებულების ცნება** უწინდულად განაგრძობს არსებობას იმ აზრით, რომ საზოგადოებრივი შრომის განაწილება და სამუშაო დროის მოწესრიგება წარმოების ცალკე დარგებს შორის, და მთელი ეს ბუხჰალტერია უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ის ოდესმე იყო" [2]). აქ მარქსი, სჩანს, გულისხმობს ღირებულების კანონის შენარჩუნებას მისი რაოდენობრივი მნიშვნელობის მხრივ და არა მისი ხარისხობრივი თვალსაზრისით.

ამრიგად, ღირებულებს კანონი, როგორც ერთგვარი ბუნებრივი კანონი, ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს; ხოლო ამ კანონის გამომხატველი ფორმა სხვადასხვა სექტორებში გარკვეულ ისტორიულ-ეკონომიური პირობების გამო სხვადასხვა გვარია. ერთ შემთხვევაში ამ კანონის გარეგნული სახე ირაციონალური სტიქიური ფორმისაა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი რაციონალურ-გეგმიანია. კარდინალური საკითხი, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია ჩვენს მარქსისტულ ეკონომიურ ლიტერატურაში (პრეობრაჟენსკის შემცდარი კონცეპციის გამო), იმაში მდგომარეობს, როგორ მოქმედობს ეს ორგვარი რეგულიატორი — სტიქიური და გეგმიანი, — ჩვენს ეკონომიკაში. თვითეული ცალ-ცალკე აძლევს „სიგნალს" წარმოებას და განაწილებას თუ ორივე რეგულიატორი ერთ რეგულიატორად იქცევა და მის კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს ჩვენი გარდამავალი პერიოდის სამეურნეო პროცესები. თუ ამ უკანასკნელ თვალსაზრისს მივიღებთ, მაინც საჭიროა გამოირკვეს: როგორ სახეს და შინაარსს ატარებს ეს ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე რეგულიატორი როცა ისინი ერთის შეორეზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ.

ყოველ სამეურნეო სისტემაში შესამჩნევი ხდება არსებულ ძალთა შორის ერთგვარი წონასწორობა ანუ მყარდება ერთგვარი პროპორციულობა საზოგადოების სამეურნეო ენერგიათა შორის, რის მეოხებით ამზადებენ იმგვარ ნაკეთებებით იმდენ საქონელს, რომელზედაც არსებობს მოთხოვნილება და რამდენიც საჭიროა. მაგრამ ეხლა ვიკითხოთ, ჩვენში არსებული წონასწორობა ეთანხმება თუ არა ცალკე აღებულ სტიქიურ ან გეგმიან ხელმძღვანელობას? ცხადია არა. რადგან იგი არის შედეგი ორივე ძალის რეალურად მოქმედებისა, რომლის საშუალოს ეს წონასწორობა შეადგენს. პრეობრაჟენსკის მთელი შეცდ-

[1]) იხ. იქვე, გვ. 258—259.

[2]) ციტატა ამოღებულია ჟურნ. „Под Знаменем Марксизма" № 7—8, 1927 წ. გვ. 93.

დომა იმაში მდგომარეობს, რომ მისი აზრით **საშუალო** არის მექანიკური საშუალო, რომელსაც ვიღებთ გეგმიან დასაბამისა და ღირებულების კანონის თავის წმინდა სახით მოქმედების დროს; და აქ ავტორს მხედველობიდან გამორჩენია ის კორექტივები, რომელსაც ერთი ფაქტორი მეორეში იწვევს; ამიტომ პრეობრაჟენსკის საშუალო არ არის ისეთი ხასიათის საშუალო, რომელსაც,მართლაც, აქვს ადგილი ჩვენს სინამდვილეში.

ჩვენში მოქმედებს სხვადასხვა სოც. შინაარსის მქონე ორი რეგულიატორი, რომლებიც სხვადასხვა მეთოდით უდგება სამეურნეო განვითარებას; რამდენად ესენი ერთი მეორეს პრინციპიალურად მოწინააღმდეგე მეთოდებია, იმდენად გარდამავალ პერიოდში ჩვენ საქმე გვაქვს ამ ორი დასაბამის განუწყვეტლივ ბრძოლასთან. ღირებულების კანონის გამომხატველი გარეგნული ფორმები ერთი მეორეს ებრძვიან, რომლის შედეგად ჩვენ ვღებულობთ ერთ საერთო ფორმაში გამოხატულს, ერთს საერთო რეგულიატორს.

რამდენად ეს სხვადასხვა რეგულიატორები ჩვენს სახალხო მეურნეობაში სხვადასხვაგვარ საწარმოო ურთიერთობათა არსებობის ნაყოფია. იმდენად შეუძლებელია თითოეულ სექტორში ცალ-ცალკე არსებობდეს თავის წმინდა სახით, სხვადასხვა რეგულიატორები ისე, რომ მეზობლად მყოფი რეგულიატორი მასზე გავლენას არ ახდენდეს. პირიქით, ამ ორი რეგულიატორის ერთად თანამშრომლობა ურთიერთზე გარკვეულ ზემოქმედებას იწვევს; ამის გამო, თვითეული რეგულიატორი ნაწილობრივ ჰკარგავს თავის ბუნებრივ თვისებებს და იძენს იმას რაც მეორეს აქვს.

თვით გეგმიანობის პრინციპი ჩვენგან მოითხოვს, რომ აღვრიცხოთ ყველა სტიქიური ფაქტორები, თავის მხრივ კი, სტიქიური რეგულიატორი ემყარება გეგმიან რეგულიაციის ფაქტორებზედაც. სამეურნეო განვითარების ლოგიკა თავის შინაგანი ულმობელობით აქ მოითხოვს თვითეულ ცალკე რეგულიატორისაგან მეორე მოწინააღმდეგე რეგულიატორთან ერთგვარი საერთო ენის გამონახვის აუცილებლობას. და საკითხის მთელი სიმძიმეც სწორედ აქაა მოქცეული, როგორ ხდება ერთიანობის დამყარება როცა ამ უკანასკნელის საფუძვლად მოცემულია ორი ერთი-მეორეს პრინციპიალურად მოწინააღმდეგე ელემენტი.

რადგან, როგორც აღვნიშნეთ სამეურნეო განვითარების ლოგიკა ერთგვარი კატეგორიული იმპერატივით მოითხოვს ორი მოწინააღმდეგე დასაბამის შეთანხმებას. ამიტომ ამ შეთანხმების მეორე მხარეთ ჩვენ ვიღებთ თვითეულ რეგულიატორის შინაარსის ნაწილობრივ შეცვლას, ანუ შესაფერისად იცვლებიან ღირებულების გამოხატვის გარეგნული ფორმები. აქ სტიქიას ნაწილობრივ ჩამოერთვა თავისი უფლებები და ის გადეცა გეგმიან ხელმძღვანელობას, როგორც პირუკუ.

რამდენად გარდამავალ პერიოდში ერთი-მეორეს გვერდით მოქმედობენ წონასწორობის დამამყარებელი სხვადასხვა მექანიზმები, იმდენად ამ სიახლოვიდან სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს სტიქიურ ხელმძღვანელობაში ერთგვარი „შესწორებების" შეტანა და მისი წმინდა სახის ნაწილობრივი შეცვ-

ლა, როგორც პირუკუ, სტიქიურ რეგულიატორს შესწორებები შეაქვს გეგმიან ხელმძღვანელობაში.

უკვე აღვნიშნეთ, რომ სათანადო კორექტივი შეაქვს სტიქიურ რეგულიატორს გეგმიან ხელმძღვანელობაში, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ამ ბუნებრივ აუცილებლობას, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას ბაზრის სტიქიური ხელმძღვანელობა წარმოადგენს, ანუ გარდამავალ პერიოდის გეგმიან ხელმძღვანელობაში შესულია, როგორც ამ გეგმიანობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი, სტიქიური საზოგადოებრივ-ეკონომიური აუცილებლობა. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან რა გვარი გეგმიანი ხელმძღვანელობა იქნებოდა, თუ გინდ განზოგადოებულ სექტორში, თუ კი ამ სექტორის ხელმძღვანელი არ გაითვალისწინებდა არა მარტო ამავე სექტორში არსებულ სამეურნეო პროცესებს, არამედ მის მიღმა მდებარესაც, რომელიც თავის ბუნებით მოწოდებულია გეგმიანი ხელმძღვანელობის ხელის შესაშლელად; და სწორედ რომ ეს დაბრკოლება მინიმუმამდე დავიყვანოთ, ამისათვის საჭიროა კარგად გავეცნოთ მის ხასიათსა და შინაგან ძალას, და ამ ურთიერთ გაცნობისა და მოქმედების ნიადაგზე საზოგადოების ერთიან მეურნეობაში წარმოიშობა ერთგვარი წონასწორობა.

მაშასადამე, ჩვენს გარდამავალ პერიოდში არ არსებობს არც წმინდა გეგმიანი ხელმძღვანელობა და არც წმინდა სტიქიური რეგულიაცია. ერთიმეორეს შეჭრილი ორ რეგულიატორიდან გვაქვს ერთ საერთო რეგულიატორი. მაგრამ გეგმიან ხელმძღვანელობას ჩვენში მაინც აქვს უპირატესობა სტიქიურთან შედარებით. ამ უპირატესობას ხელს უწყობს გარკვეული პოლიტიკური პირობები ერთის მხრივ და განზოგადოებული სამეურნეო სექტორის სუბიექტის ხელში ქვეყნის სამეურნეო „საკომანდო მწვერვალების“ მოქცევა მეორე მხრივ.

გარდამავალ პერიოდის ერთ-ერთ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ აქ ორი ფაქტორის წონასწორობა მყარდება არა სტიქიურად. თუ გინდ ერთი მეორის მიმართ ზემოქმედების შემდეგ, არამედ ამ შემთხვევაში წონასწორობა, ასე ვსთქვათ, წინასწარ შეცნობილია, იგი დაახლოებით გარკვეულია. გეგმიანი წონასწორობაა. ამის შესაძლებლობა ჩამარხულია იმ ფაქტში, რომ სტიქია ვაქციეთ გარკვეულ წონასწორობის დამამყარებელ ფაქტორად, რადგან ორ ზემქმედ რეგულიატორს შორის თანამშრომლობა, გადაჯაჭვა ხდება არა სტიქიურად, არა თვითნებურად, არამედ ორგანიზაციულად. ამიტომ აქ წონასწორობა ერთგვარ გეგმიანობის ხასიათს ატარებს. ეს ანიჭებს დიდ თავისებურებას გარდამავალ ეკონომიკის პირობებში წარმოშობილ წონასწორობას. [1]).

ამრიგად, გარდამავალ პერიოდში ჩვენ საქმე გვაქვს ღირებულების კანონის ორგვარ ფორმაში მოქმედების ერთგვარ გაერთიანებასთან, რომლის საშუალებით იქმნება ერთიანი სისტემა ამ პერიოდის რეგულიაციისათვის. ამ ერთიანი სისტემის ძირითადი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ გეგმიანი ხელმძღვანელობა გულისხმობს ყველა იმ ობიექტიურ აუცილებლობათა მხედველობაში მიღებას, რომლებსაც სტიქიურად გამოჰყოფს სამეურნეო განვითარება და ამ გზით,

[1]) დაწვრილებით ამის შესახებ იხ. А. Айхенвальд „Советская экономика“, 1927 წ. გვ. 279—330.

ისახება წინასწარ გეგმიან ხელმძღვანელობით გათვალისწინებული ერთგვარი წონასწორობა. გარდამავალ პერიოდის წონასწორობის ნიშნობლივ თვისებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ გეგმიან ხელმძღვანელობას დამამახასიათებელი აქვს ჰეგუმონის როლი, რადგან სტიქია აქ წონასწორობის ერთერთი ფაქტორია, სტიქია შედის გეგმიან ხელმძღვანელობაში და არა გეგმიანობა ითვლება სტიქიის წარმოშობის ერთ-ერთ ფაქტორად. თუმცა სტიქიის სახე ჩვენში ეხლა სხვაგვარია და იქნებოდა სულ სხვა სახის, რომ არ არსებობდეს გეგმიანი ხელმძღვანელობა. მაგრამ გეგმიანი ხელმძღვანელობა სტიქიას უფრო იმორჩილებს, ვიდრე პირუკუ. გეგმიან ხელმძღვანელობას საგრძნობი დეზორგანიზაცია შეაქვს სტიქიურ რეგულიატორში, რადგან სოციალისტური ელემენტები საშუალებას ართმევს სტიქიას. რომ თავის რყევადობას ერთგვარი ნორმალური ხასიათი მისცეს. და იქ, სადაც. განუსაზღვრელად ბატონობს სტიქიური ძალები, წონასწორობაც სტიქიურია; ჩვენში. სადაც სტიქიური ძალების აბსოლიუტური თავისუფლება გაუქმებულია გეგმიან ხელმძღვანელობით, წონასწორობა არაა ნაყოფი ორი ღასაბამის სტიქიური ურთიერთობისა; რამდენად განზოგადოებული სექტორი გამოდის ქვეყნის სამეურნეო პროცესთა უმთავრეს ხელმძღვანელ რეგულიატორად, იმდენად ჩვენში წარმოშობილი წონასწორობაც ბევრადაა დამოკიდებული გეგმიან ხელმძღვანელობაზე.

პროლეტარიატის ეკონომიური პოლიტიკა ფართოდ იჭრება საწარმოო ურთიერთობაში და კაპიტალისტურ კატეგორიებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას ართმევს. ის დიდი საკითხი, რომელიც ახალი ეკონომიურ პოლიტიკის შემოღების დროს დასვა ლენინმა — „ვინ ვის“ — დღესაც კითხვად რჩება და მისი ჩვენ სასარგებლოდ გადაჭრა დამოკიდებულია იმაზე შევსძლებთ თუ არა შეგნებულ გეგმიან ხელმძღვანელობას დაუმორჩილოთ ჩვენში არსებული კაპიტალისტური სექტორის საწარმოო ურთიერთობათა საწარმოო პროცესებიც; დავმარცხდებით, თუ კაპიტალისტურმა საწარმოო ურთიერთობამ დაიმორჩილა ჩვენი ეკონომიური განვითარების პროცესი.

რამდენად ჩვენში ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს თავისი მნიშვნელობა სტიქიურ ელემენტს, იმდენად მოქმედობს ეკონომიური აუცილებლობის ნაწილობრივ შეუგნებელი გამოხატვა. მაგრამ რამდენად სახალხო მეურნეობის პროცესების სტიქიური ხელმძღვანელობა თანდათანობით უკუგდებული ხდება და ადგილს უთმობს თავის მემკვიდრე გეგმიან ხელმძღვანელობას, იმდენად ეკონომიური აუცილებლობა უფრო მეტად პოულობს თავის გამოხატულებას პროლეტარიატის ეკონომიურ პოლიტიკაში.

ეჭვმა არ უნდა, ბრძოლას გეგმიანობისა და სტიქიის შორის ჩვენს გარდამავალ პერიოდის ეკონომიკაში ჯერ კიდევ არ უჩანს დასასრული, მაგრამ ეს, რაც გვაქვს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე, გადაუჭარბებლად ღაღადებს ერთ რამეს: მთელი ამ 10 წლის განმავლობაში განზოგადოებული სექტორი იზრდებოდა კაპიტალისტური სექტორის შეცვლების ხარჯზე და გეგმიანი რეგულიატორი მტკიცდებოდა სტიქიურ რეგულიატორის დასუსტებით.

ოქტომბრის 10 წლის თავზე საბჭოთა ეკონომიკა თავის სოციალ-ეკონომიური შინაარსით ბევრად დასცილდება კაპიტალისტურ ურთიერთობათა საწაპიროს, თუმცა სრული გეგმიანი ხელმძღვანელობის ნავთსაყუდელამდე ჩვენს სახელმწიფოებრივ გემს ჯერ კიდევ დიდი სავალი გზა აქვს.

განვლილი მანძილი და მიღებული გამოცდილება, როგორც სუბიექტიური წინწამძღვარი და 10 წლის განმავლობაში სოციალისტური მეურნეობიასთვის შექმნილი მატერიალური ფუძე, როგორც ობექტიური წინნამძღვარი, ჩვენში სოციალიზმის გამარჯვების უტყუარი თავდებია.

II

ჩვენი საშეურნეო მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის ათი წლის განმავლობაში რადიკალურად შესცვალა რუსეთის ყოფილ იმპერიის სოციალ-ეკონომიური განვითარების გზები. ათი წელი, რასაკვირველია, დიდი პერიოდია ჩვენს პირობებში, რადგან ეხლა მოვლენათა განვითარება ისეთი სისწრაფით მიმდინარეობს. რომ თვითეული წელი უდრის მშვიდობიან დროის ათეულ წელს. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა გადავფურცლოთ საბჭოთა კავშირის ამ ხნის განმავლობაში არსებობის და სამეურ. განვითარების ისტორიის გვერდები. განვლილი ცხოვრების ფაქტები აქ თავისთავად მეტყველებენ, საით მივდივართ. სოციალიზმისა თუ კაპიტალიზმისაკენ.

მაგრამ განვლილი პერიოდის შეფასებას უნდა მიუდგეთ ერთის მხრივ სამეურნეო დარგის ძირითადი ამოცანის მიხედვით, რომელიც ჩვენმა პარტიამ შეიმუშავა და რაც კაპიტალიზმის საბოლოო განადგურებასა და სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრებაში მდგომარეობს, ხოლო მეორე მხრივ საჭიროა განვიხილოთ რამდენად იძლეოდა სამეურნეო აღმშენებლობა მუშათა კლასისა და გლეხობის დაკავშირების საშუალებას, ვინაიდან ეს გარემოება წარმოადგენს სოციალიზმის ჩვენს ქვეყანაში გამარჯვების ერთ-ერთ ძირითად პირობას.

მართალია, ჩვენი ძირითადი ამოცანების განხორციელება არ არის ახლო მომავლის საკითხი, უფრო სწორად, ჩვენ ჯერ კიდევ სოციალისტურ საზოგადოების მიჯნასთან ვიმყოფებით, მაგრამ განვლილი გზა და სამეურნეო მიღწევები უფლებას გვაძლევს ხმა მაღლა ვილაპარაკოთ ამის შესახებ, თუ გინდ იმიტომაც, რომ ყველა დარწმუნდეს, რა მოაქვს ოქტომბერს ეკონომიურად და ტეხნიკურად ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებისათვისაც კი, როგორიც ჩვენი ქვეყანაა. დიდია მიღწევები ყოველ დარგში, მაგრამ უფრო ფართოა ჩვენი ამოცანები და ამიტომ არც შეიძლება სავსებით დავკმაყოფილდეთ იმით, რაც გვაქვს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზედ.

რადგან საბჭოთა კავშირის მეურნეობის ორგანიული განვითარება იწყება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით, ამიტომ, საჭიროა ჩვენი მიღწევები განვიხილოთ 1921 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1927 წლამდე.

თუ რამდენად დიდია ეს მიღწევები, თუ გინდ, იქედანაც სჩანს. რომ 1920 წელს ქალაქის მრეწველობის საერთო პროდუქცია 18% უდრიდა 1913 წელთან

შედარებით, ხოლო 1927 წ. კი ამავე დარგში ჩვენ გვაქვს თითქმის 100% ომის წინა დროსთან შედარებით.

ასეთივე მნიშვნელოვანი მიღწევებია სოფლის მეურნეობაში, სახელმწიფო ბიუჯეტის დარგში. საგარეო ვაჭრობაში და სხვ. მაგრამ ამ მიღწევების უფრო ნათლად წარმოსადგენად ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ტრანსპორტი და ფინანსები.

სოფლის მეურნეობა.

ყველა ის ღონისძიებანი, რომელსაც მიმართავდა საბჭოთა ხელისუფლება, თავის არსებობის 10 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობაში ხელს უწყობდა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომით დანგრეულ მეურნეობის ამ დარგის აღდგენას, მის ახალ სისტემაზე გადაყვანას.

1927 წ. ჩვენ გვაქვს დათესილი არე 96 — 97% ომის წინა დროის სივრცისა, ანუ 115 მილ. გეკტარი. მაგრამ ამ ზრდის ტემპი და მისი აღდგენის ხარისხი ყველა კულტურისათვის ერთი და იგივე არაა. შესამჩნევი და მნიშვნელოვანი ზრდა ემჩნევა ტეხნიკურ და ინტენსიურ კულტურათა მიერ დაკავებულ სივრცეს. სულ ამ კულტურათა ჯგუფს დაკავებული აქვს 1927 წ. 160% ომის წინა დროის სივრცისა. ამ გარემოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სოფლის მეურნეობისათვის კერძოთ. ისე მთელი სახალხო მეურნეობის დაწინაურებისათვის საერთოდ, რადგან მეურნეობის ეს დარგები იძლევიან მრეწველობისათვის საჭირო უმთავრეს ნედლეულს და საექსპორტო პროდუქტებს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ მათი განვითარება ერთი უმთავრესი საშუალებაა ჩვენი სოფლის მეურნეობაში ინტენსიფიკაციისა და რაციონალიზაციის გასატარებლად.

რაც შეეხება მესაქონლეობის დარგს აქაც მიღწევა უდრის 97% ომის წინა დროისას. ხოლო თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ საქონელთა ჯიშების აღდგენითი ტემპს, მაშინ ამგვარი სურათი წარმოგვიდგება: (1926 წ. ჩვენ გვაქვს მესაქონლეობის დარგში მიღწევები პროცენტულად 1916 წ. და 1922 წ.).

საქონლის დასახელება	1916 წელთან შედარებით %	1922 წელთან შედარებითი %-ი
ცხენი	84,6	129,1
მსხვილი რქიანი საქონელი	109,2	152,4
ბოლხა	116,4	132,3
თხა და ცხვარი	105,4	163,9
ღორი	84,4	188,9 [1]

1) იხ. А. П. Смирнов „Сельское хоз. за 10 лет", გაზ. „Заря Вост." 1927 წ. № 16-6—7.

ამ საკითხის კიდევ უფრო ნათლად წარმოსადგენად ჩვენ მოვიყვანთ ასეთ ცხრილს:

წლები	ცხენი და მსხვილფეხა საქონელი (მილიონი)	ცხვარი (მილიონი)	თხა (მილ.)	ღორი (მილიონებით)
1923	68,8	64,9	2,9	10,1
1924	75,8	75,9	3,5	17,7
1925	80,1	87,0	4,4	17,3
1926	83,2	92,2	5,0	16,2

აქედან სჩანს, რომ 1926 წელს 1923 წელთან შედარებით შემდეგი ზრდას ჰქონდა ადგილი: მსხვილ ფეხა საქონელი გაზრდილა 20,9%-ით, ცხვარი გაზრდილა 42%-ით, თხა — 72%-ით და ღორი 60%-ით.

ამრიგად უფრო მეტი აღდგენითი ნიშნებს იძლევიან ის დარგები, რომლებიც უფრო მეტად პროდუქტიული არიან.

თუ სოფლის მეურნეობის დინამიკას სოფლის მეურნეობის საქონლიანობისზრდის თვალსაზრისით მიუდგებით, მაშინ ამ ათი წლის განმავლობაში აქაც ერთგვარ მიღწევებთან გვაქვს საქმე. ეს მომენტი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ საქონლიანობის ზრდა სოფლის მეურნეობაში სოფლისა და ქალაქს შორის არსებულ კავშირის და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესის ზრდის მაჩვენებელია.

მემინდვრეობის, მეველეობის და მებოსტნეობის დარგში საერთო პროდუქცია და საქონლიანობა ასე იზრდებოდა:

წ ლ ე ბ ი	პროდუქცია	
	საერთო	საქონლითი
	(წინა წლებთან შედარებით %%-ში)	
1924—25	98,3	99,1
1925—26	133,6	136,5
1926—27	108,2	117,5

აქედან სჩანს, რომ უფრო მეტად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის საქონლიანობა, ვიდრე საერთო პროდუქცია.

ჯერჯოთ მესაქონლეობაში ეს ზრდა ასე გამოიხატებოდა:

წ ლ ე ბ ი	პროდუქცია	
	საერთო	საქონლითი
	(წინა წლებთან შედარებით %%-ში)	
1924—25	110,1	136,1
1925—26	108,3	105,7
1926—27	104,9	111,9

ჩვენი სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ზრდა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენ თანდათანობით გადავდივართ მიწადმოქმედებაში ტექნიკურ კულტურათა გაძლიერებაზედ და მესაქონლეობაში კი იმ ჯიშების განვითარებისათვის ხელის შეწყობაზედ, რომლებიც გასაყიდლად უფრო გამოსადეგი არიან.

რამდენიმე მაგ. თუ როგორ იზრდებოდა ტექნიკური კულტურები ამ ორი წლის განმავლობაში:

1922 წელს ბამბა დათესილი იყო 64 ათ. დეს., 1926 წ. — 668 ათ დეს. ე. ი ამ მოკლე პერიოდში მისი სივრცე გაზრდილა 10-ჯერ, ხოლო 1913 წ. ბამბის ნათესის სივრცე უდრიდა 527 ათ. დეს. მაშასადამე, დღეს ჩვენ გვაქვს წარმატება 27% 1913 წელ. შედარებით.

1913 წ. ჭარხალი დათესილი იყო 569 ათ. დეს., 1926 წ. 520 ათ. დეს. ანუ 91.4% 1913 წ. შედარებით. ხოლო 1923 წ. შედარებით კი ჭარხლით ნათესი სივრცე გაზრდილა 2½ ჯერ.

სოფლის მეურნეობაში საქონლიანობის ზრდა ხელს უწყობს მის რეკონსტრუქციას. რის გამო უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად იზრდება მოთხოვნილება სამეურნეო იარაღებზე. ამ ჟამად საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში გამოყენებულია სულ 27.667 ცალი. ამასთან დაკავშირებით „სელმაშტრემა“-ც გააძლიერა სამეურნეო იარაღების დამზადება.

წ ლ ე ბ ი	გ უ თ ა ნ ი	მოსამკელი	სანიავებელი და დამხარისხებელი
1923—24	145.764	13.440	23.851
1924—25	577.079	53.925	58.761
1925—26	915.082	87.711	97.349

თუ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ზრდას გავეცნობით მარტო ერთი წლის მაგალითზე, მაშინ 1925/26 წელს მისი ღირებულება უდრიდა 779,4 მილ. მან.. 1926/27 წ. კი 859,5 მილ. მან. გაზრდილა 10%-ით.

სოფლის მეურნეობაში არსებულ მიღწევათა მნიშვნელობა, რომ უფრო სწორედ წარმოვიდგინოთ, ამისათვის შევადაროთ 1927 წელში სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქცია 1913 წ. პროდუქციას. წელს ჩვენ გვავქს ომის წინანდე ლკურსით 11 მილიარდ 580 მილ. მანეთის ღირებულება. ხოლო 1913 წ. იყო 12 მილიარდ 896 მილ. მან. ანუ ჩვენი პროდუქცია უდრის 92,2% ომის წინა დროისას. ხოლო ს. ს. რ. კ. საგეგმო კომისიის მიერ გათვალისწინებულია, რომ 1927 — 28 წ. პროდუქცია უნდა აყვანილ იქნას 97,6%. ასეთი სწრაფი წინსვლას ხელს უწყობდა მთელი რიგი ფაქტორები. მთავრობა სოფლის მეურნეობას ეხმარებოდა თესლითა და სამეურნეო იარაღებით. ასე მაგ. 1918 წ. — 1927 წ. მთავრობამ დაურიგა მეურნეებს 3,147 ათასი ტონა სათესლე ხორბალი, აქედან არ დაუბრუნდება უკან მთავრობას 1.694 ათასი ტონა. ხოლო პირველი ნაწილი კი სესხად არის გაცემული. მარტო 1926 — 27 წ. მთავრობამ დაარიგა 70 ათასი ტონა თესლი. ხოლო თუ ამას მიუმატებთ ზემოდ აღნიშნულ 27.667 ცალ ტრაქტორს, რომლის სოფლის მეურნეობაში შეტანა სულ ერთთავად მთავრობის ინიციატივან ეკუთვნის, არ შეიძლებოდა სათანადო მნიშვნელოვანი ეფექტი არ მოჰყოლოდა.

მიწად მოწყობისათვის სისტემატიური ჩრუნვის შედეგათ ჩვენ მივიღეთ არა კლასობრივი დიფერენციაციის გაძლიერება სოფლად, არამედ მისი თანდათანობითი ამოშრობა. უფრო უკეთ ჩვენ სოფლებში მიმდინარეობს საშუალო შეძლების გლეხობის % ზრდა, რადგან ერთი მხრივ მცირდება რიცხვი ულარიბეს გლეხობის მეორე მხრივ კლებულობს მსხვილი გლეხური მეუნეობის რაოდენობაც.

ჩვენი სოფლის მეურნეობის წინსვლას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ საიჯარო გადასახადებისაგან გლეხობის განთავიუფლებამ, რომლის გამო დიდი ნაწილი მისი შემოსავლის წინად მემამულეს მიჰქონდა. ამას თუ დაუმატებთ კიდევ წმინდა სუბიექტიურ ფაქტორებს, ჩვენი გლეხობის განსაკუთრებულ ენერგიას და ლტოლვას, რომელსაც იგი იჩენს ახალი ცხოვრების დამყარებისათვის, მაშინ ყველა ამათმა ხელი შეუწყო სამოქალაქო და იმპერიალისტური ომების დროის განადგურებულ სოფლის მეურნეობის აღდგენას.

თქმა არ უნდა ჩვენი მიღწევები სოფლის მეურნეობაში აქ ვერ შეჩერდება. რაც გვაქვს იგი ოდნავათაც ვერ დაგვაკმაყოფილებს. ომის წინა დროის პროდუქციას დაუახლოვდით, მაგრამ ეს ერთი ნაწილია იმ ამოცანის, რომელსაც ჩვენ ვისახავთ სოფლის მეურნეობაში. საჭიროა გამოვძებნოთ ის კონკრეტი ფორმები, ლითაც სოფლად შევიტანთ მანქანებს, მიწის დამუშავების ახალ მეთოდებს, შემოვიღებთ ამერიკულ და ევროპიულ აგრიკულტურას. ჩვენ ჯერ კიდევ პირ-

[1]) „Промышленность и наряд. хозяйство“ "Эконом. жизнь"-ის გამოცემა 1927 წ. ვ. 28.

ველი ნაბიჯები გვაქვს გადადგმული სოფლის მეურნეობაში განზოგადოებული მეურნეობის ფორმების დასამკვიდრებლად და უნდა ითქვას, რომ აქაც ჩვენ ჯერ-ჯერობით წინსვლას ვამჩნევთ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდა ასეთ ხასიათს ატარებს:

	1918 წ.	1922 წ.	1926 წ.
სამრეწველო სას.-სამ. კოლექტივი	950	12.028	12.099
დამხმარე სამრეწველო	—	1.700	16.892
გადამუშ. და გამსაღებელი	—	3.500	8.803
სასოფ.-სამ. და საკრედიტო ამხ-ბა	—	4.750	16.184
დანარჩენი	—	180	1.144
სულ	950	22.158	55.122

ამრიგად, 1926 წ. 1 ოქტ. რ. ს. ფ. ს. რ. (ცნობები ეხება მხოლოდ ამრეს-პუბლიკას) ყოფილა 55.122 სასოფლო-სამეურნეო კოოპერ. გაერთიანება 5 მილ. წევრით.

აღასნიშნავია ისიც, რომ სასოფ.-სამ. კოოპ. რაოდენობითი ზრდის პარალერურად მიმდინარეობს ამ უკანასკნელთა ხარისხობრივი შეცვლა მის სტრუქტურაში და საქმიანობაში. თუ პირველ ხანებში იზრდებოდა უფრო მეტად რიცხვი გამსაღებ. ხასიათის კოოპერატივებისა, დღეს უფრო მეტად იზრდება სამრეწველო ხასიათის გაერთიანებანი:

	1925 წ.	1926 წ.
სამანქანო ამხანაგობანი	2.268	6.356
სათესლე ამხანაგობანი	398	1.113
ცხენების მოსაშენებელი ამხანაგობანი	386	681
სამელიორაციო ამხანაგობანი	3.361	4.819
ჭრობა და ყველის დამამზადებელი ამხ-ნი	5.946	6.491
კართოფილი პროდ. დამამზადებელი ამხ-ნი	48	73
სას.-სამ. ამხანაგობანი (უნივ. ხასიათის)	9.020	8.312

აქედან ნათლად სჩანს, რომ იზრდება სამრეწველო ხასიათის ამხანაგობანი და კლებულობს უნივერსალული ხასიათის ამხ-ნი, რომლებიც აწამოებენ გაცვლითი პროცესებს.

ამრიგად ჩვენ უკვე სერიოზულად გადავდგით ნაბიჯი განზოგადოებულ მეურნეობათა დასამკვიდრებლად. ჩვენ ეხლა შევდივართ აგრარული რევოლიუციის მეორე ფაზისში — განზოგადოებულ მიწაზე **შრომის** განზოგადოების მოწყობის ხანაში და თუ სოფლის მეურნეობის აღდგენითი პროცესის დროს ჩვენ ამ საკითხისათვის ვერ ვიცლიდით სათანადოთ, დღეს, რეკონსტრუქციის პერიოდის დაწყებისას, შრომის განზოგადრებისათვის ზრუნვა უნდა იქცეს ჩვენი ყურადღების უმთავრეს საგნად.

მრეწველობა.

სახალხო მეურნეობის ორ უმთავრეს დარგიდან მრეწველობა უფრო მეტად დაზარალდა ომის დროს, ვიდრე სოფლის მეურნეობა, ამას ხელს უწყობდა სხვადასხვა პირობები. ჯერ ერთი ომის დროის და მის შემდეგაც ქალაქის მრეწველობას მოსწყდა სამრეწველო მუშათა ფენა, რომლის დიდი ნაწილი ომში იყო გაწვეული, ომის შემდეგ კი მუშების ერთი ნაწილი სოფლად გარბოდა — პურის რაიონებში.

მეორე-მრეწველობას არ ჰყოფნიდა სათბობი მასალა არც ომის დროს და არც მის შემდეგ.

მესამე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ არ იყო საკმაო ნედლი მასალა; უცხოეთიდან მისი შემოტანა მინიმუმამდე ჩამოვიდა, ადგილობრივ კი ტეხნიკურ კულტურიდან დაბალ კულტურაზე გადასვლის გამო, იგი ერთობ მცირე რაოდენობით მოგვეპოებოდა. ამას თუ დაუმატებთ იმას. რომ სამოქალაქო ომის დროს ნედლეულის დამამზადებელი რაიონები ხელიდან ხელში გადადიოდა და მომეტებულად თეთრ გვარდიელთა ზონაში იმყოფებოდა. აგრეთვე თუ მოვიგონებთ სატრანსპორტო საქმის არევდარევას და მოუწესრიგებლობას, მაშინ მრეწველობის დაშლის სურათი ნათელი გახდება.

ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქცია 1920 წელს უდრიდა ომის წინა დროის 18%.

ეხლა თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი მრეწველობის განვითარებას ახალი ეკონომიური პოლიტ. შემოღებიდან. ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

წ ლ ე ბ ი	ომის წინა დროის კურსი ₽ მილ. მან.	ზრდა წინა წლებთან შედარებით %%-ში	
1921—22	850	100	—
1922—23	1.239	146	146
1923—24	1.621	191	131
1924—25	2.643	311	163
1925—26	3.750	441	(42[1])

[1]) პროფ. კაფენგაუზის გამოანგარიშებით.

ჩვენი მრეწველობის ასეთი სწრაფი ზრდა, რასაკვირველია, არ მიეწერება თვით მრეწველობაში არსებულ რაიმე სპეციფიურ ფაქტორებს, ყველა ეს ზემოდ ჩამოთვლილი დაბრკოლებათა გამოსწორებით აიხსნება. ასეთია მაგ. მუშათა კლასის დაბრუნება ქალაქად, სოფლის მეურნეობაში ტეხნიკურ კულტურათა მოყვანის გაძლიერება, სათბობ მასალით მრეწველობის უზრუნველყოფა, ტრანსპორტის აღდგენა და სხვ.

ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება წარმოების გაძლიერების, ასე ვთქვათ, სუბიექტური ფაქტორიც; მტკიცდება შრომის დისციპლინა, მცირდება თვითნებურად გაცდენილი სამუშაო დღეების რიცხვი, რაც თავის გამოხატულებას პოულობს შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

სახელმწიფო მრეწველობაში თვითეულ ლმუშაზედ ყოველდღიური პროდუქციის ღირებულება უდრიდა:

1923 წ.—3 მ. 84 კ.
1924 წ.—3 მ. 76 კ.
1925 წ.—5 მ. 52 კ.
1926 წ.—6 მ. 06 კ.

1922 წ. სახელმ. მრეწველობაში სულ გაფიცვა იყო 437 ჯერ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 186.909 მუშამ, 1923 წ. გაიფიცეს 379 ჯერ და გაფიცულთა რიცხვი უდრიდა 169.933 მუშას, 1924 წ. —151 ჯერ, გაფიცული იყო 42.793, ხოლო 1925 წ. — 99 ჯერ 34.037 მუშამ მიიღო მონაწილეობა. ამის გამო ვანცდენილ დღეების რიცხვი უდრიდა 1922 წელს 544.869 დღე, 1923 წ. — 349.235 დღე. 1924 წ. 111.705 დღე; 1925 წ. — 69.681 დღე.

უფრო მნიშვნელოვანი იყო მუშების მიერ თვითნებურად გაცდენილ დღეების რიცხვი. 1920 წ. თვითეულ მუშაზე მოდიოდა 23.6 დღე. 1921 წ. 20.6 დღე, 1922 წ. — 10.3 დღ., 1923 წ. — 9,8 დღ., 1924 წ. — 8,8 დღ., 1925 წ. — 7,4 დღ. და თუ 1925 წ. ფაქტიურად ნამუშევარი დღეების რიცხვი თვითეულ მუშაზე მოდიოდა 261.9 დღე. 1921 წ. კი 221.5 დღე. ე. ი. 1925 წ. გაზრდილა სამუშაო დღის რიცხვი 18%-ით.

ამას ხელი შეუწყო აგრეთვე სამუშაო ხელფასის მომატებამაც, რომლის გამო ერთი მხრივ შრომის ნაყოფიერებამ იმატა, ხოლო მეორე მხრივ სამუშაო დღეების გაცდენამ იკლო.

სტატისტიკის ცენტრალურ ბიუროს ცნობებით შრომის ხელფასი მატულობდა შემდეგ ნაირად: მსხვილ მრეწველობაში საშუალოდ მუშა დღიურად იღებდა 1922 წ. 51,4 კ., 1923წ. — 71.6 კ. — 80,8 კ., 1924 წ. 90,6 კ. — 102,4 კ., 1925წ. 102.9 კ. — 108.8 კ. ხელფასის ასეთი ვადიდება ანვითარებდა მრეწველობაში ჩაბმულ მუშების შრომის ნაყოფიერებას.

სათბობ მასალის დამზადების გაძლიერებას ბუნებრივად უსდა ეოჰყოლოდა მრეწველობის გაჯანსაღება; და მართლაც. ახალი ეკონ. პოლიტიკის შემოღებების შემდეგ ჩვენ ვამჩნევთ ქვანახშირის ამოღების გაძლიერებას:

(ომის წინა დროის მილ. მან.)

1920—21 წ.— 46
1921—22 წ.— 56
1922—23 წ.— 65
1923—24 წ.— 87
1924—25 წ,— 86
1925—26 წ.—134

ჩვენი ნახშირის მრეწველობაში აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოებაც: აქ ჩატარდა დიდი რეორგანიზაცია. მან ხელი შეუწყო ინდუსტრიის ამ დარგის ნახშირზედ, როგორც სათბობ მასალაზედ, მოთხოვნილების შემცირებას და მით შემოსავალიც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1920/21 წ. საკუთარი საჭიროებისათვის იხარჯებოდა მთელი პროდუქციის 39%, ანუ 2/5 რჩებოდა აქვე ნახშირის წარმოებას. 1921/22 წ. ამ ნორმამ დაიკლო 28%-ამდე, 1923/24 წ. — 15%, 1924/25წ. — 12,1%, 1925/26 წ.— 8,5 პროც. 1925/26 წ. ქვანახშირის მრეწველობამ მოგვცა 123 მილ. მან., ანუ 1921-22 წ. შედარებით 3 ჯერ მეტი.

ეხლა თუ ნავთის მრეწველობას გავითვალისწინებთ, მიღწევები აქაც უეჭველად ფრიად მნიშვნელოვანია. ეს კი ბევრადაა დამოკიდებული ამერიკული მანქანების ნავთის მრეწველობაში ფართოდ გამოყენებაზე, რომელიც დიდ-ძალი რაოდენობით შევძინეთ ბაქოს ნავთის წარმოების გასაუმჯობესებლად. ნავთის ამოღება ყოველწლიურად ასე მიმდინარეობდა:

1921-22 წ. 98 მილ. მან. ომის წინადროის კურსით, 1922-23 წ. — 111 მილ. მან., 1923-24 წ.—127 მილ. მან., 1924-25 წ.—149 მილ. მან., 1925-26 წ. —175 მილ. მან. ხოლო 1926-27 წ. კი სამრეწველო გეგმის თანახმად ამოღებული უნდა იქნას 195 მილ. მანეთის ნავთი.

აქ აღსანიშნავია არა მარტო ის, რომ ჩვენ ამ დარგშიც უახლოვდებით ომის წინა დროის ნორმას, არამედ ისიც, რომ აქ წარმოების ტეხნიკა შესამჩნევად გაუმჯობესდა. 1925-26 წელს გათხრილი ახალი ჭები 284.295 მეტ.; 1921-22 წ. კი — 19.400 მეტრი ანუ 15 ჯერ ნაკლები.

ასეთივე საყურადღებო მიღწევები ახასიათებს ჩვენს მძიმე ინდუსტრიას ლითონის დამზადების დარგშიც. თუ თუჯის დამზადებას გამოვხატავთ ათასინგლისურ ტონებში, მაშინ ზრდა ასეთი ტემპით მიმდინარეობდა:

1914 წ.—4.019
1921—22 წ.— 164
1922—23 წ.— 296
1923—24 წ.— 643
1924—25 წ.—1.292
1925—26 წ.—2.207

1921-22 წ. — 1925-26 წ. თუჯის ამოღება გაზრდილა 13 ნახევარჯერ. ეს ჯერ კიდევ არაა საკმაო, ვინაიდან ლითონზედ მოთხოვნილება ჩვენში ერთობ დიდია.

1926-27 წ. დამზადებულ თუჯი უდრის 3.000 ათას ტონს, და გაჯანდვრა ბრ. მილიონ 500 ათას ტონს. 1914 წელთანშედარებით, ჯერჯერობით

პირველ დარგში ჩვენ მივაღწიეთ 75 პროც., ხოლო მეორეში კი 71 პროც.

როგორც აკადემიკოსი ა. ფერსმანი ამბობს, რკინის მოხმარა არაა მაჩვენებელი ამა თუ იმ ქვეყნის კოლტურულობის ხარისხის, იგი მეცხრამეტე საუკუნეში ითვლებოდა ასეთად და ამიტომ დღეს ამერიკაში და სხვა სახელმწიფოებში გადადიან უფრო გავრცელებულ და მარტივ ნივთიერებათა გამოყენებაზედ, როგორიცაა თიხა, ქვიშა და ქვა და ფერსმანი გვირჩევს ჩვენშიც უნდა მოვახდინოთ დაზოგვითი გამოყენება ლითონის, ქვანახშირის და ნავთისო. [1])

აკადემიკ. ფერსმანის ეს მოსაზრება განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან ძველი ტეხნიკური მოწყობილობათა დატოვების პირობებში, განსაკუთრებით ინვენტარის გაცვეთის გამო, მეტალურგიას არ შეუძლია ომის წინა დროის პროდუქცია მოგვცეს, აქ მწვავეთაა დასმული საკითხი გაუმჯობესებულ იარაღების დამზადებისა და ახალი ქარხნების აგების შესახებ, ასეთ პირობებში ჩვენ მოგველის დიდძალი ლითონის დახარჯვა, რომელიც ძვირიც ჯდება და ჩვენში არსებულ მარაგსაც საგრძნობლად შეამცირებს.

თუ როგორ იზრდებოდა წარმოება რკინეულების დამზადების დარგში, ამისათვის შემდეგ ცნობებს მოვიყვანთ: 1921/22 წ. რკინის მადანი ამოღებული იყო 185 ათასი ტონა, 1926/27 წ. კი — 5.000 ათ. ტონა.

საერთოდ კი, თუ როგორ ვითარდებოდა მრეწველობის უმთავრესი დარგები საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

		1913 წ.	1925—26 წ.	1926—27 წ.
ქვანახშირი	ტონებში	29.055.000	25.209.000	33.780.000
ნავთი		9.194.000	8.290.000	9.452.000
რკინის მადანი . . .		9.230.000	3.513.000	5.031.000
ი.უჯი		4.206.000	2.334.000	2.930.000
ფოლადი		4.247.000	2.242.000	3.293.000
რკინა		3.509.000	2.109.000	2.354.000
ქსოვილები	მეტრებში	2.238.000	1.995.000	2.133.000 [2])

ჩვენი მრეწველობის უმსხვილეს დარგების პროდუქციის ზრდის გასაცნობად 1921-22—1925-26 წ. ვისარგებლებთ პროფ. კაფენგაუზის ცხრილით. (ცნობები მოცემულია ომის წინანდ. კურ. მილ. მან.).

[1]) იხ. Акад. А. Ферсман. „Состояние и перспективы развития производ. сил СССР". ჟურ. „Новый мир" მე-9 წიგნი 1927 წ. გვ. 152.

[2]) იხ. Эр. Квиринг „Новые задачи нашего социалист. строит." 1927 წ. გვ. 17.

წ ლ ე ბ ი	განუწყვ. წარმ.	სეზონ. წარმ.	სულ	წინა წელთან %%	1921—22 წ. %%
1921—22	833	17	850	—	100
1922—23	1.199	40	1.239	145.8	145.8
1923—24	1.553	68	1.621	130.8	190.7
1924—25	2.560	83	2.643	163.0	310.9
1925—26	3.556	194	3.750	141.9	441.2*)

აქ ნათლადაა მოცემული ჩვენი მრეწველობის დინამიკა, დაწყებული ახალი ეკონ. პოლიტ. შემოღებიდან დღემდე. განვლილ პერიოდში ჩვენი მრეწველობა გაზრდილა 4½ ჯერ და ამ პერიოდის დასასრულს ჩვენ უახლოვდებით ომის წინადროის დონეს. მართალია, როგორც პროფ. კაფენგაუზი სწერს, ომის წინადროის სტატისტიკური ცნობები სავსებით გამოსადეგი არ არის ამჟამად ჩვენთვის, რადგან საქონლის ასორტიმენტი სხვადასხვაგვარია, მაშინ და ეხლა სხვადასხვაგვარია საქონლის ხარისხიც, უთანაბროა სტატისტიკური დაკვირვების წრეც, მაგრამ დაახლოვებით მაინც შეიძლება ითქვას, რომ 1925-26 წ. ჩვენმა მრეწველობამ მიაღწია 90% ომის წინა დროის ნორმისას.

ეს მიღწევა ერთობ მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ წარმოების ზრდა სულ-ერთავად ემყარებოდა საკუთარ შინაურ რესურსებს და თითქმის არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა მას უცხოეთის კაპიტალმა.

ეს პერიოდი დასრულდა ჩვენი მრეწველობის აღდგენით.

მაგრამ მოხდა არა მარტო აღდგენა, არამედ მისი რეკონსტრუქციისათვის ჩვენ უკვე გავიღეთ პირველი წვლილიც. რეკონსტ. ელემენტების შეტანა ჩვენს მრეწველობაში გამოიხატება 1925-26 წ. კაპიტალურ ხარჯების გაწევაში 780 მილ. მან. რაოდენობით; ამით არა თუ აღვადგინეთ ძირითადი კაპიტალის ნაწილი, არამედ მოვახდინეთ ჩვენი მრეწველობის საწარმოო ძალის შესამჩნევი ზრდაც.

თუ თვალს გადავავლებთ მრეწველობის ფინანსიურ მდგომარეობას. ამ მხრივაც ვამჩნევთ გაუმჯობესებას. 1923-24 წ. საბჭოთა კავშირის მრეწველობა უკვე უზარალოა, პირიქით, მოხდა მოგების დაგროვება 105 მილ. მან. რაოდენობით, 1924-25 წ. ეს დაგროვება იზრდება და აღწევს 305 მილ. მან., 1925-26 წ. კი 474 მილ. მან. ეს თანხა, სამრეწველო ბანკისა და სახელმწიფო ბანკის საშუალებით ნაწილდება მრეწველობის ცალკე დარგებზე სათანადო გეგმით. სახელმ. მრეწველობას ხელს უწყობს აგრეთვე სახელმ. ბიუჯეტი. 1924-25 წელს მრეწველობამ მიიღო ბიუჯეტით 184 მილ მ. რაოდენობით. დაუბრუნა 121 მილ. მ. მასზე დარჩა 63 მილ. მ.; 1925-26 წ. კი მიიღო 491 მილ. მან., დაუბრუნა 196 მილ. მან. და ვალათ დაედო 295 მილ. მან.

[1]) იხ. Проф. А. Б. Кафенгауз „Государ. промышлен. С. Э. С. Р. в. 1925/26 г.“ 1927 წ. გვ. 112.

საბრუნავ თანხების წყაროდ ითვლება ბანკის კაპიტალი, რომლითაც ჩვენი მრეწველობაც ფართედ სარგებლობს. 1924 წ. მრეწვ. მიიღო სესხათ 275 მილ. მ., მთელმა სახალხო მეურნეობამ კი — 574 მილ. მან., ანუ მრეწველობამ მიიღო 45%, 1926 წ. მრეწველობაზე მოდის მთელი სესხის 53%.

რადგან ჩვენს პირობებში საწარმოო საშუალებათა დამზადებას ქვეყნის მეურნეობის ახალ ტეხნიკურ ბაზისზე გადასაყვანათ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, ამიტომ სესხის გაცემის დროს და ბიუჯეტით დახმარების პირობებში მეტი ეძლევა ლითონის მრეწველობას, ვიდრე საფეიქრო ან საკვებ საშუალებათა დამზადების წარმოებას. ამის გამო, ჩვენი მრეწველობის ზრდა ასეთ ხასიათს იღებს: თუ მთელი პროდუქციას 100-ად ჩავთვლით, მაშინ საწარმოო საშუალებანი და სამომხ. საშუალებები მზადდებოდენ:

წლები:	საწ. საშ.	სამომხ. საშ.
1923—24	51,7	48,3
1924—25	52,6	47,4
1925—26	54,4	45,6
1926—27	56,1	43,9

ასეთი პოლიტიკა სრულიად გამართლებულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმის თვალსაზრისით.

როგორც ვიცით, რუსეთში ჯერ კიდევ მსხვილი მრეწველობის გვერდით განაგრძობს არსებობას წვრილი მრეწველობაც, რომელიც, მართალია, თანდათანობით მცირდება, მაგრამ თავისთავად მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს; იგი აძლევს დამატებით შემოსავალს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს — გლეხებს და ხელოსნებს, რომლებიც კოოპერატიული გაერთიანების გზით აწოდებენ ნახევარ ფაბრიკატებს მსხვილ ქარხნებს ანდა დამზადებულ პროდუქტებს ჰყიდიან პირდაპირ მომხმარებელზე.

მრეწველობის მთელი პროდუქცია ასეა განაწილებული: 1923-24 წ. ცენზიანი წარმოების პროდუქცია უდრიდა:

1923—24 წ. ცენზ.	წარ. 4.466	მილ. მ. ანუ	76%	წვრ. წარმ. კი—1.419	მილ. მ. ანუ 24%
1926—26 წ.	10.867	„	84%	„ 2.135	„ 16%

ანუ წვრილი წარმოების პროდუქცია 6½ ჯერ უფრო ნაკლებია მსხვილი წარმოების პროდუქციაზე. ჩვენი მიღწევები მრეწველობის დარგში ამით არ ამოიწურება. ჩვენ დაწყებული გვაქვს სხვადასხვა ადგილას ახალი ქარხნების აგება და მუშაობის დასრულების შემდეგ ჩვენი წარმოების პროდუქცია კიდევ უფრო მოიმატებს. ახალი ტეხნიკის გამოყენებით კი საქონლის თვითღირებულება კიდევ უფრო შემცირდება. ახალი ქარხნები შენდება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად. აი რამდენიმე მათგანიც: ქერჩში შენდება მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ჯდება 45 მილ. მან., როსტოვში ვაგენებთ სასოფ. სამ. მანქანების დამამზად. ქარხანას — 57 მილ. მან., ყოფ. „პროგოდნიკის“ ქარხანაში ეაწყობთ ელექტრო-ტეხნიკურ ქარხანას — 10.3 მილ მ., დონეცში 20 მაღაროს მოწყობა — 152 მილ. მ., ბათომში ნავთის საწმენდი ქარხანა — 5 მილ. მ., შუშის ქარხნები გუს-ხრუსტალში და ბელომორჩკაში — 5½და 6½ მილ. მან., ვლადიმირში სა-

ფეიქრო ქარხანა — 100.000 თითის ტარით, — 7½ მილ. მ., ივანოვოვოზნესენსკში 128000 თითისტარით — 11 მილ. მ., 368 შენების პროცესში მყოფ ქარხნებზე სულ ზრახულია დაიხარჯოს 650 მილ. მ., ანუ საშუალოდ თვითეულზე 1.8 მილ. მან.

შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ის ქარხნებიც, რომელთა აშენება განზრახულია მოკლე პერიოდში და რომლებიც თავიანთი სიდიდით მსოფლიოში არსებულ უმსხვილეს საწარმოო გიგანტებს შეედრებიან. ასეთია ტელბესის მეტალურგიული ქარხანა—680 მილ. მ., კრივოროგში მეტ. ქარხანა—81 მილ. მ., ურალში (მაგნიტ მთაზე) — 118 მილ., მ., ნიჟნე-ტაგულის რონოდის დამამზადებელი ქარხანა—44 მილ. მ., სტალინგრადის ტრაქტორის ქარხანა—31 მილ. მ., იარაღების ქარხანა — 7 მილ. მან.

მკითხველი ამ მოკლე მიმოხილვიდან ნათლად დაინახავს, თუ რა ფართო ამოცანები გვაქვს დასახული, ქვეყნის მრეწველობის აღორძინების დარგში და რა საგრძნობი მიღწევები ახასიათებს განვლილ აღდგენითი პერიოდს.

ვ ა ჭ რ ო ბ ა.

განვლილი პერიოდის გასწვრივ შეუჩერებელი ზრდა დაეტყო სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობასაც, რაც თანდათანობით ფართოვდება კერძო ვაჭრობის შემცირებით. საგეგმო კომისიის საკონტრ. ციფრების თანახმად, სხვადასხვა სოციალურ სექტორთა თანამშრომლობა ვაჭრობის დარგში იცვლებოდა ასე:

წ ლ ე ბ ი	სახელ. ვაჭ.	კოოპერატიული	კერძო	სულ
1923—24	31,0	28,2	40,8	100
1924—25	35.5	37,5	27,0	100
1925—26	34,0	42,3	23,7	100
1926—27	34,0	44,5	21.5	100

მართალია, რაც დრო გადის სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობა ერთგვარ გამოცდიბელას იღებს, კერძო ვაჭრობას ავიწროებს, მაგრამ ამ ცხრილში აღნიშნული კერძო ვაჭრობის ხვედრითი წონის შემცირება აიხსნება აგერთვე საერთო საქონლის სიმცირით, რომლის დროს კერძო ვაჭრობას არ აქვს საშუალება თავისუფლად შეიძინოს იგი; საქონლის გავრცელებას სახელმწიფო აკისრებს სულ ერთავად სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობას.

კოოპერაცია, როგორც სავაჭრო აპარატი, უფრო ჩქარა ვითარდება, ვიდრე სახელმწიფო ვაჭრობა; ასე, მაგ., 1925-26 წ. კოოპერაციამ მთელი პროდუქციის 56,2% გაასაღა. ეს იყო 10 საწარმოო დარგის ნაწარმოები; 1926-27 წ. კი—61,3%. მაგრამ ეს %% თავისთავად მაინც არაა დამაკმაყოფილებელი, რადგან ჩვენი სა-

ბოლოო მიზანია კერძო ვაჭრობის სრული გაუქმება და მის მაგიერ სახელმ. და კოოპერატიულ ვაჭრობის შემოღება.

ჩვენი საგაჭრო აპარატის დეფექტი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ აგვიცილებია თავიდან, არის წარმოებიდან მოხმარებამდე არსებული მრავალი გადამცემ რგოლის არსებობა; 1923 წ. ამან ხელი შეუწყო „მაკრატელის“ წარმოშობას, ეხლა კი იწვევს საკმაო დიდ დამატებით წარჯებს, რის გამო ჩვენ საქონელზე საწვრილმანო ფასები ერთობ დიდია. საქონლის გაძვირებას ხელს უწყობს აგრეთვე ხშირად დიდი მოგების მიღების სურვილიც; მაგ., კოოპერაცია ზოგჯერ მოგებას იღებს თავის საკუთარ კაპიტალზე 38 — 100 — 173 და ზოგჯერ 460%; თუ მთელ კოოპერაციას ავიღებთ, მისი მოგების % საკუთარ თანხებზე უდრიდა 1925-26 წ. 54.7%, საწვრილმანო კოოპერაციაში კი — 69%.

ამის გამო ჩვენი პარტიის ცეკამ 1927 წ. თებერვლის პლენუმზე გამოაცხადა დაკვრითი წესით ბრძოლა მაღალ ფასებთან და ფასების დაკლება 10%. ეს დირექტივა უკვე შესრულებულია, თუმცა ეს დაგვიანებით მოხდა.

მართალია, საშინაო ვაჭრობის დარგში. ისე როგორც სხვა დარგებში, მიღწევები მნიშვნელოვანია, მაგრამ საგაჭრო აპარატის გამარტივება და კერძო საგაჭრო კაპიტალთან ბრძოლა ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დასმული ჩვენს დღიურ წესრიგში.

კერძო კაპიტალი უცდის დროსა და პირობებს თავის თავი გამოიყენოს იქ, სადაც ჩვენ განსაკუთრებულ სისუსტეს გამოვიჩენთ. ამიტომ ამ მოდარაჯე შინაური მტრის დაძლევა ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანათ რჩება მომავალშიაც.

საგარეო ვაჭრობა.

საგარეო ვაჭრობა ახალი ეკ. პოლიტ. შემოღებიდან თანდათანობით იზრდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოა იგი. ასე მაგ.:

წლები	ექსპორტი		იმპორტი	
1922—23	210	მილ. მან	187	მილ. მან.
1923—24	523	„	439	„
1924—25	551	„	720	„
1925-26	668	„	756	„
1913 წ. %%-ში	37	„	42	„

როგორც ეხედავთ ზრდა სწარმოებს, მაგრამ ომის წინა დროსთან შედარებით ჯერ კიდევ შორს ვართ.

ჩვენ მიზნად ვისახავდით, არა მარტო საგარეო ვაჭრობის გადიდებას. არამედ უმთავრესად მისი ხასიათის შეცვლას. მთელი ჩვენი ამოცანა ამ დარგში, იმაში მდგომარეობდა, რომ ფართო მოხმარების საგნების შემცირებით საწარმოო საშუალებათა შემოტანის საქმე გაგვეფართოებია. მართალია სურსათის კრიზისის გამო პირველ ხანებში ეს გეგმა არ ხორციელდებოდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ ამ ამოცანას თითქმის უკვე ვანხორციელებთ. ამის დასამტკიცებლად ვიტანარგებლებთ შემდეგი ცხრილით:

	1924—25 წ. მთელი ჯამთან %%		1925—26 წ. მთელი ჯამთან %%	
საარსებო საშუალებანი	165,7	25,7	38,6	5.7
ნედლეული და ნახევრად ფაბრიკ. . .	315,9	49,1	365,3	54.2
ოთხფეხი საქონელი	1,1	0,2	2,9	0.5
ფაბრიკატები	161,1	25,0	266,9	39.6
	673,8	100	643,7	100

აქედან ნათლად სჩანს, თუ როგორ იზრდებოდა ნედლეულისა და საწარმოო საგნების შემოტანა საარსებო საშუალებათა შემოტანის შემცირებით.

თუ ეხლა საწარმოო საშუალებებს ფულში გამოვხატავთ მისი ზრდა ასეთ ხასიათს ატარებდა: 1923-24 წ. 19 მილ. მან., 1924-25 წ. 49 მილ. მან., 1925-26 წ. 74 მილ. მან. ამავე წლებში სასოფ.-სამეურნეო მანქანების და ტრაქტორების შემოტანა გაზრდილა ასე: 6 მილ. მან.-ით, 32 მილ. მან. და 48 მილ. მან.

ახალი მშენებლობისა და კაპიტალური შეკეთებათა დაწყების გამო, კიდევ უფრო გაიზრდება მანქანების შემოზიდვა.

სამაგიეროდ იზრდება ექსპორტიც. გაგვაქვს პური, კვერცხი, ნედლეული, ნავთი და სხვ.

1423—24 წ. კვერცხი გავიტანეთ 2.4 ათასი ორნოდა
1924—25 წ. „ 4.1 „

კანაფის გატანა გაიზარდა ამავე წლებში 2,1 მილ. მან.-დან 4,2 მილ. მ.-დე.

ჩვენი ნაწარმოები უცხოეთის ბაზარზე შედარებით ძვირია, ეს აიხსნება მით, რომ ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ვართ ტეხნიკურად, რის გამო ჩვენი საქონლის თვით ღირებულება შედარებით უცხოეთში ასეთივე საქონელთან. მაღალია. უფრო მნიშვნელოვანია ნავთის გატანა, 1923-24 წ., გავიტანეთ 43 მილ. ფუთი, 1925-26 წ. კი — 90 მილ. ფუთი.

ჩვენი კავშირი უცხოეთთან, რომელიც ფართო დისკუსიის საგნად აქცია ოპოზიციამ, არ წარმოადგენს ჩვენ მრეწველობისათვის რაიმე საფრთხეს: პირიქით. ჩვენ ამით სათანადოთ ვსარგებლობთ. ამხ. ბუხარინმა თავის მოხსენებაში, კომ. ინტ. აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე 1926 წ., ამ საკითხზე შემდეგი სთქვა: „ერთი მხრივ ჩვენ ვექცევით მსოფლიო მეურნეობის ეკონომიურ გავლენის ქვეშ, მაგრამ მეორე მხრივ — თუმცა ეს რამდენიმედ პარადოქსალურად გვეჩვენება. — ჩვენ ვხდებით სულ უფრო დამოუკიდებელი, ჩვენი ეკონომიურ ბაზისი უფრო მტკიცდება, კაპიტალისტურ ქვეყნებთან კავშირის პირობებში. აქ არის დიალექტიური წინააღმდეგობა“ *).

[1]) იხ. Н. Бухарин—„Апелляция оппозиция“ 27 წ. გვ. 9.

მეორე ადგილას ამხ. ბუხარინი სწერს: „კაპიტალისტურ მეურნეობისაგან ჩვენი დამოკიდებულების ზრდა არის იმავე დროს ჩვენი დამოუკიდებლობის ზრდაც. თუ ჩვენ ბევრი პური გაგვაქვს და ბევრი მანქანები შემოგვაქვს, ეს გაერემოება ერთი შეხედვით არის ჩვენი დამოკიდებულებისა და დაქვემდებარების ზრდა. მაგრამ ეს არის ჩვენი დამოუკიდებლობის ზრდაც... შემოტანილი მანქანებით ჩვენ საძირკველს უყრით ჩვენს დამოუკიდებლობას კაპიტალისტურ ქვეყნებიდან". [1])

არის თუ არა საშიში კაპიტალისტურ მსოფლიოსთან კავშირი? ამაზე ამხ. ბუხარინი შემდეგნაირად უპასუხებს: „ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება იმდენი რესურსები, რომ ჩვენთვის არ არის საშიში მსოფლიო ბაზრის ზეგავლენა. მსოფლიო ბაზრის ზეგავლენა მხოლოდ გვაიძულებს ჩვენ უკეთესად ვიმუშაოთ, რომ მოვიგოთ ბრძოლა იმ უდიდეს შეჯიბრში, რომელიც სწარმოებს კაპიტალიზმისა და მშენებლობის პროცესში მყოფ სოციალიზმის შორის. მსოფლიო ბაზრის ზეგავლენა — ეს ის მათრახია, რომელიც ჩვენ აგვამოქმედებს, მაგრამ ის ვერ გახდება ჩვენი დაღუპვის მიზეზი"-ო. [2])

ფინანსები.

რამდენად ჩვენში საეურნეო ცხოვრება ჯერ კიდევ ჩვეულებრივი აღებ-მიცემის ფორმაში მიმდინარეობს და რამდენად ჯერ კიდევ არიან ცალკე დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულები, იმდენად ჯერ-ჯერობით ფულის საჭიროება შერჩენილია. ახალი ეკონ. პოლიტიკის შემოღებამ გამოიწვია საქონლის მეურნეობის არსებობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ მოვლენათა წარმოშობა. და რადგან სამეურნეო ცხოვრების ნორმალური განვითარების ღერძი ფულის მტკიცე კურსის შენარჩუნებაში მდგომარეობს, დაწყებული 1921 წლიდან მთელი ყურადღება მიექცა მტკიცე ფულის სისტემაზე გადასვლის საქმეს.

მეურნეობის გაუმჯობესებით და სათანადო საფინანსო პოლიტიკის მომარჯვებით, ჩვენ შევსძელით 1924 წ. გადავსულიყავით ჩერვონეცის ფულის ხმარებაზე. ნაცვლად საბჭოთა ფულის ნიშნებისა. ამის პარალელურად, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტში. მთელი ყურადღება მიქცეული იყო იქეთ, რომ შეგვექნა უდეფიციტო ბიუჯეტი. თუ როგორი მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობის გაუმჯობესებასთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის განმტკიცება, ამისათვის შემდეგ ცხრილს მოვიყვანთ: (იხ. მეორე გვ.).

კიდევ უფრო მეტი მჭერმეტყველურ საბუთად ბიუჯეტისა და სახალხო მეურნეობის შორის არსებულ მტკიცე ურთიერთობის დასამტკიცებლად გამოგვიყენებია. თუ გნებავთ, ისიც რომ 1922 წლიდან კლებულობს გადასახადები, და ნატურლობს არა გადასახადებისაგან მიღებული შემოსავალი. 1922-23 წელს გადასახადებიდან შემოსავალი უდრიდა 51,3%, არა გადასახადებიდან კი — 48,3%; 1926-27 წელს პირველი უდრიდა 48,6%, უკანასკნელი კი — 51,4%. არა გადასახადებიდან შემოსავლის გადიდება მრეწველობის, სასოფ. მეურნეობის, ტრან-

[1]) [2]) იხ. ნ. ბუხარინი—„საბჭ. კავშირის საერთ. და სამ. მდგომ." 1927 წ. გვ. 33, 38.

წლები	საერთო პროდ.	ერთიანი საკავშირო ბიუჯეტი	მთელი პროდუქციის საქონლითი ნაწილი
1922—23	13.603	1.354	5.490
1923—24	19.567	2.298	10.291
1924—25	26.150	2.938	14.828
1925—26	37.129	4.039	19.651
1926—27	37.339	5,002	22.078

სპორტის შემოსავლის ზრდის შედეგია. საკონტრ. ციფრ. მასალებიდან სჩანს, რომ მრეწველობის, ვაჭრობის და ტრანსპორტის შემოსავალი იზრდება ასე:

1922—23	5,9	მილ, მან.
1923—24	47,9	„
1924—25	120,7	„
1925—26	214,0	„
1926—27	254,0	„

მართალია, ჩვენში ჯერ კიდევ შერჩენილია სხვადასხვა სახის გადასახადები, მაგრამ აღსანიშნავია, რომ თანდათანობით მცირდება არა პირდაპირი გადასახადი: საშაგიეროთ იზრდება ისეთი გადასახადები, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს. ასე მაგ., არაპირდაპირი გადასახადები შემცირებულია: 1922-23 წ. შემოსავალი უდრიდა — 55%, 1925-26 წ. კი — 33%; საძაგიეროდ ამავე წლებში ფუფუნების საგნებზე გაზრდილა გადასახადები და მოუმატია შემოსავალსაც. თუ 1922-23 წ. უდრიდა 17% — უკანასკნელ ხანებში — 46% ფუფუნებიდან აღებული გადასახადია.

რამდენად იზრდებოდა სახელმწიფოს შემოსავალი იმდენად ფართოვდებოდა მისი კულტურულ-ეკონომიური ამოცანები და მეტი იხარჯებოდა სახელმ. ბიუჯეტიდან. თუ სოციალ-კულტურულ მნიშვნელობის სახალხო კომისარიატებისათვის 1923-24 წ. იხარჯებოდა მთელი ხარჯის 12%; 1926-27 წ. კი ამ საქმეს მოანდომეს 15,3%. ყველა ხარჯებისა; მაგრამ ამასთანავე ერთად მიმდინარეობს აპარატის რაციონალიზაცია და ხარჯების შემცირება.

მართალია, ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა ჯერ კიდევ ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენი სამეურნეო გეგმის მოთხოვნილებას, რაც ბევრად უსწრებს წინ ჩვენს ფინანსიურ შესაძლებლობას, მაგრამ ის ფაქტი, რომ შევსძელით მანეთის სტაბილიზაცია მოგვეხდინა და საფინანსო მდგომარეობის შენება დავიწყეთ განადგურების პირად მისულ სახალხო მეურნეობის პირობებში, შემდეგის მაჩვენებელია: ამიერიდან ამ გზაზე არსებული დაბრკოლებები კიდევ უფრო ადვილად იქნება გადალახული.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი.

ტრანსპორტი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს თითქმის განადგურდა, დღეს არა თუ ომის წინა დროის მდგომარეობას უახლოვდება არამედ ბევრს რაშეში წინაც უსწრებს.

თუ რკინის გზის სიგრძე 1913 წ. უდრიდა 58.162 კილ., 1926-27 წ. უდრის 76.589 კილ. სამოძრაო ნაწილიც გაუმჯობესდა, როგორც რაოდენობით, ისე თვისობრივადაც. 1921-22 წ. სულ გადატანილი იყო 2.436 მილ. ფუთი, 1925-26 წ.— 7.131 მილ. ფ., ე. ი. 4 წელიწადში გაზრდილა 3 ჯერ, ასევე გაიზარდა მგზავრების რიცხვიც.

სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ რონოდების მოძრაობის სიჩქარემაც კი იმატა. 1913 წ. დღეში გადიოდა 204 ვერსს, ეხლა საშუალოდ გადის 268 ვერსს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი რკინის გზები დღეს მუშაობენ თითქმის უდეფიციტოთ და ახლო მომავალში ჩვენ მოწამე ვიქნებით რკინის გზის ტრანსპორტის კიდევ უფრო გაუმჯობესების.

1913 წ.	992,4	797.2
1923—24	671,3	738.3
1924—25	928.8	941.5
1925—26	1.415,0	1.440.5
1926—27	1.600,0	1.650.5

რკინის გზების უდეფიციტო მუშაობა იმ მხრივაც აღსანიშნავია, რომ დღეს ტარიფი თითქმის ისეთივეა, როგორიც ომამდე იყო.

ასეთივე გაუმჯობესება ეტყობა საზღვაო ტრანსპორტსაც, ადგილობრივ მნიშვნელობის გზებსაც, რომელთა შესაკეთებლად ყოველწლიურად სახელმწიფო ხარჯავს დიდძალ თანხებს. ასე მაგ., გზათა შესანახავად 1923-24 წ. დახარჯული იქნა 5 მილ. მან., 1926-27 წ. კი 23 მილ. მან.

ტრანსპორტის დარგშიაც ჩვენ უკვე მივაღწიეთ ომის წინა მდგომარეობას, ეხლა იწყება ახალი პერიოდი — პერიოდი რეკონსტრუქციის, რომლის დროს ტრანსპორტის ზრდა უნდა დაეწიოს მთელი სახალხო მეურნეობის ზრდას. ეს ამოცანა რთულიცაა და დიდ თანხებსაც მოითხოვს, მაგრამ გეგმიან მუშაობის პირობებში ჩვენ ამის შესრულებასაც შევსძლებთ.

დავასრულეთ ჩვენი მოკლე მიმოხილვა საბჭოთა კავშირის სამეურნეო მიღწევათა შესახებ. და დღეს როცა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ცალი თვალით განვლილ გზას გავსცქერით, ხოლო მეორეთი ჩვენ მორიგ სამეურნეო ამოცანებს, ერთი რამ უდაოდ შეიძლება დავასკვნათ: განადგურების პირად მისული მეურნეობის აღდგენითი პერიოდი სავსებით დასრულებულია და მომზადებულია მტკიცე მატერიალური ბაზა ახალი გეგმის მიხედვით მისი განსავითარებლად, გასაფართოებლად.

ბევრი დაბრკოლებებია გადალახული განვლილი აღდგენითი პერიოდის სიგრძეზე, არა ნაკლები იქნება მომავალშიაც, მაგრამ 10 წლის გამოცდილებით გაკაჟებული მუშათა და გლეხთა მასები ადვილად დასძლევენ ამასაც და რეალობად აქცევენ სოციალიზმის შენების საქმეს საბჭოთა კავშირში.

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

1. ა. კვირიკაძე, } პასუხისმგ. რედ-ბი.
2. ვ. ავაქოვი, }
3. გ. ავალიშვილი,
4. ეპ. ალშიბაია,
5. ბ. გოგია,
6. სეით დევდარიანი,
7. დ. თოფურიძე,
8. ბ. ჭიჭინაძე,
9. აკ. კალაძე—პასუხისმგ. მდივანი.

მიმდინარე 1927 წლის ივლისიდან, ს. ს. ს. რ. მიწათმოქმედ. სახალხო კომისარის ა. გეგეჭკორის რედაქტორობით, გამოდის სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი

„სოფლის მეურნეობა“

ს. ს. ს. რ. მიწსახკომის და ა. ლ. კ. კ. ცეკას ორგანო. გაზ. „ახალი სოფლის“ გამოცემა.

ჟურნალი თავის მთავარ ამოცანად ისახავს სოფლის მეურნეობის საკითხების გამოკვლევა-გაშუქებას.

ჟურნალში მონაწილეობენ საუკეთესო აგრონომიული ძალები.

ჟურნალის ფასი ნომერი ღირს 40 კაპ.

ხელის მოწერით: { მთელი წლით 4 მან.
{ ნახევარი წლით 2 მ. 40 კ.

განცხადების ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადება მიიღება გაზ. „ახალი სოფლის“ კანტორაში: ტფილისი, ვოლოდარსკის ქ. № 11.

ჟურნალს ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია.

ჟურნალში მოსათავსებელი წერილები და ყოველი კორესპონდენცია უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, მიწსახკომი, სარედაქციო კოლეგიას.

სარედაქციო კოლეგია: დ. ახმეტელი, ს. ბაქრაძე, ვ. გოგილაძე, დ. ვოლსკი, პ. კაკაბაძე, გ. მუშიშვილი, დ. სამადაშვილი, ვლ. ხოფერია.

ს. პ. კ. ს. არს. ინჟ-ტეხ. ცენტრ. ბიურო და ს. ტეხ. საზ-ბის

ყოველთვიური

ჟურნალი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წ.

„ტექნიკა და ცხოვრება“

ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია: თბო-ტექნიკა, ელექტროტექნიკა, ელექტროფიკაცია, ჰიდროტექნიკა, სამთო საქმე, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, ტექნოლოგია, შინამრეწველობა, ტრანსპორტი, საფეიქრო მრეწველობა, მუნიციპალიური მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, სატყეო მეურნეობა, მიწათმოწყობა, მრეწველობის და მეურნეობის ორგანიზაცია, „შმო“, ტექნიკის ინფორმაცია, ავიაცია, რადიო, პროფტექნიკური განათლება, გამოგონებანი, ბიბლიოგრაფია, პროფ-ცხოვრება, ტერმინოლოგია და ქრონიკა.

ჟურნალში თანამშრომლობენ:

ინჟ-ები გ. აბაშიძე,
„ ვ. ავალიანი,
„ კ. ამირაჯიბი,
„ ე. ალშიბია,
„ ი. ანდრონიკაშვილი,
პროფ. ა. ბენაშვილი
„ ა. ბაპოვი,
ინჟ-ები გ. ბერიძე,
„ დ. ბერეკაშვილი,
„ ი. ბერიძე,
„ ი. ბურჯანაძე,
„ გ. ბარამიძე,
„ ნ. გვარამაძე,
„ გ. გვერდწითელი,
„ გ. გეგეჭკორი,
„ გ. გედევანიშვილი,
„ კ. გიორგობიანი,
„ ვ. გოგილაძე,
„ კ. გაბიჩვაძე,
„ გ. გოგავა,
„ ა. გულისაშვილი,
ინჟ-ები ლ. დიასამიძე,
„ ა. დევდარიანი.
პროფ. ა. დიდებულიძე,
ინჟ-ები ვ. კაკაბაძე,
„ ა. კაციტაძე.
„ ს. ფირალიშვილი.
„ ნ. კვეზერელი-კოპაძე,
„ მ. კოპაძე,
„ გ. კოჩინაშვილი,
„ ე. კრანცი,
„ ნ. კორინთელი,
„ ნ, ლექავა
„ შ. ლიაძე.
„ ვ. ლექავა,
პროფ. ნ. მუსხელიშვილი,
„ მ. მაჭავარიანი
ინჟ-ები პ. მამრაძე,
„ ი. მეტედლიშვილი,
„ გ. მუხაძე,
„ ს. მეფისაშვილი,
„ გ. მარქაროვი,
ინჟ. მ. მაღლაკელიძე,
დოც. გ. ნიკოლაძე,
ნ. ნიკოლაძე,
რუსუდან ნიკოლაძე,
ტ. სპრინკველი,
ინჟ-ები პ. ტუროვეცი,
„ ვ. ფელდტი,
„ ა. ჩირგაძე,
„ ს. ჩომახიძე,
„ გ. წულუკიძე,
„ ბ. ჭიჭინაძე.
„ ი. ყიფშიძე,
„ გ. ქურდიანი,
პროფ. ს. ქურდიანი,
ინჟ. გ. თუმანიშვილი,
პროფ. ი. ჯანდიერი,
ინჟ-ები მ. ჯაში,
„ ა. ჯოჯუაძე,
„ ს. ყირქესალიშვილი
„ გ. ედიბერიძე,
„ ა. უდალოვი და სხვ.

განცხადების ფასი:

ერთი გვერდი	200 მ.
ნახევარი გვერდი	100 „
მეოთხედი გვერდი	60 „
მერვედი გვერდი	35 „

ხელმოწერა:

ერთი წლით	8 მ.
ნახევარ წლით	4 მ. 50 კ.
სამი თვით	2 მ. 50 კ.
ცალკე ნომერი	75 კ.

ფული უნდა გადახდილ იქნეს ხელმოწერის დროს.

რედაქციის მისამართი: რუსთ. გამზ. 17, მუშაკთა სასახ., ოთახი № 16 ტელ. 17.